საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

გურამ ჩხაიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
(1852-1932)

თბილისი
2003

წიგნში გაშუქებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორია. მან დიდი და ღირსეული გზა განელო ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მსოფლიოში ცნობილ სამუზეუმო დაწესებულებად ჩამოყალიბებამდე, რომელმაც უდიდესი წელილი შეიტანა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთთა მოძიების, შეკრებისა და პროპაგანდის საქმეში, ერის ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენაში.

პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე განხილულია საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში შეიქმნილი ის ვითარება, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენში პროფესიონალური სამუზეუმო დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნას. გეოგრაფიული საზოგადოების, კავკასიის, საეკლესიო, წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების მუზეუმებმა ახალ საფეხურზე აიყვანეს სამუზეუმო საქმიანობა საქართველოში. წლების მანძილზე დაგროვილი ტრადიციებისა და პროფესიონალიზმის წყალობით მოკლე დროში მოხერხდა ყველა დაბრკოლების გადალახვა და ჭეშმარიტად ეროვნული დაწესებულების შექმნა.

ნაშრომი წამოჭრილი საკითხების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა. იგი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და ქართული კულტურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: შ. ლომსაძე, თ. ბერიძე.

იბეჭდება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო საბჭოს დადგენილებით.

წიგნი გამოიცა მალხაზ ამაშუკელის თანადგომით.

გაფორმება ა. სანიშვილის

თავი I

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი

ქართველი ერის ისტორიაში XIX საუკუნე უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. "სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი, მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის."[1] ასეთი შეფასება მისცა დიდმა ილიამ ამ ასწლეულს.

ამ დრომდე ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვანი დანაკარგებით მოაღწია. მუსლიმანური სამყაროს პერმანენტული შემოტევების შედეგი იყო ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, მეურნეობის მოშლა და ეკონომიკური დაქვეითება, დიდი ტერიტორიული დანაკარგები, მოსახლეობის რიცხვის კატასტროფულად შემცირება, მაჰმადიანური კულტურის მოძალება და მისი მოჭარბებული გავლენა.

ასეთი შეჭირვების მიუხედავად, XIX საუკუნემდე მაინც მოგვყვა "ქართველობა," ქართული ეროვნული ცნობიერება და მართლმადიდებლობაზე დამყარებული ქართული კულტურის ერთიანობა.

XIX საუკუნე დაიწყო იმით, რომ საქართველოსა და "ქართველობის" გადარჩენისთვის ბრძოლის აუცილებლობამ კიდევ უფრო მძაფრი ელერადობა შეიძინა. 1801 წელს რუსეთის სამხედრო-ფეოდალური იმპერიის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას შემდგომ წლებში მოჰყვა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების თანდათანობით ღაპყრობა და სახელმწიფოებრიობის გაუქმება. საქართველომი არსებობა შეწყვიტეს სამეფო დინასტიამ და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიამ. შემოღებულ იქნა რუსული სამხედრო მმართველობა და დაიწყო იმპერიული კოლონიური პოლიტიკის განხორციელება, რომლის მთავარ მიმართულებებად გამოიკვეთა

---

[1] ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. V, თბ., 1955, გვ. 7.

ქართველი ერის ასიმილირება-გადაგვარება, დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა, კუთხური სეპარატიზმის გაღვივება, ყოველგვარი ქართულის შევიწროება და ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერება.

ქართველი საზოგადოებრიობა მონაწილეობას ვერ იღებდა თავისი ქვეყნის მართვაში. როგორც წესი, ყველა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობიდან იდევნებოდა ქართველობა, როგორც სრულიად უსარგებლონი "უუნარობისა და საქმეში გამოუცდელობის გამო."[2] სასელმწიფო დაწესებულებებში ასევე იდევნებოდა ქართული ენა.

მაგრამ ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, XIX საუკუნეში მაინც ობიექტურად იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები საქართველოს გადასარჩენად. ამ პირობებს განსაზღვრავდა შემდეგი ფაქტორები: პირველი--მუსლიმანური სამყაროს ჩამოშორება და მისი ექსპანსიის მოშლა; მეორე--მშვიდობიანობის შედეგად მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენა და მომრაველება; მესამე--რუსეთის იმპერიის ერთიან სივრცეში ქართული ისტორიული კუთხეების თავმოყრა და ერთმანეთთან ეკონომიკური დაკავშირება; მეოთხე--ევროპულ კულტურებთან დაახლოება და ბოლოს, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერების კვალობაზე ქართველობაში საპირისპირო აღეკვატური თვითგადარჩენის ბუნებრივი რეაგირების გამძაფრება.

ეს უკანასკნელი გამოიხატა იმ ლაუმორჩილებლობის, აჯანყებებისა და შეთქმულებების სახით, რაც საქართველოს დაპყრობისთანავე დაიწყო და რომელსაც ქართველი ხალხი უკომპრომისოდ და მიზანმიმართულად ეწეოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

კოლონიური რეჟიმის სიმძიმისა და ქაროველობის დევნა-შევიწროების მიუხედავად, ამ საუკუნიდან მაინც იწყება კულტურული ცხოვრების მოწესრიგებისა და ქართული კულტურის ერთგვარი გამოცოცხლების ცდა.

---

[2]Акты собранные Кавказской археографической комиссиею, ტ. VIII, გვ. 5 (შემდგომ შემოკლებით-- "Акты").

მართალია რუსეთის იმპერია კულტურის დარგში საქართველოში განხორციელებულ ყველა ღონისძიებას კოლონიურ ამოცანებს უმორჩილებდა, მაგრამ ქართველი მამულიშვილების შეუპოვარი მცდელობის შედეგად ეს ღონისძიებები საბოლოო ჯამში ქართული კულტურის აღდგენა-გაღარჩენას ობიექტურად ემსახურებოდა.

ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა XIX საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც საქართველოში შეიცვალა რუსული მმართველობის სისტემა და დაიწყო კოლონიზაციის ახალი ეტაპი. სამხედრო მმართველობის ნაცვლად შემოღებული იქნა სამოქალაქო მმართველობა,[3] რომელიც გარეგნულად ერთგვარი დათმობებისა და აღგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვის ილუზიას ქმნიდა.

ამ პერიოდისთვის მთავარ ამოცანად დაისახა საქართველოს კულტურული, "მორალური დაპყრობა." მეფის მოხელე ვ.დინგელშტეტი აღნიშნავდა:"ამიერკავკასია მოპოვებული იქნა რუსული იარაღით..მაგრამ ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა...მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიტანს ეს კოლონია სარგებლობას და აანაზღაურებს იმ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება"[4].

მიუხედავად გარეგნული ფასადის შელამაზებისა, რუსეთის ხელისუფლების მიზანი საქართველოს მიმართ უცვლელი რჩებოდა: დაემთავრებინა საქართველოს დაპყრობა და იგი გადაექცია მორჩილ კოლონიად, აეთქვიფა მისი მცხოვრებლები იმპერიის მოსახლეობაში. ამ ამოცანის პრაქტიკულად განმხორციელებლად ეიიჩნიეს გრაფი მ. ვორონცოვი.

მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.(1782-1856 წ.წ.). ძველი, ცნობილი არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი, აღზრდილ ინგლისში რუსეთის ელჩის ოჯახში. მიიღო ევროპული განათლება. ახალგაზრდობაში მსახურობდა კავკასიაში პ. ციციანოვის არმიაში. პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით მამაცურად იბრძოდა ნაპოლეონის ჯარის წინააღმდეგ. იყო ლაიფციგისა და ჯრაუნის ბრძოლების მონაწილე, ბოროდინოსთან მძიმედ დაიჭრა.მოკავშირეების მიერ პარიზის ოკუპაციის დროს

---

[3] ჩხეტია შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, სსმ მოამბე, ტ. XII- ბ. თბ., 1944. გვ. 1.

[4] Дингельштедт В, Водовладения и ирригация, 1860, გვ. 2.

ხელმძღვანელობდა კორპუსს. შემდგომ გახდა ფელდმარშალი. 1823-44 წლებში იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის ოლქის მეფისნაცვალი. მას მიაწერენ ოდესასა და ყირიმში ლიდ აღმშენებლობითი სამუშაოების ჩატარებას. 1844 წელს დაინიშნა კავკასიის საგანგებო კორპუსის მთავარსარდლად. ენერგიულად იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. სოფელ დარგოსთან ოპერაციისთვის იგი აყვანილ იქნა თავადის ხარისხში და მიენიჭა "უგანათლებულესის" ტიტული.[5]

1844 წელს მ. ვორონცოვი გახდა კავკასიის მეფისნაცვალი. მის სახელთანაა დაკავშირებული კავკასიაში ახალი მოქნილი კოლონიური პოლიტიკის გატარება, რომლის დედააზრი "მათრახისა და ტკბილი კვერის" მეთოდის ოსტატურად გამოყენებაში მდგომარეობდა. თანამედროვეთა გადმოცემით, მ.ვორონცოვს ყველაზე კარგად ეხერხებოდა ნამდვილი ზრახვების შენიღბვა-შელამაზება პირფერობითა და ლოიალობით.

მ. ვორონცოვი დიდ ინტერესს იჩენდა ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი. მის პირად არქივში თავმოყრილი იყო იერუსალიმის ქართველთა მონასტრის ფრესკების ასლები და ქართული ხელნაწერები. მ. ვოროსცოვის პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა 26 დასახელების 506 ქართული წიგნი. მათ შორის შავთელის, ჩასრუსაძის, ვახუშტი ბატონიშვილის, გიორგი ერისთავის, მარი ბროსეს, პლატონ იოსელიანის, დავით ჩუბინაშვილის და სხვათა ნაწარმოებები, ტიმოთე გაბაშვილის, გრიგოლ და ილია ორბელიანების და სხვა ხელნაწერები.[6]

1844 წლის ბოლოს მთავარმართებელ გენერალ ნეიღპარღტის ხანმოკლე და არაფრით დასამახსოვრებელი მოღვაწეობის შემდეგ, კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად განუსაზღვრელი უფლებებით დაინიშნა მ. ვორონცოვი. იგი 1845 წლის მარტში ჩამოვიდა თბილისში "მეფისნაცვლის" ტიტულით და თავისი მისიის შესრულებას შეუდგა. მას, როგორც გამოცდილ ადმინისტრატორს, კარგად ესმოდა, რომ ცარიზმის კოლონიური მისწრაფებები საქართველოში ძნელად განსახორციელებელი იქნებოდა ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინების

---

[5] Энциклопедический словарь, ტ VII, პეტერბურგი, 1897,. გვ. 223.

[6] შარაძე გ. ვორონცოვის არქივიდან გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 1964 წლის 27 ივნისი № 26.

გარეშე. იგი აგრეთვე კარგად ხედავდა, რომ უხეშ ძალდატანებით ზომებს მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.კავკასიის ხალხების იმპერიაში ათქვეფის საქმეში. გაცილებით უკეთესი იყო დროებით დათმობები, წახალისებები, უფრო მეტი დაპირებები და რასაკვირველია, მეტი ჯილდოები და საჩუქრები, რაც ასე ხიბლავდა ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს.

"საერთოდ ასეთ მნიშვნელოვან საქმეებში აჩქარება არ შეიძლება–მოახსენებდა იგი იმპერატორს—ყოველგვარი ცვლილებები უნდა გატარდეს თანდათანობით და შეუმჩნევლად."[7]

მ. ვორონცოვი კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში უმთავრესად "კულტურული" საშუალებებით ახორციელებდა. კულტურული საშუალებები ვორონცოვისთვის ის ფარდა და ნიღაბი იყო, რომელთა უკან ამოფარებული იგი არასოდეს ივიწყებდა არც მეფის რუსეთის მიზნებს და არც თავისი კლასის ინტერესებს.[8]

ახალმა მეფისნაცვალმა პირველ რიგში კარგი დამოკიდებულება დაამყარა ქართველ თავად-აზნაურებთან და ამით ცდილობდა მათ წრეში ღასაყრლენის მოპოვებას. მისი ინიციატივით გაუართოვდა ადგილობრივ თავად-აზნაურთა უფლებები. მათ მიეცათ სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის შესაძლებლობა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მეფისნაცვლის ცდას აემაღლებინა თავად-აზნაურთა სოციალურ--კულტურული ცხოვრების დონე. შეიქმნა "სამოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი" საადგილმამულო გამსესხებელი ბანკით და შემნახველ-გამსესხებელი ხაზინით. ვორონცოვი მემამულეებს ეხმარებოდა ინტენსიური მეურნეობის გაპართვაში, აძლევდა გრძელვადიან კრედიტებს, მათ შვილებს აგზავნიდა საზღვარგარეთისა და რუსეთის უმაღლეს სკოლებში სასწავლებლად.

ქართველ თავად-აზნაურთა პრივილეგიების გაზრდითა და მათზე "ზრუნვით" ვორონცოვმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მან შეძლო მათი დიდი ნაწილი ხელისუფლების ერთგულ და მორჩილ ხელქვეითებად ექცია, ჩამოეშორებინა ისინი ეროვნულ მოძრაობას. ამას კარგად მეტყველებს ქართველ თავად-აზნაურთა 1848 წლის

---

[7] Акты, ტ. X, გვ. 823.
[8] ჩხეტია შ., დასახ. ნაშრ., გვ. 50.

24 აპრილის მიმართვა იმპერატორისადმი, სადაც ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკია რუსეთის მონარქისადმი მადლიერებასა და ერთგულებაზე: "ახლა ჩვენ სრული მშვიდობიანობით ვსარგებლობთ, მშვიდობიანი შინაური საქმიანობით ვართ დაკავებულნი. მტრებს ჩვენთან კი არა, მათ მიწაზე ვებრძვით. ვზრდით და შევხარით შვილებს ისე, რომ არ ვშიშობთ მათ მომავალზე. ჩვენ მართლმადიდებლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას კარგა ხანია, რაც არ ემუქრება საშიშროება. ვინ მიგვიყვანა ჩვენ ამ მდგომარეობამდე? თვითმპყრობელობამ და ერთმთავრობამ, ქრისტიანული სამყაროს მართლმადიდებელმა და დიდმა მონარქმა".[9]

ამრიგად, ვორონცოვს სრული უფლება ჰქონდა მეფისთვის განეცხადებინა: "მე გულმოდგინედ შევეცადე შემესრულებინა თქვენი ყველა დავალება იმის შესახებ, რომ რუსეთთან მრავალეროვანი კავკასიის შერწყმა მოსერხებულიყო". [10]

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კარგად მიფრავდნენ ვორონცოვის "ტკბილ კვერებს"და ფხიზელი გონებით მოუწოდებდნენ თანამემამულეებს არ აპყოლოდნენ ცდუნებას. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი წერდა: "ესეები სულ მოჩვენება იყო ვორონცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ ღროებითაც ამაებაში და მთავრობაზე ცუდი ფიქრი აღარავის არა ჰქონდეს".[11]

როგორც აღვნიშნეთ, კოლონიზაციის ამ ეტაპზე ვორონცოვი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კულტურის სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს და ენერგიულადაც მოქმედებდა ამ მიმართულებით. ამ ღონისძიებათა ჩამოთვლაც იკმარებდა ამის საილუსტრაციოდ: 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული თეატრი, 1846 წელს იწყებს გამოსვლას გაზეთი"კავკაზი" და "კავკაზსკი კალენდარი', ამავე წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, 1848 წელს აღდგენილი იქნა მაუნიტური და მეტეოროლოგიური

---

[9] Акты, ტ X, გვ. 26.

[10] იქვე, გვ. 875.

[11] თაყაიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია, თბ., 1948 გვ. 45..

ობსერვატორია, 1850 წელს შეიქმნა ქართული თეატრი, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება და კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, 1851 წელს თბილისში დაიდგა იტალიური ოპერა, 1852 წელს გამოსვლას იწყებს ჟურნალი "ცისკარი" და სხვა.

სწორედ ამ პერიოდს, ვორონცოვისეულ დათბობის წლებს უკავშირდება საქართველოში პროფესიული სამუზეუმო საქმიანობის ჩამოყალიბება. ამ დროს შეიქმნენ მცირე მუზეუმები: 1852 წელს--რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი. 1855 წელს—კავკასიის სოფლის-მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი, 1856 წელს–"ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი", რომლებმაც შემდგომში 1865 წელს საფუძველი ჩაუყარეს უფრო მსხვილ და სოლიდურ ე.წ. "კავკასიის მუზეუმს," გუსტავ რადეს ხელმძღვანელობით. ეს დაწესებულება კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.

ამ დროის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (შემოკლებით КОИРГО) დაარსებას. იგი პირველი ოფიციალური სამეცნიერო უჯრედი იყო მთელ კავკასიაში.

საგულისხმოდ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება დაარსებისთანავე მოკლე ხანში, სულ რაღაც 5 წლის შემდეგ ხსნის თავის პირველ რეგიონალურ კავკასიის განყოფილებას--ეს იმპერიისთვის ამ მხარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს.

აბრი კავკასიის განყოფილების დაარსების შესახებ, როგორც ამ საზოგადოების ისტორიის მკვლევარი და ვიცე-თავმჯდომარე პეტრე სემიონოვი აღნიშნავს, 1849 წელს მომწიფებულა და ეკუთვნოდა საზოგადოების მდივანს, ცნობილ მეცნიერს ა.გოლოვნინს. მალე საზოგადოების საბჭომ ეს აბრი მოიწონა და პირველი ნაბიჯები გადადგა მის განსახორციელებლად. კავკასიის განყოფილების შექმნის შესახებ წინადადება ეცნობა კავკასიის მეფისნაცვალს თავად მ.ს.ვორონცოვს და მას ეთხოვა მფარველობა და

ხელმძღვანელობა გაეწია განყოფილებისთვის. თავადმა სრული მხარდაჭერა და მფარველობა აღუთქვა ამ საქმის ორგანიზატორებს.

აღგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ნ.ნადეჟდინმა და ა.გოლოვნინმა შეიმუშავეს კავკასიის განყოფილების წესდების პროექტი, რომელიც 1850 წლის 27 ივნისს დაამტკიცა უმაღლესმა ხელისუფლებამ და ყოველწლიური სუბსიდიის სახით გამოყო 2000 მანეთი ვერცხლით.[12]

წესდების მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული იყო კავკასიის განყოფილების მიზნები. იგი "თავის საქმიანობას წარმართავდა კავკასიის მხარის შესასწავლად ყველა იმ მიმართულებით, რომლებიც გეოგრაფიული საზოგადოების კვლევის საგანს წარმოადგენდნენ. კერძოდ--გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და სტატისტიკის სფეროში".[13] აღნიშნული დებულების მე-3 პარაგრაფის მე-4 პუნქტის მისედვით საზოგადოებას უფლება ეძლეოდა თავისთან დაეარსებინა ბიბლიოთეკა, სტატისტიკური არქივი და ეთნოგრაფიული მუზეუმი.[14]

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება თბილისში გაიხსნა 1851 წლის 10 მარტს მ. ვორონცოვის ბინაზე.[15] განყოფილების მფარველი და ხელმძღვანელი იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი, თავადი მ. ვორონცოვი. მას ჰყავდა მოადგილე--ვ. ბებუთიშვილი, საქმისმწარმოებელი--ა. უმანეცი და ხაზინადარი--ვ. ბელიაევი.

მეფისნაცვლის ანგარიშებში კავკასიის განყოფილების აპოცანების შესახებ აღნიშნული იყო, რომ "მან ხელი უნდა შეუწყოს იმ უამრავი დაუმუშავებელი მასალის შესწავლას, რომელიც ამ მხარეში დაგროვდა გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის და სტატისტიკის დარგში, აგრეთვე ამ საქმეში იმ დიდი რაოდენობის ადამიანთა ჩაბმას, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ეს განძეული გაწმინდოს

---

[12] Семенов П., История полувековой деятельности Императорского Русского географического общества 1845-1895 гг., ტ 1, გვ. 64.

[13] Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества-(შემდგომ შემოკლებით КОИРГО), ტ 1, 1851, გვ 1.

[14] Записки КОИРГО ტ. 1, გვ. 2.

[15] Семенов П., დასახ. ნაშრ., გვ. 65; Акты, X, გვ 898.

საარქივო მტვრისგან და მოიყვანოს იგი სისტემატიზაციასა და წესრიგში."[16]

კავკასიის განყოფილების საქმიანობას პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა გამგებელი კომიტეტი, რომელშიც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ი.ბართოლომეი, გ.გაგარინი, ნ.ხანიკოვი. ა.ნიკოლაი, ი.დიუკრუასი, ა.ხარიტონოვი, დ.ყიფიანი და სხვები. განყოფილება შედგებოდა ნამდვილი წევრებისა და წევრ-თანამშრომლებისგან.

ქართველებიდან საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრები იყვნენ: ივანე და რევაზ ანდრონიკაშვილები, გრიგოლ და ვახტანგ ბაგრატიონ-მუხრანსკები, ალექსანდრე ბარათაშვილი, გრიგოლ და დიმიტრი ჯამბაკურ-ორბელიანები, კონსტანტინე თარხან-მოურავი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი რომანის ძე ერისთავი, ვასილ ბებუთიშვილი, ლევან მელიქიშვილი, ალექსანდრე გრუბინსკი, ილია ორბელიანი, ლევან დადიანი, მიხეილ და სერგო ჭილაშვილები და სხვები. განყოფილების წევრ-თანამშრომლებად ითვლებოდნენ: დიმიტრი მელვინეთუხუცესი, რაფიელ ერისთავი და ვასილ სარაჯიშვილი[17] და სხვები.

XIX საუკუნის შუა ხანებში კავკასიის განყოფილებასთან 30-მდე ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თანამშრომლობდა. მათგან აღსანიშნავია: პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი დავითის ძე ერისთავი, დავით და ლევან გურიელები, ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკი, მელქისედეკ ლომიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვები. ისინი განყოფილების დავალებით ასრულებდნენ რიგ სამეცნიერო სამუშაოებს. ამ პერიოდის მათი ნაშრომებიდან საყურადღებოა: დ.ბაქრაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები --"სცენები ქართველთა ცხოვრებიდან", "ფშაველებთან ჩემი გაცნობა", "საქართველო და ქართველობა",[18] რაფიელ ერისთავის "თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ", ა. ცისკარიშვილის" თუშური კილო-კავების ლექსიკონი" და სხვ.

---

[16] Акты, X, გვ. 898.

[17] "Кавказский календарь" на 1854, გვ. 607

[18] გაზ. "Кавказ" 1850 №№ 91-93; 1851 №13-15.

\ საზოგადოების პირველი თავჯდომარე იყო ნ. ვოლფი. სულ მალე, 1852 წელს იგი შეცვალა თავადმა ვ. ბებუთიშვილმა.

ვასილ იოსების ძე ბებუთიშვილი (ბებუთოვი) (1789-1858) იყო ინფანტერიის გენერალი, იმერეთის ყოფილი მმართველი, ახალციხის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილე. შემდეგ კი - ახალციხის მმართველი. 1843 წლიდან გენერალ ლეიტენანტის ჩინით სარდლობდა ლაღესტანში ჯარებს. 1847-53 წლებში ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველისა და თავმჯდომარის მოვალეობას.[19] *1852-58 წლებში იყო რ.გ.ს.კავკასიის განყოფილების თავმჯდომარე.*

კავკასიის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ და საზოგადოების ერთ-ერთ ხელმძღვანელად წლების განმავლობაში, მუშაობდა ცნობილი სწავლული, ეთნოგრაფი და დიპლომატი ნ. ხანიკოვი.

ნიკოლოზ ელადიმერის ძე ხანიკოვი (1819-1878წ.წ.) აღმოსავლეთმცოდნე, ცნობილი მოგზაური. 1850 წელს ხდება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მეთაურობდა სამეცნიერო ექსპედიციას ჩრდილოეთ ირანში, ხოლო მოგვიანებით მუშაობდა დიპლომატად შუა აზიაში (ქალაქ ბუხარაში). 1854 წელს ინიშნება ქალაქ თავრიზის გენერალურ კონსულად. 1860 წლიდან ცხოვრობს პარიზში. საფრანგეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის 1876 წელს დაჯილდოვა ოქროს medlit.

კავკასიის განყოფილებამ თავიდანვე მნიშვნელოვანი სამუშაოები წამოიწყო. მისი ერთ-ერთი ღონისძიება იყო კავკასიის უძველეს მკვიდრთა ულების ეთნოგრაფიული შესწავლა, კავკასიური ენებისა და დიალექტების შედარებითი ლექსიკონის შედგენა და ამიერკავკასიის გეოგრაფიული რუკის დაზუსტება, ამიერკავკასიის კლიმატის შესწავლა და სხვ. ამ სამუშაოებს ასრულებდნენ ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები როგორებიც იყვნენ: ა.სენკოვსკი, ა.ლაზარევი ა.ხარიტონოვი ი.დიუკრუასი ა.უშენეცი და სხვები.[20]

---

[19] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II , თბ., 1977, გვ. 262.
[20] Семенов П., დასახ. ნაშრ., გვ. 65.

წლების განმავლობაში როგორ გამოიყურებოდა კავკასიის განყოფილების წევრთა შემადგენლობა შეიძლება შემდეგი ცხრილით გამოვხატოთ: (ცხრილი 1)[21]

წლები	1851	1852	1853	1854	1855	1856	1861
რ.გ.ს. წევრები	15	18	16	13	10	9	7
ნამდ. წევრები	65	84	125	149	143	105	102
წევრ-თანამშრ.	6	5	8	10	11	12	20
სულ	86	107	149	172	164	126	122

კავკასიის განყოფილებას გააჩნდა ბეჭდვითი ორგანოები: "Записки" და "Отчети". ამ კრებულებში ბევრი საყურადღებო ორიგინალური გამოკვლევები იბეჭდებოდა. მაგალითად: ევლახოვის "თბილისის ქარვასლები", ი. დიუკრაუსის "ამიერკავკასიის საავჭრო გზების აღწერა," ო. ხოლბკოს "ამიერკავკასიის მხარის კლიმატი," ს. პუშკარიოვის "შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროს პორტები და საავჭრო ნაოსნობა, ა. ფილადელფინის "თბილისის კლიმატის შესახებ," ა. ციეერმანის "ქუთაისის გუბერნიის კლიმატი," კ. ბოროზდინის "ბატონყმობა სამეგრელოში," ლ. ლიულიეს "შეხედულება მთიელ ხალხებზე, ჩერქეზებსა და აფხაზებზე," პ. იოსელიანის "ლუშეთის აღწერა," დ. ბაქრაძის "სვანეთი," დ. მაჭავარიანის "სამურზაყანოს შესახებ," გ. რადეს "მოგზაურობა სამეგრელოს ალპებში" და სხვა.

კავკასიის განყოფილების საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუზეუმის დაარსება, რომელსაც ბერძნული სიტყვით "МУЗЕУМ"-ით მოიხსენიებდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში.

ვერ გავიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ ახლად ჩამოყალიბებულ მუზეუმს ოფიციალურად" კავკასიის მუზეუმი"ერქვა[22].ასეთი სახელწოდების მუზეუმი უფრო გვიან, 1865 წელს შეიქმნა გ. რადეს ხელმძღვანელობით. მართალია ზოგჯერ

[21] ცხრილი შედგენილია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების 1851-1861 წლების ანგარიშების მიხედვით.

[22] ქორლანია .გ., კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, გვ. 111

(ისიც პირველ ხანებში) 1852 წელს ჩამოყალიბებულ მუზეუმს შემოკლებით "კავკასიურ მუზეუმსაც" უწოდებდნენ, მაგრამ იგი ასეთი სახელწოდებით შემდგომ დოკუმენტებში თითქმის აღარ გვხვდება. მას ოფიციალურად უფრო მოიხსენიებდნენ როგორც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების "კავკასიის განყოფილების მუზეუმს."[23] თვით მუზეუმის პირველ კატალოგს (1856 წლის 13 ნოემბერი) ასეთი სათაური აქვს: "Общий каталог имущества Музеума Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества"

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ დოკუმენტში მუზეუმი იწოდებოდა როგორც "მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული" მიუნც--კაბინეტი."[24] ხშირად მას "ეთნოგრაფიულ მუზეუმადაც" იხსენიებდნენ.[25]

საქართველოში იმ დროს მოღვაწე რუს და უცხოელ თვალსაჩინო მეცნიერთა და ზემოთ დასახელებულ ქართველ მამულიშვილთა საქმიანობამ მოამზადა და მოამწიფა თბილისში მუზეუმის დაარსება.

პირველად აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ, რომელიც თავს მოუყრიდა არა მარტო კავკასიის ბუნების არაორგანულ და ორგანულ წარმონაქმნებს, არამედ აქ არსებულ ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ, ნუმიზმატიკურ და ისტორიულ ნივთებსაც, ჩაისახა კავკასიაში მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს--კერძოდ 50-იანი წლების დასაწყისში.[26]

როგორც ჩანს, მუზეუმის დაარსებას თან ახლდა დიდი სიძნელეებიც. თვით ისეთი ცნობილი მუზეუმელი მოღვაწეც კი, როგორიც იყო გ. რადე, როდესაც ეხებოდა მუზეუმის დაარსებას 50-იანი წლების საქართველოში, საკითხს ასე სვამდა: "ქვეყანაში, რომლის მიწაც განუწყვეტლივ ირწყვება ჩვენი მეომრების სისხლით.. აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ საკითხი -- შეიძლება

---

[23] Записки КОИРГО, ნაწ. II, გვ 192, 195; იქვე, ნაწ. III, გვ 275, 279.
[24] Записки КОИРГО, ნაწ. II, 1853, გვ. 206; Отчет ИРГО на 1857 г, გვ 106.
[25] Записки КОИРГО, ნაწ. III, 1855, გვ-გვ 188, 190, 205.
[26] Кеппен Ф, Несколько слов о Кавказском музее, პეტერბურგი, 1896, გვ 5.

თუ არა საერთოდ ადგილი დავუთმოთ მეცნიერებას ასეთ ქვეყანაში, თუ უმჯობესია ეს უკანასკნელი გარკვეულ დრომდე მოვაცილოთ ამ არენას".[27]

მეორე თვალსაჩინო მუზეუმელი მოღვაწე ვლ. სოლოგუბი შემდეგნაირად ახასიათებდა მეცნიერების პერსპექტივებს კავკასიაში: "კავკასიაში ყველაფერი მიიღწევა ომებით, მოთმინებითა და შრომით. მეცნიერება აქ ძნელად იკვლევს გზას ბუნებასთან, ადამიანებთან და მათ ცრურწმენებთან ჭიდილში.. ამ მხარეში საზოგადოებრივი ცხოვრება ახლა იწყებს დაწყნარებას სისხლიანი დუღილისაგან. წესრიგი და უშიშროება ჯერ კიდევ მკვიდრდება იარაღით. ასეთ პირობებში არ შეიძლება მას აქ ისეთივე მშვიდობიანი გასაქანი და საყოველთაო თანაგრძნობა ჰქონდეს, როგორც – ევროპაში." [28]

1852 წლის 10 მაისს (ახალი სტილით 22 მაისს) საიმპერატორო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგებელი კომიტეტის სხდომაზე გრაფმა ვლ. სოლოგუბმა წარმოადგინა პროექტი განყოფილებასთან მუზეუმის შექმნის შესახებ და მიღებული იქნა სათანადო დადგენილება. ამავე სხდომაზე გადაწყდა მუზეუმისთვის დაექირავებინათ შესაფერისი შენობა. სწორედ ეს თარიღი ითვლება ჩვენში მუზეუმის დღედ. ეს თარიღი გაიზიარეს და მუზეუმის ღღეღ ღაამკვიდრეს აღნიშნული მუზეუმის მემკვიდრე დაწესებულებათა დირექტორებმა გუსტავ რადემ[29] და ლევან ჭილაშვილმა. [30]

თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, იმავე წლის 5 აპრილის გამგებელი კომიტეტის სხდომაზე, საღაც განიხილეს გეოგრაფიული საზოგადოების თავჯდომარის კონსტანტინე მიხეილის ძის წინადადება კავკასიაში მეცნიერული კვლევის გაღრმავებასთან დაკავშირებით ივ. ბართოლომეიმ და ვლ. სოლოგუბმა წამოაყენეს მოსაზრება მუზეუმის შექმნის შესახებ და კომიტეტიც დაეთანხმა ამ

---

[27] Радде Г., Краткий очерк истории развития Кавказского Музея, ტფ 1891 გვ. 34.

[28] Записки КОИРГО, წგ 1, 1852, გვ. 23.

[29] Радде Г., ღასახ. ნაშრ., გვ. 39.

[30] ჭილაშვილი ლ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, გაზ. "სახალხო გაზეთი", 1997, # 26.

ამრს. პროფ. გ. ეორდანიას სწორედ ეს დღე მიაჩნია მუზეუმის ჩამოყალიბების თარიღად.[31]

1852 წლის გაბაფხულიდან უკვე პრაქტიკულად გადაიდგა ნაბიჯები მუზეუმისთვის შესაფერისი შენობის გამონახვისა და სამუზეუმო მასალების მოძიებისათვის. გამგებელი კომიტეტის 21 მაისის და 5 აგვისტოს სხდომებზე მეფისნაცვლის ნებართვის მიღების შემდეგ გადაწყდა უცხოელ ნატურალისტ ფ. ბაიერნისგან 325 მანეთად შეეძინათ მის მიერ კავკასიაში მოპოვებული საბუნებისმეტყველო მასალათა კოლექცია. განიხილეს აგრეთვე მ. ვორონცოვის რეზოლუცია, სადაც მეფისნაცვალი სასწრაფოდ მოითხოვდა გამოძებნილიყო შესაფერისი ბინა, რომელშიც განთავსდებოდა მუზეუმი და ბიბლიოთეკა. აქვე ვორონცოვი პოლკოვნიკ ა. ივანიცკის მიუთითებდა, რომ მას თავისი მინერალების კოლექციიდან ნაწილი მუზეუმისთვის. გადაეცა[32]

ამავე წელს ვ. სოლოგუბმა მუზეუმს შემოწირა 44 ერთეული ეთნოგრაფიული ნივთი: კავკასიური ტანსაცმელი, სამკაულები და იარაღები. ინჟინერმა ალ. ივანიცკიმ მუზეუმს ასევე შესწირა მინერალოგიური კოლექცია. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსმა პოლკოვნიკმა ლევან ჩოლოყაშვილმა ამავე პერიოდში მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ოთხი არაბული წიგნი, ნუმიზმატიკური მასალა და ეთნოგრაფიული ნივთები.[33] ასევე აღსანიშნავია პლატონ იოსელიანის მიერ მუზეუმისათვის 10 წიგნის საჩუქრად გადაცემა. 1852 წელს კავკასიის განყოფილების მუზეუმში სულ შემოსულა 105 ნივთი. სწორედ ამ მცირე კოლექციებმა დაუდეს საფუძველი ახლად ჩამოყალიბებული მუზეუმის ფონდებს.[34]

ამავე პერიოდში, მუზეუმმა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან არსებულ ე. წ. 'მიუნც-კაბინეტიდან'

---

[31] ეორდანია გ., კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, გვ. 111,
[32] Записки КОИРГО, ნაწ. 2, 1853, გვ. 197,
[33] ჩაჩანიძე გ., ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან, სსმ მოამბე XVII-ბ, გვ. 110,
[34] გაზ."Кавказ",1853 წლის 21 თებერვალი, №14.

მიიღო 509 ერთეული მონეტა და მედალი, რომლის კატალოგი ჯერ კიდევ 1848 წელს შეადგინა გ. ტოკარევმა.[35]

მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმი თავდაპირველი ჩანაფიქრით ეთნოგრაფიული უნდა ყოფილიყო, იგი მრავალმხრივი, კომპლექსური ხასიათის გამოვიდა. მის პირველ ექსპონატებში ფ.ბაიერნისა და ა.ივანიცკის კოლექციების წყალობით ბოტანიკური, ზოოლოგიური და მინერალოგიური მასალები სჭარბობდა, მაგრამ მოკლე ხანში მუზეუმში ეთნოგრაფიული ნივთები მომრავლდა, განსაკუთრებით შემოწირულობებით შემოსული.

როგორც კავკასიის განყოფილების ოქმებიდან და მუზეუმის პირველი 1856 წლის კატალოგიდან ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მუზეუმისთვის ეთნოგრაფიული მასალების მოძიებას. ამ მიზნითა და საერთოდ კავკასიის მსარის ეთნოგრაფიული კვლევის სახელმძღვანელოდ საზოგადოების წევრებისგან მუზეუმთან ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია. მასში შევიდნენ: ვ.სოლოგუბი, ა.ივანიცკი, გ.ტოკარევი, ა.ბერეე და ლ..ჩელოკაევი[36] (ლევან .ჩოლოყაშვილი.).

განყოფილების დავალებით კავკასიაში სამეცნიერო ცნობების შესაკრებად შედგა სამოქმედო პროგრამები. ეთნოგრაფიის დარგში პროგრამა წარმოადგინა ვ. სოლოგუბმა, ხოლო ბოტანიკასა და ზოოლოგიაში – ვ. ბეკეტოვმა.

თავდაპირველად, 1853 წლამდე მუზეუმის საქმიანობას წარმართავდა კავკასიის განყოფილების გამგებელი კომიტეტი. იგი მუზეუმზე ხელმძღვანელობას ოფიციალურად ახორციელებდა მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) მეშვეობით.ამ თანამდებობაზე 1852 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა გ. ტოკარევი.

ვაბრიელ ანდრეას ძე ტოკარევი (1796-1854) მეცნიერი, მწერალი და მოგზაური, 40-იანი წლების შუა ხანებში ჩამოდის თბილისში და იწყებს მუშაობას მეფისნაცვლის კანცელარიაში, მალე მეფისნაცვლის ბრძანებით იგი ინიშნება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად. მას დიდი წვლილი მიუძღვის ამ დაწესებულების

---

[35] Общий реестр монетам и медалям минц-кабинета при Кавказском отделе Императорского Русского географического общества, составлен Г. Токаревым, ტფ., 1848.

[36] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 34.

კავკასიოლოგიური ლიტერატურით სწორედ დაკომპლექტების საქმეში. გ. ტოკარევის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე კავკასიის შესახებ პირველი ბიბლიოგრაფიის შედგენა. პარალელურად იგი საყოფილ სამეცნიერო საშუშაოებს ეწეოდა. მისი კვლევის სფერო იყო საქართველოსა და სომხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის საკითხები და ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის ძეგლები. მისი ნარკვევები და სტატიები კავკასიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ "კავკაზიან". მის ფურცლებზე იგი აქვეყნებდა თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებს. ბუნებისა და სიძველეთა მოყვარული ბევრს მოგზაურობდა. აკადემიკოს პ. აბიხთან ერთად მონაწილეობდა კაკასიის ქედზე ჩატარებულ ექსპედიციაში.

მუზეუმისადმი თავიდანვე დიდ მზრუნველობას იჩენდა მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი. იგი სისტემატურად ესწრებოდა და ხელმძღვანელობდა გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებს, ყოველთვის საქმის კურსში იყო და ცდილობდა ხელი შეეწყო მისი საქმიანობისთვის. მ.ვორონცოვსა და მის მეუღლეს ხშირად შეჰქონდათ შემოწირულებები. მათ მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ბოტანიკური მასალები და ქერჩის მიდამოებში აღმოჩენილი ძველებურ ძვირფასეულობათა განძი,[37] მოგვიანებით მათ მუზეუმს გადასცეს ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური კოლექცია. მ.ვორონცოვი და მისი მეუღლე ხშირად მოიხსენიებოლნენ კატალოგებსა და განყოფილების ანგარიშებში მუზეუმისთვის შემომწირველთა ჩამოთვლის დროს.

პრაქტიკულად, გამგებელი კომიტეტი მუზეუმის ხელმძღვანელობაში მთავარ როლს აკუთვნებდა მეფისნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელეს გრაფ ვლ. სოლოგუბს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი (1813-1882), ცნობილი რუსი მწერალი და ეთნოგრაფი, .მ. ვორონცოვის მოწვევით 50-იან წლებში ჩამოვიდა თბილისში და აქტიურად ებმება ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. თავის პიესებსა და ნოველებს აქვეყნებდა გაზეთ "კავკაზში", განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მოღვაწეობა რ.გ.ს. კავკასიის განყოფილებაში, სადაც ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა განყოფილების მუზეუმს. მისი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე "მოგონებანი", სადაც იმდროინდელი თბილისური ცხოვრების და ეთნოგრაფიული ყოფის

---

[37] "Кавказский календарь" на 1855, გვ. 198.

ამსახველი სურათებია გადმოცემული. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზებისათვის მახლობელთა წრეში მას "ნატიფი ხელოვნების მინისტრს" უწოდებდნენ. "მე ყოველთვის გულწრფელად მიყვარდა კავკასია და ისიც ასეთივე სიყვარულით მასუხობდა" წერდა იგი.[38]

1853 წლის 27 იანვარს კავკასიის განყოფილების საერთო კრებაზე არჩეული იქნა მუზეუმის პირველი დირექცია სამი წევრის შემადგენლობით. თავმჯდომარედ აირჩიეს ე. ანდრეევსკი, თანადირექტორებად კი –ვ.სოლოგუბი და კ .ჩერშაკი.[39]

ვ .სოლოგუბი თავის "მოგონებებში" ძალზე უარყოფითად იხსენიებს პირველ დირექტორ-თავჯდომარეს ერასტ ანდრეევსკის. იგი განსაკუთრებით მიუთითებს მის არაკომპეტენტურობაზე. ამ თანამდებობაზე მის არჩევას მ.ვორონცოვის მფარველობით ხსნის. მისივე გადმოცემით, ე.ანდრეევსკი ვორონცოვის კანცელარიაში "გენერალ –შტაბს-ექიმად" მუშაობდა. მეფისნაცვლის პირადი ექიმიც ყოფილა და მასზე დიდი გავლენით სარგებლობდა[40] ასევე ცუდად ახასიათებს ე. ანდრეევსკის იმდროინდელი თბილისელი იურისტი ვლადიმერ ტოლსტოი, რომელსაც მიაჩნდა, რომ იგი ძალზე ამპარტავნულად ექცეოდა ადგილობრივ მოსახლეობას.[41]

ერთი წლის შემდეგ, 1853 წლის 16 დეკემბერს ე.ანდრეევსკი ეაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩიეს ბარონი ალ. ნიკოლაი.

ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (1821-1899), 1848 წლიდან მოღვაწეობს კავკასიაში. სამსახურს იწყებს ჯერ მეფისნაცვლის საველე კანცელარიაში, ხოლო 1852 წლიდან--იკავებს სასწავლო ოლქის მბრუნველის ადგილს.. მოგვიანებით მას ბრწყინვალე კარიერას მიაღწია. 1863 წელს იგი ვახდა ხერსონი, 1875 წელს--სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1882 წელს –იმპერიის განათლების ძინისტრი და ბოლოს, 1894 წელს--სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე. მთელი სიცოცხლის მანძილზე მას გვერდს უმშვენებდა ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული სოფიო.

---

[38] Соллогуб В., Воспоминание, ლენინგრადი.,1939, გვ.453.

[39] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 35,

[40] Соллогуб В., Повести и воспоминание, ლენინგრადი., 1988, გვ. 506.

[41] Толстой В., Князь М. С. Воронцов, ეკან. «Русский Архив,» , პეტერბურგი, ნოემბერი, 1877, გვ. 308.

სტრუქტურულად მუზეუმი შედგებოდა 3 განყოფილებისგან (კაბინეტისგან): საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული და ისტორიული. მუზეუმის თანამშრომელთა მთელი შტატი მომსახურე პერსონალის ჩათვლით 6 კაცს არ აღემატებოდა. (3-დირექცია, 1-პრეპარატორი, დარაჯი და დამლაგებელი).

მუზეუმის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 600 მანეთს ვერცხლით. რასაკვირველია ეს თანხა ვერ გასწვდებოდა, როგორც მუზეუმის მენახვას, ისე ფონდების გაზრდას და ახალი კოლექციების შეძენას. ამიტომ საერთო კრებებზე ხშირად იდგა სუფსიდიების მომატების საკითხი--მაგრამ ამაოდ. მუზეუმი ხშირად მისთვის გათვალისწინებულ თანხასაც ვერ იღებდა სრულად.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების 1852--61 წლების ანგარიშების მიხედვით კავკასიის განყოფილების მუზეუმზე გამოყოფილი იყო შემდეგი თანხები: (ცხრილი 2)

წლები	1852	1853	1854	1855	1856	1857-61
თანხა, მან.	628	760	700	658	675	900

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ თანხიდან ყოველწლიურად მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის დასაქირავებლად 600 მანეთი იხარჯებოდა, ნათელი იქნება თუ რა ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა მუზეუმი.

მუზეუმის მუშაობის პირველ ეტაპზე უმთავრესი ყურადღება უნდა დათმობოდა მისი ფონდების შევსებას, ამისთვის დირექცია აპირებდა მიზანმიმართული და გეგმიური მოძიებით--შემგროვებლობითი სამუშაოების ჩატარებას. ამისთვის წარმოადგინეს კიდეც სპეციალური ინსტრუქცია და პროგრამა, რომელიც ცნობილი ეთნოგრაფის ნ. ნადეჟდინის მიერ ადრე შემუშავებული დოკუმენტის მსგავსად იყო შედგენილი. ინსტრუქციაში ჩამოთვლილი იყო მუზეუმისთვის საინტერესო ექსპონატთა ათზე მეტი სახეობა. ნივთები მუზეუმში უნდა შემოსულიყო ორი გზით: 1) შესყიდვითა და 2) შემოწირულობით.[42] ვინაიდან მუზეუმი მუდმივად განიცდიდა სახსრების ნაკლებობას, მისი ფონდები უმთავრესად მეორე გზით კომპლექტდებოდა და ექსპონატების შეგროვება ხშირად შერჩევით არ ხერხდებოდა.

---

[42] Записки КОИРГО, ч. III, ст 198,

რაც შეეხება კავკასიის განყოფილების მუზეუმის თავდაპირველ ბინას, იგი მოთავსებული ყოფილა ჭავჭავაძისა და საკომენდატო (დღევანდელი ალ.ჭავჭავაძის ქ. #6 და ალ.გრიბოედოვის ქ. #16) ქუჩების კუთხეში თბილისის საარტილერიო გარნიზონის მეთაურის პოლპოლკოვნიკ პეტრე ლაპინსკის ბინის მეორე სართულზე. 1852 წელს გამგებელმა კომიტეტმა გააფორმა კონტრაქტი -- 5 წლის ვადით პოდპოლკოვნიკის მეუღლე რომალია ლაპინსკაიასთან, ახლადდამენებული ზედა სართულის გაქირავების შესახებ, რისთვისაც ყოველწლიურად ქირა უნდა გადახდილიყო 600 მანეთი ვერცხლით.[43] სწორედ ამ კაპიტალური ბინის მეორე სართულის 7 ოთახში მოთავსდა მუზეუმი, კანცელარია და ბიბლიოთეკა.

მუზეუმის შესაფერ ბინაში დაბინავებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. 1852 წლის აგვისტოდან მთელი ძალით გაჩაღდა მუშაობა ფონდების დაკომპლექტებისთვის და ექსპოზიციის მომზადებისთვის. ამ პერიოდიდან ყირიმის ომის დაწყებამდე (1853 წლის ოქტომბრამდე), ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო მუზეუმის ისტორიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 105 ერთეულისგან შემდგარმა პირველმა კოლექციებმა (ფ. ბაიერნის, ვ.სოლოგუბის, ა.ივანიცკის და ლ. ჩოლოყაშვილის) საფუძველი დაუდეს მუზეუმის ფონდებს. შემდგომში ფონდები სწრაფად ივსებოდა როგორც შემოწირულობებით, ისე შეძენილი ნივთებით. მათ შესახებ რეგულარულად ქვეყნდებოდა ცნობები გაზეთების "**Кавказский календарь**»-ის, "**Кавказ**"-ის და განყოფილების "**Записки**"-ს, ფურცლებზე. თუ როგორ ივსებოდა მუზეუმის ფონდები, ყველაზე კარგად ჩანს კავკასიის განყოფილების მუზეუმის საერთო კატალოგში, რომელიც წარმოადგენს ზოხარგაყრილ დალუქულ და ღანომრილ 99 გვერდიან დავთარს, შევსებულს თბილისში 1856 წლის 13 ნოემბერს.[44] მას ხელს აწერენ მუზეუმის დირექტორ-თავჯდომარე ა.ნიკოლაი და დირექციის მდივანი ა.ბერეე. ამ უკანასკნელის მიერ 1854 წლის გაზაფხულზე მუზეუმის მდივნის

---

[43] ეორდანია გ., კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951, გვ.17.

[44] კატალოგი ამჟამად ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

(შედამხელელის) თანამლებობის დაიკავების შემლეგ, ამ დაწესებულების სამუშაოები კიდევ უფრო მიზანმიმართული გახდა,

ადოლფ პეტრეს ძე ბერჯე (1828—1885), პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იმპერატორის რჩევით, 1851 წლის ბოლოს ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო ეორონცოვის კანცელარიაში საიდუმლო ნაწილის მოხელედ. აქედან იგი მარი ბროსეს რეკომენდაციით კავკასიის განყოფილების მუზეუმში გადავიდა სამუშაოდ. პარალელურად, ა. ბერჯეს 1856 წელს ირჩევენ რ.გ.ს. კავკასიის განყოფლების მმართველად, 1857 წლიდან იგი თბილისის საჯარო პიბლიოთეკის დირექტორია. ა. ბერჯე 1864 წელს აირჩიეს "ა ზიის საზოგადოების". ხოლო 1865 წელს—საფრანგეთისა და გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოებების წევრად.[45] *1894 წელს დაინიშნა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავჯდომარედ. 1864-1886 წლებში მისი რედაქტორობით გამოიცა 10 ტომი, რომელიც დღესაც ითვლება სამგიდო წიგნად კავკასიოლოგიაში. ა.ბერჯე სწავლობდა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სტატისტიკის საკითხებს.*[46]

კავკასიის განყოფილების მუზეუმის ფონდების შესახებ გუსტავ რაღე აღნიშნავს, რომ პირველსავე წლებში მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება გამდიდრდა რამოდენიმე ძვირფასი შემოწირულობებითა და შენაძენებით, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობდა "თავად რაფიელ ერისთავის, ტოკარევის, მაკინეცის, ბერჯეს, რომანოვის, ხარიტონოვისა და გრამატინის მემოწირულობანი."[47]

როდესაც ე. რაღე ზემოთ ჩამოთვლილ პირთა სათავეში თავად რაფიელ ერისთავს აყენებს და თან სრულად წოდებითა და სახელით მოიხსენიებს, სოლო დანარჩენებს მხოლოდ გვარებით, ეს ალბათ რაფიელ ერისთავის მუზეუმისადმი განსაკუთრებულ დამსახურებაზე მიუთითებს.

რაფიელ ერისთავის მიერ შემოწირული ნივთები გატარებულია კავკასიის განყოფილების მუზეუმის 1856 წელს შედგენილ პირველ

---

[45] ახკლელიანი ზ., ა. ბერჯე, საქართველოს და ჩრდ. კავკასიის ხალხების ისტორიის მკელევარი, (სადისერტაციო ნაშრომი), 1998, გვ. 26.

[46] Кабшков Д., Памяти А. Бержс, ტფ., 1886.

[47] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 34.

კატალოგში 107-117 ნომრებით. ესაა ძირითადად სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ეთნოგრაფიული ნივთები. გაცილებით მეტია მისი დამსახურება მუზეუმის ორგანიზებასა და განვითარებაში. როგორც ჩანს, იგი იყო ერთადერთი ქართველი სპეციალისტი, რომელიც სპეციალურად მიუწვევიათ სამუშაოდ მუზეუმში ფონდების მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიული ნივთების ადგილობრივი ტერმინოლოგიის დასადგენად და დასამუსტებლად. მან პირველმა დააყენა საკითხი სამუზეუმო კოლექციების კატალოგიზაციისა შესახებ და შეიმუშავა კიდეც სანიმუშო მეთოდური ინსტრუქცია.

რაფიელ დავითის ძე ერისთავი (1824-1901), ცნობილი მწერალი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს ჯერ თუშ-ფშავ-ხევსურეთში თარჯიმნად, ხოლო შემდეგ მეფისნაცვლის კანცელარიაში მაგიდის უფროსის თანაშემწედ.. ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ ნაშრომებში იგი ქართული კულტურის, მისი ნაციონალური ზნე-ჩვეულებების და ინტერესების დამცველად გვევლინება. მის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებსა და ნარკვევებს საკუთარი ყურადღება მიაქცია მარი ბროსეს. მისი რჩევით რ. ერისთავი 1853 წელს სამუშაოდ გადაეიყვანა მუზეუმში, რომელსაც ულიდესი ამაგი დასდო. იგი შემდეგ მუშაობდა ქუთაისში უფროს მოხელედ, ზუგდიდის მაზრის უფროსად, ქუთაისის გუბერნიის საშინაოთელოს განყოფილების უფროსად და ქუთაისის მომრიგებელ მისამართოდ.[48] *პარალელურად აწარმოებდა ნაყოფიერ სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას. იკვლევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ეთნოგრაფიულ ყოფას, ცხოვრების წესს და ტრადიცია-ჩვეულებებს. მისი საშინაო შემოქმედება გამოირჩეოდა პატრიოტიზმითა და ჰუმანიზმით.* რაფიელ ერისთავი ნახევარი წლის განმავლობაში ასრულებდა მუზეუმის მდივნის (მედამხელველის) მოვალეობას, იმავდროულად იგი არა მარტო უყლიდა და პატრონობდა მუზეუმის ნივთებს, არამედ ცდილობდა სისტემატიზაციაში მოეყვანა, შეევსო და მოეწესრიგებინა ეთნოგრაფიული კოლექციები, რის გამოც მას გამოეცხადა "გულწრფელი მადლობა".[49]

---

[48] ვაშაყმაძე შ., რაფიელ ერისთავი, თბ., 1962, გვ. 48.
[49] Записки КОИРГО, ნაწ. 3, გვ. 290.

რ. ერისთავს 1855 წლის სექტემბერში დიდი შრომატევადი სამუშაოები ჩაუტარებია. მას შეუჯერებია ეთნოგრაფიული და ისტორიული განყოფილებების ფონდებში დაცული მასალები, რის შედეგადაც წარმოუდგენია სია იმ ნივთებისა, რომელიც უნდა ამოერიცხათ მუზეუმის რეესტრიდან, რადგან "ისინი არ ასახავდნენ მხარეს არც ეთნოგრაფიულად და არც ისტორიულად."[50]

უფრო მეტიც, მუზეუმის ერთ-ერთი დირექტორის ვ. სოლოგუბის თბილისიდან გადასვლის შემდეგ, რაფიელ ერისთავის კანდიდატურა წარადგინეს ეთნოგრაფიის დარგში მუზეუმის თანადირექტორის თანამდებობაზე. განყოფილების საერთო კრებაზე გამართულ კენჭისყრაზე რ. ერისთავმა იმდენივე ხმა მიიღო, რამდენიც მისმა კონკურენტმა. მართალია შემდეგ გამგებელმა კომიტეტმა ამ ადგილზე მეორე კანდიდატი ნუმიზმატი და მეცნიერი ი. ბართოლომეი აირჩია და მიუსედავად ამ უკანასკნელის უდავო ღირსებებისა, ეს ფაქტი მაინც იმ დროს გაბატონებული წესით, ადგილობრივი ეროვნული კადრების უგულებელყოფის გამოვლინებად უნდა მიიჩნიოთ.

მუზეუმის წინაშე რ. ერისთავის ღვაწლის მიჩქმალვის ცდასაც ჰქონია ადგილი. ამის დამადასტურებელია ის, რომ მის მიერ 1860 წელს იმერეთსა და სამეგრელოში მოძიებული და მუზეუმში ჩამოტანილი ეთნოგრაფიული კოლექციები სხვა პირს--ამ შემთხვევაში ა. ბერეეს მიაწერეს,[51] რაზეც კარგად მეტყველებს მუზეუმის კატალოგის ჩანაწერები. ასეთი შემთხვევა ალბათ უკანასკნელი არ იქნებოდა.

რ. ერისთავი, როგორც კავკასიის განყოფილების ჯერ წევრ - თანამშრომელი, მოგვიანებით კი--ნამდვილი წევრი, შემდგომშიც აქტიურად მონაწილეობდა მუზეუმის ცხოვრებაში. უნდა ითქვას, რომ მუზეუმში შედგენილ კატალოგებში ყველაზე სრულყოფილად სწორედ ეთნოგრაფიული ნაწილი არის შესრულებული, რაც რაფიელ ერისთავის შრომის შედეგი უნდა იყოს.

---

[50] Отчет Императорского Русского географического общества (შემდგომში – შემოკლებით ИРГО) на 1857, ნაწ. 1, გვ. 105.

[51] ჩაჩანიძე გ., ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან, ს ს მ მოამბე XVII--ბ, გვ. 124.

მუზეუმის დიდი მოამაგე ყოფილა აგრეთვე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ თუმანიშვილი. მას 120 ვერცხლის მანეთად შეუძენია ხევსური მამაკაცის ტანსაცმლის და იარაღის სრული კომპლექტი (ჩოხა, ახალუხი, შარვალი, ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი, ფარი, ხმალი და ა.შ.) და საჩუქრად გადაუცია მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტისთვის.[52] აღნიშნული ნივთები სოფელ ერწოში 1854 წლის მარტში შეუგროვებია მუზეუმის ეთნოგრაფიული კომისიის წევრს ზემოთ ხსენებულ თავად ლევან ჩოლოყაშვილს. ამ უკანასკნელის მუზეუმისადმი გულშემატკივრობას კარგად გამოხატავს მისი მიმოწერა მიხეილ თუმანიშვილთან, სადაც გამოთქმულია მზადყოფნა საკუთარი თანხებით შეეძინა ექსპონატები მუზეუმისთვის. მანვე მუზეუმს შესწირა ხევსური მამაკაცის ფეხსაცმელები (ბანდულები) თავისი განმარტებებით,[53] რომელიც ეთნოგრაფიული ექსპონატის კვალიფიციურად აღწერის ერთ-ერთ პირველ ცდას და სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა.

ეთნოგრაფ გ. ჩიტაიას გადმოცემით ამავე პერიოდში ლევან ჩოლოყაშვილს მუზეუმისთვის შეუწირავს ბრინჯაოს აქვამონილი. მხედრული ანბანით შესრულებული წარწერიდან ჩანს, რომ იგი ხმალას ხატისათვის შეუწირავთ.[54]

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სამდვილ წევრს მიხეილ გიორგის ძე ჭილაშვილს მუზეუმისთვის შემოუწირავს ნივთები, რომელთა შორის აღსანიშნავია ფოლადის მუზარადი ოქროს ზარნიშით. ეს უკანასკნელი გატარებულია განყოფილების მუზეუმის კატალოგში მე-12 ნომრით. ალბათ ეს მუზარადი ჰქონდა მხედველობაში ივ. ჯავახიშვილს, როდესაც სინანულით აღნიშავდა: "ოქროს ზარნიშით უხვად შემკული მშვენიერი ქართული მუზარადიც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ის არის საქართველოში"[55] და მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ

---

[52] ჩაჩაშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[53] ჩოლოყაშვილი კ., საქართველოს სახ. მუზეუმის საჭურველის ფონდის ისტორიისათვის. ს ს მ მოამბე. ტ. XXII—ბ, გვ. 385.

[54] ჩიტაია გ., ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1988, გვ. 70.

[55] ჯავახიშვილი ი., შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. "კომუნისტი", 1937, 9 მარტი # 55.

ძველ ქართულ საჭურველს გერმანიის მუზეუმებში (ბერლინის ცოიგჰაუზში) უფრო ნახავს ადამიანი, ვიდრე საქართველოს მუზეუმებში. პროფ. გ. ჩიტაია ამას თბილისის მუზეუმების იმდროინდელ მესვეურთა "დამსახურებად" მიიჩნევდა, რომლებიც XIX საუკუნის 70 – იანი წლებიდან უხვად უგზავნიდნენ ევროპის მუზეუმებს ქართულ სამუზეუმო ნივთებს.[56]

თვით მუზეუმი არქეოლოგიურ სამუშაოებს არ აწარმოებდა. როდესაც მ. ჭილაშვილმა საზოგადოების გამგებელი კომიტეტის 1856 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დააყენა საკითხი თბილისის, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებისა და ამისთვის ქერჩიდან სათანადო სპეციალისტის მოწვევის შესახებ[57] ეს აზრი, სხდომაზე არ გაიზიარეს იმ მოტივით, რომ გეოგრაფიული საზოგადოების დებულებით, არქეოლოგიური კვლევა არ შედიოდა კავკასიის განყოფილების საქმიანობის სფეროში.

მუზეუმისადმი დახმარება --შეწევნა ფონდების შევსების მიზნით, სხვადასხვა სახის შემოწირულებათა შემოტანა, უცხო არ ყოფილა თბილისის იმდროინდელი საზოგადოებიათვის. გ. რალეს აღნიშვნით, მუზეუმისადმი ქველმოქმედებაში მანდილოსნებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, აქალია რეშეტოვამ მუზეუმს შემოწირა სპარსული ალბომი 40 სურათით.[58] ი.ბებუთოვის მეუღლემ მარიამმა, მუზეუმს გადასცა ჩრდილოეთ კავკასიაში, პიატიგორსკის მახლობლად აღმოჩენილი 27 ერთეული პალეონტოლოგიური მასალა.[59] ელისაბედ ვორონცოვამ მუზეუმს საჩუქრად გადასცა კავკასიელ ქალთა სამკაულები, სხვადასხვა ტანსაცმელი, ოქროს, ვერცხლის და ლითონის მონეტები, 1849 წელს მდინარე მალკას ქვის ხიდთან აღმოჩენილი ძველებური განძეულობა და სხვა ძვირფასი ნივთები, რის შესახებაც "Кавказский календарь"-ი წერდა: "რომ ისინი არა მარტო პირველ ადგილს დაიჭერენ მუზეუმის ახალ

---

[56] Читая Г., Этнографические исследования Грузинской ССР, "Советская этнография", 1848, 4, გვ. 175

[57] Записки КОИРГО, ნაწ. IV, 1857, გვ. 246.

[58] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 35.

[59] Записки КОИРГО, IV, გვ. 244.

ექსპონატთა შორის, არამედ მათი შეძენა დიდი პატივი იქნებოდა ნებისმიერი იშვიათობათა კაბინეტისათვის."[60] მანვე მუზეუმის ბიბლიოთეკას შესწირა ყურანის უნიკალური ხელნაწერი.

გ. რადეს აღნიშვნით, 1853-56 წლებში მუზეუმში უფრო ეთნოგრაფიული ნივთები შემოდიოდა შემოწირულობათა სახით. იგი განსაკუთრებით გამოყოფს საზოგადოების წევრ-თანამშრომლის, თეირანში მომუშავე რუსი მოხელის ეგორ მაკინცევის მიერ შემოწირულ სპარსულ ნივთებს, აგრეთვე კუს ჯავშნისა და სპილოს ძვლისგან დამზადებულ ინდურ და ჩინურ ნაკეთობებს.[61] აღნიშნულ კოლექციაში ყურადღებას იპყრობდა საომარი იარაღები, ძვირფასი ქვები, მონეტები და შაჰ აბასის ნაქონი ვერცხლით გაწყობილი ყალიონი.

1856 წელს განყოფილების ნამდვილმა წევრმა გენერალ-ლეიტენანტმა ბარონმა იპოლიტე ვრევსკიმ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჩეჩნეთში მოპოვებული საინტერესო კოლექცია, რომელშიც იყო ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ნივთები, აგრეთვე შამილის ვერცხლის ორდენების სრული კომპლექტი.[62] (სულ 11 ვერცხლის ორდენის ნიშანი, რითაც შამილი თავის მებრძოლებს აჯილდოებდა).

საზოგადოების ნამდვილმა წევრმა კ. სარაფოვმა ამავე მუზეუმს უსახსოვრა მუმიის ქვის ქანდაკება იეროგლიფური წარწერით. ვლადიკავკაზის ოლქის უფროსმა მუზეუმს შესწირა ოქროს და ვერცხლის სამაჯურები, ბეჭდები, ყელსაბამები და ოთხი ძველებური მონეტა.[63]

ამავე წელს, კავკასიის განყოფილების თავჯდომარემ, გენერალმა ვ ბებუთოვმა მუზეუმს შესწირა მღინარე ლაბას ნაპირებთან აღმოჩენილი ბრინჯაოს ძველებური ნივთები. გენერალ- მაიორმა ი. კუტკაშინსკიმ მუზეუმს გადასცა ორი ფაიფურის თასი ქართული წარწერით.[64]

---

[60] "Кавказский календарь» на 1885 г, გვ 198.
[61] Радде Г., დასახ. ნაშრ. გვ. 36. Записки КОИРГО IV, გვ. 250.
[62] Записки КОИРГО, ნაწ .4, .გვ 253.
[63] Записки КОИРГО, IV, 1857 , გვ. 257.
[64] Записки КОИРГО IV 1857, გვ. 256.

ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ნივთებთან ერთად, მუზეუმში შემოდიოდა გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალებიც. 1854 წლის ნოემბერში მუზეუმისთვის ბარონ ა.ვრანგელს საჩუქრად გადაუცია 4 ყუთისგან შემდგარი კოლექცია, რომელშიც იყო 774 ეგზემპლარი კავკასიური მწერი.[65] 1856 წელს შტაბს-კაპიტანმა ისმაილ აბამელიკოვმა მუზეუმს შესწირა პეპლების მდიდარი კოლექცია.

მუზეუმს ქველმოქმედებას სხვა სახითაც უწევდნენ. სამუზეუმო ნივთების გარდა სწირავდნენ თანხებსაც და სამეურნეო ნივთებსაც: 1857 წლის მარტში ა.ნოვოსელსკიმ მუზეუმს გადასცა 200 მან. ვერცხლი, ხოლო ვ. ვერდერევსკიმ მუზეუმს აჩუქა მაგიდის ორი შანდალი, კედლის ოთხი ბრა, კარადა და სხვა საჭირო ნივთები.

კავკასიის განყოფილება მუზეუმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნივთების შემომწირველებს თავის წევრთანამშრომლად ირჩევდა და ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით მადლობას უცხადებდა.

განყოფილების ანგარიშებსა და მუზეუმის პირველ კატალოგში შემომწირავთა შორის ზემოთ დასახელებულ ქართველ პირთა გარდა მოიხსენიება საზოგადოების სამდვილი წევრი გიორგი რევაზის ძე ერისთავი, რომელსაც მუზეუმისათვის 1854 წელს საჩუქრად გადაუცია შდინარე ურუპის სათავეებთან აღმოჩენილი ბრინჯაოს უძველესი ნივთები.

მუზეუმის ფონდების შევსება შესყიდვითაც ხდებოდა, თუმცა ამას იშვიათი ხასიათი ჰქონდა .მაგალითად, გამგებელი კომიტეტის 1854 წლის 7 მაისის სხდომის გადაწყვეტილებით საზოგადოების სახსრებიდან გარკვეული თანხა გადაუხადეს ერევნის გუბერნიაში მცხოვრებ ორ მოქალაქეს, რომლებისგან მუზეუმმა მიიღო განძი -- 75 ოქროს მონეტა.[66]

1859 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლენქორანის ოლქის სოფელ შაქალაქუჯას მცხოვრებლებისგან მუზეუმმა შეიძინა მინდვრის სამუშაოების დროს შემთხვევით ნაპოვნი სპარსული მონეტებისაგან შემდგარი განძი, რომელიც ლოქში იყო

---

[65] Радде Г., დასახ. ნაშრ. გვ. 35; Отчет ИРГО на 1855, გვ. 13.
[66] Записки КОИРГО, 1854, III, გვ. 279.

მოთავსებული.[67] მუზეუმმა არქიტექტორ ი. ჰიპიუსისაგან 60 მანეთად შეიძინა მირვანის შაპების ზამთრის რეზიდენციისა და ხანეკახის ციხე-ლარბაზის ორნამენტებითა და წარწერებით. მდიდრულად შემკული მოჭიქული ფილები .[68] ასე თანდათანობით ივსებოდა და მდიდრდებოდა კავკასიის განყოფილების მუზეუმის ფონდები.

თუ მუზეუმის სამივე განყოფილებაში სხვადასხვა წლებში შემოსულ ნივთების საერთო სტატისტიკურ მონაცემებს გავეცნობით, ასეთ სურათს დავინახავთ:[69] (ცხრილი 3)

განყოფილებები: (კაბინეტები)	1853 თებ.	1854 იანვ.	1855 მაისი	1856 ოქტომბ.	1857 ოქტომბ.
ეთნოგრაფიული	—	87	87	100	108
საბუნებისმეტყვ.	—	2783	2783	2783	2783
ისტორიული	—	445	445	406	408
სულ	1863	3315	3315	3283	3299

თუ ამ ცხრილს დავუმატებთ პირველი, 1852 წლის მონაცემებს, როდესაც მუზეუმში სულ 105 ერთეული ექსპონატი ირიცხებოდა, მაშინ ასეთ საერთო სურათს მივიღებთ: შემოსულობათა მხრივ შედარებით ზრდა ეტყობა ეთნოგრაფიულ განყოფილებას (ისიც პირველ წლებში). რაც შეეხება საბუნებისმეტყველო განყოფილებას, აქ ექსპონატების ზრდა არ ყოფილა, თუმცა ფონდების საერთო ჯამში მათი ხვედრითი წილი გაცილებით დიდი იყო.

მუზეუმში ბოლო ხანებში შემოსული ნივთებიდან მნიშვნელოვანი იყო ერევნის გუბერნიაში ნაპოვნი ნუმიზმატიკური განძი, რომელიც ეოიცავდა 349 ვერცხლის ძონეტას, შოჭრილს XIV საუკუნის 60-იან წლებში არაბეთში, სირიასა და ამიერკავკასიაში თემურ ლენგის შემოსევების წინ.[70] აღსანიშნავია ფ. ბაიერნის მიერ 1863 წელს ოუშეთიდან ჩამოტანილი ვერძისა და თხის თავის ბრინჯაოს უძველესი ფიგურები. ამ პერიოდში ჩატარებული ოთხი ექსპედიციის შედეგად, ბაიერნის მიერ მოპოვებული იქნა 322

---

[67] Записки КОИРГО, V, 1862, გვ 59.
[68] Записки КОИРГО, V!, 1864, გვ 26.
[69] ვ. ეორლანია, დასახ. ნაშრ., გვ. 32..
[70] Записки КОИРГО , V, 1862, გვ. 91.

მინერალოგიური ნიმუში, 100 ერთეული ნუმულიტური ფორმაციის ნამარხი, კავკასიის მცენარეთა 13 ოჯახის 170 სახეობა.[71]

დაგროვილმა მასალებმა მუზეუმს შესაძლებლობა მისცა გაეხსნა გამოფენები და მიეღო პირველი დამთვალიერებლები.

კავკასიის განყოფილების გამგებელი კომიტეტის 1855 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჭავჭავაძისა და საკომენდატო ქუჩების კუთხეში გაიხსნა მუზეუმის პირველი გამოფენა.[72]

გამოფენა დამთვალიერებელთათვის ღია იყო კვირაობით ღლის 11-დან 1-საათამდე, ხოლო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრებისა და წევრ-თანამშრომლებისათვის მუზეუმის ფონდებსა და ბიბლიოთეკაში სამუშაოდ--შაბათობით საღამოს 7-დან 11 საათამდე.

სარეკლამო ცნობები მუზეუმის მუშაობის შესახებ პერიოდულად იბეჭდებოდა "Кавказский календарь" –ში და გაზეთ "Кавказ"-ში.

გ. რადე მუზეუმის გამოფენის გახსნის სხვა თარიღს ასახელებს, კერძოდ – 1856 წ. 5 მაისს.[73] იგი ალბათ ეყრდნობა ამ დღეს გამართულ განყოფილების საერთო კრების გადაწყვეტილებას, რომლითაც მუზეუმის გამოფენების კვირაობით გახსნის სხვა ღრო დადგინდა (კერძოდ, დღის 12-დან 2 საათამდე) და ეს ცნობა უნდა გამოექვეყნებინა გაზეთ "Кавказ"-ს.[74]

მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში გამოტანილი ექსპონატებიდან ლამთვალიერებელთა ყველაზე ღიდ ლაინტერესებას ე რადეს თქმით იწვევდა ქვის უნიკალური მეტეორიტი, რომელიც 1857 წლის 24 მარტს ჩამოვარდნილა კოსმოსიდან სტავროპოლთან ახლოს, სოფელ შვიდინოსთან და უპოვნია გლეს კალაშნიკოვს, ხოლო შემდეგ მეფისნაცვლის ბრძანებით მუზეუმისათვის გალაუცია.[75]

რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ 1855 წლიდან ღაიწყო კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული და

---

[71] Отчет о состоянии и действиях КОИРГО с 1859 по 1864 год, გვ. 25.
[72] Записки КОИРГО, ნაწ. III, გვ. 292.
[73] Радде Г., ღასახ. ნაშრ. გვ. 36.
[74] Записки КОИРГО, ნაწ. IV, გვ. 240.
[75] Радде Г., ღასახ. ნაშრ., გვ 36

ლინგვისტური საკითხების კვლევა. ამ სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის მიღება დაევალა მუზეუმს.

ჯერ კიდევ მ. ვორონცოვის ინიციატივით 1853 წლის 25 აპრილს გამართულ კავკასიის განყოფილების ფილოლოგიის ქვეგანყოფილების სხდომაზე გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრის გენერალ-მაიორ ო. ხოდზკოს მიერ წამოყენებული იქნა კავკასიაში ეთნოგრაფიული და ფილოლოგიური კვლევის გეგმა. იმავე დროს მ. ვორონცოვის თხოვნით ეს საკითხი განიხილეს რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: ლორნმა, შიოგრენმა, ბროსეემ, შიფნერმა, ბიოტლინგმა და სხვებმა. მაგრამ კავკასიაში სამეცნიერო მუშაობის გაშლას ხელი შეუშალა ყირიმის ომმა.

საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ 1855 წლის 15 თებერვალს კავკასიის განყოფილების კრებაზე, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის 1854 წლის 25 მარტის მოწერილობის საუძველზე, ისევ დაისვა კავკასიაში ეთნოგრაფიული და ლინგვისტური კვლევის აღდგენის საკითხი.

ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით მუზეუმმა შეადგინა კავკასიის ეთნოგრაფიული და ფილოლოგიური კვლევის კითხვარები. 400-ზე მეტი ასეთი ბარათი დაეგზავნა კავკასიის ეხარის თითქმის ყველა გუბერნიასა და მაზრას.[76] ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ლორნი. 1856-59 წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა კავკასიური ენების შედარებითი ლექსიკონის შესადგენად, უდინთა ენისა და ირანული ჯგუფის ენების კვლევისთვის.[77]

მუზეუმს საქმიანი სამეცნიერო ურთიერთობა პქონდა დამყარებული სხვადასხვა ცნობილ სამეცნიერო დაწესებულებებთან: პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟთან, დრეზდენის სამეფო ბიბლიოთეკასა და ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკასა და საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღთან .

---

[76] Записки КОИРГО, ნაწ. III, 1855, გვ 250

[77] Отчет о состоянии и действиях КОИРГО с 1859 по 1864 г; 1864, გვ. 3.

მუზეუმთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მეცნიერები: აბიხი, რუპრეხტი, რეგელი, კლემი. დოქტორები: არწრუნი, ვალენტინი, შნაიდერი, ლედერი, სივერსი, ბრანდტი და მსოფლიოში სხვა ცნობილი სწავლულები.

ასევე თანდათანობით იზრდებოდა მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნების ფონდიც. თუ 1852-64 წლების გეოგრაფიული საზოგადოების ანგარიშებს თუ გადავხედავთ შემდეგ სურათს ღავინახავთ: (ცხრილი 4):

წლები	1852	1853	1854	1855	1856	1857	1864
დასახ. წიგნი	172	280	291	381	346	305	382
წიგნების რაოდ.	310	565	579	657	665	631	645

1859 წლიდან მუზეუმისადმი ინტერესი თანდათანობით ნელდება[78]. როგორც ჩანს, საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუშაობის დანიშნულებასა და მიმართულებაში გარკვეული ცვლილებები ხდება. განყოფილების და თვით მუზეუმის მესვეურთა შორის ბატონდება აზრი იმის შესახებ, რომ უმჯობესია განყოფილებამ თავის პირდაპირ დანიშნულებას –კავკასიის მხარის შესწავლასა და მეცნიერულ კვლევა-ძიებას მიხედოს და ბეჭდვითი გამოცემებით გააცნოს იგი მსოფლიოს, ვიდრე იზრუნოს მუზეუმზე, რომლის შენახვაც ძალიან ძვირი უჯდება. იმავე მოსაზრებით მუზეუმის კოლექციები შესასწავლად უნდა გადაგზავნილიყო ევროპის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში. ამ შეხედულებას იზიარებდნენ საზოგადოების კავკასიის განყოფილების თავჯდომარე ალ.კარცევი და მუზეუმის დირექტორი ი.ბართოლომეი.[79] ამ უკანასკნელს მაგალითად მიაჩნდა, რომ ეთნოგრაფიული ექსპონატების ნაცვლად მუზეუმში საკმარისი იქნებოდა მათი შემცველი ფოტოების გამოყენება.

1861 წლის 13 მაისს გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საერთო კრებაზე ი. ბართოლომეი ასეთ განცხადებას აკეთებს: «განყოფილებას არ გააჩნია სახსრები, რომ ეს საგნები (ლაპარაკია მუზეუმის ექსპონატებზე-- გ. ჩ.) დაბინაოს შესაფერის შენობაში და მეცნიერულად დაამუშაოს. განყოფილების მიზანს ხომ

---

[78] РАДДЕ Г, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

[79] Записки КОИРГО, VI, გვ. 10

აქაურ მხარეშე ცნობების გავრცელება შეადგენს და არა მუზეუმზე ზრუნვა, რომლის კარგ მდგომარეობაში შენახვა ისე ძვირი ჯდება, რომ ნთქავს განყოფილების ისედაც მცირე თანხებს. გაცილებით სასარგებლო იქნებოდა მათი გამოყენება სამეცნიერო სამუშაოთა ხელშეწყობისა და სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის. მუზეუმში შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მცირე ზომის ნივთები, რომელიც საკლებად ზიანდება და არ მოითხოვს დიდ მოვლას. დიდი ზომის ექსპონატები კი მაგალითად, ვებერთელა ძვლები, აქაური ხალხის ტანსაცმელი და სხვ., უმჯობესია განყოფილებაში ფოტოსურათების სახით დავიტოვოთ. უკეთესი იქნება თუ ნივთებს გადავუგზავნით იმ დაწესებულებებს, სადაც ისინი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანენ. ამით განყოფილება სრულად გაამართლებს თავის დანიშნულებას ევროპის სამეცნიერო საზოგადოებებისა და სპეციალისტების წინაშე».[80]

აქვე უნდა აღინიშნოს ი. ბართოლომეის რიგი მცდარი სუბიექტური გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად მუზეუმს ძძიმე მდგომარეობაში აყენებდა. მაგალითად, კავკასიის განყოფილების 1865 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე განიხილეს მეფისნაცვლის კანცელარიიდან შემახიის გუბერნიაში მტკვრის ძველ კალაპოტში შემთხვევით ნაპოვნი ნუმიზმატიკური განძის მუზეუმში გადმოტანის საკითხი. განძი შედგებოდა ერთო ოქროსა და 3400 ვერცხლის მონეტისგან. იგი დასკვნისთვის გადაეცა ი. ბართოლომეის. როგორც გაირკვა, ვერცხლის მონეტები ნადირ შაპისა და მისი პირველი შემკვიდრეების ხანისა იყო, ხოლო ოქროს მონეტა-ვენეციაში იყო მოჭრილი. ძნელი დასადგენია, რითი ისელმძღვანელა ი. ბართოლომეიმ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი დასკვნის შემდეგ მუზეუმმა განძის მიღებაზე უარი განაცხადა "ვინაიდან ეს მონეტები ნუმიზმატიკური თვალსაზრისით არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა"[81] განძი უკან გაღაეგზავნა შემახიის სამხედრო გუბერნატორს.

ი. ბართოლომეის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ მუზეუმში თავის დროზე ვერ მოხვდა ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის

---

[80] Записки КОИРГО, VI, 1864, გვ. 10 .
[81] Записки КОИРГО, IV, 1857, გვ. 246.

ფუძემდებლის, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრის მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილის მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია. როგორც გამგებელი კომიტეტის 1861 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, იგი მუზეუმში არ მიიღეს "ი. ბართოლომეის დასკვნის საფუძველზე".[82] ამის მიზეზად კომიტეტის 22 დეკემბრის დადგენილებაში დასახელებულია ორი გარემოება. "განყოფილებას შეუძლებლად მიაჩნია აღნიშნული კოლექცია თავის მუზეუმისთვის შეიძინოს არა მარტო ფასის სიდიდის გამო, უფრო მეტად იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს სრულიად შეუსაბამო საგანს განყოფილების მიზნებისთვის".[83] პირველი მიზეზი გასაგებია, მეორე კი გაკვირვებას იწვევს, რადგან მ. ბარათაშვილის კოლექციაში შედიოდა VI – VII საუკუნეების ქართლის ერისმთავრების, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პერიოდის უნიკალური მონეტები.[84] ყოველივე ამაში კი ითხოვდნენ 2000 მანეთს. აღნიშნულმა კოლექციამ შემდგომ ბერლინის მუზეუმში დაიდო ბინა.

მუზეუმმა ასევე არ შეიძინა 1862 წელს ქ. თავრიზში მიკვლეული ძველი ქართული და სომხური მანუსკრიპტები, რადგან თურმე, ისინიც "არ შეესაბამებოდნენ განყოფილების მიზნებსა და საქმიანობას."[85]

ი. ბართოლომეის დახასიათება სრული რომ იყოს, მოვიყვანთ ციტატას ლ. ზაგურსკის სტატიიდან, რომელიც მან მიუძღვნა ენათმეცნიერ პეტრე უსლარს. "ჩვენი დიდების მაძიებელნი, როგორიც იყო მაგალითად განსვენებული ბართოლომეი, თავის სასარგებლოდ ექსპლუატაციას უწევდნენ მის (იგულისხმება პ. უსლარი – ე. ჩ.) შრომებს."[86]

ამას დაერთო სხვა ნეგატიური მოვლენებიც. ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ გაამძაფრა და გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა ყველა მიმართულებით. კავკასიის ახალი მეუფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი თავის წინამორბედზე ნაკლებ

---

[82] Записки КОИРГО, ნაწ. VI, 1864, გვ. 3

[83] Записки КОИРГО, ნაწ. V, 1862, . 17.

[84] კაპანაძე ლ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 76.

[85] Записки КОИРГО, V, 1862, გვ. 52.

[86] Загурский Л., П. К. Усларь, წიგნში, Древнейшая сказания о Кавказе, ტფ., 1881, გვ. 6.

დაინტერესებას იჩენდა მუზეუმისადმი. 1860 წელს მუზეუმიდან წავიდა ალ. ბერეე და მუზეუმის მდივანი გახდა პავლე რისი. ეს უკანასკნელი მალე გარდაიცვალა და 1861 წელს მის თანამდებობაზე უკვე ვხედავთ დიმიტრი კოვალენსკის. ამავე წელს პეტერბურგში საცხოვრებლად გადავიდა დირექტორ-თავჯდომარე ა. ნიკოლაი. მისი წასვლის შემდეგ მუზეუმის მმართველობაში გარკვეული ცვლილებები მოსდა: გაუქმდა მუზეუმის დირექცია და მისი ფუნქციები გადაეცა განყოფილების გამგებელ კომიტეტს, რომელიც მუზეუმზე ხელმძღვანელობას ი.ბართოლომეის მეშვეობით ახორციელებდა. ამ უკანასკნელის პოზიცია კი ზემოთ დავახასიათეთ.

იოანე ალექსის ძე ბართოლომეი (1813-1870 წ.წ.) ცნობილი ნუმიზმატი, ეთნოგრაფი, გენერალ-ლეიტენანტი, 1856 წლიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იგი მ. ვორონცოვის მოწვეით 1850 წლიდან მსახურობდა კავკასიაში დიპლომატად. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობასაც. აქ მან შეძლო შეეგროვებინა მოოფლიოში ცნობილი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც შედგებოდა ძველი სპარსული და ბაქტრიული მონეტებისაგან.კავკასიაში იგი ატარებდა არქეოლოგიურ გათხრებს და ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. სწავლობდა კავკასიურ ენებს და ეპიგრაფიკულ ძეგლებს. დასაფლავებულია თბილისში.

მუზეუმებისადმი ყურადღების შესუსტება, რასაკვირველია, პირველ რიგში გამოიწვევდა დაფინანსების შემცირებას. მუზეუმს აღარ გააჩნდა თანხები, არა მარტო ახალი კოლექციების შესაძენად, არამედ თავისი ბინის შესანარჩუნებლადაც. ამ პერიოდში ფინანსური სახსრების ნაკლებობის გამო მუზეუმმა ორჯერ გამოიცვალა ბინა. 1858 წელს იგი ჯერ გადავიდა იმავე (ჭავჭავაძის) ქუჩაზე მდებარე მრეწველ იოანე ზუბალოვის (ზუბალაშვილი) სახლში, ხოლო შემდეგ, 1862 წელს-გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე ო. გამაზოვის ბინაში.[87]

ფინანსურად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მუზეუმის მიტოვება იწყეს მისმა თანამშრომლებმა. მუზეუმი დატოვეს კ. ჩერმაკმა, რ.ერისთავმა და სხვებმა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ნატურალისტ ფ. ბაიერნის წასვლა, რომელიც მუზეუმში 1859 წლიდან კონსერვატორის თანამდებობაზე მუშაობდა

---

[87] «Кавказский календарь» на 1863 г, გვ 126.

და მდიდარი საბუნებისმეტყველო კოლექციები შექმნა. მან 1863 წელს მთელი თავისი კოლექცია და მუზეუმის კუთვნილი საბუნებისმეტყველო კოლექციათა ნაწილიც გადასცა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუზეუმს და თვითონაც პრეპარატორის თანამდებობაზე იქ გადავიდა.

1864 წლიდან უსახსრობის გამო გადაწყდა კავკასიის განყოფილების მუზეუმის გაუქმება[88] და იმავე წლის აგვისტოში იგი დაიხურა. მუზეუმის ბიბლიოთეკა გადაეცა კავკასიის სამხარეო ოლქის სამხედრო შტაბს, სოლო კანცელარია გადატანილ იქნა გეოგრაფიული საზოგადოების მდივნის დ. კოვალენსკის ბინაში.

რაც შეეხება მუზეუმის კოლექციებს, ფ. კეპენი აღნიშნავს, რომ მუზეუმის დირექციის გაუქმებასთან ერთად "კოლექციათა დიდი ნაწილი აღმოჩნდა ბელის ანაბარად მიტოვებული და ამიტომაც დაიღუპა, ნაწილი კი – დატაცებული იქნა".[89] ამ აზრს არ იზიარებს პროფ. გ. ეორდანია, მართალია იგი აღნიშნავს, რომ განყოფილების მუზეუმის კოლექციათა ნაწილი განადგურდა, მაგრამ მიუთითებს, რომ მისი დიდი ნაწილი გაღარჩა და გადაეცა შემდგომ წლებში გ. რადეს თაოსნობით ჩამოყალიბებულ კავკასიის მუზეუმს.[90]

მუზეუმის ექსპონატების ნაწილი რომ მართლაც დაკარგულა, ამას თვითონ გ. რადე და მისი ბიოგრაფი კ. ჰანიც მიუთითებენ: 1861 წელს მუზეუმის დირექციის გაუქმების შემდეგ უმეთვალყურეოდ დარჩენილი მუზეუმის კოლექციები დაკარგულა, ან გაფუჭებულა. კერძოდ: მ. ვორონცოვის მიერ შემოწირული კავკასიური ალპური ზონის მცენარეები, ა. რეშეტოვას ნაჩუქარი ეთნოგრაფიული ალბომი და ფ. ვრანგელის მიერ შემოწირულობა კავკასიური ბწერების რამოდენიმე ყუთი.[91] ალბათ დაიკარგა სხვა ბევრი ექსპონატიც, ზოგი კი საბღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში ეგზიგზავნა. ეუეეუის საამაყო ექსპონატი--მეტეორიტი, რბილად რომ ვთქვათ, შემდეგ აკადემიკოს ჰერმან ვილპელმ აბიხის პირად კოლექციაში აღმოჩნდა.

---

[88] "Кавказский календарь"на 1865 , გვ 100.

[89] Кеппен Ф. , დასახ. ნაშრ. .გვ. 5.

[90] ეორდანია გ., დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[91] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 34-36.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ფონდების დიდი ნაწილი გადაეცა ზემოთ ხსენებულ კავკასიის მუზეუმს. 1866 წელს გაზეთი "Кавказ"- ი აღნიშნავდა: "რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საერთო კრებაზე გასული წლის 30 სექტემბერს სახოგადოების ნამდვილმა წევრმა გ. რადემ კრებას მოახსენა კავკასიის მუზეუმის მოწყობაზე გაწეული მრომის შესახებ და როგორც მისმა დირექტორმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა განყოფილების დამსახურება, რომელმაც თავისი კოლექციებისა და ავეჯის გადმოცემით, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახლადჩამოყალიბებულ მუზეუმს. ამ უკანასკნელისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეთნოგრაფიული კოლექციები, რომლებიც შეიცავდნენ ბევრ საყურადღებო ნივთს. ამავე სიტყვაში რადემ მადლიერებით მოიხსენია აგრეთვე პეტერბურგელი მხატვარი ჰეიმერი, რომლისგანაც ბევრი მნიშვნელოვანი საგამოფენო მასალა მიიღო.[92]

პროფ. გ. ეორდანიამ კავკასიის განყოფილებისა და რადესეული მუზეუმების კატალოგებისა და მეგზურების შეჯერების საფუძველზე გამოიანგარიშა ექსპონატების საერთო რაოდენობა, რომელიც პირველმა მუზეუმმა გადასცა მეორეს. მისი დასკვნით ეს იყო: კავკასიის განყოფილების მუზეუმის კუთვნილი 173 ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ექსპონატი; სამი ათასამდე ეკოლოგიურ-მინერალოგიური, პალეონტოლოგიური და კონქილიოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნივთი; ენტომოლოგიური კოლექციები: ჰ. აბიხის მიერ შეკრებილი ოთხი ყუთი მავნე მწერებით; ფ. ბაიერნის კოლექციებიდან კონქილიოლოგიური მასალების 11 ყუთი; სივერსის, ბაიერნის და ლედერის მიერ მუზეუმში შეტანილი ნაკვერებისა და ბოტანიკური კოლექციები.[93]

ამრიგად, რიგი წყაროებისა, და მასალის გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კავკასიის განყოფილების მუზეუმმა თავისი არსებობის მანძილზე ოთხი ეტაპი განვლო:

---

[92] გაზ. "Кавказ", 1866 წლის 20 მარტი, № 23.

[93] ეორდანია გ., დასახ. ნაშრ., გვ. 113.

პირველი ეტაპი (1852–1853 წწ.) მოიცავს პერიოდს მუზეუმის დაარსებიდან--ყირიმის ომის დაწყებამდე. ეს პერიოდი მუზეუმის ისტორიაში შეიძლება ითქვას, ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო. ქართველი მამულიშვილებისა და იმ დროს თბილისში მცხოვრებ რუსი და უცხოელ მოღვაწეთა მეცადინეობით, საფუძველი ჩაეყარა მუზეუმს. ამით ხორცი ესხმოდა ხელისუფლების სურვილს--გამოეკვლია და შეესწავლა ეს მხარე.

თანდათანობით შეიკრიბა და შეიყსო მუზეუმის ფონდები, რომელიც შედგებოდა ეთნოგრაფიული, ისტორიული და საბუნებისმეტყველო კოლექციებიდან. ამ დროს იყო ბევრი ინიციატიკა, კეთილი ნება და ენთუზიაზმი. ახლად ჩამოყალიბებულ მუზეუმს მეფისნაცვლისგან, ხელისუფლებისა და თბილისის საზოგადოებიდან არ აკლდა მზრუნველობა და ხელშეწყობა.

მეორე ეტაპი (1853–1856 წწ.) მოიცავს ყირიმის ომის მთელ პერიოდს. ამ დროს საომარი მოქმედებების გაჭიანურებამ და კავკასიის ტერიტორიაზე გადმოტანამ, ბოლოს, ამ ომში რუსეთის დამარცხებამ, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. საყოველთაო გაჭირვების ფონზე--მ. ვორონცოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან შესუსტდა მუზეუმისადმი ზრუნვა და დახმარება. საზოგადოების ყურადღების სხვა პრობლემებზე გადატანამ, კავკასიის განყოფილების გამგებელი კომიტეტისა და მუზეუმის დირექციის საქმიანობას ბევრი დაბრკოლება შეუქმნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მუზეუმს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. და წარმატებით აგრძელებდა დაწყებულ საქმეს. მან თავისი გამოფენების გახსნაც კი შეძლო.

მესამე ეტაპი (1856–1859 წწ.) ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ იწყება. ამ დროს შეინიშნება სამუსეუმო საქმიანობის ერთგვარი გამოცოცხლება. ახალი მეფისნაცვლის ალ. ბარიატინსკის ჩამოსვლის შემდეგ ამ მხარეში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ლინგვისტური საკითხების კვლევას, რომელიც ხორციელდებოდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა

აკადემიის ხელმძღვანელობით. ამ სამუშაოებში აქტიურად ებმება მუზეუმიც. მისი ფონდები ივსება მრავალი შემოწირულობებით და იწყება მათი მეცნიერული დამუშავება.

მეოთხე ეტაპი (1859–1864 წწ.) საშუალოდ მუზეუმის მუშაობისათვის არახელსაყრელ პერიოდს წარმოადგენდა. გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მესვეურთა და მუზეუმის დირექციის ძალისხმევა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. მათ შორის ბატონდება მუზეუმისადმი არაკეთილგანწყობილი პოზიცია. მუზეუმის მიმართ ყურადღების შესუსტებას მოჰყვა ისედაც მცირე სახსრების შეკვეცა. კავკასიის განყოფილებისათვის მუზეუმი გადაიქცა "ზედმეტ ფუფუნებად," მისი მიტოვება იწყეს ძველმა თანამშრომლებმა. 1859 წლიდან უკვე იშვიათად შემოდიოდა მუზეუმის ფონდებში მასალები. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მუზეუმი 1864 წლის აგვისტოდან წყვეტს არსებობას.

თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის აღორძინება-განვითარებაში. ფაქტობრივად იგი იყო პირველი ოფიციალური სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება მთელ კავკასიაში, სადაც ბევრი გამოჩენილი მეცნიერი მოღვაწეობდა. ამ მუზეუმიდან იწყება ჩვენში პროფესიულ სამუზეუმო დაწესებულებათა ქსელის შექმნა.



§ 1 "ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი"

კავკასიის განყოფილების მუზეუმის იმ ექპონატების გარდა, რომელთაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარეს რადესეულ კავკასიის მუზეუმის ფონდებს, იყო ე. წ. "ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტის" კოლექციები.

XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოში სამუზეუმო საქმიანობას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ნატურალისტმა ფ. ბაიერნმა.

ფრიდრიხ სამუელის ძე ბაიერნი (ბაიერი) (1817-1886 წწ.), სწავლული, არქეოლოგი. ტრანსილვანიის ქრონშტადტში დაბადებული, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს მოქალაქე. 1845 წელს ჩამოვიდა ოდესაში და რიუფუს პანსიონატში ანატომიის ცნობილი პროფესორის დ. ნორდმანის ხელმძღვანელობით ეუფლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.[94] სწავლულების უკვალოდ და ძნიშვნელის რეკომენდაციით მ. ვორონცოვი მას კავკასიაში სამუშაოდ იწვევს. 1849 წელს კავკასიაში ჩამოსვლის შემდეგ იგი იწყებს ინტენსიურ საველე-მოძიებით სამუშაოებს, აღგილობრივი ფლორის, ფაუნის და სიძველეების კვლევას. ფ. ბაიერნმა თითქმის მთელი ამიერკავკასია ფეხით შემოიარა და შეძლო დიდძალი საბუნებისმეტყველო კოლექციების შეგროვება, რომლებმაც შემდგომში საფუძველი ჩაუყარეს თბილისის იმდროინდელი მუზეუმების გეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ფონდებს.

1852 წლის მაისში კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის ნებართვით იგი მიიწვიეს მსამუშაოდ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმში. ამის შესახებ საზოგადოების ანგარიშებში ნათქვამია: "მუზეუმის დირექციამ გაითვალისწინა ის დარემოება, რომ მხოლოდ სრული საბუნებისმეტყველო ნიეთია კოლექციები მიანიჭებდა მუზეუმს ნამდვილ მნიშვნელობას და მათ შესაკრებად საჭირო იყო ადამიანი, რომელმაც სპეციალურად იცოდა ეს საქმე, აკადემიკოს აბიხისაგან ლაღებითი ვამოხმაურების შემდეგ, მუზეუმში სამუშაოდ მოიწვია ბაიერნი."[95] 1859 წლის მარტიდან ფ. ბაიერნი იწყებს მუშაობას ამ მუზეუმში კონსერვატორის თანამდებობაზე, ხოლო 1863 წლიდან მუშაობს სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმში.

---

[94] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი, 1882, 26/15, გვ 57.

[95] Отчет о состоянии и действиях КОИРГО с 1859 по 1864 год, 1864, გვ 24

მის მიერ ინტენსიურად წარმოებული საველე-მოძიებითი სამუშაოების შედეგად, აღნიშნულ მუზეუმებში დიდად გაიზარდა საბუნებისმეტყველო განყოფილ+ების ფონდში დაცული მასალები, განსაკუთრებით კი პალეონტოლოგიურ–(წარსულ გეოლოგიურ დროთა განამარხებული ნაშთები), კონქილიოლოგიურ–(უძველესი გაქვავებული ნიჟარები), დენდროლოგიურ – მცენარეული, ენტომოლოგიურ–(მწერებისა და მინერალოგიური ნიმუშების) ექსპონატები.

აქტიურ საველე-მოძიებით სამუშაოებს ფ. ბაიერნი წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მის მიერ კავკასიაში აღმოჩენილ ბევრ მცენარეს მისი სახელი ეწოდა და პირველად იქნა შეტანილი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმოქცევაში.

XIX საუკუნის თბილისურ პრესაში და სხვადასხვა საზოგადოებების საერთო კრებებზე ხშირად მოიხსენიებდნენ ფ. ბაიერნს და მადლობას უცხადებდნენ მუზეუმის ფონდების გამდიდრებისათვის.[96]

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნულია: "ბატონი ბაიერნი უკვე 15 წელია ეწევა მხარის საბუნებისმეტყველო ისტორიის შესახებ მასალების შეკრებას. მან კავკასიის განყოფილების ყურადღება მიიქცია, როგორც თავისი საქმის მოყვარულმა და უანგარო პიროვნებამ."[97]

50-იანი წლების შუა ხანებში ფ. ბაიერნს უკვე იმდენი მასალა დაუგროვდა, რომ მის გამოსაფენად აღარ კმარობდა თბილისში იმ დროს არსებული მუზეუმების საექსპოზიციო დარბაზები და ფონდსაცავები. ამიტომ ამ კოლექციათა დიდი ნაწილის დაბინავება მას თავის სახლში უხდებოდა, რაც არ იყო სათანადოდ დაცული სტიქიური უბედურებისგან 1855 წლის გაზაფხულზე ადიდებული მტკვრის წყალი შეეარდა ბაიერნის ბინაში და ლოლი ზიანი მიაყენა მის კოლექციებს.

1856 წელს მან მოახერხა თბილისში, გერმანული კოლონიის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დიდებულში – თავისი მდიდარი კოლექციების გამოსაფენად. გაეხსნა მცირე მუზეუმი. მუზეუმი მოთავსებული იყო გერმანელი ეაჭრის ვინმე

---

[96] "Кавказский календарь" на 1861 г, გვ. 178.

[97] Отчет о состоянии и действиях КОИРГО с 1859 по 1864 год, 1864 გვ. 24.

მაიერის ქერივის ბინაში და მას თბილისის საზოგადოებაში "ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტად" მოიხსენიებდნენ.

აღნიშნული მუზეუმი წმინდა საბუნებისმეტყველო პროფილისა იყო. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ფ. ბაიერნის მიერ კავკასიაში სხვადასხვა დრის მოძიებული გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური მასალები. გამოფენა პირველ ხანებში ღია იყო დამთვალიერებელთათვის ოთხშაბათობით 12-დან 2 საათამდე, ხოლო 1861 წლიდან კი — ყოველდღე 10-დან 4 საათამდე.[98]

მის გამო გაზეთი "Кавказский календарь"-ი იტყობინებოდა: "ბატონ ბაიერნს, რომელსაც აქვს სურვილი შეძლებისდაგვარად იყოს სასარგებლო მათთვის, ვინც დაინტერესებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით და ამ დარგში მისი მრავალწლიანი შრომის შედეგებით, აღებს თავის კაბინეტს ყოველწლიურად 1 ოქტომბრიდან 30 აპრილის ჩათვლით. კაბინეტი მუშაობს ყოველ კვირას ორშაბათობით 8 საათიდან შუა დღემდე. ვინც მოისურვებს კაბინეტში ღამატებით მუშაობას, იგი მზადაა გამოყოს მათთვის რამოდენიმე დღე კვირაში." [99]

ფრიდრიხ ბაიერნისათვის მასალების მოძიების თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა 1859-63 წლები, როდესაც მან რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დავალებით, ზოგ შემთხვევაში პირადი ინიციატივითაც შემოიარა ერევნის, ეჩმიაძინის, დაღესტნის, ახალციხის, ბორჩალოს, რაჭის, ფშავ-ხევსურეთისა და შიდა ქართლის მიდამოები. ამ ადგილებიდან მან ბევრი პირველხარისხოვანი პალეონტოლოგიური, მინერალოგიური და ენტომოლოგიური ნიმუშები შეაგროვა, რითაც გაამდიდრა თავისი კოლექციები. ამ ექსპედიციების პირველ ეტაპზე მას თან ახლდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ჰენრიხ ოტო ვილჰელმ აბიხი. ამ უკანასკნელმა და ცნობილმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ფრანც ივანეს ძე რუპრეხტმა შეშდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფ. ბაიერნის კოლექციების კლასიფიკაციასა და მეცნიერულ დამუშავებაში.[100]

ბაიერნის მიერ მოპოვებულ მასალათა მეცნიერულ ღირებულებებზე აღნიშნული იყო საზოგადოების ანგარიშებში:

---

[98] "Кавказский календарь" на 1861 г, გვ. 178

[99] "Кавказский календарь" на 1863 г, გვ. 128

[100] Записки КОИРГО, ნაწ VI, 1864 გვ. 27-29

"ბატონი ბაიერნის მიერ ამ ადგილებიდან ბოლო ოთხი წლის მანძილზე შეკრებილ დიდძალ მასალების შესახებ უნდა დავასკვნათ, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ამ საქმეში მის გამოცდილებასა და იმ მეცნიერთა აღიარებას, რომელთანაც მას უხდებოდა მუშაობა — შეიძლება ამ მასალათა ღირსებებზე თავდებობა."[101]

მუზეუმის ფონდების ასეთი გამდიდრებისთვის ფ. ბაიერნი ძალზე დადებითად არის დახასიათებული 1863 წლის "Кавказский календарь"-ის ფურცლებზე, სადაც სპეციალური სტატია არის მოთავსებული მისი "კაბინეტსზე." აქ აღნიშნულია: "ბატონი ბაიერნი განსაკუთრებით დაკავებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით. მან მთელი თავისი საქმიანობა მიუძღვნა კავკასიის მხარის შესწავლას რომლის დიდი ნაწილიც ფეხით აქვს შემოვლილი. ჩვიდმეტი წლის მანძილზე მან მოასწრო შეეკრიბა მინერალების, ნამარხეულის, გაქვავებული ნიჟარებისა და სხვა ნიმუშები. მისი მასალებიდან დანსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი კოლექცია, რომელშიც არის მწერების თითქმის ყველა სახეობა, რომელიც ამ მხარეში გვხვდება. ეს თავის მხრივ ერთადერთი კოლექციაა, რომელიც დაამშვენებდა ევროპის ნებისმიერი დედაქალაქის მუზეუმს."[102]

ზემოთ ხსენებული ექსპედიციების დროს 1859 წელს იგი ძალზედ დაინტერესდა არარატის მთასთან იგდირთან აღმოჩენილი უარტული ლურსმნული წარწერებით. ამის შემდეგ იგი არქეოლოგიურ კვლევას კიდებს ხელს და სიცოცხლის ბოლო ოცი წელი ემსახურება მას. აფხაზეთში ფ. ბაიერნმა აღმოაჩინა ღოლმენები, გათხარა ადრინდელი "შუა საუკუნეების სამაროვნები შავი ზღვის პირას, სართიჭალასა და დუშეთთან; გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი დილიჯანის ხეობაში, არქეოლოგიური ძიება ჩაატარა ყაზბეგში, ურბნისსა და ნიჩბისში. 1872 წელს დაიწყო სამთავროს სამაროვნის გათხრა, სადაც გამოაელინა გვიანდელი ბრინჯაოს, ადრინდელი რკინის, ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის სამარხები და აგრეთვე მინის საწარმოს ნაშთი. გათხრების ანგარიშებს აქვეყნებდა რუსულად, გერმანულად და ფრანგულად. ბაიერნის გათხრებით მსოფლიო

---

[101] Записки КОИРГО, VI, 1864 გვ. 29

[102] Кавказский календарь на 1863 г. გვ. 127.

მეცნიერება პირველად გაეცნო საქართველოს არქეოლოგიურ სიძველეებს.[103]

ფ. ბაიერნის საქმიანობას ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართველი საზოგადოება. მცხეთაში წარმოებული სამუშაოების შესახებ სერგეი მესხი იტყობინებოდა: "ერთი ძველის მცოდნე (არხეოლოგი) უფ. ბაიერნი გაიგზავნა აქ გზის მშენებლობაზე, რომ თვალყური ედევნა და გამოეკვლია, თუ რაიმე შესანიშნავს ნახავდა. უფ. ბაიერნმა ბევრი რამ ყურადღების ღირსი იპოვა და ახლა გაზეთ "კავკაზში" დაბეჭდა თავისი გამოკვლევა და აღწერა ზოგიერთი ნივთები, რომელიც მცხეთის ახლო-მახლო ამოსჩხრიკა. -ყველაზე მომეტებული ყურადღება უფ. ბაიერნმა მიაქცია ქვის სასაფლაოებს, რომელიც აღმოჩნდა სამთავროს-მონასტრის ახლოს აქ მუშებს 300 საფლავზე მეტი ამოუთხრიათ. ამის გარდა ბაიერნს გამოუკვლევია მტკვრის ნაპირები და დარწმუნებულა, რომ მტკვრის ორივე ნაპირებზე თითქმის თბილისამდე აქ ერთ დროს სიცოცხლე ქუხდა."[104] ფ. ბაიერნის ყოველ ახალ აღმოჩენას ოპერატიულად ეხმაურებოდა ქართული პრესა. "საქართველოს ისტორიის და მწიგნობრობის შესახებ ამ ახლოხანებში პატივცემულს და დაუღალავად მშრომელს ჩვენს არხეოლოგს ბატონს ბაიერნს აღმოუჩენია ძველ ფულებზე და ერთს მცხეთაში ნაპოვნ ქვაზე უძველესი ქართული მხედრული წარწერა"[105].—წერდა გაზეთი "დროება".

როგორც ცნობილი არქეოლოგი გ. ლომთათიძე აღნიშნავდა "შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ამ მუშაობამ ჩაუყარა საფუძველი ჩვენში გათხრითს არქეოლოგიას, მაგრამ სამწუხაროდ ამ საფუძველს ბევრი რამით დაეღება წუნი — არც თხრა წარმოებდა წესიერად და არც ამონათხარის ისტორიული გააზრება იდგა ჯეროვან დონეზე"[106] ამის გამო მას სამართლიანად აკრიტიკებდნენ თავის დროზე ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები.

ფ. ბაიერნის ბოლო წლების საქმიანობაზე რამოდენიმე წერილი გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ. იგი მის შესახებ წერდა: "ბაიერნი, რომელმაც სამთავროს სასაფლაო მცხეთაში გათხარა და ბევრი არქეოლოგიური ნივთი იპოვნა, ეს ბაიერნი ცნობილია,

---

[103] გაგოშიძე ი., ბაიერნი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 154

[104] გაზ. "დროება," 1872 წლის 4 თებერვალი, № 5.

[105] გაზ. "დროება", 1882 წლის 3 ივლისი, № 137.

[106] ლომთათიძე გ., წინაპართა ნაკვალევზე თბ., 1952, გვ. 63

როგორც კარგი მთხრელი საფლაველებისა და საფლაველებში ნაპოვნის კეთილსინდისიერი და უტყუარი აღმწერი, ხოლო მისი საისტორიო დასკვნა და განსჯა კი ყველასაგან სასაცილოდ არის აგდებული. მოდით მართლა და ნუ გაგვეცინებათ, რომ ეს ბატონი ბაიერნი ალექსანდრე მაკედონელის საფლავს სადღაც ავლაბრის ხევში ეძიებდა, და სემირამიდას, რომელიც ახლა მითიურ არსებად ჩიჩნეულია, წიწამურში, მცხეთის პირდაპირ არაგვ – გაღმა." [107]

სამთავროს ფილა ქვებით ნაგებ სამარხების არქეოლოგიური გათხრების დროს დამწვარი ძვლებისა და მათი ნაკლულობათა აღმოჩენის შედეგად ბაიერნმა ზერელედ დაიწყო იმის მტკიცება თითქოსდა მცხეთაში მოსახლე ძველ ქართულ ტომებში კაციჭამიობა, კანიბალიზმი მასიურად იყო გავრცელებული.

ბაიერნის ამ თეორიას მიმდევარიც გამოუჩნდა, ხალხოსნური მოძრაობის ერთერთი აქტიური წევრის ივანე ჯაბადარის სახით. ამ უკანასკნელმა ციმბირის ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პეტერბურგის ჟურნალ "Северный вестник"-ში გამოაქვეყნა ეროვნული ნიჰილიზმით გაჟღენთილი სტატია – "წერილი საქართველოზე", სადაც მთლიანად გაიზიარა ბაიერნის ზემოთ ხსენებული მოსაზრება.

ილიამ სასტიკად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. 1889 წელს მან წერილების მთელი სერია მიუძღვნა ამ "ულონო თეორიების" გაბათილებას "აი ისტორია"-ს სახელწოდებით: "ბაიერნისაგან ზეგარდმო შთაგონებულმა ავტორმა ვითომც დაგვიმტკიცა – ქართველები ადამიანის ხორცის მჭამელები იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში"[108] აღშფოთებით წერდა იგი და ძიუთითებდა, რომ "ბაიერნის ძოწმობა – კი ძისთვის საჭირო იყო, რომ ქართველები ბარბაროსებად გამოეყვანა." [109]

იმდროინდელი ცნობილი მეცნიერების მოსაზრებებზე დაყრდნობით ილიამ დაბეჯითებით უარყო ამ თეორიის უსაფუძვლობა: "ეროფმა უვაროვმა, რომელმაც თავისი თვალით დასინჯა სამთავრო საფლავები და მერე ტიზენჰაუზენენმა ცხადად დაამტკიცეს, რომ ის საფლავები საცა ბაიერნს რამდენისმე კაცის ძვლები ერთმანეთში არეული უნახავს, საოჯახო სამარხნი ყოფილან– რაც შეეხება კაცისმჭამელობას, ეს ისე ულირსად დაინახეს უეაროვმა და ტიზენჰაუზენმა, რომ

---

[107] ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955, გვ. 98
[108] ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 103.
[109] იქვე, გვ. 99

ყურიც არ ათხოვეს და ამის თაობაზე ბაიერნს პასუხიც არ აღირსეს." [110]

ილიას კვალდაკვალ ქართველი ისტორიკოსებიდან ბაიერნის მიერ საქთავროს საამაროვნებში აღმოჩენილ მასალებს მეცნიერული ახსნა პირველად დიმიტრი ბაქრაძემ მოუძებნა. მოახდინა რა ამ მასალათა კლასიფიკაცია იგი მიუთითებდა, რომ მცხეთის საამაროვნებ'ში აღმოჩენილი ნივთთა სიმრავლე და მრავალფეროვნება, მათი დამუშავების ტექნიკა ძველ ქართველ ტომთა ბარბაროსობაზე კი არ მიანიშნებდა – არამედ მოწმობდა მოცემულ ეტაპზე მათ დაწინაურებულ ყოფაზე".[111]

ასევე შეურიგებელი იყო ილია ბაიერნის იმ მოსაზრებისადმი, რის მიხედვითაც მის მიერ მცხეთაში საქთავროდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად აკრეფილი თავის ქალები თითქოსდა ქართველებისა არ იყო. ამის შესახებ ილია ირონიულად მიანიშნებდა ზოგიერთი მეცნიერის ავტორიტეტზე და მის "გაბედულ" თეორიებზე: "მაშ სწავლულები რისთვის არიან ქვეყანაზე, თუკი ბაიერნისაგან გაგზავნილი გამოხრული თავი იცნეს პარიჟში და სთქვეს სკვითის თავი არისო. იმათ რა დაემალებათ ცას ქვეშეთ. ამ შემთხვევაში სხვა არაფერი არ არის საჭირო, მხოლოდ იმის მეტი, რომ სწავლულობის სახელი ჰქონდეს დაკარდნილი და ამასთან ცოტა გაბედვა და გულადობა; მაშინ ყოველისფერს დაუჯერებენ. აბა, ვინ გაბედავს და ვინ იტყვის, რომ მცხეთაში საპოვნი თავი ქართველისა არის და არა სკვითისა."[112]

როგორც ჩანს, ფრიდრიხ ბაიერნი პრაქტიკულ ნატურალისტობას ვერ გასცდა. მაგრამ მისი ღვაწლი და ენთუზიაზმი კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასალების შეკრების საქმეში უდავოდ დასაფასებელია. მის მიერ მოძიებული და "კაბინეტში" ექსპონირებული მდიდარი კოლექციები ცოტა მოგვიანებით, 60-იანი წლების ბოლოს, გადაეცა კავკასიის მუსეუმს და თვითონაც სიცოცხლის ბოლომდე ამ დაწესებულების კედლებში მუშაობდა კონსერვატორის თანამდებობაზე.

---

[110] იქვე, გვ. 124

[111] ბაქრაძე დ., ისტორია საქართველისი (უძველესი დროიდამ X საუკუნის დასასრულამდე, ტფ., 1889 გვ. 72-73

[112] ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული, 20 ტომად, ტ. V თბ., 1991 გვ. 476.

კავკასიის მუზეუმში მუშაობის პერიოდში ფ. ბაიერნმა თავი გამოიჩინა საბუნებისმეტყველო ხასიათის ექსპონატების მაღალკვალიფიციურად დამუშავებისა და მოწესრიგების საქმეში, რისთვისაც ეუზეუმის დირექციის მიერ დაესაჩუქნა პენსია 600 მანეთის ოდენობით, გამოეყო საცხოვრებელი ფართი და მიეცა უფლება ეცხოვრა მუზეუმში

. უმეტესიდროდ დარჩენილი ბარტოხელა ბოხუცი, როდესაც გარდაიცვალა 1886 წლის ნოემბერში, დაკრძალვის ხარჯები კავკასიის მუზეუმმა გაიღო

თავი II
კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა.

§ 2 კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის დაფუძნება, მათი გაერთიანება და პირველი ექსპოზიციები (1865 – 1870წწ).

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით რუსეთმა დაამთავრა საქართველოს სამეფო-სამთავროთა ძალით მიერთება. ამავე პერიოდში შამილის დატყვევებით მან შეძლო წარმატებით დაემთავრებინა კავკასიური ომები და მთელი ჩრდილოეთი კავკასია დაემორჩილებინა. იწყება კავკასიაში კოლონიზაციის ახალი ეტაპი, რომლის დედაზრიც რუსეთის მიერ მხარის სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ათვისებაში მდგომარეობდა. ამ პოლიტიკის პრაქტიკულად განმხორციელებელს კავკასიის ახალ მეფისნაცვალს ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის (1856-1862 წწ.) მის წინამორბედ მ. ვორონცოვზე მეტი უფლებები უბოძეს. კავკასიის ადმინისტრაციას უფრო მეტი საშუალება მიეცა, მხარე თვითნებურად ემართა. ალ. ბარიატინსკი წინა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვზე მეტად "ჯარისკაცი" და "პირდაპირი" აღმოჩნდა და საქმეს მთელი მონდომებით შეუდგა. მისი მთელი მეცადინეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ კავკასიაში ისეთივე მმართველობის სისტემა, კანონები, ადმინისტრაციული დაყოფა, სახელმწიფო დაწესებულებები და სამოხელეო აპარატი დაემკვიდრებინა, როგორც რუსეთში. მოესპო ყოველგვარი განსხვავება რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან.

სულ მოკლე ხანში კავკასიის კოლონიზაციის საქმეში ალ. ბარიატინსკიმ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. "მთავრობამ შეძლო მმართველობის იმდენად ძლიერი აპარატის შექმნა, რომ სამოქალაქო მმართველობის ორგანოები და იქ მოკალათებული მოხელეები, რუსული კულტურული დაწესებულებები, ერავალრიცხოვანი ჯარის ნაწილები, პოლიცია, მომადლებული ექსპლუატატორული კლასები... ყველაფერი ეს მთავრობის

დასაყრდენს წარმოადგენდა და საკუსებით უზრუნველყოფდა საქართველოში მისი პოლიტიკის გატარებას მთელი სისრულით".[113]

1862 წელს კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის რიგით მეორე ვაჟი, დიდი მთავარი, მიხეილ ნიკოლოზის ძე (1862–1881 წწ.), რომელშიც თითქოსდა შერწყმული იყო წინა მეფისნაცვლების თვისებები — ვ. ეორონცოვის შეფარული მზაკვრობა და ალ. ბარიატინსკის "ჯარისკაცობა". მისი კავკასიაში ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილება–დაწყნარების საქმე.

იმპერატორი ალექსანდრე II ასე მოძღვრავდა თავის ძმას-- კავკასიის მეფისნაცვალს 1870 წლის 13 სექტემბრის წერილში: "კავკასიური ომების დასრულების შემდეგ დგება ახალი, არანაკლები მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანა— კავკასიის ხალხთა საბოლოოდ დამორჩილება და მთიელ ტომებზე ჩვენი ზნეობრივი ძალაუფლების დამყარება, რომელიც ქვეყნის მშვიდობიანი დაუფლების საიმედო საფუძველი უნდა გახდეს".[114]

ასეთ ვითარებაში იწყება ქართველობის გადარჩენისთვის ბრძოლის ახალი პერიოდი. ამ დროს ასპარეზზე გამოდიან თერგდალეულები, სამოციანელთა დიდი თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთა მიზანი იყო ქართველი ხალხის განთავისუფლება კოლონიური ჩაგვრისგან. მათი ბრძოლა მიმართული იყო საქართველოს განახლება– განათლებისაკენ, რის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო ერის სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება.

ამ პერიოდში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ადის. ადრინდელ სტიქიურ, შეიარაღებულ ანტირეჟიმულ გამოსვლებს ცვლის იდეოლოგიური ბრძოლა. თერგდალეულთა მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იმისკენ, რომ დაეცვათ ერის პოლიტიკური უფლებები, მოსახლეობას შეუნარჩუნებინა ეროვნული ცნობიერება, რწმენა, ენა და

---

[113] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1844–1864წ),საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-ბ, თბ., 1914. გვ. 14.

[114] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივი (შემდგომში შემოკ.—სსმ არქივი) 1971, 16/5, გვ. 110.

კულტურა, რასაც ქართველი ხალხი უნდა შეემზადებინა კოლონიური უღლის გადასაგდებად.

ამ მიზნების მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრი დაწესებულება ჩამოყალიბდა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სამუზეუმო დაწესებულებებს. კავკასიის მუზეუმი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, საეკლესიო მუზეუმი და სხვ. ისინი ობიექტურად ემსახურებოდნენ მოსახლეობაში განათლების, თვითმყოფადობისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, რაც ნაწილობრივ ემთხვეოდა ხელისუფლების იმჟამინდელ მიზნებს—მეცნიერულად შეესწავლა კავკასია—მისი ფლორა და ფაუნა, წიაღისეულის სიმდიდრეები, ადგილობრივი ზნე-ჩვეულებები, ცხოვრების წესი და ტრადიციები.

1865 წელს დაფუძნდა მუზეუმი, რომელსაც საზოგადოებაში "კავკასიის მუზეუმს" უწოდებდნენ. მისი შექმნა დაკავშირებული იყო ცნობილ ბუნებისმეტყველ და ეთნოგრაფ გუსტავ ივანეს ძე რადეს სახელთან. წარმოშობით გერმანელი გუსტავ რადე დაიბადა სკოლის მასწავლებლის ოჯახში, 1831 წლის 15 ნოემბერს ქალაქ დანციგში (ახლანდელი გდანსკი). იმ ქალაქში, რომელიც ყოველთვის იყო განხეთქილების საგანი გერმანიასა და პოლონეთს შორის. 1789 წლიდან იგი გერმანიას ეკუთვნოდა. ბავშვობა გ. რადემ პრუსიაში გაატარა, მაგრამ მისი ივანე (იოჰან) რადე ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა ტინგენგოფის სკოლაში. გუსტავ რადემ შრომითი საქმიანობა ადრინდელი ასაკიდან დაიწყო. იგი პროვიზორის თანაშემწედ მუშაობდა დანციგის ერთერთ აფთიაქში და ოცნებობდა ბერლინში გამოცდების ჩაბარებაზე ფარმაცევტის სპეციალობაზე. მას თავიდანვე იტაცებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

50-იან წლებში პროფესორების ა. მენგესა და ჰ. კუმის რეკომენდაციით გ. რადეს ყურადღება მიაქცია დანციგის საბუნებისმეტყველო საზოგადოებამ, რომელმაც მას შესთავაზა საბუნებისმეტყველო კოლექციების შეგროვების მიზნით სამხრეთ რუსეთში გამგზავრება. რუსეთის კონსულმა ფონ ადელუნგმა ამ მგზავრობისთვის მოუხერხა პასპორტი და გამოუყო 200 მანეთი. გ. რადეც დათანხმდა ამ წინადადებას და თავგადასავლების მოყვარულმა 21 წლის ახალგაზრდამ გალიციის გავლით 1852 წლის ზამთარში გადაკვეთა რუსეთის

საზღვარი და ყირიმში ჩაეიდა.[115] ყირიმში იგი დაბინავდა ალუპკის მახლობლად მუხალატკას ციხე-დარბაზში შატილოვების მამულ ტამაკში, რომელიც მდებარეობდა სივაშის პირას სიმფეროპოლიდან 100 კმ-ში. ახლომდებარე რაიონებიდან მოძიებითი სამუშაოების შემდეგ შეგროვილი ბოტანიკური მასალებით ო. შატილოვის თხოვნით გ. რადემ აქ მოაწყო პატარა ბუზეუმი.

მაგრამ როგორც გ. რადე თავის ავტობიოგრაფიაში გადმოგვცემს, უზრუნველი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი შეუწყვეტია ყირიმის ომს და ისიც იძულებული ყოფილა ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტერბურგში გადაბარგებულიყო. 1855 წლის 3 აპრილს ბუნების კვლევის მოსკოვის საზოგადოებამ გ. რადე აირჩია წევრ-კორესპონდენტად, ხოლო იმავე წლის მარტში პეტერბურგის სამედიცინო აკადემიიდან მიიღო პროვიზორის თანაშემწის მოწმობა.[116] 1855 წელს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემაში იგი აქვეყნებს შრომას "ყირიმელი თათრები." პეტერბურგში ახალგაზრდა გ. რადე უახლოვდება ცნობილ მეცნიერებს და აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებასთან. ამ უკანასკნელის წინადადებით გ. რადე მოხვდა გრაფ ნ. მურავიოვის ექსპედიციაში, რომელიც მიემართებოდა აღმოსავლეთ ციმბირის გამოსაკვლევად. ექსპედიციის წევრად მიღებისათვის გ. რადეს რეკომენდაციები გაუწიეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ პ.სტევენი, ფ. კეპენი და თ. ბრანდტი.

თავგადასავლების მოყვარულ ახალგაზრდას ასე განუცხადებია საზოგადოების მდივან ე. ლამანსკისთვის: "გამგზავნეთ იქ, საღაც სხვები არ მიდიან, რაც შორს იქნება, მით უკეთესი."[117] აღმოსავლეთ ციმბირის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი ექსპედიცია ნ. მურავიოვის ხელმძღვანელობით მოეწყო 1855—60 წლებში.

ამ ექსპედიციების დროს 1858 წელს ქ. ირკუტსკში გ. რადემ მიიღო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა და როგორც იგი აცხადებს "გახდა რუსეთის, ამ ახალი სამშობლოს მადლიერი და ერთგული ქვეშევრდომი."[118]

---

[115] Автобиография Г Радде, Коллекции Кавказского Музея, ტ. VI , 1912, გვ. 2.
[116] სსმ არქივი 1883, 27/16, გვ. 66.
[117] Автобиография Г. Радде, Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, 1912, გვ 13.
[118] იქვე, გვ. 1..

აღმოსაელეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორ გრაფ მურაეიოვ-ამურსკის წარდგინებით, მოვალეობის კარგად შესრულებისთვის, 1858 წლის 18 ნოემბერს გ. რადეს მიენიჭა "ექსპედიციის ნატურალისტის" წოდება და დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენით.[119] ციმბირში მან დაარსა დასახლებული პუნქტი—დაბა. მის პატივსაცემად მას "რადოეკა" ეწოდა, რომელიც დღესაც არსებობს.

აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებიდან გ. რადემ შეძლო მდიდარი გეოლოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური მასალების მოძიება და შეგროვება. აქ მან დიდი მეცნიერული გამოცდილება მიიღო.

ამ ექსპედიციებმა ახალგაზრდა მეცნიერს სახელი, დიდება და ფული მოუტანა. გ. რადემ თავისი საბუნებისმეტყველო კოლექციებით დააინტერესა პეტერბურგელი მეცნიერები. მან თავისი შეგროვებული მასალა გაანაწილა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებას, საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღსა და მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიურ მუზეუმს შორის.

პეტერბურგში დაბრუნებისთანავე გ. რადე წარმატებით აბარებს სათანადო გამოცდებს, იღებს სამეცნიერო ხარისხს ზოოლოგიაში და ინიშნება "ტატგარე"ში კონსერვატორად ზოოლოგიურ მუზეუმში.

ამასთანავე, გ. რადე იწყებს საჯარო ლექციებით და მოხსენებებით გამოსვლას პეტერბურგის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებებისა და წრეების წინაშე. იგი სასურველი პირი ხდება მალალი საზოგადოებისთვის. 1861 წლის 18 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით გ. რადეს მიეცა სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურის უფლება და მიენიჭა ტიტულარული მრჩეველის წოდება. 1862 წელს იგი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისგან იღებს დემიდოვის პრესტიჟულ პრემიას ნაშრომისთვის "აღმოსავლეთ ციმბირის ურინველები" და 1862 წლის 13 სექტემბერს ხდება ღერპტის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის მაგისტრი, მოგვიანებით —ამავე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. 1862 წლის ოქტომბერში რადე იღებს სტატ-მრჩეველის ჩინს.[120] იმპერატორის ოჯახის წევრის კნიაგინია ელენე პაველეს ასულის რეკომენდაციით გ. რადე დაუახლოვდა იმპერატორის ეაქებს, დიდ ' მთავრებს—რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული

---

[119] Автобиография Г. Радде, Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, 1912, გვ 69.
[120] სსმ არქიეი, 1964, 11 /1 გვ. 91.

საზოგადოების თავჯდომარეს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს და კავკასიის მომავალ მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი მეგობრობა ამ უკანასკნელთან.

როდესაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე 1862 წელს გახდა კავკასიის მეფისნაცვალი და იმპერიის სამხრეთი ოლქების ჯარების მთავარსარდალი, მან კავკასიაში სამუშაოდ მიიწვია გ. რადე. 1862 წლის ივნისში საიმპერატორო მთავარი უნიკური ობსერვატორიის დირექციისგან გ. რადე იღებს დავალებას, რისთვისაც საჭირო ხდება ბერლინისა და ვენის გავლით კავკასიაში ჩამოსვლა. იმავე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში იგი უკვე თბილისშია და მისივე თქმით, ამის შემდეგ "კავკასია ხდება მისთვის ძვირფასი და ლამაზი მეორე სამშობლო".[121]

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გ. რადე აქტიურად ჩაება სამეცნიერო ცხოვრებაში. მას ადრეც ჰქონია კავკასიაში მუშაობის სურვილი. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას 1860 წელს განზრახული ჰქონდა მისი კავკასიაში ზოოლოგიურ სამუშაოებზე გაგზავნა, მაგრამ ამის შესაძლებლობა მხოლოდ შამილის დამარცხებისა და კავკასიური ომების დამთავრების შემდეგ მოხერხდა. 1863 წლის 26 აპრილს გ. რადე აირჩიეს ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად, ხოლო იმავე წლის 1 ივნისს ბრესლაუს უნივერსიტეტმა მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიანიჭა.[122]

1863 წლის 1 ივლისს აკადემიკოს კ. კუპფერის რეკომენდაციით გ. რადე მუშაობას იწყებს თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზე.[123]

პარალელურად ლექციებს კითხულობს გერმანულ კლუბში. ამავე წლის ივნისში იგი ქორწინდება ცნობილი მეცნიერის თ. ბრანდტის ქალიშვილზე მარიამ თეოდორეს ასულზე.

პირველი სამსახურეობრივი ნაბიჯები კავკასიაში უჭლბლი გამოდგა. არც ობსერვატორიის მაშინდელი დირექტორი და არც მშრალი ციფრები არ იზიდავდა ახალგაზრდა მეცნიერს და ხუთი თვის შემდეგ სამსახურს იგი თავს ანებებს. ამ გაჭირვების ჟამს მას დახმარების ხელი გაუწოდა ადოლფ ბერქემ, რომელთან იგი მეგობრობდა გერმანულ კლუბში.

---

[121] Автобиография Г Радде, Коллекции Кавказского Музея, ტ VI, 1912, გვ. 1.
[122] სსმ არქივი, 1883, 27/16 გვ. 72.
[123] Биография Г. И. Радде, Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, 1912, გვ. 65.

ა. ბერჟე ჯერ კიდევ მ. ეორონცოვის დროიდან მუშაობდა მეფისნაცვლის კანცელარიაში და ამ უწყებაში დიდი გაელენით სარგებლობდა. მისი რჩევით გ. რადემ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს ალ. ნიკოლაის წარუდგინა კავკასიის ბიოლოგიურ-გეოლოგიური კვლევის დაწერილებითი გეგმა, რომელსაც თან დაურთო გენერალ-ლეიტენანტ ო. ხოდზკოს დასკვნა ამ საკითხზე. ალ. ნიკოლაი თანაგრძნობით შეხვდა ამ წამოწყებას და 1864 წლის 3 თებერვალს გააცნო იგი მეფისნაცვალს. ამ უკანასკნელმა გეგმა მოიწონა. "მისი უდიდებულესობა იღებს მხედველობაში ციმბირში თქვენ სამეცნიერო საქნიანობას, რომელმაც ამდენი სიკეთე მოუტანა მეცნიერებას და ითვალისწინებს იმას, რომ იგი შემდეგში ნაკლებად შესწავლილ ამიერკავკასიის მხარეში, უფრო მეტი სარგებლობის მოტანას შეძლებს. მოწყალებას იღებს ჩაგრიცხოთ მთავარ სამმართველოსთან"[124]-ატყობინებდნენ გ. რადეს მეფისნაცვლის კანცელარიიდან. 1864 წლის 14 თებერვლის № 1240 წერილით გ. რადეს წინადადება მიეცა მთელი კავკასიის მასშტაბით მოეწყო ექსპედიციები, მოეგროვებინა სამუზეუმო მასალები და გაეშალა ფართო სამეცნიერო სამუშაოები.[125] ამ მიზნით მას მეფისნაცვლის მხარის კეთილმოწყობის ფონდიდან წლიურად დაენიშნა საკმაოდ დიდი თანხა – 3500 მანეთი ვერცხლით. აქედან 1500 მანეთი გამოეყო ექსპედიციების მოსაწყობად, ხოლო 2000 მანეთი—ჩუღფასისითვის, ამასთან ერთად, მან ერთჯერადი დახმარების სახით მიიღო 400 მანეთი საჭირო ხელსაწყოებისა და ნივთების შესაძენად.

1864 წლის გაზაფხულზე გ. რადე გაემგზავრა სვანეთში, ამ მოგზაურობის შედეგად შეიქმნა ნაშრომი "სვანეთი", რომელმაც 20 წლის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი დაიმსახურა.[126]

გ. რადეს მიერ შედგენილი კავკასიის ბიოლოგიურ-ეთნოგრაფიული კვლევის ეგეგმა შედგენილი იყო კვალიფიციურად და საქმის ცოდნით. იგი ითვალისწინებდა მხარის კომპლექსურ შესწავლას. კავკასიის ფლორისა და ფაუნის კვლევასთან ერთად, განზრახული იყო ქვეყნის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე მუშაობა, ნივთიერი მასალის მოძიება—შეგროვება და მათი მეცნიერული დამუშავება.

---

[124] სსმ არქივი, 1864, 11/1 გვ. 1.
[125] სსმ არქივი, 1864, 11/1 გვ. 1.
[126] სსმ არქივი 1885, 29/8, გვ. 27.

იგი მეცნიერულ სამუშაოებს მჭიდროდ უკავშირებდა მუზეუმის ჩამოყალიბებას, სადაც მოხდებოდა შეგროვილი მასალის დაცვა, სისტემატიზაცია და მეცნიერული კლასიფიკაცია.

მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარ სამმართველოში ზემოთ აღნიშნული გეგმის მიღების შემდეგ, 1864 წლის 10 ივნისს გ. რადე გაემგზავრა ექსპედიციაში–ენგურის, რიონის სათავეებისა და ცხენისწყლის აუზის მიდამოებში. 1865-66 წლებში მან მოიარა ლეჩხუმი, სვანეთი, სამურზაყანო, სამეგრელო და აფხაზეთი,[127] ხოლო 1866 წლის შემოდგომაზე იგი უკვე თალიშშია (ლენქორანში). აღნიშნული რეგიონებში მან მდიდარი ბოტანიკური, ზოოლოგიური და გეოლოგიური მასალების შეგროვება მოახერხა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ფრინველთა მდიდარი კოლექცია და კასპიის ნაპირებთან მოკლული ორი სამეფო ვეფხვი.

ამასთან ერთად, ექსპედიციების დროს გ. რადეს საშუალება ჰქონდა შეეძინა ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთებიც. აფხაზეთსა და ახალციხეში მან 90 მანეთად იყიდა ეერცხლის სამი ჩეჩნური ქამარი, ცხენის უნაგირი, იანიჩარის ორი ხმალი, ორი ხანჯალი, დამბაჩა, ქალის სამკაულები, თიხისა და ხის ჭურჭელი. გარდა ამისა, ამ მოგზაურობების დროს მან შეასრულა მოსკოვის საერთაშორისო გამოფენის დირექციის თხოვნა და მისთვის შეიძინა ჯიხვისა და ირმის რქები, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საბრძოლო იარაღი და სხვა. კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი წერილში, გ. რადე დიდი მადლიერებით მოიხსენიებს იმ პირებს, რომლებმაც აღნიშნულ რაიონებში დახმარება გაუწიეს: წებელდის ბოქაულს გიორგი ქურციკიძეს, პოლკოვნიკ თავად როსტომ მარშანიას, ლევან და ალმასხან თოდუებს და სხვ.[128] თავისი მოგზაურობების შესახებ წერილებს გ. რადე სისტემატურად აქვეყნებდა გაზეთ "კავკაზში" და გეოგრაფიული საზოგადოების ანგარიშებში.[129] 1865 წელს მეფისნაცვლის მთავარმა სამმართველომ გამოყო 1100 მანეთი რადეს ნაშრომის "სვანეთის" გამოსაცემად, ხოლო 1867 წელს, როდესაც გამოქვეყნდა "მოგზაურობა სამეგრელოს ალპებში," იმპერატორმა ალექსანდრე II წიგნს წააწერა: "ქადლობა ავტორს ამ ნაშრომისთვის".[130]

---

[127] Записки КОИРГО, кн. VII, 1866, გვ. 1.

[128] სსმ არქივი, 1864, 11/1 გვ. 47.

[129] გაზ. "Кавказ» 1866 1-3; Записки КОИРГО, ნაწ. 8, 1873, გვ. 47.

[130] სსმ არქივი, 1864, 11/1, გვ. 144.

გ. რადე ექსპედიციებში მოგზაურობისას სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებასთან ერთად, ფირზე აღბეჭდავდა საქართველოს ზემოთ ხსენებული კუთხეების დიდებულ პეიზაჟებს და ეთნოგრაფიული შინაარსის სურათებს. ამ პერიოდში კავკასიაში ფეხს იკიდებდა ჯერ ხელვითი დეგორატიპი, ხოლო შემდეგ ფოტოგრაფია. თბილისში უკვე მოღვაწეობდნენ ჩვენში ფოტოგრაფიის პიონერები: სიმონ მორიცი, პოლკოვნიკი ალ. ივანიცკი, გრაფი ნოსტიცი, ლ. გოლდშტეინი და სხვები. მათ ნამუშევრებში დოკუმენტურად აისახებოდა მხარის ფლორა და ფაუნა, ეთნოგრაფიული ყოფა, მატერიალური კულტურის ძეგლები, რაც დიდად უწყობდა ხელს კავკასიის მეცნიერულ შესწავლას. ეს შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზარდა 1963 წლის იანვრიდან, როდესაც თბილისში კავკასიის არმიის შტაბთან ფუნქციონირება დაიწყო ფოტოგრაფიულმა განყოფილებამ. ამ დროს გადაღებული ბევრი ფოტოგრაფიული ნამუშევრი შემდგომში გამოყენებული იქნა კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციებში.

მიელინებებსა და ექსპედიციებში მოგროვებული მრავალრიცხოვანი მასალა საჭიროებდა დაბინავებასა და მოვლას. ამისთვის, როგორც აღვნიშნეთ გ. რადეს გათვალისწინებული ჰქონდა მუზეუმის შექმნა. ამ იდეას მეფისნაცვლის კანცელარიაში ად. ბერჯესა და ალ. ნიკოლაის რეკომენდაციით აქტიურად დაუჭირეს მხარი. ორივე ეს პირი გ. რადეს შემდგომში ყოველთვის მიაჩნდა თავის კეთილ მფარველებად. ა ბერჯეს იგი "მუზეუმის გენიალურ დამაარსებელს" უწოდებდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოგეიანებით მადლიერი გ. რადეს ინიციატივით კავკასიის მუზეუმის ეზოში დაიდგა ად. ბერჯეს ბრინჯაოს ბიუსტი. ხოლო ალ. ნიკოლაის პორტრეტი დიდხანს ეკიდა მუზეუმის ეესტიბიულში.

ახალი მუზეუმის შექმნის პროექტის მომზადება მიანდეს გ. რადეს. პროექტის პრაქტიკულად განხორციელება ამ პერიოდისათვის საკმაოდ რეალური ჩანდა, რადგან გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი 1864 წლის აგვისტოდან აღარ ფუნქციონირებდა და მისი მრავალრიცხოვანი ექსპონატი პატრონობასა და დაცვას მოითხოვდა.

გ. რადემ სასწრაფოდ შეადგინა ახალი მუზეუმის შექმნის პროექტი, რომელიც არ მოითხოვდა დიდძალი თანხების დაბანდებას. პროექტი წარუდგინეს კავკასიის მეფისნაცვალს, რომელმაც 1865 წლის 2 ივნისს დაამტკიცა აღნიშნული

პროექტი და მუზეუმის შტატი.[131] ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ახალი მუზეუმის ისტორიის დასაბამად. 1865 წლის 14 ივნისს გ. რადე დაინიშნა შესაქმნელი მუზეუმის დირექტორად და იმავე წლის ოქტომბერში მიენიჭა "კოლეგიის ასესორის" ჩინი. 1866 წლის იანვარში კი იგი დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის II ხარისხის ორდენით, ხოლო იმავე წლის აპრილში აირჩიეს დრეზდენის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად.[132]

მუზეუმის საშტატო განრიგით, გათვალისწინებული იყო მხოლოდ დირექტორის და პრეპარატორის თანამდებობები, ხოლო ტექნიკური მუშაკების (პრეპარატორის მოწაფისა და დარაჯის) მოწვევა უნდა მომხდარიყო თავისუფალი დაქირავების წესით. მუზეუმს ხარჯთაღრიცხვით ექსპონატების შესაძენად ყოველწლიურად უნდა დახარჯულიყო 500 მანეთი ვერცხლით. ამავე დროს, კარადებისა და სამუზეუმო ავეჯის დასამზადებლად სპეციალურად გამოიყო 2000 მანეთი.[133] ხელისუფლებისგან ზურგგამაგრებულები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ახალი მუზეუმის ჩამოყალიბებას.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა იყო ის, რომ მუზეუმისთვის დროებით დაიქირავეს საკმოთახიანი ბინა სერგეევის (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე.

1865 წლის 12 მარტს მეფისნაცვლის კანცელარიის მთავარმა სამმართველომ კონტრაქტი დადო თბილისელ ჩოკალაქეებთან ისაკ და ალექსანდრე ცოვიანოვებთან ქალაქის პირველი ნაწილის მესამე კვარტალში, მათ მიერ ახლად აშენებული სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ბინის 4 წლით დაქირავების შესახებ. სახლის მეპატრონეებისთვის წლიურად უნდა გადაეხადათ 1200 მანეთი ვერცხლით. მუზეუმს უნდა დათმობოდა აგრეთვე ფლიგელი საკუჭნაოსთვის, სათავსო დარაჯისთვის და შენობის ქვეშ არსებული სარდაფის ნაწილი. ცოვიანოვებს ეკისრებოდათ საჭიროების "შემთხვევაში ჩაეტარებინათ შენობის ყველა სარემონტო სამუშაოები. ორი წლის ბინის ქირა 2400 მან. ოდენობით უნდა გადახდილიყო წინასწარ.[134]

1865 წლის 14 ივნისს დამტკიცდა კავკასიის მუზეუმის დებულება, რის მიხედვითაც: "კავკასიის მუზეუმი ფუძნდება

---

[131] "Кавказский календарь» на 1867 г; გვ. 275.

[132] სსმ არქივი, 1883, 27/16, გვ. 72.

[133] სსმ არქივი, 1864, 11/1, გვ. 33.

[134] სსმ არქივი, 1864, 11/1, ფ. 3.

ტფილისში და ექვემდებარება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს –საერთო საქმეების დეპარტამენტის მეშვეობით".

დებულებაში ჩამოყალიბებული იყო მუზეუმის მიზნები და ამოცანები: "მუზეუმის მიზანია კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასალების შეგროვებით, მათი ფონდებში მოთავსებით, გამოფენით და შესწავლით ნათელი წარმოდგენა შექმნას ცოდნის ამ დარგზე და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს კავკასიის ბუნების ისტორიის შესწავლას".[135] დებულების მე-3-ე მუხლით, ახლად შექმნილი მუზეუმი სტრუქტურულად შედგებოდა სამი განყოფილებისგან: ზოოლოგიური, მინერალოგიური და ბოტანიკური. განყოფილებებთან ფუნქციონირებდა ტექნიკური ლაბორატორია–ფიტულების, ჩონჩხების და სხვა ნივთების დასამუშავებლად და ეთნოგრაფიული კაბინეტი, სადაც თავი უნდა მოეყარა ყველა იმ საგანს, რომელიც ასახავდა კავკასიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას. დებულებით განსაზღვრული იყო მუზეუმის მუშაობის შინაარსი. მის მთავარ ამოცანას შეადგენდა მოძიებითი სამუშაოების ჩატარება და მოპოვებული ნივთების მუზეუმში წარდგენა, რისთვისაც უნდა მოწყობილიყო სამეცნიერო ეოგსაურობები და ექსპედიციები. მუზეუმში შესული ყოველი ნივთი უნდა აღერიცხათ, შეესწავლათ და დაეცვად. თითოეულ ნივთს უნდა შებმოდა პატარა ფირფიტა სათანადო განმარტებებით.[136]

მუზეუმს უნდა ეზრუნა ფონდში დაცული კოლექციების კატალოგების გამოსაქვეყნებლად და დაფუძნებიდან ერთი წლის შემდეგ უნდა მოეხერხებინა გამოფენის მოწყობა.

კავკასიის მუზეუმის დებულება თავისი ხელმოწერით 1865 წლის 14 ივნისს დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვალმა, გენერალ ფელდცეიხმეისტერმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ.

კავკასიის მუზეუმის დაარსება მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, როგორც ქართველი ერის, ისე მთელი კავკასიის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში, ამ მხარის ისტორიის, მატერიალური კულტურისა და ბუნების შესწავლის საქმეში. მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის დაარსება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერიის კოლონიურ ზრახვებთან–გამოეკელია და შეესწავლა ახლად დაპყრობილი მხარე, განსაკუთრებით კი რეგიონის ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობები, მისი რესურსები და

---

[135] სსმ არქივი, 1864,11/1 ფ.22.

[136] სსმ არქივი, 1864,11/1, ფ.22

რეზერვები და თავის სასარგებლოდ გამოეყენებია იგი. ეს აშკარად არის გაცხადებული ზემოთ აღნიშნულ დებულებაში.

თუ როგორ ესმოდა გ. რადეს მის მიერვე დაარსებული მუზეუმის დანიშნულება და მიზნები, ნათლად ჩანს მის ერთ-ერთ ანგარიშში. მართალია იგი ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკაზე წერდა, მაგრამ იგი შეიძლება თამამად მიესადაგოს თავისი დაწესებულების მეორე ნაწილსაც—მუზეუმსაც: "ემსახურება რა ამ განაპირა მხარეში რუსულ მეცნიერებასა და რუსეთის მსოფლმხედველობის გავრცელების ინტერესებს, ბიბლიოთეკა ყოველთვის ითვალისწინებდა ხელისუფლებისგან მითითებულ მიზნებს და შესაძლებლობის ფარგლებში ესწრაფვოდა ხელი შეეწყო სხვადასხვა პირებისთვის მეცნიერულ მუშაობაში"[137]

პირველი კოლექციები, რომელთა საფუძველზეც შემდგომ შეიქმნა მუზეუმის ფონდები, იყო გ. რადეს მიერ ზემოხსენებულ ექსპედიციებში მოპოვებული საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული მასალები, აგრეთვე ამ პერიოდში შეძენილი ნიუთები: 2100 მანეთად იყიდეს ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები, ტყავები და რქები; 1865 წლის ივნისში ვიტენბურგელი მეცნიერის ჰოგენაკერისგან 600 მანეთად შეიძინეს ჰერბარიუმი, რომელიც შედგებოდა კავკასიის მცენარეთა 2800 ეგზემპლარისგან; 250 მანეთად გ. შმიდტისგან იყიდეს მინის ძველებური ჭურჭელი, 1866 წლის ანგარიშის მიხედვით მუზეუმს თანხა გადაუხდია ხევსურული საომარი აღჭურვილობის, აფხაზური ტანსაცმლის, სპარსული ეთნოგრაფიული ნივთების, სომეხი ქალის ჩადრის, ყუბური ნოხების, ფარდაგებისა და ხალიჩების შესაძენად. პირველ წლებში გ. რადეს სულ შეუძენია: 1865 წელს – 187, 1866 წელს – 529, ხოლო 1867 წელს 128 ექსპონატი.[138]

მუზეუმის პირველი კოლექციების დაკომპლექტებაში გარკვეული ადგილი ეკავათ სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციებისგან შემოწირულობებს. მაგალითად, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ მუზეუმს შესწირა ფერწერული ტილო "დღესასწაული სვანეთში", 1867 წელს რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დახურვის შემდეგ, კავკასიის მუზეუმს გადმოეცა ეთნოგრაფიულ-ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი 288 ცალი მანეკენი. როგორც ჩანს, იმ დროს ანთროპოლოგიური ტიპაჟების ჩვენებას დიდი გამოყენება ჰქონია რუსეთის

---

[137] სსმ არქივი, 1864, 11/1, ფ.63.

[138] ჟორდანია გ. კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1955, გვ. 97.

მუზეუმებში.[139] დუშეთის სამხედრო ჰოსპიტლის ექიმმა ჩ. მოსტოვიჩმა მუზეუმს გადასცა 1861 წელს მოზდოკთან სტანიცა ნაურსკაიასთან ნაპოვნი პალეონტოლოგიური მასალა – უძველესი სპილოს გაქვავებული ნაშთები, ასეთივე მასალა აღმოჩენილი სოფელ დარგოსთან მუზეუმს შესწირა გენერალ მაიორმა ა. გოლვაჩევმა, გვარდიის შტაბს კაპიტანმა თავადმა ფ. ბებუთოვმა მუზეუმს გადასცა ცოცხალი არწივი, რომელიც მან ხელთ იგდო წენეთში[140] და სხვა.

მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით, 1866 წლის ოქტომბერში მუზეუმს გადაეცა ყუბის ოლქის უფროსის მიერ თბილისში ჩამოტანილი ხელით დამზადებული ქსოვილები. 1866 წლის დეკემბერში ტამანის ყურესთან ხუტორ ბოროვიკთან ი. მიხაილოვმა იპოვნა მარმარილოს ფილა 4 სტრიქონიანი ძველი ბერძნული წარწერით, მეფისნაცვლის განკარგულებით იგი კავკასიის მუზეუმს გადაეცა. ასევე მეფისნაცვლის მეშვეობით შეემატა მუზეუმის ფონდებს ბიჭვინთის ტაძრის საკურთხეველში შემთხვევით აღმოჩენილი XIII საუკუნის დროინდელი ვერცხლის რვა მონეტა და სტავროპოლის გუბერნიაში სტაროგლატკოვოს სტანიცასთან ყარანოღაელების მიერ ნაპოვნი ძვირფასი განძი, რომლის საერთო წონა ორ ფუნტს (818 გრ.) აღემატებოდა. განძში იყო ოქროს და ვერცხლის ქალის სამკაულები, 100-ზე მეტი მონეტა, სამეურნეო და საოჯახო ნივთები.[141] არა ნაკლებ საინტერესო იყო აგრეთვე ყუბანის ოლქში სტანიცა დიადკოვოს ახლოს კაზაკ პროცენკოს მიერ მიწაში შემთხვევით ნაპოვნი სამკაულებიანი ქალის კირქვის ქანდაკება, რომლის სიმაღლე 2,5 ადლს აღწევდა. ქ. ეკატერინოდარში კაზაკთა ჯარების ალლუმზე მყოფმა მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა ნაპოვნი ნივთი გადაეგზავნათ კავკასიის მუზეუმისთვის, რაც მკისვე შესრულდა.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ახლად ჩამოყალიბებული დაწესებულების დაკომპლექტება კადრებით. მუზეუმის თანამშრომლად პრეპარატორის თანამდებობაზე 1866 წლის თებერვალში გერმანიიდან მოიწვიეს სამუზეუმო საქმის კარგი სპეციალისტი კარლ მიულერი, რომელიც აღრე ქ. შტუტგარტში ცნობილ პლუკეს მუზეუმში მუშაობდა. აქისათვის გ. რადემ მეფისნაცვლის კანცელარიას 2000 მან. და ცოტაოდენი

---

[139] ბოლქვაძე ს., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, სსმ მოამბე XXX-ბ, 1974, გვ.158.

[140] სსმ არქივი, 1864, 11/1, გვ. 146.

[141] იქვე. გვ. 135.

უცხოური ვალუტა მოსთხოვა. მოკლე ხანში მიულერმა შეძლო ცხოველთა და ფრინველთა მრავალი ფიტულის დამზადება.[142] მას მოწაფედ დაუნიშნეს ახალგაზრდა ნიკოლოზ ქუკოვი. მუზეუმის დარაჯად დაიწყო მუშაობა ფეოდორ მაგალიტინმა. ამ პერიოდში ყველა თანამშრომელი ცხოვრობდა მუზეუმის შენობაში.

ბაგრამ პირველმა სიძნელეებმაც მალე იჩინა თავი, დაქირავებული ბინა ძალზე პატარა და ვიწრო აღმოჩნდა სამუზეუმო ექსპონატებისთვის, ხოლო პრეპარატორი კარლ მიულერი კახური ღვინის დიდი მოტრფიალე გამოდგა და დირექცია იძულებული გახდა ჯერ რამდენიმეჯერ გაეფრთხილებინა, ხოლო შემდეგ გაენთავისუფლებინა იგი სამუშაოდან.

მალე თბილისის საზოგადოების, გ. რადესა და მისი მეგობრების წყალობით ყველა დაბრკოლება გადაილახა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალის ის, რომ 1865 წლის ნოემბერში მოხერხდა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გაუქმებული მუზეუმის მრავალრიცხოვანი კოლექციისა და სამეურნეო ინვენტარის გადაცემა გ. რადეს მიერ ახლად ჩამოყალიბებული მუზეუმისთვის.

1867 წლის 2 იანვარს სერგეევის ქუჩის ზემოხსენებული ბინის მეორე სართულის სამ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მუზეუმის გამოფენა, რომელსაც თავიდანვე დიდი ინტერესი გამოუწვევია. მის გახსნას ესწრებოდნენ კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე და თბილისის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გამოფენა დამთვალიერებელთათვის ღია იყო კვირაში ორჯერ. გაზეთი "კავკაზი" 1867 წლის 5 იანვარს უკვე აუწყებდა თავის მკითხველებს: "კავკასიის მუზეუმი ღიაა მნახველებისთვის საშაბათობით და პარასკევობით დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე. მუზეუმის სახსრების გასაძლიერებლად და მის ეანვითარებაში საზოგადოების მოსაზიდად, მუზეუმში შესვლისთვის ყოველ პირზე წესდებოდა გადასახადი 20 კაპიკის ოდენობით. შესასვლელი ბილეთები იყიდებოდა კავკასიის მუზეუმთან არსებულ ლაბორატორიაში.

დამთვალიერებელთა დიდი რაოდენობით თავმოყრის თავიდან ასაცილებლად ერთდროულად გაიცემოდა მხოლოდ 50-მდე შესასვლელი ბილეთი. ყველა ბილეთის გაყიდვის

---

[142] Коллекция Кавказского музея, ტ.VI, ტფ., 1912, გვ. 78.

შემთხვევაში მუზეუმში შემსვლელები უნდა დალოდებოდნენ გამომსვლელებს. ბავშვები 15 წლამდე დაიშვებოდნენ მხოლოდ მშობლებთან, მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან ერთად. ბავშვები 7 წლამდე მუზეუმში არ დაიშვებოდნენ. სახელმწიფო და კერძო სასწავლო დაწესებულებათა მოსწავლეებს თავიანთ აღმზრდელებთან ერთად შეეძლოთ უფასოდ მუზეუმს სტუმრებოდა ნებისმიერ დღეს და საათს, მუზეუმის დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით.[143]

გასაგებია, რომ სამოთახიან ბინაში საგამოფენო ფართის დიდი შეზღუდულობის გამო სამუზეუმო მასალათა ექპონირება სისტემატიზაციისა და სამუზეუმო წესების სრული დაცვით ძნელად თუ მოხერხდებოდა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო საფონდო მასალების ჩვენება იყო, ვიდრე თემატური გამოფენა.

ამიტომ იყო, რომ მუზეუმის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში მისმა დირექტორმა გ. რადემ პირველ რიგში მუზეუმისთვის სპეციალური შენობის აგების საკითხი დააყენა. მან აქვე ჩამოაყალიბა ასეთი შენობის ადგილის შერჩევისა და მშენებლობის გეგმა. გ. რადეს აზრით, შენობა უნდა აგებულიყო აუცილებლად ქალაქის ცენტრში საჯარო ბიბლიოთეკის გვერდით, რომელიც მაშინ მდებარეობდა ალექსანდრეს (დთევანდელი 9 აპრილის) ბაღში. გეგმით მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობები უნდა შეერთებულიყო გალერეით. შენობის ზედა სართულზე განთავსდებოდა მუზეუმი და ბიბლიოთეკა, ხოლო ქვედა სართულზე იქნებოდა თანამშრომელთა საკუშაო ოთახები და ლაბორატორიები.[144]

მიუხედავად დიდი სივიწროვისა, მუზეუმის გამოფენას დიდი ინტერესი გამოუწვევია თბილისის საზოგადოებაში და ღამთვალიერებლებიც ბევრი ჰყოლია. გაზეთ "კავკაზის" კორესპონდენტი, რომელიც მუზეუმს სტუმრებია გადმოგვცემს, რომ "მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში 15—20 ღამთვალიერებელი ყოველთვის იყო".

ამ გამოფენამ მხოლოდ 1868 წლის იუნისამდე, ე. ი. წელიწადნახევარი იმუშავა და ამ დროის განმავლობაში თუ მხოლოდ გაყიდული ბილეთების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი დაუთვალიერებია 1710 კაცს.[145] თუ გავითვალისწინებთ იმას,

---

[143] გაზ. "Кавказ», 1867 წლის 2, 5 იანვარი.

[144] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, გვ. 78.

[145] Радде Г.,Краткий очерк истории развития Кавказского музея, ტფ.,1891, გვ. 63.

რომ ბევრს ჰქონდა უფლება უფასოდ სტუმრებოდა მუზეუმს, მაშინ, "კავკასსკი კალენდარში" მოყვანილი ცნობა, რომ 1868 წ. 4300 კაცი ეწვია მუზეუმს, არ უნდა გაგვიკვირდეს.[146]

მალე მუზეუმი კვირაში სამდღიან ახალ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა. აი როგორი სარეკლამო განცხადება იყო გამოქვეყნებული რუსულენოვან გაზეთ "კავკაზში" ქართულად 1867 წლის იანვარში: "კავკასიის მუზეი საზოგადოდ აცხადებს, რომ მუზეის ნახვის და გასინჯვის მსურველთ ნება აქვთ იარონ სამშაბათობით, პარასკეობით, და კვირაობით ათი საათიდან დილის სამ საათამდე შუადღის უკან. მუზეი გამართულია პირველი ჩასტის პირველ კვარტალში ცოვიანოვის სახლში".[147]

თუ რა კოლექციები იყო წარმოდგენილი კავკასიის მუზეუმის გამოფენაზე, კარგად ჩანს გ. რადეს მიერ გერმანულად გამოქვეყნებული ანგარიშებიდან, რომელიც მოჰყავს კ. ჰანს წიგნის —"კავკასიის მუზეუმის კოლექციები"–მე-6 ტომში. ამის შესახებ აგრეთვე ერცელი სტატია აქვს გამოქვეყნებული გ. რადეს გაზ. "კავკაზის" და "კავკაზსკი კალენდრის" ფურცლებზე.

პირველ დარბაზში წარმოდგენილი იყო ეთნოგრაფიული და ისტორიული შინაარსის ექსპონატები—ჩრდილოეთ კავკასიაში შემთხვევით ნაპოვნი, ან შეძენილი არქეოლოგიური ნივთები: ქვის ჩაქუჩები და ხელსაფქვავები. ოსეთსა და ყუბანში მოპოვებული ბრინჯაოს პატარა ფიგურები, რკინის ისრის პირები და სხვა. ამ მასალათა დიდი ნაწილი გადმოცემული იყო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებიდან. გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ყუბანსა და ტამანის ნახევარკუნძულზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნივთები. მეტად საინტერესო იყო ქერჩში მოპოვებული ანტიკური ხანის თიხის ჭურჭლები და ქალის მდიდრული, ძვირფასი სამკაულები.[148]

შედარებით უფრო ერცლად იყო წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ექსპონატები: კავკასიონის ხეობებში მოსახლე მთიულთა საოჯახო ნივთები, მუსიკალური საკრავები და სამეურნეო ნივთები, აქვე იყო გამოფენილი თურქი ქალის ძვირფასი სამკაულები. სპეციალურ ვიტრინაში მოთავსებული იყო სპარსული იარაღის მდიდარი კოლექცია და მეომრის

---

[146] "Кавказский календарь" на 1869 г., გვ. 392.

[147] გაზ."Кавказ», 1867, № 10. —

[148] გაზ. «Кавказ», 1867 № 33, გვ. 191.

სრული აღჭურვილობა: მუზარადი, აბჯარი, ფარი, ხმალი, შუბი, სატევარი და სხვა.[149]

ამავე დარბაზში ერცლად იყო წარმოდგენილი ეთნოგრაფიულ ტანსაცმელში გამოწყობილი მანეკენები მუზეუმის გახსნისთვის მხოლოდ თუშის, აფხაზის, ახალციხელი სომეხი კაცისა და ქალის მანეკენების დამზადება მოასწრეს. გ. რადეს გადმოცემით, მუზეუმის ფონდებში სრულად იყო დაცული რუსეთის იმპერიაში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ფიგურები, რომლებიც დამზადდა პეტერბურგში მხატვარ ლ. გეიზერის სახელოსნოში.[150]

გამოფენილი იყო აგრეთვე კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბში დაბეჭდილი ფოტოები, რომელიც დამთვალიერებელს აცნობდა კავკასიის ხედებსა და მისი სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებს.

მეორე დარბაზში წარმოდგენილი იყო ზოოლოგიური ექსპონატები, რომელთა დიდი ნაწილი შეგროვილი იყო გ. რადეს მიერ 1864-65 წლებში კავკასიაში მოწყობილი ექსპედიციების დროს. მას დაემატა მხოლოდ ტროპიკული ქვეყნების ცხოველთა ფიტულების კოლექცია, რომელიც მეცნიერებათა აკადემიიდან იქნა მიღებული. ექსპოზიციაში ბევრი უნიკალური ზოოლოგიური ეგზემპლარი იყო წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მდიდარი იყო ხერხემლიანთა მსხვილ და წვრილ ოთხფეხოა კოლექციები. ინტერესს იწვევდა კატის და ძაღლის ოჯახის წარმომადგენელთა ტყავები და ფიტულები, აგრეთვე მამონტის ძვლები და კბილები, რომლებიც აღმოაჩინეს სოფელ დარგოში. ორნითოლოგიური კოლექცია შედგებოდა 500-ზე მეტი კავკასიური ფრინველის ფიტულისაგან. აქვე იყო ლენქორანიდან ჩამოტანილი ფრინველთა კვერცხის ნიმუშები. იხტიოლოგიური კოლექცია წარმოდგენილი იყო შავსა და კასპიის ზღვებში ბინადარი თითქმის ყველა სახის თევზებისგან. ასევე სრულად იყო ეამოფენილი კავკასიის ქვეწარმავალთა სახეობები.

ექსპონირებული იყო უხერხემლოთა ცალკეული წარმომადგენლები, ბორჯომის ხეობაში შეკრებილი პეპლების 400-ზე მეტი ექსპონატი. აკადემიკოს ჰ. აბიხის მიერ გადმოცემული მწერები, ნიჟარები და სხვა.[151]

---

[149] "Кавказский календарь" на 1867, გვ. 275.

[150] გაზ." Кавказ» 1867, № 34, გვ. 191.

[151] გაზ. "Кавказ» 1867, № 35, გვ. 200.

მესამე დარბაზში წარმოდგენილი იყო ბოტანიკური და გეოლოგიური მასალები. აქ გამოფენილი კოლექციები შედგებოდა კავკასიის თითქმის ყველა სახეობის ხისა და ბუჩქნარი მცენარეულობებისგან. აქვე იყო კავკასიური ტორფის სხვადასხვა ნიმუშებიც. მეცნიერული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროფესორ ჰოგენაკერის მიერ მტკვრის ზემო წელზე, კოლხეთსა და აფხაზეთის მთებში შეკრებილი ბოტანიკური მასალები. აღნიშნული ჰერბარიუმი მეცნიერულად დაამუშავეს ბოტანიკოსებმა ა. ფიშერმა და გ. მეიერმა. საინტერესო იყო აგრეთვე ყირიმში შეკრებილი ჰერბარიუმი, რომელიც 1852-54 წლებში შეადგინა მ. სტევენმა.[152]

გეოლოგიურ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო: დაღესტნიდან ჩამოტანილი იურისა და ცარცის ფორმაციის მთის ქანების ნიმუშები აკადემიკოს აბიხის მიერ შეკრიბილი; ახალციხის აუზისა და მისი შემოგარენის ვულკანური ოლქის მესამეული ფორმაციის პეტროგრაფიული კოლექცია; ახალციხიდან და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროდან შეკრებილი მესამეული ფორმაციის ნამარხეულის ნიმუშები; დასავლეთ კავკასიიდან (ყუბანიდან და ტამანიდან) ნავთობიანი ქანების კოლექციები; ტყიბულიდან ჩამოტანილი კავკასიური ქვანახშირის და მადანშემცველი ქანების ნიმუშები და სხვა.[153]

ასეთი იყო კავკასიის მუზეუმის პირველი გამოფენა. მისი გახსნა ღირშესანიშნავი მოვლენა იყო თბილისელებისთვის. მას დიდი მოწონებით შეხვდა საზოგადოება. აი რას წერდა გაზეთ "კავკაზის" კორესპონდენტი 1867 წლის იანვარში: "კავკასიის მუზეუმის გახსნამ გაგვაბედნიერა თბილისელები. პატივი და დიდება მას, ვისაც პირველად მოუვიდა აზრი მისი შექმნისა. ქება და გულწრფელი მადლობა მას, ვინც პრაქტიკულად განახორციელა ეს ჩანაფიქრი. გაკეთდა სასარგებლო საქმე. არ შეიძლება მადლობა არ მოვახსენოთ ბ–ნ რაღეს მუზეუმის მოსაწყობად გაწეული დიდი შრომისთვის, კეთილსინდისიერად და შემოქმედებითად შესრულებული ამ საქმისთვის."[154]

გამოფენაზე წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი მასალის ჩამოთვლაც იკმარებდა იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნა, თუ რა პრობლემებს შეუქმნიდა მუზეუმის თანამშრომლებს საგამოფენო ფართის სიმცირე. სამ ოთახში მათი გამოფენა მეტად გადატვირთავდა ექსპოზიციას. ამის გამო მუზეუმისთვის

---

[152] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ., 1912 გვ. 79.

[153] "Кавказский календарь" на 1867, გვ 256.

[154] "გაზ. "Кавказ» 1867, № 18.

გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა ახალ, უფრო ერცელ შენობაში გადასვლის საკითხი.

მუზეუმისთვის შესაფერი სპეციალური შენობის აგება დააჩქარა ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა. კავკასიაში მოგზაურობას აპირებდა და თბილისში უნდა ჩამოსულიყო რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე დედოფლითა და სამეფო ოჯახით. მასპინძლებს მიაჩნდათ, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა აუცილებლად უნდა სტუმრებოდა მუზეუმს და დაეთვალიერებინა იგი.

სულ მალე, მუზეუმის შენობის ასაგებად მეფისნაცვლის კანცელარიაში გამოინახა სათანადო თანხები. მთავრობამ თავდაპირველი სამუშაოებისთვის 26000 მანეთი გამოყო და დაიწყო პროექტის მომზადება. განხილული იქნა ე. წ. "ინგლისელთა პროექტი", რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე სტილის, მინისა და ლითონის კონსტრუქციის შენობის აგებას ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზე, რაც დაჯდებოდა 62, 933 მან. და 53 კაპ.[155] მაგრამ მშენებლობის დაწყება გადაწყდა გოლოვინის გამზირის დასაწყისში, არაგვის ერისთაველებისა და თავადაზნაურთა საკრებულოს შენობის ახლოს, მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ თაეისუფალ ტერიტორიაზე, სადაც ნიკოლოზის (დღევანდელი ნატო ვაჩნაძის) ქუჩის გასწვრივ თავად გაგარინისა და ინჟინერ ა. ზალცმანის დაუმთავრებელი სახლების საძირკველი იყო ჩაყრილი. სიმტკიცეზე შემოწმების შემდეგ, განიზრახეს ამ მიტოვებული შენობების საძირკვლის გამოყენება.[156] შენობის პროექტის შედგენა დაეკალა არქიტექტორ ალ. ზალცმანს (უმცროსს), რომელსაც ამასთან ერთად მიეთითა, რომ მუზეუმის შენობას არ უნდა დაეფარა მეფისნაცვლის სასახლიდან გადაშლილი მშვენიერი ხედი, საიდანაც მოჩანდა ქალაქის დიდი ნაწილი კახეთის მთების გაყოლებამდე. ამიტომ მუზეუმის შენობა მეფისნაცვლის სასახლის მიმართებაში პერპენდიკულარულად უნდა აგებულიყო.

ამავე პერიოდში დაისვა კავკასიის მუზეუმთან თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მიერთების საკითხი.

კავკასიის მუზეუმთან, როგორც სოლიდურ, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან, მუზეუმის მესვეურთა მიერ ჯერ კიდევ მოიაზრებოდა ბიბლიოთეკის არსებობაც, სადაც ყველა მოიყრიდა კავკასიის შესახებ არსებული

---

[155] სსმ არქივი, 1864, 1/1 გვ. 49.

[156] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 38.

საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ლიტერატურა, რაც გააძლიერებდა მუზეუმის სამეცნიერო პოტენციალს. ასეთ პარტნიორ--დაწესებულებად მიჩნეულ იქნა ე. წ. "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა". რომელმაც მუზეუმთან გაერთიანებამდე გარკვეული განვითარების გზა განელო და თავისი ტრადიციები გააჩნდა.

იგი დაარსდა 1846 წლის იანვარში კავკასიის მეფისნაცვლის მ. ეორონცოვის ინიციატიით[157] და განთავსებული იყო კანცელარიის ორ პატარა ოთახში, ხოლო წიგნები გაბნეული იყო სხვადასხვა შენობების სარდაფებში. მას სინესტისა და სიციწროვისაგან დიდი საფრთხე ადგა.

თავდაპირველად ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა დაეკალა მეფინაცვლის სამოქალაქო კანცელარიის უფროსს მოხელეს გაბრიელ ტოკარევს. იგი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის მოვალეობას და ორწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგად შეადგინა ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული საძიებელი.

ამ პირველი ბიბლიოგრაფიული საძიებელიდან ჩანს, რომ ბიბლიოთეკა ძირითადად დაკომპლექტებული ყოფილა რელიგიური, მხატვრული და ფილოსოფიური შინაარსის წიგნებით.[158]

ბიბლიოთეკის ციგნსაცავი ძირითადად ივსებოდა შემოწირულობებით. მათ გაზეთ "კავკაზის" ფურცლებზე მოიხსენიებდნენ და მადლობას უცხადებდნენ. პირველი ასეთ შემომწირველები იყვნენ: ეგზარქოსი ისიდორე, ეპისკოპოსი იერემია, ისტორიკოსი პლ .იოსელიანი, ცნობილი მოღვაწეები დ. ჩუბინაშვილი, მ. ჭილაშვილი, ფ, ცაგარელი, ა. ლორის--მელიქოვი, მ. ობოლენსკი, პოლკოვნიკი ი. პოტოცკი და სხვები.

ბიბლიოთეკას მეფინაცვალი მ. ეორონცოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. იგი არა მარტო პირად წიგნებს სწირავდა ბიბლიოთეკას, არამედ ენერგიულ ზომებსაც იღებდა მისი ფონდების გასადიდებლად. მან თხოვნით მიმართა განათლების სამინისტროსა და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებს, რომ მათ დაქვემდებარებულ სამეცნიერო დაწესებულებებს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისთვის უფასოდ გადაეცათ თავიანთი გამოცემული წიგნები. ასევე საჯალდებულო წესით, 1852 წლის 10 ივნისის

---

[157] გაზ. "Кавказ", 1848, 5 ივნისი

[158] გაზ. " Кавказ", 1847, 16 августа, Токарев Г.,Об источниках сведений о Кавказе.

ბრძანებით, უნდა მოხვედრილიყო ბიბლიოთეკის თაროებზე კავკასიაში გამოცემული ყოველი წიგნის ორი ეგზემპლიარი.

1848 წლის აგვისტოში, მ. ვორონცოვის სახსრებით შეიძინეს პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ა. დეგუროვის პირადი წიგნები,[159] რომელიც მოგვიანებით გადაეცა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

მეფისნაცვლის კანცელარიის შენობაში 1848 წლის 5 ივნისს მკითხველებისათვის გაიხსნა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი. ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკაში უკვე ირიცხებოდა 14 ენაზე გამოცემული 900 დასახელების 3000-ზე მეტი წიგნი. აქედან 145 დასახელების 288 წიგნი კავკასიას შეეხებოდა.[160] სულ მალე, ერთი წლის შემდეგ, ბიბლიოთეკა მოითვლიდა 1957 დასახელების 5429 წიგნს, ხოლო აქედან 323 დასახელების 515 წიგნი კავკასიაზე იყო.[161]

მკითხველისათვის შდგენილი იყო სისტემატური, ანბანური და საინვენტარო კატალოგი.

რადგან ბიბლიოთეკა ფართის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, მ. ვორონცოვის წინადადებით ქართველ გრენადერთა პოლკის უფროსმა, გენერალ-მაიორმა და პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა ქალაქის ცენტრში ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში 1851 წელს ააგო ერთსართულიანი შენობა,[162] რომელიც იჯარით გადაეცა ბიბლიოთეკას. ამავე პერიოდში დაწესდა "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის" თანამდებობაც.[163]

ახალ შენობაში დაბინავებულმა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკამ 1852 წლის 1 მაისს მიიღო თავისი პირველი მკითხველები. ამ დროს ბიბლიოთეკაში უკვე 5249 დასახელების 13051 წიგნი ირიცხებოდა. აქედან 477დასახელების 873 წიგნი კავკასიას შეეხებოდა.[164]

ამავე წელს ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნეს ლიუდვიგ დე სენ-ტომა, რომელიც რამოდენიმე თვის შემდეგ, მისმა ვაჟმა, პროფესიით ნუმიზმატმა, ვლადიმერმა შეცვალა. ამ უკანასკნელმა თანამდებობაზე 1857 წლამდე დაყო.

---

[159] სსმ არქივი, 1848, 3\323, გვ.218.

[160] გაზ. "Кавказ," 1848 5 ივნისი.

[161] გაზ. "Кавказ," 1850 21 იანვარი, № 6.

[162] " Кавказский календарь" на 1856 г., Тифлисская публичная библиотека, გვ. 217.

[163] " Сенатские ведомости", 1850 .26 აპრილი.

[164] Бержe А.,,Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки (1846-1861), ტფ.,1861,გვ. 10.

ბიბლიოთეკის ციგნსაცავი სწრაფად იზრდებოდა. იგი რეგულარულად იღებდა წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან. მას სისტემატურად აწვდიდნენ თავის გამოცემებს მეცნიერებათა აკადემია, საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა, განათლების სამინისტრო, კავკასიის ცენზურის კომიტეტი და სხვები.

ბიბლიოთეკის განვითარება შეაფერხა ყირიმის ომის დაწყებამ. 1853—1856 წლებში წიგნები აღარ შემოდიოდა ოდესიდან და სამხრეთ რუსეთის ქალაქებიდან. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა.

1858 წლის თებერვალში ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა ადოლფ ბერჟე. მან თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავის დაწესებულების სპეციალიზაციას და მის კავკასიოლოგიური ლიტერატურით სწორად დაკომპლექტებას: "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის თავისებურება ის არის, რომ იგი კავკასიის შესახებ სპეციალური წიგნსაცავია. ამით გამოირჩევა ის სხვებისაგან"[165]--აღნიშნავდა იგი.

მალე ა. ბერჟემ ხელი მოჰკიდა ბიბლიოთეკისათვის ბიბლიოგრაფიული კატალოგის შედგენას და 1861 წლის დასაწყისში გამოსცა კიდეც იგი. კატალოგი ანბანური და სისტემატური ნაწილისაგან შედგებოდა და მოიცავდა 5290 დასახელების 11655 წიგნს.[166] ამასთან ერთად, მან გ. რადეს, ჰ. აბიხის და ი. სტებნიცკის რეკომენდაციით შეადგინა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული შინაარსის წიგნების სია, რომლითაც უნდა შეესებულიყო ბიბლიოთეკა.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისადმი ზრუნვა გააგრძელა კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ. მან ბიბლიოთეკას გამოუყო 3500 მანეთი ერთდროული დახმარება. მისივე ინიციატივით ა. ბერჟე მიავლინეს საფრანგეთსა და გერმანიაში წიგნების შესაძენად.

ა. ბერჟე განათლების მინისტრს მოახსენებდა: "კავკასიის მეფისნაცვალმა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გამდიდრება ისურვა და მიმავლინა გერმანიასა და საფრანგეთში დავალებით, რომ შემეძინა კავკასიის შესახებ წიგნები."[167]ა. მას ლაიფციგში ბროკჰაუზისგან, პეტერბურგში ბოტეპაქისა და კალუგინისაგან შეუძენია 470 დასახელების წიგნი და 40 რუკა.

---

[165] იქვე, გვ. 12.
[166] Берже А., დასახ. ნაშრ., გვ. 18.
[167] სსმ არქივი, 1865, 10\230, გვ. 105.

ამასთან ერთად, ა. ბერჟემ უფრო მოაწესრიგა კავკასიაში გამოცემული ნაბეჭდი პროდუქციის საჯალდებულო ეგზემპლარების ბიბლიოთეკისათვის უფასოდ გადაცემა.

ბიბლიოთეკის წიგნსაცავი ახლად შემოსული წიგნებით ისე გამდიდრდა, რომ საჭირო გახდა მოკლე კატალოგის პირველი დამატების გამოცემა, რაც ისევ ბერჟემ ითავა. 1865 წელს გამოიცა კატალოგის პირველი გაგრძელება, რომელშიც შევიდა 996 დასახელების 1955 ახალი წიგნი.

ამ პერიოდისათვის ბიბლიოთეკაში იყო 6256 დასახელების 13610 წიგნი. მათ შორის 877 დასახელების 1533 წიგნი კავკასიას ეხებოდა[168]

საჯარო ბიბლიოთეკა დიდი მოწონებით სარგებლობდა, როგორც თბილისელების, ისე ქალაქის მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის. ამას კარგად ამტკიცებს ის მოსაზრებები, რომელიც გამოითქმებოდა მის მიმართ. მაგალითად, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მრავალფეროვნებას იწონებდა ცნობილი ნატურალიტი აკადემიკოსი კარლ ერნსტ ბერი, გერმანელი სწავლული ადოლფ ბასტიანი და სხვები.

ამრიგად, კავკასიის მუზეუმთან გაერთიანებამდე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა თავის არსებობის 20 წელს ეოითვლიდა და უკვე ავტორიტეტულ დაწესებულებას წარმოადგენდა. მის საცავებში დაცული წიგნების მნიშვნელობის გამო, მას თამამად აყენებდნენ აზიის სოლიდურ ბიბლიოთეკების: ბომბეის, კალკუტის, ბატავიის და სხვა ანალოგიურ დაწესებულებათა გვერდით.

იმპერატორის მიერ დამტკიცებული კავკასიის მხარის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ სენატის 1867 წლის 9 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე შედგა კავკასიის მნიშვნელოვან დაწესებულებათა ახალი შტატები და ხარჯთალრიცხვა, რომელიც იმავე წლის 31 დეკემბერს დაამტკიცა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ.[169] 1868 წლის 2 იანვრიდან კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა გაერთიანდა ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ და ეწოდა "კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა". ამ დაწესებულების დირექტორად დაინიშნა გუსტავ რადე.

კავკასიის მუზეუმის მესვეურთა აზრით, კავკასიის მუზეუმთან საჯარო ბიბლიოთეკის გაერთიანების შემდეგ, კიდევ უფრო

---

[168] Берже А., Продолжение краткого каталога Тифлисской публичной Библиотеки 1861- 1865, ტფ. 1866, გვ.15.

[169] სსმ არქივი, 1867 13\2, გვ. 31.

უნდა გამოკვეთილიყო ბიბლიოთეკის სპეციალიზაცია და იგი კავკასიის შესახებ ინფორმაციის ცენტრალურ წიგნთსაცავად ქცეულიყო.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გაერთიანებას მოწონებით შეხვდა საზოგადოება. "მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გაერთიანება შესანიშნავია, ისინი ერთი-მეორეს დაეხმარებიან"– წერდა გაზეთი "კავკაზი".[170]

მუზეუმის მსგავსად, რადგანაც ბიბლიოთეკაც განიცდიდა ფართის დიდ ნაკლებობას, გადაწყდა მისთვის მუზეუმის ეზოში ახალი შენობის აგება.

1868 წლის 16 აპრილს ტექნიკურმა კომისიამ ნიკოლოზის ქუჩის დასაწყისში ზემოთ ხსენებული საძირკვლის გამოკვლევის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მისი ვარგისიანობის შესახებ, რომელზეც შესაძლებელი იყო ახალი შენობის დაშენება. არქიტექტორ ა. ზალცმანის პროექტით მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობები უნდა აშენებულიყო ერთმანეთის გვერდით და შეერთებულიყო გალერეით. მათ შორის განსაზღვრული იყო დიდი შენობის აგება, რომლის ცენტრალური დარბაზის გამოყენება ლექციებისა და კონცერტებისთვის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. შენობებისა და გალერეის უკან, ეზოში ნაკარაუდევი იყო მარადმწვანე მცენარეებით ბაღის გაშენება, სადაც მოთავსდებოდა გალია და ვოლიერები ცოცხალი ფრინველებითა და ცხოველებით.[171]

"კავკასიის მუზეუმის კოლექციების" მე-6 ტომში გამოქვეყნებულია მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობების პროექტი. ესაა აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული სტილის ერთსართულიანი შენობები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია ნახევრად წრიული გალერეით. შენობების ფანჯრებისა და გალერეის კოლონადის თაღების შესრულება წვეტიანი ისრული კონსტრუქციით იყო ნავარაუდევი. მოგვიანებით, შენობის ფასადის სპარსულ სტილში გადაწყვეტას ვ. რაღე რატომღაც თავად ს. ნ. ტრუბეცკოის მოთხოვნით ხსნიდა,[172] თუმცა ჯერ კიდევ 1867 წელს მუზეუმის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში და მის მიერ აკვარელით შესრულებულ ზემოთ აღნიშნულ პროექტზე ნათლად ჩანს, რომ სწორედ ასეთი სტილის შენობაზე ოცნებობდა იგი.

---

[170] გაზ. "Кавказ",1871, 8-17 იანვარი.

[171] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ. 1912, გვ. 81.

[172] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ.39.

1868 წლის მაისში მეფისნაცვალმა დაამტკიცა აღნიშნული პროექტი და იმავე წლის აგვისტოდან სწრაფი ტემპით იწყება სამშენებლო სამუშაოები. წლის ბოლოსთვის მუზეუმის შენობა თითქმის დამთავრებული იყო. ბიბლიოთეკის და შემაერთებელი გალერეის მშენებლობა კი უსახსრობის გამო შეფერხდა.

1869 წლის აგვისტოში უკვე შეიძლებოდა მუზეუმის ახალ შენობაში მასალების გადატანა, რაც ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყეს კიდეც. ამისთვის ხელისუფლებამ გამოყო 500 მანეთი.

1869 წლიდან ბიბლიოთეკის შენობის მშენებლობა განახლდა და დამთავრდა 1870 წლის ზაფხულში. დაიწყეს კიდეც იქ წიგნებისა და კარადების გადატანა, მაგრამ ეს საქმე გაჭიანურდა 1871 წლის 1 მარტამდე. წიგნების კარადებისა და თაროებისთვის დურგალ ზეტცერს გადაუხადეს 930 მანეთი. 241 მანეთი გამოყვეს ახალი ავეჯისთვის. შეისყიდეს აგრეთვე 90 მანეთის ახალი წიგნები და წესრიგში მოიყვანეს მათი ყდები.

ახლი შენობის მშენებლობის პარალელურად შეკეთდა ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზე მდებარე ბიბლიოთეკის ძველი სამკითხველო დარბაზი, რომელმაც 1869 წლის 8 იანვრიდან განაახლა ფუნქციონირება. იგი ღია იყო კვირაში 3-ჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დღის პირველიდან--3 საათამდე. დღეში ბიბლიოთეკა საშუალოდ ემსახურებოდა 15 მომსვლელს[173] და შვიდი თვის განმავლობაში მიიღო 1873 მკითხველი[174]

ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად ყოველწლიურად გამოიყოფოდა 200 მანეთი, რაც მართალია არ იყო საკმარისი, მაგრამ ამ თანხით მაინც ხერხდებოდა მნიშნელოვანი რაოდენობის და ხარისხის ლიტერატურის ყიდვა. ამ გზით მოხედა ბიბლიოთეკაში ლაიფციგიდან ა. სობოლევსკის წიგნების კოლექციის ნაწილი. ბოტანიკოს ი. ოვერინის წიგნები, ობსერვატორიის დირექტორის ბ. დორანდტის საბუნებისმეტყველო ლიტერატურა და სხვა[175] მაგრამ გაცილებით მეტი წიგნი შემოდიოდა სხვადასხვა პირებიდან და ორგანიზაციებიდან შემოწირულობათა გზით.

ბიბლიოთეკა პერიოდულად მდიდრდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებოდან გამოგზავნილი

---

[173] "Кавказский календарь" на 1869 г. გვ.392.

[174] სსმ არქივი 1870, 16/5 ფგვ. 45.

[175] Сиверс Г., Второе продолжениение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки, ტფ, 1881 გვ. III.

წიგნებით. ასეთი ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ: ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუტი, ქრისტიანიის (ნორვეგიის) საჯარო ბიბლიოთეკა, და სხვა ორგანიზაციები.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკამ უსასყიდლოდ მიიღო გენერალ-ლეიტენანტ ი. ბართოლომეის წიგნებისგან შემდგარი კავკასიის მოყვარულ არქეოლოგთა ბიბლიოთეკა, ხოლო კავკასიის სამთო სამმართველოსაგან— 220 დასახელების 370 წიგნი.[176]

კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის დირექტორმა ნ. ზეიდლიცმა ბიბლიოთეკას აჩუქა 500 წიგნი და პერიოდიკა.

შემომწირველებიდან უნდა ალინიშნოს აგრეთვე: მ. ნ. რომანოვი, ნ.მ. რომანოვი, ა. ნიკოლაი, ნ. ხანიკოვი, ჰ. აბიხი, ა. ბლიუმბერგი, ალ. კომაროვი, თ. ფონ-კოშკული, ი. სტებნიცკი, პ. რერბერგი, გ. სტრუვე, გ. სიკერსი, კ. ბროშნილოვსკი, ი. ტრუბეცკოი და სხვები.

ამ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა მუზეუმის დირექტორის თანაშემწის თანამდებობის შემოღების საკითხი. ეს პირი ძირითადად ბიბლიოთეკის მუშაობას უხელმძღვანელებდა და დირექტორის მოვალეობას შეასრულებდა ამ უკანასკნელის თბილისში არყოფნის დროს. გ. რადეს წარდგინებით ამ თანამდებობაზე 1869 წლიდან მუშაობას იწყებს აკადემიკოს თ. ბრანდტის ვაჟი, აგრონომიულ მეცნიერებათა კანდიდატი, (გ. რადეს ცოლისძმა), ტიტულარული მრჩეველი თეოდორ ბრანდტი. ამ უკანასკნელმა თანამდებობაზე დაპყო 1873 წლის ივნისამდე. 31 წლის თ. ბრანდტი თვალების ავადმყოფობის გამო იძულებული შეშნილა გასულიყო პენსიაში. იგი შეცვალა ლიფლანდიის მოქალაქემ თავადმა ევალდ გერშელმანმა. მის არყოფნისას ბიბლიოთეკას დაქირავებული ი. ანანოვი განაგებდა.

1872 წელს მუზეუმის პრეპარატორ კარლ მიულერის ნაცვლად დაინიშნა მისი მოწაფე ი. რიბანსკი.[177] პრეპარატორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა ნიკოლოზ ჟუკოვსკი. ამავე წელს მუსეუმს კიდევ ერთი დარაჯი დაემატა, დარაჯებად მუშაობდნენ თადარიგის ჯარისკაცები თ. მაგალიტინი და ნ. ნიკიტინი. პარალელურად მთელი ძალებით მიმდინარეობდა მუშაობა საძუზეუმო მასალების შესაგროვებლად და ექსპოზიციის შესავსებად. 1868 წლის ნოემბერში კავკასიის მუზეუმს გადაეცა სასოფლო–სამეურნეო საზოგადოების

---

67 "Кавказский календарь" на 1874 გვ. 251.

[177] სსმ არქივი, 1873, 17/6, გვ. 47

მუზეუმის მრავალი მასალა, რომელშიც 32686 ერთეული ფ. ბაიერნის კოლექციებიდან იყო.

გ. რადემ 1868—69 წლებში მოაწყო ექსპედიცია ყაზბეგში, რათა მუზეუმისთვის შეეძინა კავკასიური ჯიხვი და მთის ფრინველები, შემდეგ იგი გაემგზავრა არარატის მიდამოებში, სადაც მოახერხა ველური ცხერისა და თხის ყიდვა.[178] 1870 წლის აპრილში რადე გერმანელ მეცნიერ გ. სივერსთან ერთად, მეორეჯერ მოგზაურობს ლენქორანში (თალიშში), ხოლო იმავე წლის მაისის ბოლოს – კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებსა და კრასნოვოდსკის მიდამოებში. აქედან მეცნიერებმა გადაინაცვლეს სომხეთის ზეგანზე და გამოიკვლიეს ეჩმიაძინის, ნახიჩევანის, არაქსის ველისა და ყარაბახის ტერიტორიები. აღნიშნული ექსპედიციების დროს მრავალი საბუნებისმეტყველო მასალა იქნა მოძიებული.

ამ პერიოდში მუზეუმის ფონდები მნიშვნელოვნად მდიდრდებოდა ახალი ექსპონატებით. 1870 წელს მუზეუმს გადაეცა ყუბანის ოლქში ნაპოვნი წარწერიანი და ორნამენტიანი ქვის ფილები და ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი მასალები. მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო ბაქოს გუბერნიის ლენქორანის მაზრის სოფელ კიზილ-აკარის მცხოვრებთა მიერ წყალსადენის გაყვანის დროს მიწაში ნაპოვნი განძი, რომელშიც იყო 88 ვერცხლის მონეტა, მოჭრილი 532-557 წლებში (ჰიჯრით), შირვანის მფლობელ შაჰ-ნუშრევანის დროს.[179] საინტერესო იყო აგრეთვე ანაპელი გლეხის აიზოპულოს მიერ შემოხვევით ნაპოვნი ოქროს მონეტა. ამავე წელს მუზეუმს გადაეცა ერიწოვის ძიერ ლორეს ხეობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, ქალაქ შუშაში 250 მანეთად შეიძინეს ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმი და სხვ. მთლიანად კავკასიის მუზეუმის ახალი გამოფენის მოწყობაზე დაიხარჯა 3100 მანეთი.

საბუზეუმო ფონდების დაკომპლექტებასა და ახალი გამოფენის მოსამზადებელ სამუშაოებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების კეთილგანწყობას მუზეუმისადმი. გადამწყვეტი იყო აგრეთვე კერძო პირების თანადგომაც. გ. რადე მათ მადლიერებით მოიხსენიებდა: "მთავრობა ყოველთვის ხელს უწყობდა მუზეუმის კოლექციების გამდიდრებას და საინტერესო ნივთების შესაძენად მნიშვნელოვან თანხებს

---

[178] Коллекции Кавказского Музея ტ VI, ტფ. 1912 გვ. 81; სსმ არქივი, 1870, 16/5, გვ. 173.

[179] სსმ არქივი 1870, 16/5, გვ. 87.

ხარჯავდა. მეორე მხრივ კერძო პირები თავიანთი შემოწირულებებით დიდად ეხმარებოდნენ მუზეუმს"[180].

ამ საქმეში ქვეყნის უმაღლესი პირებიც მონაწილეობდნენ. დიდი მთავრები: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ნიკოლოზ მიხეილის ძე, მიხეილ ნიკოლოზისძე, კნიაგინია ოლგა ფეოდორის ასული, პრინცები; ალექსანდრე ალტენბურგელი, მირზა რიზა-ხანი, ბეგმენ მირზა, შაჰმუდ ხანი და სხვები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის- ძე, რომელმაც მუზეუმს საჩუქრად გადასცა მრავალი ბოტანიკური, ზოოლოგიური და ისტორიული მასალა. მისი განკარგულებით მუზეუმმა მიიღო ძვ. წ-აღ. 111 საუკუნის სკვითურ-სარმატული ოქროს ყელსაბამი, ოსეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ფიგურები, 8 ძველებური მონეტა ბიჭვინთიდან, ქალის ძვირფასი სამკაულები ყარანოღაის ოლქიდან, სპარსელი მხატვრის მიერ შესრულებული თემურ ლენგის პორტრეტი, ქალის ქვის დიდი ქანდაკებები და სხვა სიძველეები. მეფისნაცვლის შვილებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუზეუმის ფონდების დაკომპლექტებასა და მეცნიერულ განსაზღვრაში. უფროსი ვაჟი ნიკოლოზი გატაცებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, განსაკუთრებით კი ენტომოლოგიით. იგი პეპლების დიდ მოყვარულად და მცოდნედ ითვლებოდა. მისი შრომები ლეპიდოპტეროლოგიაში საქვეყნოდ იყო ცნობილი. მოგვიანებით მან თავისი უნიკალური პეპლების კოლექცია საჩუქრად გადასცა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას. მეფისნაცვლის უმცროსი ვაჟი გიორგი კი გატაცებული იყო ნუმიზმატიკით. იგი ამ დარგში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო და მდიდარ კოლექციებსაც ფლობდა. ისინი კავკასიის მუზეუმთან დიდი ხალისით თანამშრომლობდნენ.

მუზეუმს შემოწირულობების სახით ამ პერიოდში მრავალი პირი ეხმარებოდა. კავკასიის მუზეუმის 1875 წლის ანგარიშში შემომწირავთა შორის ქართველებიდან მოხსენიებულნი არიან თავადები; ი. აბხაზი, ა. წულუკიძე, მ. ნაკაშიძე, დ. ჩოლოყაშვილი. აგრეთვე ი. მამაცაშვილი, ნ. წილოსანი, მრეწველი ი. ზუბალაშვილი და ცნობილი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე. ამ უკანასკნელს მუზეუმისთვის გადაუცია ეტრატზე შესრულებული ბაგრატ IV-ის კუთვნილი 1032 წლით დათარიღებული სახარება.[181] მან მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა აგრეთვე ოსეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის

---

[180] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1875, გვ. 3.

[181] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1875, გვ. 13.

ნიეთები. მღვდელმა დავით მაჭავარიანმა კი — ზუგდიდის მაზრის სოფელ ეწერფერდიდან ჩამოტანილი ძველებური ჯვრები და მონეტები. სამთო ინჟინერმა ალექსანდრე წულუკიძემ მუზეუმს შესწირა რაჭის ახალსოფლიდან ძველებური საეკლესიო ნიეთები. მუზეუმს ფულადი შემოწირულობებითაც ეხმარებოდნენ: თავადმა დ. ჯორჯაძემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა 300 მანეთი, ხოლო .მოქალაქე ა. სარქისოვმა–200 მანეთი.[182]

გ. რადე დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა იმ პირებს, რომლებმაც უსაუყიდლოდ გადასცეს ნიეთები და გააშდიდრეს მუზეუმის ფონდები. ისინი იყვნენ:

გეოლოგიაში—შტეინმანი, მიულერი, ფონ-კოშკული, გულიშამბაროვი, გიობელი, ლენცი, სიმენსი, სიეერსი, იაკობი, კეიზერლინგი, უვაროვი და სხვები;

ბოტანიკაში—ჩერმაკი, ნორმანი, მედვედეევი, შარერი, ზეიდლიცი, შაროიანი, აბელი, გერბინგი, ლოიკა, კაზაკკი, ნობელი, ტიზენჰაუზენი, გეპერტი და სხვ. აკადემიკოსმა რუპრეხტმა გარდაცვალების წინ მუზეუმს გადასცა კავკასიის ალპიური მცენარეების დიდი კოლექცია;

ზოოლოგიაში—კონტაკუზინი, გრეეე, კომაროვი, რააკი, შლიტერი, ტელიაფუსი, რენენკაფი, სერგეეევი.

ეთნოგრაფიაში—ბერჟე, ვირუბოვი, ზალცმანი, კაუფმანი, ბენტკოვსკი, დონდუკოვ-კორსაკოვი, მეშერსკი, პეტერსი, აივაზოვსკი.

ისტორიაში—სტროგანოვი, მინკვიცი, ლუნდვისტი, ლონგინოლი, ურუსოვი, იაკიმოვი, არწრუნი, ჟულინი, ბართოლომეი, ელიაზაროვი, მოშნინი, ლევაშოვი, ზეზემანი, გეიმანი და სხვა

ნუმიზმატიკაში—პილენკო, სუმარიკოვ—ელსტონი, გენერალი კოლუბიაკინი, სპარსეთის კონსული მაჰმუდ ხანი, ბუტკევიჩი, მასლოვსკი კრაჭევსკი, ბრიმი და სხვები.

აღვნიშნავთ ზოგიერთ ექსპონატს, რომელიც მუზეუმს შემოწირულობით გადაეცა: XVIII საუკუნის შუახანის ოქროთი მოვარაყებული მუზარადი, რომელიც ეკუთვნოდა თავად ივანე მუხრან-ბატონს, იგი მუზეუმმა მიიღო გენერალ ი. ბართოლომეისგან, დაღესტნელი ქალის ძვირფასი სამკაული –ნ. წილოსანისგან, ტამანის ნაევარკუნძულიდან ელინისტური ხანის სიძველეები – სამთო-ინჟინერ ფონ-კოშკულისგან, XVI საუკუნის კერამიკული ჭურჭელი თავად ურუსოვისაგან; ქვის

---

[182] სსმ არქივი, 1878, 22/11, გვ. 54.

ძველი ბარელიეფების ფრაგმენტები – ტრაპიზონის კონსულ მაუნინისგან; 1869 წელს წმინდა კვირიკეს ეკლესიიდან ჩამოტანილი სახარების ბერძნული უნიკალური ხელნაწერი გრაფ ლევაშოვისგან.[183] აღნიშნული ხელნაწერი შეისწავლა აკად. მარი ბროსემ და შეიტანა მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში.

მუზეუმს ასევე დიდ დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები და დაწესებულებები: რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ მუზეუმს გადასცა—ტროპიკული ქვეყნების ცხოველთა ჯგუფის ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ფიტულები, პეტერბურგის საიმპერატორო ბოტანიკურმა ბაღმა—მცენარეულთა მდიდარი კოლექციები, ლონდონის ალპურმა კლუბმა—ჰერბარიუმები და ფოტოები, ჰამბურგის სიძველეთა მუზეუმმა—ქვის უძველესი იარაღები, რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ—კავკასიის წიაღისეულთა ნიმუშები, კავკასიის სამოქალაქო უწყების მთავარი სამმართველოს კანცელარიამ—ჩრდილოეთი კავკასიის სიძველეები და ნუმიზმატიკური მასალები, კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბმა—ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ფოტოები, თბილისის საარტილერიო არსენალმა საბრძოლო იარაღისა და მეომრის ძველებური აღჭურვილობა. ამის შესახებ გ. რადე აღნიშნავდა: "არსენალიდან მიღებულია მუზარადების დიდი რაოდენობა, რომელიც ირანთან ომების დროსაა მოპოვებული."[184]

როგორც აღვნიშნეთ, მთავრობა დიდად უწყობდა ხელს სამუზეუმო კოლექციების შესყიდვას: მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო ჰოგენაკერის ჰერბარიუმების საყიდლად. ასევე დიდი თანხა იქნა გადახდილი თბილისელი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოალბომების, ობერტის ნუმიზმატიკური, იუტნერის ზოოლოგიური, ლორენცის თევზების, შლიუტერის ძუძუმწოვრების, ბრიშკის ფრინველების, ტიდემანის პეპლების კოლექციების შესაძენად.[185] მუზეუმმა 232 მანეთი გადაუხადა აკად. ა. ზალცმანს ქართული ეკლესიების კედლებიდან აღებული ორნამენტების გალვანოპლასტიკისთვის.[186]

---

[183] სსმ არქივი, 1870, 16/5 გვ. 9.

[184] Радде Г., Хевсурия и Хевсури, ტფ. 1894, გვ. 83.

[185] Радде Г, Краткий очерк истории развития Кавказского музея, ტფ. 1891, გვ. 11.

[186] სსმ არქივი, 1870, 16/5, გვ. 157.

მუზეუმში მასალები გაცვლითი წესითაც შემოდიოდა. ბერლინისა და კალკუტის მუზეუმებმა გადმოსცეს ევროპისა და ინდოეთის ფრინველთა მდიდარი კოლექციები.

სამუზეუმო მასალათა სისტემაციზაციასა და მეცნიერულ შესწავლაში კავკასიის მუზეუმს მსოფლიოში ბევრი ცნობილი მეცნიერი ეხმარებოდა.

მინერალოგია-გეოლოგიური მასალების განსაზღვრაში მუზეუმთან თანამშრომლობდნენ: არწრუნი, ვალენტინი, ბრანდტი, აბიხი, სიევერსი, ივანიცკი, შტეინმანი, დეევი, მიულერი, მორგანი.

ზოოლოგიურ მასალათა დამუშავებაში—ბლაზიუსი, ვალტერი, გომეიერი, დრეზერი, რეიხანოვი, კაბანისი, შტრაუხი, ბეტგერი, ფონ-შმიდტგივენი, ლორენცი, რეიტერი, განგლბაუერი, ფონ-ვატენეი, სოსიური, გრუბე, კობელტი, მარტენსი, გერცენშტაინი, შტაუდინგერი, ხრისტოფი, კიზეეტერი.

ბოტანიკური ექსპონატების შესწავლაში—ტრაუტვეტერი, რეგელი, რუპრეხტი, ვინკლერი, ნიმანი, გერდერი, ბროტერუსი, კარსტენი, კოვენცი, შარერი, მაქსიმოვიჩი.[187]

ნუმიზმატიკასა და არქეოლოგიურ მასალათა გარკვევაში—ბროსე, გრიმი, ტიზენჰაუზენი, ივერსენი, გაგარინი, ბართოლომეი, ბრიუნინგი, ბერჟე, კომაროვი, მორგანი, ვეიზბახი, ვირხოვი, ივანოვი და სხვა.

1870 წლის 13 სექტემბერს კვირას დამთვალიერებელთათვის ოფიციალურად გაიხსნა კავკასიის მუზეუმის ახალი ერთსართულიანი შენობა,[188] რომელიც მდებარეობდა მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ გოლოვინის პროსპექტისა და ნიკოლოზის ჭიჩის კუთხეში. მისი გამოფენები ღია იყო კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, პარასკევობით და კვირაობით, დილის ათი საათიდან შუადღის სამ საათამდე. მუზეუმში შესვლა ღირდა 20 კაპიკი, ხოლო წლიური საოჯახო აბონემენტები კი—ორი მანეთი.

რეგორი იყო მუზეუმის 1870 წლის გამოვენა, შეიძლება კიმსჯელოთ გ. რადეს მიერ 1870 და 1875 წლებში გამოცემული ვზამკვლევების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო გამართული, მაღალკვალიფიციურად მოწყობილი სტაციონარული გამოფენა, რომლის მიზანი იყო იმ დროს მიღებული სამუზეუმო ხერხებით აესახა კავკასიის ფლორა, ფაუნა და მხარის ეთნოგრაფია.

---

[187] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ., 1912, გვ. 117.

[188] გაზ. "Кавказ", 1870, № 105.

მუზეუმის ერთსართულიანი შენობის რვა დარბაზში განლაგებულ 46 კარადასა და 47 ვიტრინაში წარმოდგენილი იყო ნივთიერი ექსპონატები, ფიტულები, ფერწერული ტილოები, ფოტოები, მულაჟები, მანეკენები და სხვა.

საგამოფენო ფართის ნახევარი, 4 დარბაზი დათმობილი ჰქონდა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, ხოლო დანარჩენი 4—ზოოლოგიურ, ბოტანიკურ და გეოლოგიურ მასალებს.

მუზეუმის ვესტიბიული გაფორმებული იყო აღმოსავლურ სტილში. ცენტრალური თაღის ქვეშ ეკიდა სპარსული ჭაღი, კედლები მორთული იყო სპარსული ქსოვილით. აქვე მოთავსებული იყო სპარსელი მხატვრის მიერ შესრულებული თემურ ლენგის (?) პორტრეტული სურათი. შესასვლელშივე სადგარზე იდგა ორი დიდი ქართული ქვევრი.[189]

ვესტიბიულიდან მარჯვნივ, პირველ დარბაზში წარმოდგენილი იყო კავკასიის ეთნოგრაფია. გამოფენილი იყო მხატვარ ფელიქს ხოდოროვიჩის მიერ თაბაშირისგან დამზადებული ნაციონალური ტანსაცმლით შემოსილი მანეკენები. ისინი ასახავდნენ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ანთროპოლოგიურ ტიპებს. დარბაზის ცენტრში, სპეციალურ სადგარზე იდგა თიხის დიდი თაღარი. (საწნახელიდან ტკბილის ჩამოსახმელი პირფართო ჭურჭელი).

პირველი დარბაზის 5 კარადაში გამოფენილი იყო კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქალისა და მამაკაცის ეთნოგრაფიული ტანსაცმელი: ჩოხა, ახალუხი, ქულაჯა, საღიაცო, ბეშმეთი, ქვაბანაკი, ულეგი, ზუბუნი, ჩიხთაკოპი, კაბაკარდი, კაბურა, კაეთარა, ჩაქურა, და ხირხა; ფეხსაცმელი: ბანდული, უძირო, ქალამანი, პაიჭი, მაშია, წუღა და წრიაპი; თავსაბური: ბუხრის ქუდი, ფაფახი, ფაფანაკი, ყაბალახი, მანდილი, რიდე, ჩიქილა, თაესაკრავი, კაეურა, დოლბანდი, სათაურა, ჩადრი, ჩალმა და ფესკა.

მომდევნო კარადაში წარმოდგენილი იყო საბრძოლო იარაღები: ხმლები, სატევრები, დამბაჩები, თოფები, საპირისწამლეები, შუბები, და კარპაჭები. აქვე იყო მეომრის სრული აღჭურვილობა: ზარადი, ზუჩი, აბჯარი, ფარი, სამკლაური, საფუხრე და სხვა. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა შუა საუკუნეების დროინდელი ოქროთი მოვარაყებული ქართული მუზარადი, ხევსური მეომრის ჯაჭვის პერანგი, ჩაჩქანი, ფრანგულა, სახელურა, რკინის ხელთათმანი, ქუდი,

---

[189] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1875, გვ. 6.

ქამარი, ფარი, ხმალი და ა. შ. საინტერესო იყო აგრეთვე შამილის ნაქონი სატევარი და სპარსული იარაღის მდიდარი კოლექცია.

შემდეგ ვიტრინაში მოთავსებული იყო კავკასიური მუსიკალური საკრავები: ფანდური, ჩონგური, თარი, საზი, არფა, აფსცხა, ჩანგი, ქამანჩა, სტვირი, ჭიანური, ზურნა, ნაღარა და სალამური. დასარტყამი ინსტრუმენტები: დოლი, დიპლიპიტო, დაირა და სხვა.

ამავე დარბაზის ბოლო კარადებში გამოფენილი იყო კავკასიელი ქალის სამკაულები და სხვადასხვა ძვირფასეულობა: ყელსაბამები, გულსაბნევები, სამაჯურები, თავსაბურავები, ქამრები და სხვა. ამ კარადაში საყურადღებო იყო ეტრატზე შესრულებული XI საუკუნის ქართული ხელნაწერი, მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ჯვარი თავისი ძეწკვით, რომელიც მეფისნაცვალმა საჩუქრად გადასცა მუზეუმს.[190] აქვე იყო გამოფენილი ძვირფასი ლითონებითა და ქვებით გაწყობილი ცხენის უნაგირი, მოსართავი, აღვირი, უზანგი და სხვა.

პირველი დარბაზის ფანჯრებს ქვემოთ მოთავსებული იყო შამილთან წარმოებული ბრძოლების შედაგად ჩაგდებული ნადავლი—ორი ზარბაზანი.

დარბაზში წარმოდგენილი იყო ხალხური სატრანსპორტო საშუალებების: ჩოჩიალა ურმის, ბოლოთრიას, თავკავის, თურშის, თუშის, ლაჩქიმის, მანჯიკის და ღურწკალას მოდელები.

მეორე დარბაზის სამ კარადაში გამოფენილი იყო ეთნოგრაფიული საოჯახო ნივთები: სპილენძის ჭურჭელი, ბრინჯაოს ჭაღები, დოქები, ქვაბები, ჯამები და სხვა. აქვე იყო სამეურნეო ნივთები, ხალხური ტრადიციული წესით დამზადებული თიხის ჭურჭელი: ხელადა, დორა, დერგი, ბადია, გოზაური; ხის ჭურჭელი: ბაკანი, გობი, ვარცლი, თაბახი, ოარფი და სხვადასხვა ექსპონატები; მესამე დარბაზის კარადებში გამოფენილი იყო შემოწირული, ზოგ შემთხვევაში კი შეძენილი 2000-მდე მონეტა.

დარბაზის მარცხენა კედელთან სპეციალურ სადგარზე იდგა მცხეთიდან ჩამოტანილი ლათინურ ენაზე წარწერიანი ქვა.[191]

კარადებს შორის წარმოდგენილი იყო სომხური სოფლების (პტღნის, მოლა ალის) და ერევნის სარდარის მეჩეთის

---

[190] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ. 1875, გვ. 13.

[191] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ. 1875, გვ. 13.

მოდელები და ამ ნაგებობათა ნარჩენების ფრაგმენტები, მოჭიქული ფილები. აქვე იყო გამოფენილი ჯულფადან ჩამოტანილი საფლავის ქვები და ცხერის ქვის ფიგურები. კედლებზე ეკიდა გოგჩის ტბის მიდამოებში აღმოჩენილი ლურსმნულ წარწერიანი ქვის ფილები.

მე-4-ე დარბაზის ოთხ კარადაში მოთავსებული იყო ამიერკავკასიაში აღმოჩენილი სიძველენი: პირველ ორ კარადაში გამოფენილი იყო ყუბანის ოლქის ქ. ეკატერინოდარის ახლოს გათხრილ სამაროვანზე მოპოვებული ვერცხლისა და ოქროს ნივთები, სატევრები. შემდეგ კარადაში ექსპონირებული იყო დერბენდში აღმოჩენილი მოჭიქული დოქი არაბული ასოებით და ორნამენტებით, ქაშანური თასი ქართული წარწერით, აქვე იყო სოხუმიდან ჩამოტანილი გენერალ მ. გეიმანის მიერ შემოწირული ქალის ძველებური სამკაულები. აღნიშნულ კარადაში მოთავსებულ ნივთებიდან საყურადღებო იყო: ძველი საეკლესიო ნივთები რაჭიდან, ნუმიზმატიკური მასალა ზუგდიდის მაზრიდან, ოქროს სამკაულები სოფელ ფარცხანაყანევიდან, კოლხური კერამიკული ჭურჭელი ინჟინერ ფონ-კოშკულისგან მიღებული, ძველებური კრამიტები ოყლავიდან ს. ნაუმენკოსგან ნაჩუქარი, ძველი ჭურჭლის კოლექცია და სპილენძის სამკაულები ლორეს მაზრიდან, ა. კარახანოვის მიერ უსასყიდლოდ გადმოცული საეკლესიო ნივთები.[192]

მომდევნო კარადებში მოთავსებული იყო ქერჩიდან და ტამანის ნახევარკუნძულიდან ჩამოტანილი ანტიკური ხანის ნივთები: დოქები, ვაზები, ამფორები, მცირე ზომის ბერძნული თიხის ჭურჭელი ნელსაცხებლისთვის, ფიგურები, სამაჯურები, ბალთები და სხვ. გრაფ ა.სტროგანოვისაგან შემოწირული, მცხეთის სამაროვნებიდან ფ. ბაიერნის მიერ შეკრებილი სამკაული, ჭურჭელი, ძველი სამშენებლო მასალები და სხვა.

ყურადღებას იქცევდა დიმიტრი ბაქრაძის მიერ შემოწირული ბრინჯაოს ნივთები და გენერალ წაკნის მიერ გადმოცემული ხარის თავის გამოსახულებიანი ვერცხლის ფირფიტა.[193]

სპეციალურ ვიტრინაში გამოფენილი იყო ახალციხიდან, შემახიიდან და ნუხიდან ჩამოტანილი ნაქარგი ქსოვილები.

მოცულობით ყველაზე დიდ მე-5-ე დარბაზის ცხრა კარადაში წარმოდგენილი იყო ზოოლოგიური მასალები. ყველაზე უფრო ამ განყოფილებას ეტყობოდა

---

[192] Краткий путеводитель Кавказского Музеума , ტფ, 1875, გვ. 23.

[193] იქვე, გვ. 26.

თვალსაჩინოებისადმი ახლებური, შემოქმედებითი მიდგომა: ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავლები თუ სხვა ექსპონატები ექსპონირებული იყო მათთვის დამახასიათებელ პოზებში, ბუნებრივ გარემოში– ბიოჯგუფებად. ამავე დარბაზის კედლებსა და სადგარებზე გამოფენილი იყო კავკასიის ხედებისა და აქ მოსახლე ხალხთა ტიპაჟების 14 სურათი. აქვე ეკიდა ი. აივაზოვსკის მიერ შექმნილი ფერწერული ტილო და გრაფ პანინის მიერ საჩუქრად გადმოცემული ამავე მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი–"ღუნიბი".[194] კედლებზე მოთავსებული იყო მეფისნაცვლის მიერ მუზეუმისთვის ბოძებული სვანეთიდან ჩამოტანილი ჯიხვის რქები და ირმის თავის ფიტული.

დარბაზის ცენტრში საყურადღებო იყო ლენქორანში მოკლული ვეფხვისა და გარეული ტახის ფიტულები. აქვე წარმოდგენილი იყო კავკასიის ალპური ზონის ძუძუმწოვრების, ზელენჯუკთან მოკლული–დიდი ზომის დომბისა და სვიის ფიტულები. ამავე დარბაზში გამოფენილი იყო კავკასიის რელიეფური რუკა, რომელიც ადრე ექსპონირებული იყო პარიზის 1867 წლის საერთაშორისო გამოფენაზე.

მე-6-ე დარბაზის კარადებში გამოფენილი იყო ბოტანიკური მასალა: სხვადასხვა მცენარეთა ჰერბარიუმები, ყვავილებისა და ხილის ნიმუშები. ბოლო კარადებში წარმოდგენილი იყო გეოლოგიური კოლექციები: მდინარე მტკვრის აუზის მთის ქანები, კვარცის კრისტალები, ტყიბულის ქვანახშირისა და თაბაშირის ნიმუშები, ქვიშის სხვადასხვა სახეობების, შაბიამნის, ქვამარილის, რკინის, სპილენძისა და ტყვიის მადნეულის ეგზემპლარები. დარბაზის ცენტრში სპეციალურ სადგარებზე მოთავსებული იყო კოსმოსიდან ჩამოვარდნილი მეტეორიტების მოდელები. მე-7-ე დარბაზის ოთხ დიდსა და სამ მცირე კარადაში წარმოდგენილი იყო კავკასიის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის ექსპონატები. გამოფენილი იყო მთის ქანების, ტუფის, მარმარილოს, კირქვისა და ობსიდიანის ნიმუშები; წყლისა და ხმელეთის განამარხებული ნიჟარები.

ბოლო მე-8-ე დარბაზში თავმოყრილი იყო ყველა ის მასალა, რომელიც მუზეუმში ბოლო ხანებში შემოვიდა შემოწირულობების ან შეძენის სახით. აქ იყო უცხო ქვეყნების ეგზოტიკური ფრინველებისა და ცხოველების ზოგიერთი

---

[194] Краткий путеводитель Кавказского Музеума, .ტფ , 1875, გვ. 27.

მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი

რაფიელ ერისთავი

ვლადიმერ სოლოგუბი

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის

განყოფილების მუზეუმის შენობა

მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე

გუსტავ რადე

კავკასიის მუზეუმის შენობა

იშვიათი ეგზემპლარი. დარბაზის ბოლოს, ვიტრინებში გამოფენილი იყო პეპლების მდიდარი კოლექცია.[195]

როგორც გამოფენაზე გამოტანილი ზემოთ ჩამოთვლილი ექსპონატებიდან ჩანს, კავკასიის მუზეუმი კომპლექსური ხასიათისა ყოფილა. აქ მეტნაკლებად იყო წარმოდგენილი როგორც კავკასიის ფლორა და ფაუნა, ისე მისი ეთნოგრაფია.



[195] Краткий путеводитель Кавказского Музеума , ტფ., 1875 , გვ. 46.

§ 3. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შევსება ახალი ექსპონატებითა და წიგნებით, გამოფენის გახსნა ახალ შენობაში (1871 – 1881წწ).

კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ერთ დაწესებულებად გაერთიანების, მუზეუმის საგამოფენო ფართის თითქმის 5-ჯერ გაზრდისა და სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდის გადაუდებელი აუცილებლობა, რადგან არსებული ხარჯთაღრიცხვა ვეღარ უზრუნველყოფდა მის ნორმალურ ფუნციონირებას. 1871 წლის შემოდგომაზე მეფისნაცვლის მთავარმა საამართველომ დაამტკიცა კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შტატები და ხარჯთაღრიცხვა. ეს უკანასკნელი გაიზარდა 1488 მანეთით. დირექტორის წლიური ხელფასი გახდა 2000 მან. ამას დაემატა 400 მან. სადილის, 300 მან. სამეცნიერო მოგზაურობების და 1500 მან. გამყოლის. ე. ი. რადეს განკარგულებაში წლიურად იყო 4200 მან; ახალი ხარჯთაღრიცხვით დირექტორის თანაშემწეს წლიურად დაენიშნა 1000 მან. პრეპარატორს – 700 მან; მის მოწაფეს - 480 მან., ლაბორატორიის ხარჯებისთვის გამოიყო 1400 მან., ექსპონატებისა და წიგნების შესაძენად 700 მან., სამეურნეო ხარჯებისთვის 1908 მან., ორი დარაჯისთვის 468 მან., გადამწერისთვის – 300 მან., მიმდინარე რემონტისათვის 400 მან., გათბობისთვის 300 მან., განათებისთვის 90 მან., წყლისთვის 50 მან და სხვა. სულ 9288 მანეთი.[196]

1871 წლის 1 მაისს გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკის ახალი ერთსართულიანი, აღმოსავლური ხუროთმოძღვრული სტილის შენობა. იგი მდებარეობდა მუზეუმის ეზოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ბარონის (დღევანდელი. ა. ფურცელაძის) ქუჩის გასწვრივ. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობებს შორის ერცელი ეზო მარად მწვანე ხეებით იყო დაჩრდილული და გოლოვინის გამზირიდან რკინის მაღალი ცხაურით იყო შემოღობილი. ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის ღია იყო ყოველდღე, ზამთრის თვეებში 12-დან 5 საათამდე, საფხულში კი 2-დან 7 საათამდე. მარტო პირველი ათი თვის განმავლობაში ბიბლიოთეკა მოემსახურა 1421 მკითხველს.[197]

---

[196] სსმ არქივი, 1870, 16/5, გვ. 54.

[197] სსმ არქივი, 1870, 16/5, გვ. 175.

ასევე ინტენსიურად მიმდინარეობდა სამუშაოები კავკასიის მუზეუმშიც. მისი ახალი გამოფენები საკმაო პოპულარობით სარგებლობდა როგორც თბილისის საზოგადოებაში, ისე ქალაქის სტუმართა შორის.

1871 წლის 24 სექტემბერს კავკასიის მუზეუმი დაუთვალიერებია რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II და მისი ოჯახის წევრებს.

თბილისში ხუთდღიანი სტუმრობის დროს იმპერატორი, დედოფალი, ტახტის მემკვიდრე და დიდი მთავრები ვლადიმერი და პაველ კავკასიის მეფისნაცვლის თანხლებით, იუნკერთა სასწავლებლისა და თბილისის არსენალის ახალი შენობის დათვალიერების შემდეგ ეწვიენენ კავკასიის მუსეუმს, სადაც საათზე მეტი ხანი დაჰყვეს. საპატიო სტუმართა წიგნში ალექსანდრე II თავისი ავტოგრაფი დატოვა.[198]

იმპერიის პირველი პირების სტუმრობა სასიკეთოდ წაადგა მუზეუმს. მისი და მიმდებარე ტერიტორიის წესრიგში მოსაყვანად მეფისნაცვლის კანცელარიიდან სასწრაფოდ გამოიყო 1000 მან. შეძენილ იქნა რამდენიმე კარადა და ვიტრინა, შეკეთდა შენობის კედლები და განათება, მუზეუმთან მოიკირწყლა ქუჩა.[199]

მუზეუმის საპატიო სტუმრებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე სპარსეთის შაჰი ნასრ-ედ- დინი, რომელსაც 1878 წლის 3 მაისს ორი საათის განმავლობაში დიდი ინტერესით დაუთვალიერებია მუზეუმი. ირანის შაჰის კავკასიაში მოგზაურობასთან დაკავშირებით შექმნილმა განმკარგულებელმა კომისიამ 13 აპრილის გადაწყვეტილებით მუზეუმს გადასცა 300 მან. საპატიო სტუმრების სათანადო დონეზე მისაღებად. ამ თანხით შეიძინეს ხალიჩები, ფარდაგები და მოაწესრიგეს ეზო.[200]

რაც შეეხება დამთვალიერებლებს, ისინი არ აკლდნენ მუსეუმს. ამაზე მეტყველებს ბ. რადეს მიერ მოყვანილი მონაცემები. მუზეუმში ბაჟიანებულ 20 კაპიკიანი ღირებულების ბილეთების შედეგად მუზეუმის წლიური შემოსავალი და დამთვალიერებელთა რიცხვი შეადგენდა:[201]
(ცხრილი 5):

---

[198] გაზ." Кавказ» 1871, # 115.
[199] სსმ არქივი. 1870 16/5, გვ. 74.
[200] სსმ არქივი 1878 22/11, გვ. 68.
[201] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 63.

წელი	შემოსავალი გაყ. ბილეთ.	დამთვალიერებელი
1870	188 მ. 10 კ.	940
1871	247 " 40 "	1237
1872	402 " 60 "	2013
1873	308 " 80 "	1544
1874	245 " 20 "	1226
1875	216 " 20 "	1081
1876 (ოქტ).	171 " 80 "	856
1877	243 " —	1215
1878	227 " 20 "	1136
1879	267 " 80 "	1339

კავკასიის მუზეუმს სხვა ფუნქციაც დაეკისრა. კერძოდ, მას რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში უნდა მოეწყო გამოფენები და ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო კავკასიის მხარე.

ამ მხრივ აღსანიშნავია მონაწილეობა 1872 წელს მოსკოეში გამართულ დიდ საერთაშორისო პოლიტექნიკურ გამოფენაში. იგი 1872 წლის მაისში მოეწყო კრემლის ტერიტორიაზე და მიეძღვნა პეტრე პირველის დაბადების 200 წლის იუბილეს.

გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოფენის მოსამზადებლად თბილისში შექმნა შვიდკაციანი კომისია, რომელმაც კავკასიის მუზეუმის დირექტორი გ. რადე მოსკოეში მიავლინა გამოფენასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.[202]

ექსპოზიციის მხატვრული გაფორმება დაეკალა არქიტექტორ ი. რიჟოვს. მოსკოეის გამოფენისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობდა. მისი ხელშეწყობა დაეკალა კავკასიის ყველა გუბერნიისა და ოლქის ხელმძღვანელებს. გამოფენაზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერცლად და ღირსეულად წარმოჩინებაში დახმარების სურვილი გამოთქვა საქართველოს ეგზარქოსმაც.

გამოფენის მზადების პროცესში მთავარ დაბრკოლებად ფინანსური პრობლემები რჩებოდა. კავკასიის მეფისნაცვალმა ისარგებლა იმპერატორის, თავისი ძმის ალექსანდრე II თბილისში სტუმრობით და თხოვნით მიმართა ეას დაეფინანსებინა კავკასიის მხარის მონაწილეობა მოსკოეის პოლიტექნიკურ გამოფენაში. იმპერატორის ბრძანებით ხაზინიდან გამოფენის მოსამზადებელ კომიტეტს გამოეყო 26000 მანეთი. ექპონატების მოსაძიებლად და შესაძენად გ. რადემ

[202] სსმ არქივი, 1870, 16/5, გვ. 174.

იმოგზაურა ახალციხეში, ერევანში, შუშაში, შემახიაში, ნუხაში, ელიზავეტოპოლში და კავკასიის სხვა მხარეში. მისი შერჩევითა და რეკომენდაციით შეიძინეს კავკასიის შინაარეწველური ნაწარმის საკმაოდ მდიდარი კოლექცია, მათ შორის ხალიჩები, ფარდაგები, ქეჩები, შალის და ჯეჯიმის ნაწარმი, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, იარაღი და სხვადასხვა სამეურნეო ნივთები. აგრეთვე ეკლესიებისა და მეჩეთების ფოტოები და ჩანახატები (სულ 150 ცალი), რისთვისაც დაიხარჯა 1500 მანეთი.[203] ამ ექსპონატებს კავკასიის სხვადასხვა გუბერნიებიდან და ოლქებიდან დაემატა მრავალი ნივთი. ყველა ეს საგამოფენო მასალა დაათვალიერა მეფისნაცვალმა და მისი მოწონების შემდეგ მოსკოვში გაიგზავნა. მოსკოვის საერთაშორისო პოლიტექნიკური გამოფენა გაიხსნა 1872 წლის მაისის ბოლოს. მასზე წარმოდგენილი იყო რუსეთის იმპერიიდან 10000 და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 2000-მდე ექსპონატი.[204]

ექსპოზიცია მოიცავდა ვებერთელა ტერტორიას– კრემლის შიდა სამ ბაღს, მდინარე მოსკოვის სანაპიროს ქვისა და მოსკვარეჩკის ხიდებს შორის, კრემლისა და მანეჟის მოედნებს, სულ 44 ათას კვადრატ საჟენ ფართობს, სადაც განლაგდა 80 პავილიონი. გაზეთ "კავკაზის" კორესპონდენტ ნ. სიტოვსკის თქმით გამოფენის დაწვრილებით დათვალიერებას 2-3 კვირა სჭირდებოდა.[205] "სასოფლო გაზეთი"–ს კორესპოდენტი კი იტყობინებოდა: "გაიმართა დროებით მთელი ქალაქი, რომელიც ბევრად მეტია თვით ქუთაისზე. აქ არის გამოკიდებული მხახველის თვალწინ, რაც რომ მთელ რუსეთში, პოლშაში, ციმბირის ქვეყანაში და კავკასიაში კაცის ნახელავი რამ მოიძებნება".[206]

გამოფენაზე ბევრი საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბუნებისმეტყველო შინაარსის ექსპონატები იყო წარმოდგენილი. საკმარისია ითქვას, რომ მის ბაზაზე შემდეომში ჩამოყალიბდა პეტერბურგის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

---

[203] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ 1912, გვ. 84.

[204] ქვარიანი ლ., XIX ს. II ნახევარში რუსეთსა და საერთაშორისო სასოფლო– სამეურნეო გამოფენაზე ექსპონირებული ნივთები, კრებული–ვაჭრობა, მრეწველობის განვითარება და საქალაქო მშენებლობის ზრდა თბილისში, თბ, 1984 გვ. 82.

[205] გაზ."Кавказ" 1872, # 88, 30 ივლისი.

[206] "სასოფლო გაზეთი" 1872, № 15, გვ. 4.

კავკასიის მხარე გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცალკე პავილიონით. მის ასაგებად კავკასიის მეფისნაცვალმა გაიღო 5000 მანეთი. კავკასიის პავილიონი მოთავსებული იყო კრემლის ალექსანდრეს ბაღსა და მანეჟს შორის. ეს იყო ნახევრადწრიული ნაგებობა, რომელიც მოიცავდა 60 კვ. საჟენ ფართს. გაზეთი "კავკაზი" იტყობინებოდა, რომ გამოფენაზე კავკასიიდან წარმოდგენილი იყო როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ისტორიულ- ეთნოგრაფიული მასალები. დარბაზის კედლებზე ეკიდა ხალიჩები, თექები, ნაქარგები, საქვეყნოდ განთქმული კავკასიური იარაღი, ეთნოგრაფიული სამკაულები და ნივთები. კარადებსა და ვიტრინებში მოთავსებული იყო ზოოლოგიური, ბოტანიკური და გეოლოგიური ექსპონატები, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების პროდუქციის ნიმუშები. ისინი დიდ ინტერესს იწვევდნენ დამთვალიერებელთა შორის. კორესპონდენტის აზრით, ამიერკავკასიის ძველი ქრისტიანული და აღმოსავლური თვითმყოფადი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც გამოფენაზე წარმოდგენილნი იყვნენ ფოტოებითა და თაბაშირის მოდელებით, საყურადღებო იყო როგორც ისტორიული, ისე მხატვრული თვალსაზრისით. დამთვალიერებელთა შორის ასევე ყურადღებას იპყრობდა ვეფხვისა და ჯიხვის ფიტულები, რომელიც დამზადებული იყო კავკასიის მუზეუმის ტაქსიდერმისტის კ. მიულერის მიერ.[207]

გამოფენის მონაწილეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა medlebitta და დიპლომებით. კავკასიიდან წარდგენილი 1136 ექსპონატიდან ჯილდო მიიღო 188 ნივთმა. გამოფენა დაიხურა 1872 წლის 1 სექტემბერს. მან სამი თვის განმავლობაში 750 ათასი დამთვალიერებელი მიიღო.[208]

მოსკოვის გამოფენის დახურვის შემდეგ, აქ ექსპონირებული ნივთების დიდი ნაწილი გადაეცა კავკასიის მუზეუმს მუდმივ მფლობელობაში.

ასევე აღნიშვნელოვანი იყო მონაწილეობის მიღება 1873 წლის ნოემბერში გამართულ ვენის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო კავკასიის მუზეუმისა და გ. რადეს მიერ შერჩეული კავკასიის მხარის ამსახველი საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული ექსპონატები. ამის პარალელურად, გ. რადე ავსტრიისა და გერმანიის დიდ ქალაქებში ლექცია-მოხსენებებით გამოდიოდა ადგილობრივი

---

[207] გაზ."Кавказ», 1872, # 90.

[208] ქვარიანი ლ., დასახ. ნაშრ., გვ 83.

საზოგადოების წინაშე და აცნობდა მათ კავკასიის ბუნებასა და მცხოვრებლებს.[209]

ლექცია-მოხსენებების კითხვის დროს თვალსაჩინოებად გ. რადე იყენებდა ზ. შეფერის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებულ 14 მხატვრულ ტილოს, კავკასიის ხედებითა და ისტორიულ-მითოლოგიურ თემებზე შექმნილი სიუჟეტებით და მხატვარ ფრანც ზიმის კავკასიური ტიპაჟების ეთნოგრაფიულ ჩანახატებს. გ. რადეს ბიოგრაფის კ. ჰანის აღნიშვნით ამ ლექციებს სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოუწვევია.

მუზეუმის ფონდების შევსების მიზნით, თითქმის ყოველ წელს ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები და მივლინებები.

1874 წლის იულისში გ. რადე გ. სიევერსთან ერთად ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილის გავლით გაემართა აჭარის მთებისაკენ. მათ მოიარეს აჭარისწყლის სათაესეები, ჭოროხის აუზი, ოლთისის, არტაანისა და არზრუმის ტერიტორიები.[210] რადემ და სიევერსმა ამ მოგზაურობათა შესახებ ანგარიშები გამოაქვეყნეს გერმანულ სამეცნიერო ჟურნალებში.

1875 წელს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ საქსონელი დოქტორები ო. შნაიდერი, ბ. ფიქსენი, ი. მორავეკი და გერმანიის კონსული ბრიუნინგი, გ. რადემ იმოგზაურა მდინარე ხრამის სათაესეებთან, იქიდან ისინი ჩავიდნენ ალექსანდრეპოლში, მოიარეს გოგჩის ტბის სანაპიროები და აღსტაფის გავლით დაბრუნდნენ თბილისში.[211]

1876 წლის ზაფხულში გ. რადემ მოაწყო ექსპედიცია ხევსურეთში. გამოიკვლია არხოტისა და შატილის მიდამოები, აქედან ექსპედიცია გადავიდა თუშეთში და შეისწავლა პირიქითა ალაზნის ხეობა, შემდეგ ბორბალოდან დაეშვა ალაზნის ველისკენ და მუშაობა განაგრძო პანკისის ხეობაში. ექსპედიციის შემდეგ იგი აქვეყნებს ნაშრომს "ხევსურეთი", რომლის ეთნოგრაფიულ ნაწილზე მუშაობისას გამოიყენა რაფიელ ერისთავის შრომა.

1877 წლის შემოდგომაზე ჩატარდა ხელახალი ექსპედიცია კასპიის ზღვისპირა რაიონებში ლენქორანში — თალიშში. ექსპედიციაში მონაწილეობდა ენტომოლოგი ვენიდან ვ. ლედერი და მუზეუმის პრეპარატორი ი. რიბინსკი. აღნიშნული ექსპედიციების შემდეგ გ. რადე აქვეყნებს ნაშრომს თალიშზე.

---

[209] სსმ არქივი 1873, 17/6, გვ. 18.

[210] სსმ არქივი 1870, 16/5 გვ. 202.

[211] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ., 1912, გვ. 90.

ჩამოთვლილი ექსპედიციების შედეგად, კავკასიის მუზეუმისთვის მოპოვებული იქნა დიდძალი საბუნებისმეტყველო შინაარსის ექსპონატები. მარტო ლენქორანში ჩატარებული ექსპედიციების დროს მოპოვებულ ფრინველთა კოლექციაში 3000-ზდე ერთეული ითვლებოდა.

ექსპედიციების გარდა, ამ პერიოდში მუზეუმში ექსპონატები სხვა გზითაც შემოდიოდა. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ ჩამოვთვლით: 1873 წელს ყუბანის ოლქიდან მუზეუმს გადმოეცა არმავირელი გლეხის პ. შირინოვის მიერ ყორღანულ სამარხში ნაპოვნი ვერცხლის ძველებური ნივთები–თასი, ქალის ძვირფასი სამკაულები, ცხენისა და ცხერის ფიგურები, ორნამენტიანი ფირფიტები, რქის ფორმის შუშის ჭურჭელი და სხვ. 1874 წელს მუზეუმს ერევნის გუბერნიიდან გამოუგზავნეს სოფელ არინჯში მცხოვრებ ნაზარ სიმონოვის ნაპოვნი 116 ცალი ვერცხლის მონეტა.[212] 1874 წელს თბილისის ტელეგრაფის მუშამ ივანე პოპოვმა მუზეუმს გადასცა რომაელი იმპერატორების ოქტავიანეს, ადრიანესა და ტრაიანეს დროს მოჭრილი 5 ვერცხლისა და 3 სპილენძის მონეტა. 1875 წლის ივნისში მუზეუმმა მიიღო თერგის ოლქის ყიზლარის მაზრის სტანიცა შედრინოს მცხოვრებლების მიერ ე.წ. "ხერსონეზსკოეს"ყორღანში ნაპოვნი განძი, რომელშიც შედიოდა ოქროსგან დამზადებული ბეჭედი, ძეწკვი, გულსაბნევი სერდოლიკის ქვით, ყელსაბამი 25 ძვირფასი ქვით, სამი პატარა ფიგურა, ქვის ქანდაკება, ბრინჯაოს ეაზა და ცულები [213]

1875 წლის ივლისში მუზეუმს გადაეცა ელისავეტოპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის სოფელ ყულეპთან ნაპოვნი განძი, რომელშიც იყო 40 სპარსული ვერცხლის მონეტა. 1875 წლის სექტემბერში ერევნის გუბერნიიდან მუზეუმს გამოუგზავნეს ნორბაიაზეთის მაზრაში ნაპოვნი განძი, რომელიც შედგებოდა 20 ვერცხლის მონეტისგან, ოქროს ღილებისა და ვერცხლის თასისაგან. 1875 წლის ოქტომბერში მუზეუმმა შეიძინა ნახიჩევანის ოლქის სოფელ ქეჩილუს მცხოვრებლების მიერ ნაპოვნი 1662 წელს დამზადებული დამზადებული სპილენძის ჯვარი წარწერით, .

1877 წლის ნოემბერში მუზეუმს სტავროპოლელმა მოქალაქემ ა. გენდკოვსკიმ გადმოსცა კალმიკელი მხატვრის

---

[212] სსმ არქივი, 1874, 18/7 გვ. 12

[213] იქვე. გვ. 138

მხატვრული ტილო "ქურუმი ბირხანი", სპილენძის ბარძიმი, უძველესი ცხოველის გაქვავებული 15 ცალი კბილი და სხვ.[214]

1878 წელს თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა კაუფმანმა მუზეუმს უსახსოვრა თურქესტანში მცხოვრებ ხალხთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ფოტოები, 37 ერთეული შუაზიური თიხის ჭურჭელი, სამარყანდის, შაჰზინდისა და ბიბიხანუმის მავზოლეუმიდან აღებული 8 მოჭიქული ფილა.[215]

1880 წელს მუზეუმში ბათუმიდან ჩამოიტანეს შავი ზღვის ნაპირებთან გამორიყული ვეშაპის ვებერთელა ჩონჩხის ნაწილები, ამავე წელს მუზეუმმა თელავიდან მიიღო შალაურში კიკნაძის აგარაკზე ნაპოვნი თიხის სარკოფაგი და ქალის სამკაულები.[216] ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ, 1879 წელს მოხერხდა ფ. ბაიერნის მიერ მცხეთაში, სამთავროში მოპოვებული მასალების მუზეუმისთვის გადაცემა. თვით ბაიერნს შესთავაზეს მუზეუმში პრეპარატორის თანამდებობა თვეში 20 მანეთის ანაზღაურებით, სამოთახიანი ბინა სამზარეულოთი, შეშით, წყლითა და განათებით, ხოლო როდესაც ფ. ბაიერნი გარდაიცვალა 1886 წელს, მუზეუმმა მის დასაკრძალავად გაიღო ხარჯი.[217]

შეძლებისდაგვარად ხორციელდებოდა მუზეუმის დაფინანსება. შეუფერხებლად გამოიყოფოდა თანხები გ. რადეს მოგზაურობებისა და ექსპედიციებისთვის. 1872 წელს შეიძინეს ეთნოგრაფიულ თემებზე შესრულებული რვა დიდი ზომის მხატვრული ტილო, რომელშიც გადაიხადეს 2000 მანეთი. 1873 წელს შეიძინეს კარადები, ვიტრინები და სადგარები, რაც დაჯდა 540 მანეთი. 1874 წელს გერმანიასა და ავსტრიაში რადეს ლექციებისათვის შეკეთილ 14 მხატვრულ სურათში გადაიხადეს 1500 მანეთი.

1875 წელს თბილისელი კბილის ექიმის, კოლექციონერ ობრეხტისგან 1500 მანეთად შეძენილ იქნა მონეტებისა და მედლების "მუზეუმის არსებობის მანძილზე ყველაზე ძნიშვნელოვანი კოლექცია."[218]

1875 წელს ღამტკიცდა კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შტატები და ხარჯთაღრიცხვა. ახალი სამუზეუმო მასალების შესაძენად ყოველწლიურად

---

[214] სსმ არქივი, 1874, 18/7, გვ. 277.
[215] სსმ 1878, 22/11, გვ. 154.
[216] სსმ არქივი, 1880, 24/13, გვ. 53.
[217] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 48 .
[218] სსმ არქივი, 1875, 19/8, გვ. 168.

გამოიყოფოდა 500 მანეთი. 1897 წელს მუზეუმის ბაღის მოსაწესრიგებლად და ვოლიერების მოსაწყობად დაიხარჯა 1173 მანეთი.[219]

1879 წელს ფოტოგრაფ დ. ერმაკოვისაგან 100 მანეთად შეიძინეს ოპიზიდან ჩამოტანილი ქართულ წარწერიანი ქვის ორი ფილა და ქ. ანის ნანგრევების ფოტოალბომი. 1879 წელს 300 მანეთი გადაუხადეს მკინძავ ი. რაბინოვიჩს წიგნების ყდების მოსაწესრიგებლად, იმავე წელს 662 მანეთი ეკვივალენტის 77 პოლუიმპერიალი გადაიხადეს ქ. კასელში გ. რადეს ნაშრომის "ხევსურეთის" დასაბეჭდად.[220]

1880 წელს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის ა. სტაროსელსკის განკარგულებით მხატვარ ბ. გელვინს 300 მანეთი გამოეყო მუზეუმის კედლების მოხატვისათვის, ხოლო ფრანც ზიმს— 4500მანეთი მუზეუმის კიბის უჯრედში ფრესკების მოსახატავად.[221] იმავე წელს მეფისნაცვლის ნებართვით, "ექსტრაორდინალური" თანხა 8000 მანეთი იქნა გაღებული მხატვარ ფელიქს ხოდოროვიჩისთვის კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების ამსახველი მანეკენების დასამზადებლად.

ამ ასიგნებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გ. რადე ხშირად სარგებლობდა თავისი ავტორიტეტით, სახელმწიფო ორგანოებს და მოხელეებს მიმართავდა მუზეუმისათვის თანხების გამოყოფის შესახებ და როგორც წესი, მიზანს აღწევდა. ბევრ შემთხვევაში იგი თავის ითხოვნებს ასაბუთებდა პოლიტიკურ ჭრილში: "ლინგვისტური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად ჭრელ და მრავალფეროვან კავკასიაში მოსახლე მთიელი ტომები თანდათანობით ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს ან მათ ასახლებენ მშობლიური კერიდან. დასავლეთ კავკასიაში განშტოებული ჩერქეზი ტომებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, აფხაზეთი და წებელდა დაცარიელებულია, ჩერქეზები ჯერ კიდევ 1866 წელს გაასახლეს, დაღესტნელები კი ბოლო ომებში არ იყვნენ ჩვენი მშვიდობიანი, ერთგული ქვეშევრდომები და როგორც ჩანს, აღრე თუ გვიან ისინიც დატოვებენ თავიანთ საცოდავ ჯურღმულებს. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში მხარის საინტერესო ეთნოგრაფიული სურათი მიიღებს სრულიად შეცვლილ სახეს, ამიტომ მეცნიერების წინაშე დგას

---

[219] იქვე, გვ. 63.
[220] სსმ არქივი, 1879, 23/12, გვ. 35.
[221] სსმ არქივი, 1880, 24/13 გვ. 92.

გადაუდებელი ამოცანა – შემოინახოს ამ სურათის ტიპები, ასლების სახით მაინც – რაც შეადგენს კავკასიის მუზეუმის მიზანსაც."[222] სწერდა იგი მეფისნაცვლის კანცელარიას.

ახალი საშტატო განრიგით მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა ასეთი იყო: დირექტორის წლიურ ხელფასს 2000 მანეთს ემატებოდა სადილის 400 მან. და ექსპედიციების 1500 მან. თანაშემწეს ჰქონდა 1000 მან., პრეპარატორს და მის ლაბორანტს 1450 მან. ტექნიკურ მუშაკებს, გადამწერსა და დარაჯს 850 მან, ახალი ექსპონატების შეძენაზე გამოიყოფოდა 500 მან., მუზეუმის გათბობასა და განათებაზე–400 მან., ექსპონატების ტრანსპორტირებაზე 200 მან., სულ—8400 მანეთი.

დირექტორსა და მის თანაშემწეზე ვრცელდებოდა კანონი – კავკასიის მხარეში სამსახურის ყოველ 5 წლის შემდეგ, ხელფასს ემატებოდა გარკვეული ნაწილი. გ. რადეს 1875 წელს 15 წლიანი სამსახურისათვის მის წლიურ ხელფასს, 2000 მანეთს, დაემატა 3/4 ნაწილი ე. ი. 150 მან, ხოლო 20 წლის თავზე– ხელფასის მთელი განაკვეთი.

[გ. რადეს არ აკლდა დაფასება ხელისუფლების მხრიდან: 1871 წლის ოქტომბერში "გულმოდგინე შრომისა-თვის" იგი დაჯილდოედა წმ. ანას II ხარისხის ორდენით, იმავე წლის ნოემბერში კი ირანის "ლომისა და მზის" III ხარისხის ორდენით; 1874 წელს მას უბოძეს ფრანც იოსების ორდენი – ოქროს ჯვრით. იმავე წელს რადე დაჯილდოვდა გერმანული – სამეფო გვირგვინის IV კლასის ორდენით.[223] 1878 წლის მაისში იგი იღებს სტატ-მრჩეველის წოდებას, 1880 წლის აგვისტოში კი-- წმ. ვლადიმერის მე-3-ე ხარისხის ორდენს.[224]]

[მუზეუმის დირექტორის თანაშემწე ე. გერშელმანი შეებულების დროს, ფოთში უეცრად გარდაიცვალა და მის თანამდებობას 1876 წლის 15 მაისიდან იკავებს კოლეჯის ასესორი *გუსტავ ს

წლამდე შემდგომში გ. სიეერსი მიიწვიეს მეფისნაცვლის შვილების აღმზრდელად.

კავკასიის მუზეუმში ამ პერიოდში პრეპარატორად მუშაობდა იოანე რიბანსკი. მიუხედავად მაღალი პროფესიონალიზმისა მას ძალზე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა გ. რადეესთან, რადგანაც იგი ხშირად ცხადდებოდა სამსახურში არაფხიზელ მდგომარეობაში. პრეპარატორის მოწაფის თანამდებობა ეკავა ვლადიმერ ფილიპოვს. მუზეუმის დირექტორი და მისი თანაშემწე ოჯახებით ცხოვრობდნენ მუზეუმის შენობაში და ეკავათ ცხრა ოთახი, აქვე ცხოვრობდნენ პრეპარატორი და ორი დარაჯი.[226]

1881 წლის შემოდგომაზე თბილისში უნდა გამართულიყო V საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობა, რომელზეც თავი უნდა მოეყარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბევრ გამოჩენილ მეცნიერს.

კავკასიის უმაღლესმა ხელისუფლებამ აუცილებლობად მიიჩნია ღირსეულად შეხვედროდა ამ პრესტიჟულ ღონისძიებას და ამისთვის ძალისხმევა და სახსრები არ დაეშურა. გადაწყდა, რომ ყრილობის ერთ-ერთი მასპინძელი და საბაზო დაწესებულება კავკასიის მუზეუმი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაფართოებულიყო მუზეუმის შენობა და განახლებულიყო მისი გამოფენები, რადგან ამ პერიოდისთვის მუზეუმის ძველი ერთსართულიანი შენობა ნიკოლოზის ქუჩაზე სამუზეუმო მასალებს ეეღარ იტევდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. რადე ჯერ კიდევ ადრე აყენებდა მუზეუმის შენობის გაფართოების საკითხს, ერთსართულიან შენობაზე მეორე სართულის დაშენების გზით. იგი ამას თავისებურად უსაბუთებდა მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს: "თბილისში არქეოლოგთა კონგრესზე ჩამოვლენ მეცნიერები, რომლებიც ადგილზე უნდა დარწმუნდნენ, რამდენად მოხერხდა მხარის მეცნიერული დაპყრობა. მათი განაჩენი ეცნობება არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოსაც. ამ საქმის გადარჩენას შეეძლებთ, თუ ყველა შეკრებილ მასალას სისტემურად განვალაგებთ მუზეუმში. ამის მოხერხება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მუზეუმის შენობაზე მეორე სართულის დაშენებით."[227]

---

[226] სსმ არქივი, 1878, 22/11, გვ. 125.

[227] სსმ არქივი, 1879 23/12, გვ. 23.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1877 წლის 10 იანვარს, მეფისნაცველის კანცელარიისადმი გაგზავნილ წერილში, გ. რადე აღნიშნავდა, რაკი სახელმწიფოს არ ჰქონდა საშუალება გაეღო არქიტ. ა.ზალცმანის პროექტით გათვალისწინებული 1500 მანეთი, იგი ვალდებულებას იღებდა თავისი ფულით ერთ წელიწადში დაეშენებინა მუზეუმის შენობაზე მეორე სართული, იმ პირობით, რომ 15 წლის მანძილზე მისთვის ყოველწლიურად გადაეხადათ 2000 მანეთი. მხოლოდ ამის შემდეგ, ეს შენობა გადაეიდოდა ხაზინის საკუთრებაში.[228] მაგრამ გარიგება არ შედგა.

1878 წელს ჩამოყალიბდა V საერთაშორისო ყრილობის მოსამზადებელი კომისია, რომლის თავჯდომარედ აირჩიეს გ. რადე. კავკასიის მეფისნაცვალმა გ. რადესა და არქიტექტორ ა. ზალცმანს დაავალა უმოკლეს ვადებში წარედგინათ კავკასიის მუზეუმის შენობის გაფართოებისა და ახალი ექსპოზიციის მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა—იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 1881 წლის 1 იანვრისთვის.

სასწრაფოდ შედგა ხარჯთაღრიცხვა 46000 მანეთის ფარგლებში. 1879 წლის ოქტომბერში მუზეუმი დაიკეტა და იმავე წლის დეკემბერში დაიწყო მუშაობა მუზეუმის შენობის გაფართოებისთვის. არქიტექტორ ა.ზალცმანის გეგმით, არსებულ ერთსართულიან მუზეუმის შენობისათვის უნდა დაეშენებინათ მეორე სართული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაფართოება ეხებოდა მხოლოდ მუზეუმის შენობას, ხოლო ბიბლიოთეკის მშენებარე შენობა დაიკავა ქალთა გიმნაზიამ, რომელსაც აქტიურად ბოფარველობდა მეფისნაცვლის მეუღლე ოლგა ფეოდოროვნა. შემდგომ მისი სახელი დაერქვა ამ სასწავლებელს.

1879 წლის იულისში არქიტ. ა. ზალცმანი სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ და გ. რადეს დაჟინებული მოთხოვნით პროექტზე მუშაობის გაგრძელება შესთავაზეს არქიტექტორ ლეონპოლდ ბილუელდს. მასვე დაევალა მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობაც. მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები სწრაფი ტემპებით წარიმართა და ცხრა თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ მუზეუმის მეორე სართული უკვე მზად იყო. საბოლოოდ, შენობის ასე ნააჩქარევად აგება შემდეგში ძალიან ძვირად დაუჯდა მუზეუმს.

მუზეუმის შენობის მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაიწყო ექსპოზიციის მომზადება. კარადებისა და ვიტრინების

---

[228] სსმ არქივი, 1878, 22/11, გვ. 7.

შესაძენად გამოიყო 2000 მანეთი, ხოლო მეორე სართულის დარბაზების შიდა მოპირკეთებისთვის – 3000 მანეთი. გადაწყდა, რომ კავკასიის მუზეუმში თავი უნდა მოეყარათ სხვადასხვა ორგანიზაციებში გაბნეული სამუზეუმო მასალებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კავკასიის სამთო სამმართველოსა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების კუთვნილი მასალების გადმოცემა, ამის თობაზე გ. რადე წერდა – "მე დიდი დრო და ძალისხმევა დამჭირდა იმისათვის, რომ ეს ორგანიზაციები და საზოგადოებები დამერწმუნებინა ყველა კოლექციების ერთ ადგილას–კავკასიის მუზეუმში გასაერთიანებლად".[229]

ასევე იყრიდა თავს წიგნები ბიბლიოთეკაში სხვადასხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან. 1872 წლის განმავლობაში შეიძინეს 600 მანეთის ღირებულების წიგნები და ბიბლიოთეკა მოემსახურა 3579 მკითხველს. მისი ფონდები თავისი შემოწირულობებით გაამდიდრეს; ა. ბერჟემ, ი. ტრუბეცკოიმ ი. უვაროვმა და სხვებმა. 1875 წლისათვის ბიბლიოთეკაში იყო 12955 დასახელების 26500 წიგნი.[230]

1875 წელს თავადმა ალექსანდრე მენშიკოვმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 5164 დასახელების 11187 წიგნი, რომლის საერთო ღირებულება 30000 მანეთს აღემატებოდა. შინაარსობრივად ეს კოლექცია ასეთი იყო: [231]

გეოლოგია	559	დასახელების	845	წიგნი
ფილოსოფია	57	—	91	—
სამართალი	573	—	916	—
ისტორია	992	—	2113	—
ფილოლოგია	43	—	70	—
სტატისტიკა	206	—	324	—
გეოგრაფია	63	—	97	—
ლიტერატურა	1501	—	1935	—
საბუნებისმეტყველო	101	—	157	—
მედიცინა	422	—	676	—
მოგზაურობა	188	—	348	—
ენათმეცნიერება	120	—	963	—
ენციკლოპედია	31	—	212	—
პერიოდიკა	126	—	2776	—

[229] სსმ არქივი, 1879, 23/12, გვ. 23.
[230] სსმ არქივი, 1877, 21/10 გვ. 137.
[231] სსმ არქივი, 1875, 19/8, გვ. 73.

1880 წლისათვის ბიბლიოთეკაში სულ ირიცხებოდა 13997 დასახელების 26846 წიგნი.[232] ბიბლიოთეკის ციგნსაცავის ასეთმა ზრდამ საჭირო გახადა კატალოგის მეორე გაგრძელების გამოცემა, რაც 1881 წელს განახორციელა გ. სივერსმა.

კავკასიის მუზეუმის ახალი შენობა წარმოადგენდა რენესანსის კლასიკური სტილის კაპიტალურ ნაგებობას, რომლის შუა ნაწილი ოდნავ წინ იყო გამოწეული და ბერძნული სამკუთხა ფრონტონითა და ექვსი კორინთული სვეტით იყო დამშვენებული.[233] სვეტებს შორის პატარა აივანზე ორი მრგვალთაღოვანი ფანჯარა და ერთი დიდი კარი გამოდიოდა. სამკუთხა ფრონტონის ქვეშ ეპისტილზე რუსული მთავრული ასოებით მოთავსებული იყო წარწერა "музей".

შენობის მშენებლობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მთავარი შესასვლელის გაფორმებას. გ. რადეს აზრით, ვესტიბიულის კედლები უნდა დაფარულიყო ფრესკული მხატვრობით. დიდი ფართის კედლებზე უნდა აღბეჭდილიყო კავკასიასთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტები, ხოლო შედარებით მცირე ზომის კედლებზე — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გელათისა და ვარძიის ფრესკების ასლები. "კავკასია სწორედ ის კუთხეა, სადაც ამაყობენ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი, ყველა ტომისა და ხალხისათვის ახლობელი თქმულებებით და მთელ დედამიწაზე იმაზე შესაფერისი ადგილი ნამდვილად არ არის, ბიბლიური წარღვნის, ან კოლხეთში არგონავტების ლაშქრობის აღსადგენად, ვიდრე აქ, კაცობრიობის ამ უძველეს აკვანში."[234] წერდა იგი მუზეუმის გაფორმების შესახებ.

ნახატების შესასრულებლად გამოცხადდა კონკურსი. მასში მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა, რუსმა და იტალიელმა მხატვრებმა. კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა გ. რადესათვის კარგად ნაცნობი ავსტრიელი მხატვარი ფრანც ხიმი. ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული ესკიზების გაცნობის შემდეგ, იგი მოწვეული იქნა თბილისში.

ფრანც ხავიერ ხიმი (1853-1918 წწ), დაიბადა ვენაში, კათოლიკე, ვენის სამხატვრო აკადემიის წარმატებით დამთავრებით შემდეგ სწავლას აგრძელებს რომში. აქ იგი გაეცნო სამეცნიერო მილინებით ჩამოსულ გ. რადეს და დაუხატა რამდენიმე სურათი

---

[232] Сиверс Г., Второе продолжениение краткого каталога Тифлисской публичной библиотеки, ტფ 1881, გვ. 10..

[233] Кеписи Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 5.

[234] სსმ არქივი 1880, 24/13, გვ. 110.

ლექციისთვის. კავკასიის მუზეუმის ეკსტიბიულის მოსახატავად გამართულ კონკურსში გამარჯვების შემდეგ, 1881 წლის აპრილში ფ. ზიმი თავის ახლადშერთულ მეუღლესთან მარიამ მაიერთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. მას აქტიურად ეხმარებოდა მარიამი, რომელიც თავადაც მხატვარიც იყო. ხუთი თვის შემდეგ, აგვისტოში ფრესკები უკვე მზად იყო, რაც დაჯდა 5503 მანეთი. შესრულებული ნახატები დიდი მოწონებით სარგებლობდა საზოგადოებაში. ფ. ზიმი არქეოლოგთა თბილისის V საერთაშორისო კონგრესის ოფიციალური მხატვარი გახდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფ. ზიმი და მისი მეუღლე კიდევ დიდხანს აგრძელებდნენ კავკასიაში მიღებულ შთაბეჭდილებების გადატანას ტილოზე. მათ შექმნეს "აღმოსავლური" ტილოების მთელი სერია. მოგვიანებით ფ. ზიმი დაინიშნა ბავარიის სახვითი ხელოვნების აკადემიის "სამეფო პროფესორად".

აღნიშნული ნამუშევრები და საერთოდ მუზეუმის იმდროინდელი ექსპოზიცია დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის კავკასიურ მოგონებებში რუს მოგზაურსა და მწერალს ვლადიმერ სვიატლოვსკის, რომელიც იმხანად ამყოფებოდა თბილისში: "თბილისურ დირშესანიშნაობათა შორის გვერდს ვერ აუვლით კავკასიის მუზეუმს, სადაც ბევრი საინტერესო ნივთია წარმოდგენილი. მუზეუმი მოთავსებულია ერცელ შენობაში, რომლის ქვედა სართული უკავია ოთხ დიდ დარბაზს. ამდენივე დარბაზია ზედა სართულზე. კიდევ რამოდენიმე დარბაზია გამოყოფილი მეზონინში (ზედა ნახევარსართულში) სიძველეთა და ორნამენტთა განყოფილებისათვის. ქვედა სართულზე წარმოდგენილია კავკასიის გეოლოგია და მისი ფაუნა, ზედა სართულზე კი—ეთნოგრაფია, ფლორა და ენტომოლოგიის განყოფილება.

განსაკუთრებით კარგი და ეფექტურია მუზეუმის მთავარი შესასვლელისა და კიბის უჯრედის მორთულობა. მთავარი შესასვლელი წარმოადგენს რვაწახნაგოვან ერცელ ოთახს სვეტებით. კედლებში ჩატანებულია ოთხი ზემოთ წამახვილებული ნიშა, რომელიც მორთულია მდიდრული სპარსული სტილის ნაძერწი ორნამენტებით. მოხრილი წახნაგების სეგმენტები მორთულია თაბაშირის ჩუქურთმებითა და სარკისებრი შუშებით. შესასვლელის მთავარ კედელზე ბრწყინავს მოოქრული წარწერა: VIRIBUS UNITIS (ლათ. "ძალა ერთობაშია" — გ. ჩ.), რომლის ქვეშოთ. ეკიდა ხელმწიფე

იმპერატორის პორტრეტი, თბილისისა და საქართველოს სამხედრო გზის ორი პანორამული სურათი."[235]

შემორჩენილია მუზეუმის ზემოთ აღწერილი მთავარი შესასვლელის ფოტოსურათი, სადაც კარგად ჩანს, რომ იმპერატორის სურათის ქვეშ აგრეთვე კიდია კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლიზის ძის, მისი მეუღლის და ყოფილი მეფისნაცვლის მ.ვორონცოვის პორტრეტული სურათები.

მუზეუმის მთავარ შესასვლელში, ალბათ ისევე ამ პირების სურათების გამოფენა, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღოდათ კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბებაში, სჯობდა, ვიდრე თემურ ლენგის პორტრეტისა, რომელიც წინათ ამ ადგილზე ეკიდა.

შესასვლელის იატაკი დაფარული იყო ყარაბახული ნოხებით და შირვანის ოლქში დამზადებული ვიწრო ზოლიანი ქსოვილით (ჯეჯიმით). მუქ ცისფერ ფონზე ეფექტურად გამოიყურებოდა თაბაშირის თეთრად შეღებილი ორნამენტები.

მუზეუმის კიბის უჯრედის კედლების ფრესკებიდან განსაკუთრებით შთამბეჭდავი ყოფილა ნახატი, რომელზეც აღბეჭდილი იყო კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე და მტირალი ოკეანიდები. ზემოთ აღნიშნული რუსი მოგზაურის აზრით, შედარებით სუსტი იყო მეორე ნახატი, სადაც გამოსახული იყო არგონავტების ჩამოსვლა კოლხეთში. მესამე ფრესკაზე ასახული იყო მედეა და იასონი ჰეკატის ტაძარში. როგორც 1881 წლის გზამკვლევშია აღნიშნული, მედეა ერთ-ერთი ქართველი თავადი ქალის, ხოლო იასონი მეფისნაცვლის შვილის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიხედვით ყოფილა დახატული.[236] ვ. სვიატლოვსკის აზრით, ყველაზე კარგად მხატვარს დაუხატავს მეოთხე ფრესკა, სადაც არარატის მთის ფონზე აღბეჭდილი იყო ბიბლიური ნოე ეაზის დარგვის დროს. ბოლო, მეოთხე ფრესკაზე გამოხატული ყოფილა ცხენებზე ამხედრებული ორი ამორძალი.[237]

ახალი საგამოფენო ფართი მოიცავდა მუზეუმის შენობის ორ სართულს და ანტრესოლს, სადაც განლაგებული იყო 17–მდე დარბაზი. მთავარი, რაც ახალ გამოფენას მუზეუმის წინა ექსპოზიციებისაგან განასხვავებდა ის იყო, რომ

---

[235] Святловский В., Очерки и картинки из Кавказских воспоминании, ოდესა, 1898, გვ. 177.

[236] Краткий путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1981, გვ. 26.

[237] Святловский В., დასახ. ნაშრ., გვ. 179.

საგამოფენო ფართის გაზრდასთან ერთად, მოხერხდა ექსპონატების სისტემური წესით და სახეობების მიხედვით უფრო ვრცლად წარმოდგენა. ექსპოზიცია შევსებული იყო ახალი კოლექციებით.

მუზეუმის დარბაზების კედლები მოხატული იყო კავკასიის ხედებით, ჭერი კი–ადგილობრივი ქსოვილებიდან აღებული ორნამენტებით, რომლებიც გარკვეულ ფონს უქმნიდნენ იქ გამოფენილ ექსპონატებს. იატაკი მოფენილი იყო კავკასიური ხალიჩებითა, ფარდაგებით და ნაქარგეულით.

1875, 1881 და 1891 წლებში გამოცემული მუზეუმის გამოფენების გზამკვლევებიდან და დღემდე შემორჩენილი ფოტოსურათებიდან აშკარად ჩანს, რომ ექსპოზიციის გაფორმებისას მუზეუმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თვალსაჩინოებას. ექსპონატების დამატებითი მხატვრული ხერხებით წარმოჩენას, ემოციურ სააქცენტო მომენტების შექმნას, რაც ალბათ წმინდა მეცნიერული ხერხებით ჩვენების ხარჯზე ხდებოდა.

როგორც ქვემოთ დავინახავთ გამოფენაზე ბევრი მულაჟი და მანეკენი წარმოდგენილი იყო ცეკვის, ვაჭრობის ან მუშაობის პროცესში, ცხოველთა და ფრინველთა ფიტულები კი–ნადირობისას, ბუნებრივ გარემოში, მხატვრული ხედების ფონზე, დიორამებში და ა. შ. ყოველივე ეს ზოგიერთი სპეციალისტის შენიშვნას იწვევდა. მაგალითად, მოსკოველი პროფესორი მ. მენზბირი აღნიშნავდა: "ჩვენი თბილისში 1891 წლის საფხულში ყოფნის დროს, გაგვაკვირვა მუზეუმის გარეგნულმა მხარემ, სადაც ყველაფერი, დაწყებული კედლებიდან და კოლექციებით დამთავრებული, ემსახურება იმას, რომ თვალში მოხვდეს დამთვალიერებელს. სისტემურ-სამეცნიერო კოლექციებს აქ მცირე ადგილი აქვს დათმობილი და სამწუხაროდ კუთხეში არის მიჩქმალული. . .ჩემს მეხსიერებაში ძველი და ახალი სამყაროს სხვა მუზეუმებთან შედარებისას კი ყველგან პირიქითაა: სისტემურ კოლექციებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა, სანახაობითს კი –უფრო მცირე".[238] ამავე აზრს იზიარებდა ნ. ზეიდლიცი. მათ საპასუხოდ გ. რადე წერდა "თანხები რომ იყოს, კიდევ სიამოვნებით მოვახატვინებდი მუზეუმის ყველა თაეისუფალ კედელსა და ჭერს. მეცნიერთათვის კარადები ყოველთვის ღიაა იქ მოთავსებული მასალების გასაცნობად, დამთვალიერებელთა

---

[238] Мензбир М, Русская естественно-историческая общества и университеты, ჟურნ "Русская Мысль", მოსკოვი, 1892, № 8, გვ. 166. .

უმრავლესობიათვის კი დეკორაციულ გაფორმებას ყოველთვის ექნება მიმზიდველი ძალა . . რადგან მუზეუმი შექმნილია არა მარტო სწავლულებისთვის, არამედ უბრალო ხალხისთვისაც და მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს ადმინისტრაციის უპირველეს მოვალეობას".[239]

ამ კონცეფციას ბევრი იზიარებდა. ცნობილი მეცნიერი ფ. კეპენი კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციების შესახებ აღნიშნავდა: "მუზეუმში შესელისას დამთვალიერებელს უმალვე ხიბლავდა შიდა მორთულობის სინატიფე . . . საერთოდ გემოვნება აქ ყველგან იგრძნობოდა და მომგებიანად გამოიყენებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი კავკასიის მუზეუმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. მე არ მაგონდება სადმე სხვაგან ევროპულ მუზეუმებში მენახოს სინატიფის ასეთი მშვენიერი შერწყმა მიზანდასახულობასთან".[240]

მუზეუმის პირველი სართულის ოთხ დარბაზში მოთავსებული იყო გეოლოგიური და ზოოლოგიური მასალები.

პირველი დარბაზის 16 კარადაში 23 ვიტრინასა და 172 სადგარზე გამოფენილი იყო გეოლოგიური, მინერალოგიური და პალეონტოლოგიური ნივთები, სულ 10000-მდე ექსპონატი.[241] ამ განყოფილებისთვის მუზეუმმა 29 პირისაგან მიიღო საჩუქრად კოლექციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კაიროს მუზეუმის დირექტორის გ. მორგანის მიერ გადმოცემული ყველა ფორმაციის ნიჟარები და ნამარხეული. აქ წარმოდგენილი სამი მნიშვნელოვანი გეოლოგიური კოლექცია, რომელიც ღიღი რაოდენობის ნივთს მოიცავდა შეისყიდეს, ხოლო ერთი-- გაცვლით მიიღეს.

გამოფენილ ექსპონატთა უმრავლესობა მუზეუმის ექსპედიციებითა და კავკასიის სამთო უწყების ხელმძღვანელის ა. შტეინმანის დახმარებით იქნა მოპოვებული. აქ გამოფენილი იყო კავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოტანილი მთისა და მადნეულის ქანების ნიმუშები. საყურადღებო იყო ახალციხიდან, აბასთუმნიდან და მტკვრის აუზის სხვა ადგილებიდან მოპოვებული მასალები. აგრეთვე, მესამეული ფორმაციის ნიჟარები; სიფერსისა და ბაიერნისაგან მიღებული ნამარხეულთა მდიდარი კოლექციები. ექსპონატები შეისწავლა და დაამუშავა სიმონოვიჩმა.

---

[239] Отчет по Кавказскому Музею и Тифлисской публичной библиотеки за 1892, ტ 1892 გვ 16.

[240] Кепен Ф, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[241] Кепен Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 11.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბაქოს რაიონიდან ნავთობიანი ქანების ნიმუშები, რომელიც ინჟინერმა გ. ბაცეიჩმა გადმოსცა მუზეუმს. დარბაზის ფანჯარასთან იდგა ქანების საბურღი მოწყობილობის მოდელი.[242]

მეორე დარბაზის 31 კარადაში, 27 ვიტრინასა და 166 სადგარზე ექსპონირებული იყო 5000-ზე მეტი ზოოლოგიური ექსპონატი.[243] გამოფენილი იყო ძუძუმწოვრების, ხერხემლიანების, ფრინველების, ქვეწარმავლების, თევზების, მწერებისა და პეპლების კავკასიაში გავრცელებული სახეობები. დარბაზის კედლებზე ეკიდა სხვადასხვა ძუძუმწოვართა რქები, ხოლო ცენტრში მოთავსებული იყო მტაცებელი და შინაური ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები. ფიტულები უმეტესად განლაგებული იყო ვერტიკალურად, ბუტაფორიულ კედლებზე. ამ ხერხის გამოყენებით მიღწეული იქნა ორი მიზანი: ცხოველთა ჩვენება ბიოჯგუფში და საექსპოზიციო ფართის ეკონომია. პირველად ამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ცხოველთა ენდემური სახეობები, მაგ: კავკასიური დომბა, როჯო და სხვ.[244]

ცნობილი სპარსელი სამხედრო მოღვაწე და მოგზაური, გენერალი მაჯდ-ოს-სალტანე, რომელსაც 1894 წელს დაუთვალიერებია კავკასიის მუზეუმი, კმაყოფილებას ვერ მალავს ზოოლოგიურ განყოფილებაში წარმოდგენილ ექსპონატებისა და ფიტულების გამო: "ყველა ესენი ისეა ექსპონირებული, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ცოცხალი ცხოველებისგან ვერ განასხვავებს ადამიანი."[245] ზემოთ მოხსენიებულ ე. სვიატლოვსკის კი გამოფენაზე განსაკუთრებით მოწონებია ვეშაპის თავის ჩონჩხი, რომელიც 1880 წელს ზღვას გამოურიყავს ბათუმთან.[246]

გარდა ამისა, მუზეუმის ეზოში მოთავსებულ გალიებსა და ვოლიერებში წარმოდგენილი იყვნენ ცოცხალი ცხოველები და ფრინველები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევდნენ თბილისის მცხოვრებლებში.

მუზეუმმა ზოოლოგიური განყოფილებისთვის 43 პირისგან მიიღო შემოწირულობები, 5 ფირმისა და 11 კერძო პირისაგან

---

[242] Путеводитель Кавказского Музеума, VI, ტფ. 1881, გვ . 2.
[243] Коллекции Кавказского Музеума, ტ. VI, ტფ., 1912, გვ. 116
[244] ბოლქვაძე ს., დასახ. ნაშრ., გვ. 157.
[245] მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა. თბ., 1971, გვ. 19.
[246] Святловский В.,. დასახ. ნაშრ., გვ. 180

შეიძინა კოლექციები, ხოლო 40-მდე პირთან და ორგანიზაციასთან გაცვალა ზოოლოგიური მასალები.

კავკასიის მუზეუმის მეორე სართულის ოთხ დარბაზში გამოფენილი იყო ეთნოგრაფიული და ბოტანიკური მასალები. ეთნოგრაფიულ ექსპონატებს ეკავა ორი დარბაზის 12 კარადა, 18 ვიტრინა და 21 საგამოფენო მაგიდა.

ექსპოზიციაში სამ ჯგუფად გამოფენილი იყო კავკასიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ეთნოგრაფიულ ტანსაცმელში გამოწყობილი ნატურალური ზომის მანეკენები. დარბაზის ცენტრში მოწყობილ დეკორაციულ კოლხურ ბაღში მოთავსებული იყო მოცეკვავე ქართლელის, იმერელის, გურულისა და მეგრელის ფიგურები. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო გზამკვლევის განმარტებით "ქართული წარმოშობის ქრისტიან მთიელთა" ჯგუფის: ხევსურის, ფშაველის, თუშის, სვანის და ოსის (?) ამსახველი მანეკენები. მოპირდაპირე კუთხეში კი ცალკე იდგა აფხაზისა და ყაბარდოელის ტიპაჟები. დეკორაციები მოამზადა გელეიგმა, ხოლო ექსპონატები – მხატვარმა ხოდოროვიჩმა. აქვე კარადებში გამოფენილი იყო ამ უკანასკნელის მიერ დამზადებული კავკასიის ხალხთა ტიპების მცირე ზომის სკულპტურები.[247]

მუზეუმის გამოფენის ჩვენამდე მოღწეული ფოტოსურათებიდან კარგად ჩანს ექსპოზიციის მხატვრული გადაწყვეტის ხერხი: დარბაზის ცენტრში ეთნოგრაფიული ნივთები წარმოდგენილია პირამიდულად, რაც მეტისმეტად ტვირთავდა გამოფენას და მხატვრული თვალსაზრისით ასუსტებდა მას. სავარაუდოა, რომ ეს რაც შეიძლება მეტი ექსპონატის ჩვენების სურვილით იყო განპირობებული.

კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ კარადებსა და ვიტრინებში გამოფენილი იყო კავკასიური იარაღი, მუსიკალური საკრავები, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, სამეურნეო და საოჯახო ნივთები. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ქართული საბრძოლო იარაღი --ხმლები და სატევრები: გორდა, დავითფერული, ფრანგული, ლახვარი, ლეკური, ლურსა, მახვილი, საცერე, ღაჯეა და ყამა. თოფები: მაჭახელა, სიათა, ფილთათოფი, ჩაქალოზი, ჩარმა, ხარათოფი და ხირიმი. ეთნოგრაფიული განყოფილება. გრძელდებოდა მეორე დარბაზშიც. გამოფენილი იყო ებრაელი ვაჭრისა და ახალციხელი სომეხი ქალისა და მამაკაცის მანეკენები

---

[247] Путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1881, გვ. 28.

ვაჭრობის დროს. კარადებში მოთავსებული იყო კავკასიური თიხისა და სპილენძის ჭურჭელი.

მეორე დარბაზს გააჩნდა ნიშები, სადაც იმპერატორ ალექსანდრე II ბიუსტის უკან ოთხ მწკრივად იდგნენ რუსეთში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მცირე ზომის ფიგურები.[248] დარბაზის კედლები დაფარული იყო დიდი ზომის მხატვრული ტილოებით და ეთნოგრაფიულ თემაზე შესრულებული სურათებით. ბოლო ვიტრინებში გამოფენილი იყო სპარსული და კავკასიური ნატიფი ხელოვნების ნიმუშები. ფ. კეპენის აღნიშვნით, ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ 25-ჯერ მიიღო შემოწირულობა და 3-ჯერ შეისყიდა დიდი რაოდენობის მასალა.[249]

მესამე დარბაზში ბოტანიკური კოლექციები გამოფენილი იყო 6 კარადაში, 8 ვიტრინასა და 182 პერბარიუმში. ექსპონატები საფონდო საცავის პრინციპით იყო წარმოდგენილი.

კავკასიის ფლორა განსაკუთრებით კარგად იყო ექსპონირებული რადეს, ჰოგენაკერის, ოვერინის, ბაიერნის, აბელის და სოვიჩევის მიერ შეკრებილ პერბარიუმებში. მასალათა შედარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დენდროლოგიურ კოლექციებს, რომელიც მიღებული იქნა პეტერბურგის საიმპერატორო ბოტანიკური ბაღიდან და იმ დახმარებას, რომელიც გაუწიეს საიმპერატორო ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ი.ბატალინმა და კონსერვატორმა ლიპსკიმ.[250] განყოფილებას 18 პირისაგან მიიღო შემოწირულობანი, 8-ჯერ შეიძინეს მსხვილი კოლექციები, ხოლო ბევრი ექსპონატი მიიღეს გაცვლითი წესით.

ყურადღებას იპყრობდა დარბაზის ცენტრში გამოფენილი სამკურნალო და ბაღის მცენარეულთა სხვადასხვა ჯიშები და ნიმუშები, რომელიც ცნობილი პომოლოგის არნოლდის მიერ იქნა განსაზღვრული.[251] ამავე დარბაზის კედლებზე ეკიდა კავკასიის ფლორის ამსახველი ფოტოები, ხოლო სპეციალურ ვიტრინებში მოთავსებული იყო რუკები, სქემები, ცხრილები და ტაბულები. ცალკე მეოთხე დარბაზი დათმობილი ჰქონდა ენტომოლოგიურ მასალებს. კარადებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის პეპლების, ხოჭოებისა და მწერების

---

[248] იქვე, გვ. 36.
[249] Кепп Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 14.
[250] Коллекции Кавказского Музея, т.VI ტფ., 1912, გვ. 117.
[251] Путеводитель Кавказского Музеума, ტფ., 1881, გვ. 48.

კოლექციები. მხოლოდ ხოჯოების კოლექციაში 5000 სახეობა იყო აღრიცსული.

სპეციალურ ვიტრინებში მოთავსებული იყო ხეშეშფრთიანების, ქერცლფრთიანების, ბადეფრთიანების, ორფრთიანებისა და სწორფრთიანების ეგზემპლარები. მათ განსაზღვრაში მონაწილეობა მიიღეს კიზენვეტერმა, დორნმა, მორავიცმა, სოლსკიმ, ზეიდლიცმა, კრაცმა, შნაიდერმა და სხვებმა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო რადეს და სივერსის მიერ შეკრებილი კავკასიური პეპლებისა და ტიდემანის ევროპული პეპლების ეგზემპლარები.[252]

საერთოდ კავკასიის მუზეუმის საბუნებისმეტყველო მასალათა შესწავლას მოემსახურა სამოცზე მეტი სპეციალისტი და ცნობილი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. როგორც ჩანს, გ. რადეს ეს საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი. იგი სისტემატურად იწვევდა მუზეუმში სწავლულებს, ან თვითონ აგზავნიდა მასალებს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში და იქიდან იღებდა კვალიფიციურ დასკვნებს.

ზედა ნახევარსართულის 6 დარბაზში გამოფენილი იყო სიძველეთა განყოფილების მასალები. ამ დარბაზებში დამთვალიერებელი მოხვდებოდა მთავარი კიბის უჯრედიდან ზევით ამავალი ხვეული კიბის მეშვეობით.

ორი დიდი ვიტრინა ჰქონდა დათმობილი ნუმიზმატიკურ მასალებს. ყურადღებას იპყრობდა კოლექცია, რომელშიც 2593 ცალი მონეტა ითვლებოდა. აქედან 674 ეგზემპლიარი პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟში შეისწავლა მარი ბროსემ.

ამავე დარბაზში გამოფენილი იყო კოლექცია, რომელიც შედგებოდა 2000–მდე მონეტისაგან. იგი შეისწავლა და დაამუშავა იევერსენმა.[253]

ცალკე ე. წ. წითელ დარბაზში ექსპონირებული იყო წარწერიანი და ორნამენტიანი ძველი ქვის ფილები. აქ გამოფენილი იყო ძველი სასაფლაოს ქვები ჯულფადან, ცხვრის ქვის ფიგურები არაქსის ველიდან, მოჭიქული აგურები და ფილები ერევნის მეჩეთიდან. კედლებზე ეკიდა ძველი ეკლესიების ორნამენტებისა და გამოსახულებების თაბაშირის ასლები.

---

[252] Путеводитель Кавказского Музеума, . ტფ 1881, გვ 49.

[253] Путеводитель Кавказского Музеума, . ტფ, 1881 , გვ 52..

სპეციალურ სადგარზე იდგა ლურსმნულწარწერიანი სტელა გოგჩის ტბის მიდამოებიდან, მოჩუქურთმებული ხის კარები და ტახტები სვანეთიდან.

კავკასიის სიძველენი წარმოდგენილი იყო ოთხ დარბაზში. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო არქეოლოგიური მასალები მტკვარ–არაქსის აუზიდან. კარადებში ექსპონირებული იყო ფ. ბაიერნის მიერ აცხეთაში, სამთავროში მოპოვებული მასალები. მათ შორის საყურადღებო იყო I–II საუკუნის სამკაულები და ხევსურეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ლომი.[254]

სპეციალურ ვიტრინებში გამოფენილი იყო ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებში აღმოჩენილი ისტორიული ნივთები: ერიწოვის მიერ შეკრებილი ძველი ბრინჯაოს და რკინის ნივთები, ძველი ქაშანური თასი, ქრისტიანული ჯვრები ერევნის გუბერნიიდან, ქვის ჩაქუჩი და იარაღები თუშეთიდან და სხვა.

დარბაზის ფანჯარასთან სადგარზე მოთავსებული იყო არაგვის ხეობიდან ჩამოტანილი გამომწვარი თიხის ორი სარკოფაგი. დარბაზის ბოლოს ექსპონირებული იყო ასურული სამი ქანდაკება და მოზაიკა კილიკიიდან, რომელიც მუზეუმს საჩუქრად გადასცა პოლკოვნიკმა ლუნდეკეისტომ. აქვე იყო ებრაულწარწერიანი საფლავის ქვა და 1867 წელს ბაგინეთში აღმოჩენილი იმპერატორ ვესპასიანეს ცნობილი სტელა.[255]

მეორე დარბაზში გამოფენილი იყო ისტორიული ნივთები რიონის აუზიდან. აქ წარმოდგენილი იყო ბარონესა დე–ლონგელის მიერ შეგროვილი კაჟისა და ობსიდიანის ნივთები: დანები, ხერხები, საფხეკები და ბრინჯაოს სამკაულები. ვიტრინაში მოთავსებული იყო შორაპანში აღმოჩენილი თასი და ბელენსკის მიერ შეიძენილი ძველებური ნივთები აჯამეთიდან, აქვე იყო ამ სოფლის ეკლესიის ორი რელიეფიანი ფილა.

მესამე დარბაზი დათმობილი ჰქონდა სიძველეებს ყუბანიდან. კარადებში გამოფენილი იყო პროფესორების ანტონოვიჩისა და ბერენშტამის მიერ გადმოცემული ისტორიული ხასიათის კოლექციები, რომლებიც შეაგროვეს V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის დაკვალებით. მეოთხე დარბაზში გამოფენილი იყო ნივთები თერგის ოლქიდან. აქ წარმოდგენილი იყო სიძველეები დაღესტნიდან, ძვირფასი სამკაულები დიგორიდან, ძველი ნივთები ხევსურეთიდან (ასას ხეობიდან), ბრინჯაოს ნივთები

---

[254] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ., 1912, გვ. 117.

[255] Путеводитель Кавказского Музеума, ტფ 1881, გვ. 55.

ჩრდილოეთ ოსეთიდან. დარბაზის შუაში გამოფენილი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გაერცელებული სამარხების მოდელები, რომელიც დამზადდა მოსკოვში გრაფ ა. უვაროვის დაკვეთით.

ასე გამოიყურებოდა კავკასიის მუზეუმის ახალი შენობა და ახლად მოწყობილი ექსპოზიცია. მისი ოფიციალური გახსნა დაემთხვა V საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობის მუშაობის დაწყების დღეს.

1881 წლის 8 სექტემბერს დღის პირველ საათზე, თბილისში მეფისნაცვლის სასახლის დიდ დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა V საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობა.[256] მასში მონაწილეობის მისაღებად თბილისში მრავლად ჩამოვიდნენ რუსი და საზღვარგარეთელი მეცნიერები. მათ შორის იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები რ. ვირხოვი, ნ. კოსტომაროვი, ა. უვაროვი, ა. ბრიუკნერი, დ. ილოვაისკი, ი. სტებნიცკი, ვ. მიულერი, ე. ვეიდენბაუმი, ა. კომაროვი, ფონ–ერკერტი და სხვები.

მეფისნაცვლის თბილისში არყოფნის გამო, ყრილობა გახსნა მისმა თანაშემწემ გენერალ–ადიუტანტმა თავადმა ლევან მელიქიშვილმა. საპასუხო სატყვით გამოვიდა ყრილობის საშეცნიერო კომიტეტის თავჯდომარე გრაფი ალექსი უვაროვი. მან დაასახელა ის მიზეზები, რამაც ყაზანში გამართულ წინა ყრილობას გადააწყვეტინა V ყრილობის გამართვა კავკასიის ცენტრში—თბილისში. შემდეგ გამოვიდა ყრილობის თავჯდომარე გენერალ–ლეიტენანტი ალექსანდრე კომაროვი. ყრილობის საზეიმო ოფიციალური გახსნის შემდეგ, გაშგებელი კომიტეტის თავჯდომარემ გუსტავ რადეკ დაბსწრე საზოგადოება მიიპატიჟა კავკასიის მუზეუმის დასათვალიერებლად. ყველა გაეშურა იქვე ახლოს მდებარე მუზეუმისაკენ.

მუზეუმის ახალი შენობა და ახალი გამოფენები საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დღის ორ საათზე. საქართველოს ეგზარქოსმა აკურთხა მუზეუმი, რის შემდეგ სტუმრებს მიესალმა მუზეუმის დირექტორი გ. რადე. მან ილაპარაკა მუზეუმის განვითარების პერსპექტივებზე და ყრილობის დელეგატებს გააცნო მისი ახალი ექსპოზიციები. აი რას წერდა ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ: "შემდეგ ხალხი წავიდა მუზეუმის სანახავად. მუზეუმის აღწერა შორს წავა. ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ტფილისის მუზეუმი დიდის გემოვნებით და მეცადინეობით არის მოწყობილი. სახელი და დიდება ბატონ

[256] V Археологический съезд в Тифлисе, ტფ., 1881, გვ. 1.

რადეს, მუზეუმის გამგებელს. მართლა რომ მოსაწონი რამ არის, ლამაზად მოწყობილი და კოპწიად მორთული. ჩვენ ყველას ეურჩეთ თავისის თვალითა ნახოს და დარწმუნებული ვართ, მადლობელნი დაგვირჩებიან."[257]

იმავე საღამოს მეფისნაცვლის სასახლის ბაღში ყრილობის დელეგატებისთვის გაიმართა დიდი საზეიმო წვეულება.

მეორე დღეს ყრილობამ დაიწყო მუშაობა. იგი მიმდინარეობდა განყოფილებებში. სულ ჩამოყალიბდა 8 განყოფილება: პირველყოფილი საზოგადოების, კლასიკური და წარმართული ხანის, ქრისტიანული ხანის ძეგლების, აღმოსავლეთის სიძველეების, ხელოვნებისა და მხატვრობის ნიმუშების, ენისა და წერილობითი ძეგლების, ისტორიის გეოგრაფიის და ეთნოგრაფიის განყოფილება.

აქედან ერთ-ერთი განყოფილების — ენისა და წერილობითი ძეგლების — თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო მდივნად ალ. ცაგარელი. ყრილობაზე ქართველებიდან მოხსენებები წაიკითხეს ნიკო წილოსანმა "არქეოლოგიური გათხრები ქ. ბერდაში", ალ. ცაგარელმა "ქართული დამწერლობის ძეგლები" და დ. ბაქრაძემ "ახლად აღმოჩენილი ქართული სახარების ოთხთავი"[258]

12 სექტემბერს გ. რადე ყრილობის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: "ნოე, ვაზი და ზეთისხილი", საღამოს კი ყრილობის ყველა მონაწილე მან თავის სახლში მიიწვია ვახშამზე.

13 სექტემბერს ყრილობის დელეგატები და სტუმრები გაემართნენ მცხეთისკენ, სადაც გაეცნენ იქ წარმოებულ საქთავროს არქეოლოგიურ გათხრებს. მცხეთისა და მის ღირშესანიშნაობათა მონახულების შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ქუთაისში, სადაც დაათვალიერეს გელათის მონასტერი.

თბილისის V საერთაშორისო არქეოლოგიური ყრილობამ მუშაობა 17 სექტემბერს დაასრულა მან დიდი როლი ითამაშა კავკასიაში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. ყრილობის ჩატარების შემდეგ მისი გამგებელი კომიტეტის (თავჯდომარე გ. რადე) ინიციატივით კავკასიაში 1871—81 წლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მუზეუმს გადაეცა.

ამ მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1880 წელს ვანის ნაქალაქარში "ახვლედიანთ" გორაზე აღმოჩენილი

---

[257] ჭაჭავაძე ი., თხზ., 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955, გვ. 115.
[258] Археологический съезд в Тифлисе, თბ.,1881, გვ. 5

ადოლფ ბერეე

ალექსანდრე ნიკოლაი



კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზი

კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზები

მდიდრული სამარხის ინვენტარი ნატიფი ნივთებით; ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას, მდინარეების ქცია-ხრამის შენაკადის დებედის ხეობაში სოფელ ეორნაკთან 1871 წელს ა. ერისტოვისა და ნ. მარის მიერ განათხარ ერცელ წარმართულ სამაროვნიდან აკრეფილი ნივთები; აგრეთვე ფრანგი სამთო ინჟინრისა და არქეოლოგის ჟაკ დე-მორგანის ახტალა-ალავერდის მიდამოებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ნივთები და სხვა.

კავკასიის მუზეუმის ახალ გამოფენას დიდი მოწონებით შეხვდა თბილისის საზოგადოება. გაზეთი "დროება" წერდა: "საზოგადოებამ დაათვალიერა მუზეუმი და დარწმუნდა, რომ ამდენი შრომა და ხარჯი უბრალოდ არ ყოფილა თურმე გაწეული, რომ ასეთი მუზეუმი, როგორც აქეს ეხლა ჩვენს ქალაქს, ბევრ ევროპის ქალაქს დაამშვენებდა. . მართლა საუცხოოდ მორთული და მდიდარი მუზეუმი აქვს ჩვენს ქალაქს".[239]

[239] გაზ. "დროება" 1881 წლის 4 ოქტომბერი.

§ 4. ახალ უწყებაში გადასელა. საფონდო, სამეცნიერო და საექსპოზიციო სამუშაოების გაშლა (1882 – 1903 წწ)

XIX საუკუნის 80–იან წლებში რუსეთის იმპერიაში რთული პროცესები ვითარდებოდა: საზოგადოებაში ძლიერდებოდა ოპოზიციური და რევოლუციური განწყობილება. ანტიბატონყმურ რეფორმათა შედეგებზე იმედგაცრუებამ, რუსეთ–თურქეთის მძიმე ომმა და დამამცირებელმა ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებებმა უკიდურესად გაამწვავა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, გააძლიერა საზოგადოების თითქმის ყველა ფენის უკმაყოფილება, რასაც 1881 წლის 1 მარტს ტერორისტების მიერ იმპერატორ ალექსანდრე II მოკვლა მოჰყვა.

ახალი იმპერატორი--ალექსანდრე III საშინაო პოლიტიკაში ბიუროკრატიის გაძლიერების მკაცრ კურსს დაადგა: გაფართოვდა და განმტკიცდა საზოგადოებაზე ადმინისტრაციული მეურვეობის სისტემა, შეიზღუდა და შესუსტდა სათემო და საქალაქო თვითმმართველობის დაწესებულებათა საქმიანობა, განსაკუთრებული მფარველობა დაწესდა თავადაზნაურთა ინტერესებზე.

რაც შეეხება იმპერიის განაპირა მხარეების მმართველობას, აქ კიდევ უფრო გაძლიერდა ადმინისტრირებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების ტენდენციები. ყველგან მოისპო თუნდაც მცირე ავტონომიის ილუზიის შემქმნელი მართვა–გამგეობის სტრუქტურები. კავკასიაში გაუქმდა მეფისნაცვლობა და აღდგა მთავარმართებლობა. საქართველოსა და ამიერკავკასიის გუბერნიების მნიშვნელოვანი ორგანიზაციები უშუალოდ პეტერბურგს დაექვემდებარა.

1882 წლის ოქტომბერში კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლად, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად და კავკასიის კაზაკთა უმაღლეს ატამანად დაინიშნა გენერალ–ადიუტანტი ალექსანდრე დონდუკოვ–კორსაკოვი. მის მიერ შემუშავებულმა კავკასიის მმართველობის ახალმა დებულებამ კიდევ უფრო გააძლიერა მეტროპოლიის რეაქციული კოლონიური პოლიტიკა. 1890 წელს კავკასიაში მთავარმართებლის თანამდებობაზე ალ. დონდუკოვ–კორსაკოვი გრაფმა ა. შერემეტიევმა შეცვალა, 1896 წელს მას მოჰყვა თავადი გ. გოლიცინი, რომელმაც ამ პოსტზე 1905 წლამდე

დაპყო. მეფის ეს ერთგული მოხელეები დიდი მონდომებით აგრძელებდნენ თავიანთი წინამორბედების კოლონიზატორულ, რუსიფიკატორულ კურსს.

1882 წლიდან იწყება ახალი ეტაპი "კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის" ცხოვრებაში. ამ წელს ეს დაწესებულება ჯერ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა, ხოლო შემდეგ კავკასიის მმართველობის ახალი დებულების 99–ე პუნქტის თანახმად, როდესაც პრაქტიკულად დაისვა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციების რეორგანიზაციის საკითხი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკა უნდა გადასულიყო განათლების სამინისტროს სისტემაში. ეს ნიშნავდა ამ დაწესებულების მიერ უშუალოდ მხარის მმართველობის უწყებაში მოპოვებული სხვადასხვა პრივილეგიების დაკარგვასა და პეტერბურგზე, იმპერიის განათლების სამინისტროზე პირდაპირ დამოკიდებულებას.

გ. რადე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა ამას და მოითხოვდა მხარის უფროსის უწყებაში დატოვებას და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას: "მაგრამ თუ პეტერბურგზე დამოკიდებულება აუცილებელია, მაშინ მე უნდა ვითხოვო, რომ დამრთონ ნება პირდაპირ მივმართო ხოლმე განთლების მინისტრს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიციალური ურთიერთობების ჩვეულებრივად გაჭიანურებული მსელელობის დროს, მუზეუმის საქმე შეიძლება ცუდად წარიმართოს."[260] წერდა იგი 1882 წლის მაისში თავის მოხსენებით ბარათში.

ახალ უწყებაში გადასვლა ოფიციალურად გაფორმდა 1884 წლის 26 აპრილს შემუშავებული "კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის დებულებით." მუზეუმი და ბიბლიოთეკა მთავარმართებლის კანცელარიის დაქვემდებარებიდან გადაეიდა განათლების სამინისტროს უწყებაში,[261] ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით შეეყარა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდებოდა მისი საშტატო ერთეულიც.

1884 წლის 8 მაისს გატჩინოში იმპერატორმა ალექსანდრე III დაამტკიცა კანონი კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ,[262] რის

---

[260] სსმ არქივი, 1882, 26/15, ფ. 8.
[261] სსმ არქივი, 1884, 27/16, ფ. 82.
[262] სსმ არქივი, 1884, 28/16, ფ.-72.

მიხედვითაც, მუზეუმის თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა 8–მდე და შეადგინა: დირექტორი, მისი თანაშემწე, პრეპარატორი, კონსერვატორი და ოთხი ტექნიკური მუშაკი.

80-იანი წლებიდან თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი. მარტო გაყიდული 20-კაპიკიანი ბილეთების შედეგად, მუზეუმის შემოსავალი და დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა ასეთი ციფრებით გამოიხატება: (ცხრილი 6):

წლები	შემოსავ. გაყიდული ბილეთებით	დამთვალიერებელი
1881	687	3436
1882	1224	6120
1883	1006	5030
1884	909	4545
1885	1001, 20	5006
1886	1043, 80	5219
1887	1393, 40	6962
1888	806, 40	4032
1889	1133, 60	5668
1890	1282, 60	6413
1891	13347 მან.	66735

ამ მონაცემებს თუ დავუმატებთ იმ მოსწავლეებისა და პირთა რიცხვს, რომლებსაც ჰქონდათ უფლება უფასოდ შესულიყვნენ მუზეუმში, გ. რადეს გამოთვლით, "თავის არსებობის 25 წლის მანძილზე კავკასიის მუზეუმი 100000-ზე მეტ კაცს დაუთვალიერებია."[263]

აღნიშნულ პერიოდში მუზეუმს ყველაზე მეტი დამთვალიერებელი 1892 და 1893 წლებში ჰყავდა. ამ დროს მათი რიცხვი შესაბამისად 6555 და 7029 იყო. ექსპოზიციების გაცნობაში მუზეუმის სტუმრებს დიდ დახმარებას უწევდა ვრცელი გზამკვლევი, რომელიც 1895 წლამდე 7-ჯერ გამოიცა.[264] იგი 30 კაპიკი ღირდა.

მუზეუმის ფონდების გასაცნობად თბილისში სპეციალურად ჩამოდიოდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები და განსაზღვრულ დღეებში დირექტორის ნებართვით მუშაობდნენ მუზეუმის ფონდებში. თავიანთი მონოგრაფიებისათვის მუზეუმის საბუნებისმეტყველო ფონდები

---

[263] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

[264] Кеппен Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 15.

გამოიყენეს ისეთმა სახელმოხვეჭილმა მეცნიერებმა როგორებიც იყვნენ: შტაპფი, კრეპინი, შიფნერი, ფოსტერი, ლევიე, ფოკი, დესენნი და სხვები.[265] მართალია, მათთვის ფონდების გაცნობა უფასო იყო, მაგრამ ზოგიერთ სპეციალისტს ძალზე აღიზიანებდა მუზეუმში შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული ფასი. პროფესორი მ. მენზბირი მოსკოვურ ჟურნალში წერდა: "გაგვაოცა კავკასიის მუზეუმში შესვლაზე დაწესებულმა ფასიანმა გადასახადმა. მართალია იგი უმნიშვნელოა, მაგრამ მუზეუმი, რომელიც მთავრობისგან ყოველწლიურად იღებს სუბსიდიებს, არ უნდა დაუშვას ადგილობრივი მოსახლეობიდან ბუნების შესწავლაში ორშაურიანების აკრეფა. გ. რადე ამას "მახვილგონიერულად" მუზეუმის საქმიანობაში მოსახლეობის ჩაბმას უწოდებს, მაგრამ თუ გვინდა, რომ მუზეუმში ყველა სიამოვნებით მოდიოდეს და შემოწირულობებიც მოჰქონდეს, ფართოდ უნდა გაეაღოთ კარი და თავის კომპრომეტირება არ ღირს კაპიკების აღებით". [266]

1882 წლის 8 მარტს მოხდა სამწუხარო ინციდენტი. იმ დარბაზში, სადაც გამოფენილი იყო ძველი ისტორიული ნივთები, მოხდა ქურდობა. ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა – ნიკოლოზ არუთინოვმა, რომელიც თავს მასწავლებლად ასაღებდა, ისარგებლა მეთვალყურის უყურადღებობით, მოახერხა 54-ე კარადის მინის გატეხვა და ოქროს ნივთების, მათ შორის: 104-ე საინვენტარო ნომრით გატარებული ძვ. წ–აღ. IV–III საუკუნის მასიური ოქროსაგან ნაკეთი სკვიოურ-სარმატული ყელსაბამის, 244-ე საინვენტარო ნომრის ირმის ფიგურის, 151-ე საინვ. ნომრის ოქროს სამაჯურის, 253–ე საინვ. ნ. ოქროს საკიდის, 248-ე სანვ. ნ. ოქროს ბეჭდის და სხვა ნივთების მოპარვა.[267] ქურდობიდან მიყენებული ზარალი მარტო ძვირფასი ლითონის ღირებულებით შეფასდა 600 მანეთად.

ქურდის გამოძებნა და დაპატიმრება შესაძლებელი გახდა ორი თვის შემდეგ, როდესაც მან 21 მაისს კვლავ სცადა ქურდობა. ამჯერად ეთნოგრაფიის ეანყოფილების დარბაზის მესამე კარადიდან დააპირა ნივთების მოპარვა, მაგრამ იგი დააპატიმრეს და მიუსაჯეს ორი წლით პატიმრობა

---

[265] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI, ტფ. 1912 გვ. 117

[266] Мензбир М., Русская естественно- историческая общества и университеты, ჟურნ. «Русская мысль», მოსკოვი., 1892, # 8, გვ. 167.

[267] სსმ არქივი 1881 25/14 გვ.112

გადასახლებით. სამწუხაროდ, მოპარული ნივთების მუზეუმისთვის დაბრუნება არ მოხერხდა.[268]

ამავე წლის 13 ოქტომბერს, კვირას ისევ მოხდა ჭურდობა. არქეოლოგის განყოფილების დარბაზიდან ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა მოიპარა ორი ქვის ექსპონატი და ოთხი არქეოლოგიური ნივთის მულაჟი. აღნიშნული ინციდენტების შემდეგ მუზეუმის დირექციამ დაჟინებით მოითხოვა საგამოფენო დარბაზებში კიდევ ერთი მეთვალყურის დამატება, რაც დადებითად გადაწყდა.

80-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად იზრდება მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ფონდები. 1882 წელს ნიკოლოზ ლიხაჩოვმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 50 საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნები, ხოლო იმავე წლის 18 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის დირექტორმა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა საარქიო კომისიის მიერ მომზადებული სახელმწიფო სიგელები და ანაწერები 32 ტომად. მათ შორის იყო: რუსეთის მეფეთა წერილები, ძველი რუსული დოკუმენტები, კირშეი დანილოვის მიერ შეგროვილი, ივანე III და ივანე IV კანონები, ნოვგოროდის მამასახლისების მატიანე, აქტები იყერიის ღვთისმშობლის ხატზე, ხელნაწერები მოსკოვისა და ეკლესიის ისტორიაზე და სხვ.[269] 1882 წლისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 13997 დასახელების 26846 წიგნს.

1882 წლის იანვარში გ. რადეს მიენიჭა სახელმწიფოს ნაშდვილი მრჩეველის ტიტული.[270] ამავე წელს იგი არჩეული იქნა იტალიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ფლორენციის საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. 1882 წლის თებერვალში ვენის ორნითოლოგიურმა საზოგადოებამ აირჩია საპატიო წევრად, 1884 წლის დეკემბერში ნიუ-ორკის და ლონდონის ზოოლოგიურმა საზოგადოებებმა—წევრ-კორესპონდენტად. 1885 წლის იანვარში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ იგი აირჩია წევრ-კორესპონდენტად ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში. 1885 წლის ოქტომბერში მიიღო საქსონიის პერცოგის სასახლის კონტურის ოქროს ჯვრის ორდენი. 1886 წლის ნოემბერში დაჯილდოვდა კომანდარმის—ჯვრით და ცერინგენის ლომის პირველი ხარისხის ორდენით.[271]

---

[268] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 64.
[269] სსმ არქივი 1882, 26/15, გვ. 17.
[270] სსმ არქივი, 1884, 27/16, გვ. 13.
[271] სსმ არქივი, 1885, 29/18, გვ. 78.

დირექტორის თანაშემწე კოლეგიის ასესორი დოქტორი გუსტავ სივერსი, 1884 წელს შეცვალა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მრჩეველმა, ინსპექტორმა, პაელე მელერმა.

ახალი ხარჯთაღრიცხვით კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკისთვის დამატებით წელიწადში გამოიყო 2555 მანეთით მეტი და შეადგინა 12955 მანეთი. ახალი ხარჯთაღრიცხვა სულ გამოიყურებოდა: [272] (ცხრილი 7):

თანამდებობები და სამუშაოები	ხელფასი	სადილის ხარჯი	სულ, მან.
დირექტორი	2000	400	2400
მისი თანაშემწე	1000	300	1300
კონსერვატორი	750	325	1075
პრეპარატორი	600	225	825
სამეცნიერო საქმ.	—	—	2200
სამეურნეო საქმ.	—	—	4480
ექსპედიციებისათვის	—	—	1500

პრეპარატორად წლების განმავლობაში მუზეუმში მუშობდნენ კ. მედლერი, ი. რიბანსკი, ალ. სერედოვიჩი, კონსერვატორად კი ფრიდრიხ ბაიერნი, 1884 წლიდან–ბერლინის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თავადი ალექსი სევასტიანოვი, 1886 წლიდან– დერპტის უნივერსიტეტის მაგისტრი ალფრედ ვალშერი,[273] ხოლო 1892 წლის 1 ივნისამდე ფრიდრიხ მარტი, შემდეგ იგი შეცვალა ცნობილმა ენტომოლოგმა ევგენი კენგმა. ამ პერიოდში მუზეუმში და ბიბლიოთეკაში სამეურნეო ანგარიშზე ტექნიკურ მუშაკებად, დურგლებად და დარაჯებად, მუშაობდნენ: ვლ. ფილიპოვი, ალ. ვალტერი, ე. სტასი, ო. ტოვგინი, გ. შამრაი, ლ. ანჩისკი და სხვები. 1895 წელს სამუშაოდ მოიწვიეს საფრანგეთის მოქალაქე, მხატვარი ფრანც რუბო. კადრების დარგში იყო უსიამოვნო ინციდენტებიც: მაგ. 1882 წლის ოქტომბერში, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ტომაშ ნოვაკოვსკი დაადანაშაულეს ნივთების ქურდობაში.[274] ყარსოიდ იყო ცნობილი გამწვაევებული ურთიერთობა გ. რადესა და პრეპარატორ ი. რიბანსკის შორის და სხვა.

კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის თანხები გამოიყოფოდა ხაზინიდან, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის იმ სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად,

---

[272] სსმ არქივი 1884, 18/17, გვ. 73.
[273] სსმ არქივი, 1886, 31/20, გვ. 70.
[274] სსმ არქივი, 1882, 16/15, გვ. 62.

როგორიც იყო: ბოტანიკის, ზოოლოგიის და აზიის მუზეუმები; ნიკოლაევის, თბილისის, პავლოვსკის, ეკატერინბურგისა და ირკუტსკის ობსერვატორიები, პეტერბურგის არქეოგრაფიული კომისია, საიმპერატორო ბიბლიოთეკა და კიევის ძველი აქტების არქივი. ხაზინის ხარჯთაღრიცხვით, იმავე მე-8 მუხლით ხდებოდა საქვეყნოდ ცნობილი დაწესებულებების: მოსკოვის რუმიანცევის სახელობის მუზეუმის და ვარშავის ნატიფი ხელოვნების ინსტიტუტის დაფინანსება.

ხაზინიდან დაფინანსების გარდა, მნიშვნელოვანი თანხები შემოდიოდა ქალაქის მერიიდან, რომელიც მუზეუმსა და საჯარო ბიბლიოთეკას ყოველწლიურად გამოუყოფდა 1030 მან.ეთს. დირექცია დაჟინებით ეძებდა გზებს დაფინანსების სხვა წყაროს მოსაძიებლად. ასეთი გზაც გამოძებნილი იქნა, როდესაც გაყიდული ბილეთების შემოსავალი (წელიწადში დახლოებით 1000 მან.) ჩაირიცხა მუზეუმის სპეცსახსრებში. 1884 წლის სექტემბრიდან განათლების სამინისტროს თანხმობის შემდეგ, მუზეუმის სარდაფები მიაქირავეს ღვინის მრეწველ დ. ჯორჯაძეს.[275] აქედან ყოველწლიური შემოსავალი შეადგენდა 400 მან.

ახალი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ახალი ექსპონატების შესაძენად ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა გაიზარდა ორჯერ და 1000 მანეთს მიაღწია.[276] დაფინანსების ზრდამ ბევრად გააუმჯობესა მუზეუმის სამუშაოთა ხარისხი.

მუსეუმმა ღიდი ყურადღება დაუთმო თავის სამეცნიერო გამოცემებს. დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის ინიციატივით ყოველწლიურად მუზეუმს 1897 წლიდან 5 წლის ვადით გამოეყო 2500 მანეთი. ამ თანხით მუზეუმმა დაიწყო "Известия Кавказского Музея"-ს გამოქვეყნება. 1902 წელს დიდმა მთავარმა კიდევ ხუთი წლით გააგრძელა კავკასიის მუზეუმის გამოცემების დაფინანსება. 1897-1919 წლებში სულ გამოვიდა 12 ტომი.

1899 წელს მუზეუმმა დაიწყო თავისი კოლექციების გამოქვეყნება სერიით--"Muscum Caucasicum". ამ წელს გ.რადეს რედაქციით გამოიცა I ტომი, რომელშიც გაშუქდა კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი ზოოლოგიური კოლექციები. მისივე რედაქციით 1901 წელს გამოვიდა II ტომი, სადაც ეოთავსდა მუზეუმის ბოტანიკური მასალა. ამავე წელს ნ. ლებედეევის რედაქციით გამოქვეყნდა III ტომი გეოლოგიური კოლექციების

---

[275] სსმ არქივი, 1886, 32/11, გვ. 10.

[276] Радде Г., დასახ. ნაშრ., გვ. 50.

შესახებ. IV ტომი ეთნოგრაფიული ნივთების შესახებ აღარ გამოცემულა. 1902 წელს ჰ. უვაროვას რედაქციით გამოქვეყნდა V ტომი, რომელშიც აღიწერა არქეოლოგიური კოლექციები და ბოლოს, 1912 წელს გამოიცა VI ტომი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა გუსტავ რადეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მუზეუმი 1915 წლიდან შეუდგა "Записки Кавказского Музея"-ს "ა" და "ბ" სერიის გამოცემას. იგი გამოდიოდა 1919 წლამდე და სულ გამოქვეყნდა 7 ტომი.

თანდათანობით მოხერხდა საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე გასვლა. კავკასიის მუზეუმთან შეიქმნა საცნობარო-საინფორმაციო განყოფილება ე. წ "მუზეუმის საბიბლიოთეკო ცნობარი," რომელიც ჩაერთო "საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ" საძიებელში.[277]

"კავკასიის მუზეუმის უწყებათა" გამოცემასთან ერთად (1897–1919წწ), რუსეთის მიერ 1902 წელს "წიგნის გაცვლის" შესახებ ხელმოწერილი კონვენციით, კავკასიის მუზეუმის ცნობარი რუსეთის სამეცნიერო გამოცემათა ოფიციალურ ნუსხაში იქნა შეტანილი. 1904 წლისათვის მუზეუმი და ბიბლიოთეკა რუსეთის 23 ქალაქის 55 ორგანიზაციასთან და მსოფლიოს 16 ქვეყნის 44 გამომცემლობასთან იყო დაკავშირებული და აწარმოებდა თავისი მეცნიერული პროდუქციის გაცვლას.[278]

კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი კავკასიის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ ადგილად გადაიქცა. 1885 წელს იგი დააჯილდოა 8438 კაცმა, აქედან 5006 ბილეთიანმა, ხოლო ბიბლიოთეკა მოემსახურა 8438 მკითხველს.[279]

ამ პერიოდის ანგარიშებიდან ჩანს, რომ მუზეუმი შედგებოდა ზოოლოგიური, გეოლოგიური, ბოტანიკური, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური განყოფილებებისგან.

ზოოლოგიურ განყოფილების ფონდში დაცული იყო 200 ძუძუმწოვრის, 3150 ფრინველის, 400 ქვეწარმავლის. 300 თევზის სახეობის, აგრეთვე უხერხემლოთა (მწერების, ობობების, ნიჟარების) ათასობით ეგზემპლარი.

გეოლოგიური განყოფილების ფონდი შედგებოდა 10000 ერთეული კავკასიის გეოლოგიური ქანებისა და ნამარხეულობისგან.

---

[277] სსმ არქივი, 1912, №38, გვ 12.
[278] სსმ არქივი, 1904, 40/29, გვ. 73.
[279] "Кавказский календарь" на 1885 г, გვ 293.

ბოტანიკური განყოფილების ჰერბარიუმებში ირიცსებოდა 12000-ზე მეტი ეგზემპლარი.
ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ითვლებოდა 1500-მდე ნიეთი, აგრეთვე კავკასიის 9 დიდი ეროვნული ჯგუფის წარმომადგენელთა ამსახველი ეთნოგრაფიულ ტანსაცმელში გამოწყობილი ათობით მანეკენი.

არქეოლოგიური განყოფილების ფონდებში თავმოყრილი იყო მრავალი საინტერესო უნიკალური ნიეთი და ნუმიზმატიკური მასალა. მათი რიცხვი 20000-ს აღემატებოდა.[280]

მიუხედავად ამისა, ეოველწლიურად იზრდებოდა მუზეუმის ფონდები შემოწირულობებისა და შეძენის გზით: 1885 წელს ღუნიბის ოლქის უფროსმა, შიპკის ბრძოლების გმირმა, გენერალმა კონსტანტინე ჭილაშვილმა შეიძინა დაღესტნური ძველებური ჭურჭელი და გადასცა მუზეუმს. კაპიტანმა ბ. ორლოვმა მუსეუმს ასევე აჩუქა კაზიკუმუხის ოლქის მცხოვრებლებისგან შეძენილი სამუზეუმო ეთნოგრაფიული მასალა.[281]

1886 წელს პროფესორმა ჰუგო ლოიემა მუზეუმს შესწირა ერთი ყუთი ბოტანიკური კოლექცია. ამავე წელს მუზეუმს გადმოეცა გრაფ მ. ეედოკიმოვის მემორიალური მასალა. რუსეთის გენერალურმა კონსულმა ბორდოში ლ. ბროსემ მუზეუმს გადასცა თავის მამის აკადემიკოს მარი ბროსეს შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც თავად შეადგინა.

მომდევნო წლებში ნ. პილენკომ და რ. იასეეიჩმა კავკასიის მუზეუმს უსახსოვრეს ორი ძველებური ვერცხლის მონეტა და სხვადასხვა ეთნოგრაფიული ნივთები. ექსპონატების შესაძენი თანხების გაზრდამ შესაძლებლობა მისცა დირექციას უფრო მეტი ნივთები ეყიდა. 140 მანეთად ყუბელ ნაიბისაგან შეიძინეს დაღესტნური ეთნოგრაფიული საოჯახო ნივთები და სამკაულები. 1885 წელს იყიდეს სტავროპოლის გუბერნიაში ნაპოვნი ანტიკური ხანის ბრინჯაოს სარკე, მუზარადი და 24 ვერცხლის მონეტა. ამავე წელს შეიძინეს ბაქოს გუბერნიაში სოფელ ხატმანთან ნაპოვნი განძი, რომელიც შედგებოდა 222 ვერცხლის მონეტისა და ბრინჯაოს ჭურჭლისაგან. აგრეთვე ამავე გუბერნიის სოფელ იაგურთან აღმოჩენილი მოოქრული თასი, ვერცხლის ბეჭედი და ბალთა, ნივთი ფირუზის თვლით.[282]

---

[280] სსმ არქივი, 1884, 28/17, ფ. 8.
[281] სსმ არქივი, 1885, 29/18, ფ. 109.
[282] სსმ არქივი, 1885 29/18, გვ. 130.

1888 წელს მუზეუმისთვის შეიძინეს ჩრდილოეთ კავკასიაში სოფელ კრუჩენოში აღმოჩენილი ქალის ძველებური ძვირფასი სამკაულები.[283]

ამავე პერიოდში გ. რადემ შეიძინა მეფე ერეკლესადმი ნადირ შაჰის მიერ ნაწუქარი ქაშანური თასი წარწერით: "ერეკლეს, კარგი სამსახურისათვის."[284]

მუზეუმში 80-იან წლებში შემოტანილი ნივთებიდან ძალზე საინტერესო იყო საინვენტარო დავთარში 3116 ნომრით გატარებული ვახტანგ VI და ვახუშტი ბატონიშვილის ნაქონი— ასტროლაბი, დროისა და განედის განმსაზღვრელი ასტრონომიული უძველესი ხელსაწყო. იგი წარმოადგენდა გრადუსულ დანაყოფიან ბრინჯაოს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სარტყლებს, რომელსაც დაყენებული ჰქონდა ჭოგრი., ხოლო ობიექტივის წინ მოთავსებული იყო ვერცხლისწყლიანი ხელოვნური ჰორიზონტი.

გ. რადე იყო სამეფო ოჯახის კონსულტანტი და მათთვის კავკასიაში იძენდა საინტერესო ნივთებს. 1887 წელს დიდი მთავრის მიხეილ მიხეილის ძის დავალებით მან იყიდა ყუბური ნოხების და ყარაბახული ჯეჯიმის დიდი რაოდენობა. 1890 წლის სექტემბერში გ. რადემ იახტა "თამარით" დიდ მთავრებთან ალექსანდრესა და სერგეისთან ერთად იმოგზაურა ცეილონსა და ტროპიკული აზიის ქვეყნებში.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, იყო შემთხვევები, როდესაც მუზეუმის კუთვნილი ნივთები რომელიმე საპატიო პირს ან მოხელეს დროებით სარგებლობაში გადაეცემოდა. შემდეგ კი მათი უკან დაბრუნება ძნელად ხერხდებოდა. ამის გამო, განათლების მინისტრის 1889 წლის 24 დეკემბერის განკარგულებით დირექციას აეკრძალა მუზეუმიდან ნებისმიერი რანგის პირისთვის რაიმე ნივთის გატანა, რა რანგისაც უნდა ყოფილიყო მთხოვნელი.[285]

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, გაძნელებული ყოფილა აგრეთვე სამუზეუმო ექსპონატების დაცვა ჩრჩილისა და სხვა მავნებლებისგან. არსებობს ნოხების, ქსოვილებისა და ტანსაცმლის ამ მიზეზით ჩამოწერის უამრავი ფაქტი.

კავკასიის დამორჩილებამ, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ წარმატებით წარმოებულმა ომებმა, ხელისუფლებაში დაბადა სურვილი პროპაგანდა გაეწიათ

---

[283] სსმ არქივი, 1888 31/23, გვ. 34.

[284] Коллекции Кавказского Музея, ტ. V, ტფ.,1902, გვ.191.

[285] სსმ არქივი, 1890 38/27, გვ. 9.

რუსეთის სამხედრო ძლიერებისათვის. 1883 წელს გ. რადეს ინიციატივით მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს წარედგინა კავკასიის მუზეუმში სამხედრო განყოფილების შექმნის პროექტი, სადაც შეკრებილი იქნებოდა კავკასიაში XIX საუკუნეში წარმოებული ბრძოლების ამსახველი მასალები. გ. რადეს კონცეფციით, ექსპოზიცია უნდა დაწყებულიყო პეტრე დიდის 1722 წლის დერბენდის ლაშქრობით და დამთავრებულიყო 1864 წლით, კავკასიის სრული დაპყრობით. გამოფენაში დიდი ადგილი უნდა დათმობოდა კავკასიაში გამარჯვებების ძირითად მომენტებს. მუზეუმის მესვეურთა აზრით, ეს უნდა ყოფილიყო: 1803 წელს ბრძოლა იორთან ომარ-ხანის წინააღმდეგ, 1812 წელს ლენქორანის აღება, 1819 წელს იერიში ელიზავეტოპოლზე, 1832 წელს ბრძოლა გიუმრთან, 1845 წელს დარგოს ალყა, 1859 წელს გამარჯვება ღუნიბთან.[286] შემდგომში ამ იდეამ განვითარება პოვა. რუსული იარაღის დიდების სამხედრო-მემორიალური მუზეუმის შექმნის სახით— "რუსი მეომრების გამარჯვებებისა და დიდების უკვდავსაყოფად".

რუსული იარაღის ძლიერების წარმოჩენა და "სახალხო დიდების ტაძრის" შექმნა ხელისუფლების მისწრაფებასაც დაემთხვა და სასწრაფოდ იქნა გამოყოფილი თანხა შენობის ასაგებად და ექსპოზიციის მოსაწყობად.. აღნიშნულ ბრძოლებზე მხატვრულ ტილოების შესაქმნელად მოიწვიეს ცნობილი ფერმწერები: ფრანც რუბო, მაქს ტილკე, ივანე აივაზოვსკი, ალ.კოლჩინი და სხვები.

"დიდების ტაძარი" უნდა აგებულიყო მუზეუმის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში — კანცელარიის სტამბასა და ქალთა გიმნაზიის შენობებს შორის, მაგრამ გიმნაზიის დირექტორის პროტესტის შემდეგ, სამხედრო მუზეუმის მშენებლობის დაწყება გადაწყდა ალექსანდრეს ბაღში, გოლოვინის გამზირზე. შენობის პროექტი შეადგინა ალ. ხალტმანმა. მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა 1888 წლის 16 სექტემბერს. მუზეუმის წინ, შემოღობილ ამაღლებულ ადგილზე, გამოფენილი იყო რუსეთის ჯარების მიერ მოპოვებული ნადავლი საბრძოლო იარაღები, მათ შორის 38 ზარბაზანი. მათ უკან კედელზე მიმაგრებული იყო დიდი ზომის ლითონის 12 ფირფიტა, რომელზეც მოოქრული, რელიეფური ასოებით ეწერა რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული მნიშვნელოვანი ბრძოლების

---

[286] სსმ არქივი, 1883, 27/16, გვ. 56.

ადგილები და თარიღები.[287] მუზეუმის დირექტორად დაინიშნა სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი ი. პოტო.

კავკასიის მუზეუმი გახდა თბილისის საზოგადოების თავშეყრის სასურველი ადგილი. კავკასიაში ჩამოსული საპატიო სტუმრები პირველ რიგში მუზეუმში მოჰყავდათ. ამას კარგად მეტყველებს იმ საპატიო პირთა ავტოგრაფები, რომლებიც მათ დატოვეს მუზეუმის დათვალიერების შემდეგ. ისინი გამოფენილი იყო მუზეუმის ვესტიბიულში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე. დამთვალიერებელი აქ ნახავდა რუსეთის ორი იმპერატორის ალექსანდრე II და ალექსანდრე III, სპარსეთის შაჰის ავტოგრაფებს, აქვე იყო რუსეთის სამეფო ოჯახის წევრების, დიდი მთავრებისა და თბილისის საეთაშორისო არქეოლოგიური ყრილობის სტუმრების ხელმოწერები.

საყურადღებო იყო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III, დედოფლის, ტახტის მემკვიდრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის და დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სტუმრობა მუზეუმში 1888 წლის 29 სექტემბერს. მეფის ჩამოსვლის წინ 1888 წლის თებერვალ-მარტში მუზეუმის შენობა კაპიტალურად შეკეთდა, რაზეც დაიხარჯა 4087 მანეთი. სამხედრო ისტორიკოს ი. პოტოს დაწერილებით აქვს აღწერილი იმპერატორის სტუმრობა მუზეუმში "დღის ორ საათზე საგვარეულო სადილის შემდეგ მისი უდიდებულესობა და მეფის ამალა ეწვია კავკასიის მუზეუმს, სადაც კავკასიის ფლორის, ფაუნისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად მშვენიერი მასალებია შეკრებილი".[288] იმპერატორი და მისი თანმხლები პირები დაინტერესებულან ეთნოგრაფიულ განყოფილებაში გამოფენილი ექსპონატებით, განსაკუთრებით კი კამეჩის ტყავისგან გაკეთებული ღვინის ვებერთელა რუმბით, რომელშიც 1500 ლიტრი ჩაეტეოდა. იმპერატორს ახსნა-განმარტებებს აძლევდა გ. რადე.

სხადასხვა დროს კავკასიის მუზეუმის საპატიო სტუმრები იყვნენ: სპარსეთის შაჰი ნასრ-ედ-დინი (1889 წლის 5 მაისს), საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, ცნობილი ისტორიკოსები რ. ვირხოვი, ნ. კოსტომაროვი, ა. უვაროვი და სხვები.

---

[287] Эсадзе Б., Краткое описание Кавказского военно-исторического музея, ტფ., 1899. გვ. 10

[288] Царская семья на Кавказе 18 сентября-14 октября 1888 года, составлено полковником Потто, 1889, გვ 143.

1889 წელს თბილისში 15 სექტემბრიდან 12 ნოემბრამდე მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის დიდი გამოფენა[289], რომლის მოწყობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის მუზეუმმა. ექსპოზიციის დახურვის შემდეგ იქ გამოფენილი მრავალი ექსპონატი, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქციის ნიმუშები და ხელით ნაკეთი საგნები, უსასყიდლოდ გადაეცა მუზეუმს, რის შედეგადაც როგორც გ. რადე აღნიშნავდა: "შესაძლებელი გახდა მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების თითქმის სრულყოფილებამდე მიყვანა". [290]

1890 წელს მუზეუმმა მიიღო ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი თანხით, დიმიტრი ბაქრაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი ბაგინეთის "კოშკის" ნანგრევებში აღმოჩენილი ნივთები: მინისა და თიხის ჭურჭელი, მარმარილოს ნატეხები, ვერცხლის მონეტები, ჩუქურთმიანი ქვა, სპილენძის ცული, ქალის სამკაული და სხვა.

საუკუნის ბოლოს მუზეუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1899 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მიღება. კავკასიის ხელისუფლებამ მხარის გამოფენაზე წარმოსაჩენად გამოყო 2000 მანეთი. გ. რადე და მუზეუმის კონსერვატორი ე. კენიგი მიაელინეს პარიზში. კავკასიიდან გაგზავნილი ექსპონატებიდან 60-მა მიიღო ჯილდო. კავკასიის მუზეუმს და მის დირექტორს მიენიჭა ოქროს დიდი მედალი, ხოლო ე. კენიგს-- ბრინჯაოს მედალი.[291]

კავკასიის მუზეუმის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო 1902 წელს აღმოჩენილი ნივთები: მცხეთიდან—ოქროს საყურეები, შორაპნიდან—ბიჭვის ბრინჯაოს ქანდაკება, ეგვიპტური პასტისგან გაკეთებული ხოჭოს ფიგურა, დარიალის ხეობიდან--ორი ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ჭაღი ცხვრის ფიგურით, თიხის შანდლები, ძველი სპარსული ოსტატების ნახელავი რამდენიმე ბრინჯაოს ქანდაკება. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაქოს გუბერნიაში მუშაობის დროს მიწაში შემთხვევით ნაპოვნი ძველებური ნივთები: ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, გულსაბნევები, 4 ცალი ვერცხლის მონეტა [292].

---

[289] Труды Кавказского общество селского -хозяиство, გვ. 10.
[290] Радде Г., დასახ. ნაშრ. გვ. 5.
[291] Коллекции Кавказского Музея, ტ. VI. ტფ., 1912. გვ. 168.
[292] სსმ არქივი, 1904, 40/29, ფ.. 9, 197

XIX საუკუნის II ნახევრიდან კაპიტალიზმის განვითარებასა და ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაზე გადასვლასთან ერთად, ახალი პრობლემები დგებოდა მუზეუმის წინაშე. სულ უფრო ძნელი ხდებოდა კავკასიისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ექსპონატების შეგროვება. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ეთნოგრაფიულ ნივთებს. გ რადე გულისტკივილით აღნიშნავდა: "ყოველ დამკვირვებელს თვალში მოხვდება ის ფაქტი, რომ კავკასიის ხალხების, განსაკუთრებით ქრისტიანების, გარეგანი ეთნოგრაფიული თავისებურებანი უძველესი დროიდან ელინდება ტანსაცმელში, ქსოვილებში, ხალიჩებში და სამკაულში, რომლებიც თანდათანობით ყოველწლიურად ქრებიან" და მოჰყავს ასეთი მაგალითი: " მე ახლახან მივმართე პრინცესა მიურატს, სამეგრელოს ბრწყინვალე ქალბატონს თხოვნით, ჩემთვის მოეძებნა მეგრელი ქალის ორიგინალური ტანსაცმელი პარიზის გამოფენისათვის. მაგრამ მთელი მისი მეცადინეობა ამაო აღმოჩნდა და შემატყობინა მთელ სამეგრელოში გაბატონებულია ევროპული ქსოვილი და ევროპული მოდა."[293] ამიტომ გ. რადე მოითხოვდა ხშირად მოწყობილიყო ექსპედიციები განსაკუთრებით მიუვალ მხარეებში, სადაც ახალ ცივილიზაციას ჯერ არ შეეღწია და შესაძლებელი იყო ძველი ნივთების მოძიება.

მუზეუმთან ერთად მდიდრდებოდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებიც. ამისთვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა 1200 მანეთი. ბიბლიოთეკის ერთსართულიანი შენობა შედგებოდა წიგნსაცავის, ვრცელი სამკითხველო დარბაზისა, და მცირე სამკითხველო ოთახისგან (მეცნიერთათვის). წიგნსაცავი მოიცავდა 62 კუბ. საჟენს. აქ კედლებთან და დარბაზის შუაში ოთხმწკრივად იდგა კარადები. სამკითხველო დარბაზი კი შეადგენდა 49 კუბ. საჟენს. 1884 წლისთვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 28809 წიგნი. იგი ღია იყო ყოველდღე ზამთრის თვეებში 12–დან 5 საათამდე, ზაფხულში კი 2–დან 7 საათამდე. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად იკეტებოდა 15 ივლისიდან ერთი თვით წიგნების ინვენტარიზაციისა და დასუფთავებისთვის. მას გააჩნდა კატალოგი. 1882 წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 2074 მკითხველს, 1883 წელს –2405, 1884 წელს კი–5937 პირს. ამ წელს მათ გამოიყენეს 1662 დასახელების 12399 წიგნი.[294]

---

[293] სსმ არქივი, 1905, 41/30, ფ. 89.

[294] სსმ არქივი, 1885 29/18 გვ. 95 .

1893 წელს წიგნსაცავში შემოწირულობით მიიღეს ს. მონასტირცევის კერძო მათემატიკური ბიბლიოთეკა.[295] ფონდების ზრდასთან დაკავშირებით 1894 წელს გამოიცა კატალოგის მესამე დამატება, რომელიც მოამზადა დირექტორის თანაშემწემ პ. მელერმა.

დიდ დავას იწვევდა ბიბლიოთეკის სპეციალიზაციისა და წიგნებით დაკომპლექტების საკითხი. ზოგს მიაჩნდა, რომ რადგან მას საჯარო ბიბლიოთეკა ერქვა, მკითხველთა ფართოდ მიზიდვის მიზნით მასში ყოველნაირი ბულვარული, მხატვრული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები უნდა ყოფილიყო. უმრაველესობის აზრით კი-- კავკასიის მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკა მხოლოდ კავკასიოლოგიური სამეცნიერო ხასიათის წიგნებით უნდა დაკომპლექტებულიყო და ვიწრო, გარკვეული კატეგორიის მკითხველს უნდა მომხახურებოდა. ეს კამათი იმდროინდელი პრესის ფურცლებზედაც შუქდებოდა.[296] გაზეთი "ნოვოე ობოზრენიე" თავის მოწინავე წერილში წერდა: "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ ადგილობრივ საზოგადოებას იმ სარგებლობის მეათედიც ვერ მოუტანა, რისიც იმედი ჰქონდათ მის ბრძენ დამაარსებლებს. . .იქნებ სწორად დაკომპლექტებულმა ბიბლიოთეკამ მიიზიდოს მკითხველები . . .საჯარო ბიბლიოთეკა იმგვარად უნდა გაღაკეთდეს, რომ საჭირო გახდეს ყველა მიმართულების მეცნიერისა და პრაქტიკოსისათვის, ფართო მასებისათვის . . იგი მოვალეა თავის განათლებულ საზოგადოებას შეძენილი ცოდნის გამოყენებისა და განვითარების საშუალება მისცეს".[297]

დირექციას კი მიაჩდა, რომ ბიბლიოთეკას ტრადიციული დაკოპლექტებისათვის არ უნდა გადაეხვია და მტკიცედ იცავდა წიგნსაცავის მხოლოდ კავკასიოლოგიური ლიტერატურით შევსების წესს. ალჟირის მივლინებიდან დაბრუნებული გ. რადე ამის დასამტკიცებლად, იქაური ბიბლიოთეკების სპეციალიზაციის მაგალითსაც იმოწმებდა.[298]

ბიბლიოთეკაში არსებული მდგომარეობის გამოსარკვევად გ. რადეს მოთხოვნით განათლების სამინისტრომ გამოყო კომისია კავკასიის სასწავლებელთა მთავარი მზრუნველის მ. ზავადსკის

---

[295] Очет по Кавказскому музею и Тифлисской публичной библиотеки за 1893-1894 гг, ტფ.,1894,გვ .29.

[296] გაზ. " Новое обозрение", 1887, №1264, გაზ. "Кавказ" 1887, 7 ნოემბერი

[297] Тифлисская публичная библиотека, გაზ. "Новое обозрение", ტფ. 1887, 26 სექტემბერი.

[298] Очет ... за 1893- 1894 гг, .ტფ.1894, გვ.28.

თავჯდომარეობით. კომისიამ 1900 წლის 2 ოქტომბერის დასკვნით, მხარი დაუჭირა დირექციის ძალისხმევას ბიბლიოთეკის სპეციალიზაციისთვის. ამასთან ერთად, მოსაზრება გამოთქვა იმის შესახებ, რომ წიგნსაცავიდან გამოყოფილიყო მისი პროფილისათვის შეუსაბამო წიგნები და იგი სხვა ბიბლიოთეკას გადაცემოდა. მითუმეტეს, რომ ქალაქის საკრებულოს 1898 წლის მაისის დადგენილებით უნდა დაარსებულიყო საქალაქო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც ალ. პუშკინის სახელი დაერქმეოდა.

ბიბლიოთეკის სპეციალიზაციას ახალი დატვირთვა შესძინა იმ გარემოებამ, რომ 1900 წლის 5 ივნისს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად ი. ლებედევის ინიციატივით დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი საზოგადოება, რომელსაც გააჩნდა ფილიალი თბილისში. კავკასიაში ეს ქალაქი მიჩნეულ იქნა აღნოსაელეთმცოდნეობის ცენტრად. ამის ერთ-ერთ მთავარ მოტივაციად თბილისში კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის არსებობა იყო.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონია საეკლესიო–სამონასტრო კოლექციების ერთ ადგილზე თავმოყრის ცდას. საქართველო–იმერეთის უწმინდესი სინოდის კანტორას გაუთვალისწინებია თბილისის სასულიერო სემინარიის წინადადება "წიგნები და ყოველივე ისტორიული სახსოვარი" დაებინავებინათ მის ბიბლიოთეკაში და ჯერ კიდევ 1876 წლის 30 ივნისს მიუღია დადგენილება ეკლესიებიდან და ბონასტრებიდან ძველი ხელნაწერი წიგნების, დოკუმენტებისა და ნივთების გამოტანის შესახებ.[299] ამ ფაქტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყოლია – საზოგადოებაში. მას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა სამღვდელოება და კოლექციების თბილისში გადმოტანა ჭიანურდებოდა. საქმეში ხელისუფლება ჩაერია და 1884 წელს მთავარმართებლობის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში თავი უნდა მოეყარა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და საეკლესიო გუჯრებს, რომლებიც გაბნეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ეკლესია–მონასტრებში. ამის თაობაზე გაზეთი "დროება" 1884 წლის ნოემბერში წერდა: "თბილისის სახალხო ბიბლიოთეკის

---

[299] ჰაპუაშვილი ნ., კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ"დროების" მასალების მიხედვით(სადისერტაციო ნაშრომი), 1998,გვ.73.

დირექტორს ბატონ რადდეს შეუტანია წინადადება, სადაც ჯერ არსს –სახელმწიფო ხაზინიდან 25000 მან. შემწეობა მიეცეს მისი ბიბლიოთეკის სადგომის გასაფართოებლად. . .შენობის გადიდებას აუცილებელ საჭიროებად რაცხს ბ. რადდე, რადგან ჯერ ეხლაც სივიწროვეა და ეს სივიწროვე უფრო საგრძნობელი იქნება, რასაკვირველია, ამ ცოტა ხნის შემდეგ, რადგან ხსენებულ ბიბლიოთეკას გარდაეცემა ძველი ხელნაწერები და საბუთები, რომელნიც აქამდის ეკუთნენოდნენ საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებს".[300]

ბოლოს, გაზეთ "დროების" რედაქცია საეკლესიო კოლექციების უკეთ დაცვის მიზნით, მიესალმება ამ გადაწყვეტილებას და სოლიდარობას უცხადებს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს: "სრულიად კანონიერია ბ. რადდეს თხოვნა და გულით უნდა ენატრობდეთ მის სისრულეში მოყვანას. იქნებ ამით ეშველოთ რამ ჩვენის ქვეყნის ისტორიისთვის დაუფასებელ ძველ ხელნაწერებს, ისტორიულ სიგელებს და ნიყთებს, რომელნიც დღემდის საკმაოდ ვერ არიან დაცულნი ჩვენს მონასტრებში და ეკლესიებში და რომელთა გამოყენებაც ასე ძნელია მათი გაფანტვის მიზეზითვე".[301]

მთავარმართებლობის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილების შესრულება შესაძლებები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფართოვდებოდა საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავის ფართი და გ. რადეც ენერგიულად შეუდგა მოქმედებას. მან ითხოვა ბიბლიოთეკის შენობისათვის მეორე სართულის დაშენება და ამ სამუშაოებისთვის უშუამდგომლა არქიტექტორ ლ. ბილფელდს. ამ უკანასკნელმაც სასწრაფოდ შეადგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც შემდგომ ექსპერტიზა ჩაუტარა აკადემიკოსმა გ. სიმონსონმა. არქიტექტორ ბილფელდის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ახალი სართულის დაშენება დაჯდებოდა 20000 მანეთი, თუ ამის საშუალება არ გამოინახებოდა, იგი აყენებდა ბიბილიოთეკის შენობის გასწვრივ გალერეის მოწყობის საკითხს, სადაც მოთავსდებოდა ორ მწკრივად კარადები. ეს 10 წლით მაინც დიდ შეღაეათს მისცემდა ბიბილიოთეკას.[302]

მიუხედავად გ. რადეს დიდი მცდელობისა, ბიბილიოთეკის ახალი შენობის მშენებლობის საკითხი ძალზე გაჭიანურდა და საბოლოოდ არც განხორციელებულა. იგი წვრილი, კამერალური

---

[300] გაზ. "დროება", 1884, 14 ნოემბერი.
[301] გაზ. "დროება", 1884, 14 ნოემბერი.
[302] სსმ არქივი, 1905, 41/30, გვ. 60.

შეკეთებებით შემოიფარგლებოდა. ამის გამო, ბიბილიოთეკა ხშირად იყო დაკეტილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ფუნქციონირებას მაინც აგრძელებდა: კომპლექტდებოდა წიგნებით და შეძლებისდაგვარად მაინც იღებდა მკითხველებს. ბევრი წიგნი შემოდიოდა შემოწირულობებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია 1903 წელს დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მიერ ბიბილიოთეკისათვის 300-ზე მეტი წიგნის გადაცემა[303] 1902 წლისათვის ბიბილიოთეკის ფონდი 70 ათასს აჭარბებდა.

კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის ფონდების ზრდასა და მისი გამოფენების გაფართოებასთან ერთად, ასევე იზრდებოდა მისი ავტორიტეტიც. იგი იქცა მთელი კავკასიის მასშტაბით მსხვილ მრავალპროფილიან სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელთანაც თანამშრომლობდა ბევრი სახელოვანი რუსი და უცხოელი მეცნიერი. საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოში ჩამოსვლა და კოლხეთში არგონავტების ნაკვალევზე გონიო-აფსაროში არქეოლოგიური გათხრების სურვილი გასჩენია ცნობილ გერმანელ არქეოლოგს ჰაინრიხ შლიმანს,[304] რაც კავკასიის მუზეუმთან თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. მან 1883 წელს ოფიციალურად მიმართა რუსეთის მთავრობას, თუმცა ამ უკანასკნელმა სასტიკი უარი განუცხადა მას და თავისი პოზიცია საკმაოდ ბუნდოვანი არგუმენტით განმარტა— საიმპერატორო კარმა შლიმანს ზნეობა, ორცოლიანობა დაუწუნა.[305]

საგანგებოდ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მაშინ მოქმედი წესის თანახმად, მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში სრულებით არ იყენებდნენ ადგილობრივ ეროვნულ, კვალიფიციურ კადრებს. კავკასიის მუზეუმის არსებობის მთელ მანძილზე, აქ არც ერთ ქართველს არ უმუშავია. ტუუილად როდი წერდა გ. რადე იმპერიის განათლების მინისტრს: "კონსერვატორის თანამდებობაზე და თავისუფალ დაქირავებულად მე ვიცვან უცხოელებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტების კურსები პალეში, ფრიდრიხმარში."[306] აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ამის შესახებ წერდა: "უნდა ითქვას, რომ კავკასიის მუზეუმში ადგილობრივ კადრებს არ

---

[303] სსმ არქივი, 1904, 40/24, გვ. 232.

[304] ხახუტაიშვილი დ., გონიო – აფსაროსი, ჟურნ. "საისტორიო მაცნე", № 3, 1996, გვ. 64.

[305] საისტორიო ჟურნ. "პარალელები" №1, 1999, გვ. 44.

[306] სსმ არქივი, 1188, 35/5, გვ. 201.

აკარებდნენ, ვიდრე მუზეუმი კავკასიის მეფისნაცვლის მმართველობიდან პეტერბურგის აკადემიის ხელქვეითი გახდებოდა, ამის შემდეგაც ჭირდა ადგილობრივი სპეციალისტების მუზეუმში მუშაობა. შემონახულია აკადემიკოს ნიკო მარის წერილი, რომლითაც ავტორი ეფიცებოდა იმდროინდელი მუზეუმის დირექტორს, რომ მავანის მიღება სასარგებლო იქნებოდა. საკითხი ეხებოდა იოსებ ორბელს. ამის მიუხედავად იგი მაინც არ მოიწვიეს".[307]

ღასაკვირველია, ეროვნული დაწესებულების შექმნა და ეროვნული კულტურის წარმოჩენა, არც შედიოდა ხელისუფლების იმპერიულ, კოლონიური პოლიტიკის მიზნებში. არადა ამ პერიოდში ბევრი ქართველი გამოვიდა სამეცნიერო ასპარეზზე – განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დისციპლინებში, მაგრამ მათთვის მუზეუმის კარი დახშული იყო. როგორც გ. ჩიტაია აღნიშნავს "თავის არსებობის მთელ მანძილზე რადე იყო მისი დირექტორი და ერთადერთი მეცნიერ თანამშრომელი".[308] დაეძენთ, რომ მას წლების განმავლობაში თანაშემწეებად ჰყავდა — მხოლოდ უცხოელები.

აკადემიკოსი გ. ჩიტაია სხვა ცოდვებშიც სდებდა ბრალს კავკასიის მუზეუმის დირექტორს გ. რადეს: "აქ ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებისას გაბატონებული იყო რარიტეტული, ანტიკვარული მეთოდი. ცნობილია, რომ რადე საუკეთესო კავკასიურ-ეთნოგრაფიული კოლექციებით ამარაგებდა ევროპულ მუზეუმებს (ჰამბურგში, ლაიფციგში, ბერლინში)".[309] ივანე ჯავახიშვილი ამის შესახებ გულისტკივილით აღნიშნავდა: "ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო რაც გადარჩა ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა – დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და გაუბედურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია თუ ჩვენ XI–XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფაცხოვრების ნიკოლიერი ნაშთთაგან ძალიან ცოტაღა გვაქვს გადარჩენილი. ამ გადარჩენილთაგანაც არაერთი უძვირფასესი ძეგლი

---

[307] გ. ჩიტაია, ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ., 1991, გვ. 51.

[308] Читаия Г, Этнографические исследования в Грузинской ССР, ჟურნ "Советская Этнография," 1848, 4, გვ 177.

[309] იქვე.

საქართველოდან უცხოეთშია გატანილი, ზოგი იქაურ მუზეუმებშია დაცული".[310]

უნდა ითქვას ისიც, რომ საერთოდ მუზეუმისა და მისი დირექტორის გ. რადეს საქმიანობის შეფასებისას, იმთავითვე გამოითქმებოდა სხვადასხვა აზრი. ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ კ. ჰანი და ფ. კეპენი, საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ მათი მისამართით. მაგალითად, ფ. კეპენი 1892 წელს წერდა: "ცნობილია, რომ რუსეთში ძალზე ცოტა მუზეუმებია, რომლებიც ამ სახელს ამართლებენ. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ყოველგვარი გეგმისა და სისტემის გარეშე შემთხვევით შეკრებილი კოლექციების საცავებს წარმოადგენენ. კავკასიის მუზეუმი თავის მხრივ შეიძლება ერთადერთი იყოს მთელ ქვეყანაში, სადაც ხუთივე განყოფილებაში შეკრებილი მდიდარი მასალები არა მარტო მოყვანილია საუკეთესო წესრიგში, არამედ მრავალრიცხოვან სპეციალისტებთან თანამშრომლობის შეშვეობით, თითქმის ყველა მეცნიერულად განსაზღვრულია შესაძლებელი სიზუსტით და კეთილსინდისიერებით. იგი თავისი ფრიად ესთეტიკური და ამასთან მიზანდასახული მოწყობით გამოირჩევა სხვა მსგავსი დაწესებულებებისაგან, რაშიც მთლიანად უნდა უმადლოდეს თავის დირექტორს გ. რადეს".[311]

საპირისპიროს ამტკიცებდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი მ. მენზბირი: "რადგან კავკასიაში არ არის უნივერსიტეტი, ტფილისის მუზეუმი უნდა გამხდარიყო ცენტრი, რომელიც წარმართავდა კავკასიის ნატურალისტთა საქმიანობას, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი ტფილისის მუზეუმში (იგულისხმება კავკასიის მუზეუმი—გ. ჩ.) არ მომხდარა".[312] ამაში მ. მენზბირი ადანაშაულებდა რადეს: "გახდა რა ტფილისის მუზეუმის დირექტორი, მან სრულებითაც ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებდნენ რუსი მეცნიერები. ტფილისის მუზეუმის მდგომარეობა დიდი შავი ლაქაა გ. რადეს მეცნიერულ მოღვაწეობაში და უნდა ვიფიქროთ, რომ ცოტა დრო არ დაჭირდება იმას, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ შეიცვალოს დამოკიდებულება იმ დაწესებულებასთან,

---

[310] ჯავახიშვილი ი., შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოკვლევა, გაზ. "კომუნისტი" 1937, №55, 9 /III.

[311] Кеппен Ф., დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[312] Мензбир М, დასახ. ნაშრ. გვ. 165.

რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში".[313]

მ. მენზბირი განსაკუთრებით დასავლეთისადმი სიმპატიებსა და ლტოლვაში სდებდა ბრალს გ. რადეს: "ჩვენ ვნახეთ პეტერბურგის აკადემიისთვის რადესაგან გამოგზავნილი ტყავები (ფიტულები), რომლის ფეხები და ეშვები შეჭმული იყო მატლებისგან, მაშინ როცა ზოგიერთ საზღვარგარეთის მუზეუმებში მოთავსებულია მის მიერ წარმოდგენილი შესანიშნავად შენახული ფრინველთა ტყავები, რაც იმას მიუთითებს, რომ ბატონ რადეს, როდესაც უნდა, კარგად შეუძლია შეინახოს თავისი კოლექციები. ეს თუ ასეა მით უმეტეს მიუტევებელია მოუწესრიგებლად იყოს მუზეუმის კოლექციები...როდესაც ექსპედიციებს აფინანსებენ რუსი მეცნიერები და საზოგადოებები, მათი ანგარიშები უცხოეთის გამოცემებში კი არ უნდა ქვეყნდებოდეს. . . რუსეთშიც საკმარისი გამოცემებია, სადაც შესაძლებელია საბუნებისმეტყველო-ისტორიული ნაშრომების დაბეჭდვა ნებისმიერ ენაზე".[314]

კიდევ უფრო შორს მიდის მოსკოველი პროფესორი გ. რადეს მეცნიერული საქმიანობის შეფასებისას: "რადეს არსად არ აქვს ავტორიტეტი.. მან თავისი თავი მტრულად დაუპირისპირა კავკასიის მხარის მკვლევართა უმრავლესობას- მაინც რით გამოიჩინა თავი რადემ? მისი გამოკვლევები არქეოლოგიაში არარაობაა, ბოტანიკაში – არაეითარი მნიშვნელობა არ აქვს, გეოგრაფიაში – საესეა შეცდომებით. საქმე ის არის, რომ კავკასია კვლავაც რჩება გამოუკვლეველი, რადგან ის დაწესებულება, რომელიც ამ მხარის საბუნებისმეტყველო-ისტორიული კვლევის ცენტრად უნდა ქცეულიყო, საესებით ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. უფრო მეტიც, შესაბამის სხვა დაწესებულებებთან მიმართებაში პირდაპირ მტრულ გზას დაადგა."[315]

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ძალზე მუქი ფერებით არის გაზავებული. გ. რადეს სამეცნიერო პროდუქცია რომ არ მიეიღოთ მხედველობაში, მის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებისგან მიღებული ჯილდოების, პრემიების და ტიტულების ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა ზემოთ მოყვანილი

---

[313] იქვე. გვ. 68.
[314] Мензбир М., დასახ. ნაშრ. გვ.167
[315] Мензбир М., დასახ. ნაშრ., გვ. 167

მოსაზრებების გასაბაჭილებლად და მისი როგორც დიდი მეცნიერის ასაღიარებლად:

გუსტავ რადე არჩეული იყო: რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად, ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრ-კორესპონდენტად; ბერლინის, ბუდაპეშტის, დრეზდენის, ამსტერდამის და ვენის გეოგრაფიული საზოგადიებების საპატიო წევრად; რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1886 წელს მიიღო ოქროს მედალი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისგან, 1889 წელს – ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოებისგან, ხოლო 1885 წელს–ვერცხლის დიდი მედალი ბერლინის სამეცნიერო საზოგადოებისგან; მოპოვებული აქვს ლემიდოვისა და მიტროპოლიტ მაკარიუსის სამეცნიერო პრემიები და ბოლოს, ძნელი იქნებოდა იმ ფაქტის უარყოფა, რომ გ. რადე იყო კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბების ინიციატორი, პრაქტიკულად დამაარსებელი და სიცოცხლის ბოლომდე შეუცვლელი დირექტორი. მისმა კვალიფიციურმა, მრავალმხრივმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ დიდად განაპირობა საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარება. ყოველივე ამან, მას არა მარტო თბილისის საზოგადოების პატივისცემა, არამედ საერთაშორისო აღიარებაც მოუტანა.

\/ მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ გ. რადე იმ საზოგადოების წარმომადგენელი იყო, რომელიც ამ მხარეში იმპერიულ, დიდმპყრობელურ პოლიტიკას ახორციელებდა. მისთვის უცხო იყო ადგილობრივი ინტერესები და ერთგულად ემსახურებოდა იმ კოლონიურ ხელისუფლებას, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა დაემუხრუჭებინა ყველაფერი, რაშიც კი ხედავდა ეროვნული კულტურის გამოვლინებას.

გუსტავ რადე გარდაიცვალა 1903 წელს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს ლიკანში, რომანოვების სამეფო ოჯახის ნაკვეთში. გუსტავ რადეს, როგორც კავკასიის მუზეუმის დამაარსებლისა და 38 წლის განმავლობაში მისი უცვლელი დირექტორის გარდაცვალებასთან ერთად, მთავრდება ამ დაწესებულების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც ამ ადამიანის მოღვაწეობასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

გ. რადეს ხსოვნის უკვდავსაყოფად კავკასიის მუზეუმის ეზოში 1907 წელს დაიდგა მისი ბიუსტი. სახსრების შეგროვება ბიუსტის შესაქმნელად 1906 წლიდან დაიწყო. მასში მონაწილეობა მიიღო რადეს თითქმის ყველა მეგობარმა და

თანამშრომელმა. ამ მიზნით შემოწირულობები გაიღეს აგრეთვე დიდმა მთავრებმა: მიხეილ ნიკოლოზის ძემ, მიხეილ ალექსანდრეს ძემ, ნიკოლოზ მიხეილის ძემ და ალექსანდრე მიხეილის ძემ; კავკასიის ყოფილმა მთავარმართებელმა გ. გოლიცინმა, გრაფმა ა. უვაროვმა, მ. გეკელმა, პ. მელერმა და სხვებმა. სულ შეგროვდა 1045 მანეთი.

ბიუსტიათვის თაბაშირის სამუშაოები თბილისში შეასრულა მხატვარმა ფ. ხოდოროვიჩმა, ხოლო მარმარილოს სამუშაოები კი–პეტერბურგში სკულპტორმა ი.ვეიცენბერგმა, ეს სამუშაოები სულ დაჯდა 900 მანეთი.[316] დარჩენილი თანხა დაიხარჯა ქვის პოსტამენტის სამუშაოებზე.



[316] "Известия Кавказского музеума," ტ. III, ნაწ. I გვ. 54.





 კავკასიის მუზეუმის ეესტიბიულის ფრესკები (მხატვარი ფ. ნიკი)



 კავკასიის მუზეუმის ზოოლოგიური გამოფენის დარბაზი



კავკასიის მუზეუმის ზოოლოგიური გამოფენის დარბაზი

§ 5 ახალი დებულების მიღება, მუზეუმის შენობის მშენებლობის დაწყება, კავკასიის მუზეუმის გაუქმება. (1904 – 1919წწ)

კავკასიის მუზეუმის ისტორიის IV პერიოდი მეტად მძიმე და ბობოქარ წლებს ემთხვევა. კლასობრივი წინააღმდეგობების უკიდეურესად გამწვავებამ და რევოლუციური მოძრაობის აზვირთებამ, მათ წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა და პირველი მსოფლიო ომის მძიმე წლებმა კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყანაში ანარქია და უწესრიგობა. კავკასიის ახალი გამგებელი ილარიონ ილიას ძე ვორონცოვ-დაშკოვი (1905 – 1915), რომელიც ასეთი ტიტულით—კავკასიაში მისი "საიმპერატორო უდიდებულესობის ნაცვალი"–იწოდებოდა, ცდილობდა განემტკიცებინა ცენტრალური, ბიუროკრატიული ორგანოები და ბურჟუაზიულ-ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და რეპრესიების გზით ძირშივე ამოეკვეთა კავკასიის ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მისწრაფებანი. მისი მმართველობის დროს მთელი ამიერკავკასია სამხედრო ყაიდაზე იქნა გადაყვანილი.

ქვეყნის ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისს და საერთო არეულობას არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა კავკასიის მუზეუმზეც. ამას დაემატა ისიც, რომ გამომჟღავნდა მუზეუმის შენობის უვარგისობა, რის გამოც მან შეწყვიტა აქტიური საექსპოზიციო საქმიანობა და დახურა თავისი გამოფენები, რომლებიც ამ დაწესებულების ისტორიის დარჩენილ მონაკვეთში არც გახსნილა. ამ ხნის მანძილზე მიმდინარეობდა მუზეუმისათვის ახალი შენობის მშენებლობა – რაც წლების მანძილზე გაჭიანურდა.

ამასთან ერთად, ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა კავკასიის მუზეუმის მნიშვნელობას მხარის შესწავლის საქმეში. ვორონცოვ-დაშკოვი 1907 წელს იმპერატორს სწერდა: "ჩემს უქვეშევრდომილეს მოვალეობად ეთვლი თქვენი უდიდებულესობის ყურადღება მივაპყრო კავკასიის მუზეუმზე. ეს მუზეუმი დაფუძნდა თბილისში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს. იგი თითქმის 40 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ვითარდებოდა და ყალიბდებოდა მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებად სადაც შეგროვდა უმდიდრესი კოლექციები კავკასიის ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესახებ. ამ კოლექციების

მატერიალური ღირებულება ბევრად აჭარბებს 500 000 მანეთს. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა იმ სიძნელეებს, რომელიც თან ახლდა ამ მასალათა მოძიებას, საექსპედიციო ხარჯებს, ნივთთა უნიკალურობას და განსაკუთრებით იმას, რომ ამჟამად მათი მოპოვება უკვე შეუძლებელია, მაშინ ამ კოლექციათა ფასი ბევრად მაღლა აიწევს. მსგავსი დაწესებულება არ მოგვეპოვება შიდა რუსეთში." [317]

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში ძალისხმევას, გაფართოებულიყო კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხორცი უნდა შესხმოდა: 1900 წელს შეიქმნა კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის გაფართოებისა და აუცილებელი სამუშაოების დამდგენი კომისია, კავკასის სასწავლო ოლქის მზრუნველის მ. ზავადსკის თაოსნობით. კომისიამ 2 ოქტომბერს მიიღო დადგენილება რითაც აღიარა, რომ როგორც მუზეუმის, ისე ბიბლიოთეკის შენობას გადაუდებლად ესაჭიროებოდა გაფართოება.[318] ამასთან ერთად, კომისიამ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად ამ ორი უჯრედის ნახევარსაუკუნოვანი არსებობისა, მათ არ ჰქონდათ მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულება.

1903 წელს შემუშავდა დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა მთავარმართებლის საბჭოს, მაგრამ საბჭოში პროექტის დამტკიცება ძალზე გაჭიანურდა. 3 წლის შემდეგ ახალ გარემოებათა გასათვალისწინებლად და ჩასასწორებლად, პროექტი უკან დაუბრუნეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. ამასთან ერთად, საბჭომ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა იმდენად გაიზარდნენ და განვითარდნენ, რომ მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილი გახდა მათი განცალკევება და დამოუკიდებელი არსებობა. ამიტომ დებულების ახალი პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კავკასიის მუზეუმისგან თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის გამოყოფა, რომელიც დაექვემდებარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსს, რაც შეეხება თვით მუზეუმს, იგი უნდა დარჩენილიყო განათლების სამინისტროს უწყებაში.

---

[317] Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова , ტფ.1907, გვ 120.

[318] სსმ არქივი, 1905, 41/30, გვ. 63

(გ. რადეს გარდაცვალებამ და მისი შემცველელის შერჩევის საკითხმა არსებითი ცვლილებები შეიტანა ამ დაწესებულების დებულების ჩამოყალიბებაში. რადგან ისეთი სამეცნიერო ორგანიზაციის, როგორიც იყო მუზეუმი, ხელმძღვანელის დანიშვნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის კომპეტენციაში შედიოდა, გადაწყდა, რომ კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა შესულიყო საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში. მეცნიერებათა აკადემიასვე დაეკალა დებულების პროექტის შემუშავება.

მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავებული დებულების პროექტით, ამ ორ უჯრედს უნდა დარქმეოდა კავკასიის მუზეუმი და კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.[319]

მუზეუმის პროექტის ხანგრძლივი განხილვისა და კამათის შემდეგ, როგორც იქნა შემუშავდა დებულება. მიღებული იქნა კანონი კავკასიის მუზეუმის დებულებისა და შტატების შესახებ, რომელიც მოიწონა სახელმწიფო საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ. იგი საბოლოოდ 1913 წლის 3 დეკემბერს დაამტკიცა ლივადიაში მყოფმა იმპერატორმა ნიკოლოზ II თავისი ხელმოწერითა და რეზოლუციით: "Быть по сему".

აღნიშნული კანონით "მუზეუმსა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას მიენიჭა "კავკასიის მუზეუმის" სახელი და წესდებოდა "კავკასიის მუზეუმის დებულება."[320]

) კავკასიის მუზეუმს უფლება ეძლეოდა: 1) საზღვარგარეთიდან ცენზურის გარეშე მიეღო წიგნები და ნაბეჭდი ნაწარმოებები, 2) სხვა ქვეყნებიდან უბაჟოდ გამოეწერა წიგნები, კოლექციები, ლაბორატორიისთვის ინსტრუმენტები, მასალები და სამეცნიერო სამუშაოებისათვის სხვა საჭირო ნივთები, 3) უფასოდ მიეღო რუსეთის კამომცემლების მიერ კავკასიის შესახებ გამოშვებული ნაბეჭდი პროდუქციის თითო ეგზემპლარი. მუზეუმის დაფინანსება უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ხაზინიდან წელიწადში 25, 200 მანეთის ოდენობით.[321] კანონს ხელს აწერდა სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე მ. აკიმოვი.

ახლად დამტკიცებული დებულებით: "კავკასიის მუზეუმის უმთავრეს მიზანს შეადგენდა კავკასიის მეცნიერული შესწავლისათვის ხელშეწყობა. რისთვისაც მას უნდა

---

[319] სსმ არქივი, 1910, 4838, გვ. 76.

[320] Закон об установлении Положения и штата Кавказского Музея, в журн. «Известия Кавказского Музея», ტ. IX, . თბ, 1915, გვ. 36.

[321] იქვე გვ. 37.

მოეგროვებინა, შეედგინა, სისტემაში მოეყვანა და შეენახა კავკასიისა და მისი მეზობელი ქვეყნების საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სამეცნიერო კოლექციები. მუზეუმთან უნდა ყოფილიყო ბიბლიოთეკა, რომელშიც თავს მოიყრიდა ლიტერატურა უმთავრესად კავკასიისა და მეზობელი ქვეყნების შესახებ." .რაც შეეხება მუზეუმის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას, "იგი შედის კავკასიაში მისი უდიდებულესობის ნაცვლის სამმართველში, უწყებრივად კისახალხო განათლების სამინისტროში. სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით კავკასიის მუზეუმი ექვემდებარება საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას."[322]

მუზეუმის უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა დირექტორს, რომლის არჩევაც ხდებოდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ ხმების 2/3-ის უმრაველესობით. მას თანამდებობაზე ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი.

დირექტორის სამსახურში არყოფნის, ან ავადმყოფობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებდა მუზეუმის მთავარი მცველი, ან თანამდებობით შემდგომ საფეხურზე მდგომი პირი.

მუზეუმის განყოფილებათა ხელმძღვანელობა ეკისრებოდათ მთავარ მცველებს. მათ დასახმარებლად ინიშნებოდნენ უმცროსი მცველები. მუზეუმის ფონდის მცველებსა და ბიბლიოთეკარს დირექტორის წარდგინებით ირჩევდნენ მეცნიერებათა აკადემია, იმ პირებიდან, რომლებსაც ჰქონდათ სათანადო უმაღლესი განათლება. მათ თანამდებობაზე ამტკიცებდა მეფისნაცვალი.

დირექტორს, ფონდების მცველებს და ბიბლიოთეკარს არ ჰქონდათ პარალელურად სხვაგან მუშაობის უფლება.

მუზეუმის ფინანსებს შეადგენდა თანხები, რომლებიც გაიცემოდა ყოველწლიურად სახალხო განათლების სამინისტროს ხაზით სახელმწიფო ხაზინიდან და სპეციალური სახსრები. მას შეადგენდა მუზეუმში შესასვლელი ბილეთებიდან, შემოწირულობებიდან, გამოცემებიდან, კოლექციების ასლებიდან და სამეურნეო ნივთების გაყიდვიდან შემოსული თანხები, რომელსაც მეფისნაცვლის ნებართვით დირექტორი განკარგავდა.

დებულებით მუზეუმის შტატები იზრდებოდა 10-მდე, დირექტორის თანაშემწის, კონსერვატორისა და პრეპარატორის

---

[322] [322] Закон об установлении Положения и штата Кавказского Музея, в журн. «Известия Кавказского Музея», ტ. IX, 1915, გვ 37.

ნაცვლად წესდებოდა ბიბლიოთეკარის, მუზეუმის ფონდების უფროსი და უმცროსი მცველის თანამდებობანი.

კავკასიის მუზეუმის ახალი შტატები და ხარჯთაღრიცხვა ასეთი იყო: (ცხრილი 8):

საშტატო ერთ.	რაოდ.	ხელფ.	სადილი.	ბინის	სულ	თანრიგ.
დირექტორი	1	1800	1800	ნატურ.	3600	V
უფროსი მცველი	2	1800	1200	ნატურ.	2400	VI
	3	1200	1200	600	3000	VI
უმცროსი მცველ.	3	720	720	360	1860	VII
ბიბლიოთეკარი	1	1200	1200	ნატურ.	2400	VI
სულ	10				25, 200	

1903 წლის დასაწყისში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის კრებაზე კავკასიის მუზეუმის დირექტორად აირჩიეს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვი. იგი დაიბადა 1871 წლის 26 იანვარს თავადის ოჯახში, ტვერის გუბერნიაში. იზრდებოდა სანკტ-პეტერბურგში. 1880 წელს ჩაირიცხა სასახლის პაჟთა კორპუსში, სწავლობდა მისი უდიდებულესობის პაჟთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით. სამხედრო სამსახური დაიწყო 1888 წლიდან. 1890 წელს იყო კორნეტი, 1894 წელს გახდა პორუჩიკი, 1902 წლის აგვისტოში მიიღო გვარდიის როტმისტრის ჩინი, ხოლო 1909 წელს მიაღწია კავალერიის პოლკოვნიკის წოდებამდე.[323] *მუზეუმის დირექტორად დამტკიცების შემდეგ, ა. კაზნაკოვი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ 1904 წლის 14 აპრილს აირჩია თავის ნამდვილ წევრად, 1905 წელს კი – საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილ წევრად. ამავე წელს იგი დააჯილდოეს წმ. ვლადიმერის და წმ. ანას ორდენით.*

1913 წელს კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ, ბიბლიოთეკარად მუშაობდა რიჩარდ გერმანის-ძე შმიდტი, მუზეუმის კონსერვატორის დოქტორ ალფრედ ვალტერის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ უფროსი მეცნიერის თანამდებობა დაიკავა ივანე რიბანსკიმ. პრეპარატორად ჯერ მუშაობდა ევგენი ჰფიცენმაიერი, ხოლო შემდეგ– უმცროს მეცნიერ თანამშომლად (კარლ კრელი. ტაქსიდერმისტად კი – პეტრე ივანოვი. მუზეუმის ისტორიის ამ პერიოდში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდნენ ა. მოჟენეესკი, ი. ვორონოვი, ს. ტერ-ავეტისიანი, ა. შელკოვნიკოვი, ვ. კლიპერტი, ა. გრენცვეინი, ვ. შამრაი, გ. დიუსტერდიკი, ს. გურგენოვი, ა. პოლხო, ი. სიმონოვიჩი, უ. ტოლსტიკოვი, ბ.

---

[323] სსმ არქივი, 1914, № 71, გვ. 452.

იანცენი, გ. ბოგდანოვი, ა. მოროსკა და სხვები, მუზეუმის მხატვრად სხვაადსხვა დროს მოწვეულები იყვნენ ფ. რუბო, ი. ტილკე. ნ. კულჩევსკი. მუზეუმის დარაჯები იყვნენ: თ. გუროვი, მ. ზავადკა, ი. ჩერნოვი და ფ. ისჩუკი. კანცელარიაში მუშაობდნენ ა. ცირული და ვ. შამრაი. ბიბლიოთეკაში—ლ. შერშოვი და ი. დიტერიხსი.

მუზეუმის მოძიებით სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ მოწვეული პირები: ა. მლოკოსევიჩი, ი. რაჩიკინი, ო. გიოტლინგი, გ. ვარდანიანცი, ა. ვასილინი, ს. ბოკილონი, ე. ტერ-ლალაიანცი, შ. მალაიანიმ, ვლ. ლეონოვი, ა. ფლორენსკი, კ. კურდოფი და სხვები.

როგორც ვხედავთ, კავკასიის მუზეუმის ისტორიის ამ მონაკვეთშიც მუზეუმის კარები დახშული იყო ადგილობრივი კადრებისთვის. აქაური თანამშრომლებიდან არც ერთი ქართველი არ იყო, რაც ძნელია შემთხვევითობას მივაწეროთ. მუზეუმის არქივში დაცულია იმდროინდელი სამხედრო მინისტრის გენერალ ადიუტანტის ა. სახაროვის წერილი, სადაც იგი მოითხოვს მუზეუმის დირექტორისაგან, რომ მან სამსახურში უპირატესად მიიღოს თადარიგში გასული რუსი სამხედრო მოსამსახურეები,[324] რაც ზუსტად სრულდებოდა.

10-იან წლებში მუზეუმმა დაიწყო მუშაობა კავკასიის ხალხთა კოსტიუმების ატლასის შექმნაზე. ამისთვის მოიწვიეს გერმანელი მხატვარი მ. ტილკე

მაქს ტილკე (1869-1931 წწ). იღაიბადა ბრესლაუში. ბერლინის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს იმავე ქალაქში მხატვარ-დეკორატორად, შემდეგ მადრიდის პრადოს მუზეუმში ასლების გაკეთებად, ხოლო 1900 წელს პარიზში—კოსტიუმების ილუსტრატორად. 1912 წელს რუსეთის იმპერატორის რეკომენდაციით ჩამოდის თბილისში და მუშაობს ჯერ სამხედრო ლიდების მუზეუმში, სადაც ფ. რუბოსთან ერთად ხატავს ბატალურ სცენებს, შემდეგ გადადის კავკასიის მუზეუმში და ეხმება ატლასზე მუშაობაში. ამისთვის ივი აქტიურ მონაწილეობას იღებს ექსპედიციებში. მან ფეხით შემოიარა თითქმის მთელი კავკასია და ჩაიხატა უამრავი ხალხური ტანსაცმელი და ტიპაჟი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ტილკე ბრუნდება გერმანიაში და იქ აქვეყნებს თავის ნამუშევრებს. ნაწილი მისი ნახატებისა (83 ერთეული), დღესაც ინახება მუზეუმში,[325] მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ კავკასიის ხალხთა ტანსაცმელის ისტორიის კვლევისთვის.

---

[324] სსმ არქივი, 1905, 41/30, გვ. 58

[325] გელაძე თ., კოსტიუმის ფონდის შექმნის ისტორიიდან მუზეუმში, სსმ საიუბილეო სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002, გვ.70.

ამ პერიოდში მუზეუმის დახურვის გამო მთელი ყურადღება გადატანილი იქნა მოძიებით სამუშაოებზე. თითქმის ყოველწლიურად ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები, მიელინებები და ექსკურსიები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ მუზეუმის მთელი პერსონალი და მოწვეული თანამშრომლები. წარმატებით განხორციელებულ მოძიებითი სამუშაოთა შედეგად მუზეუმის ფონდები უამრავი ექსპონატით გამდიდრდა.

1905 წელს ექსპედიციები ჩატარდა ერევნისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში, ნოვობაიაზეთის, ჯევანშირისა და ალექსანდრპოლის მაზრებში. მასში მონაწილეობა მიიღეს ა. კაზნაკოვმა, ა. შელკოვნიკოვმა, რ. შმიდტმა და ე. კენიგმა;

1907 წელს სამეცნიერო მიელინებები მოეწყო შაეიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ყარაჩაიში, ყუბანისა და ართვინის ოლქში. მიელინებული იყვნენ ი. დიტერიხსი, ლ. კონიუშევსკი, ი. ვორონოვი და ლ. მლოკოსევიჩი. 1908 წ. მოძიებით ექსპედიციები მოეწყო ახალქალაქის მიდამოებში, ყარსის ოლქში, სომხეთში, ელიზავეტოპოლის და არაქსის რეგიონებში, ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ა. კაზნაკოვი, რ. შმიდტი და ლ. ბერგი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 10-იან წლებში ჩრდილოეთ ირანში—ჯულფის, კერმანშაჰისა და სენენდედჯის რაიონებში მოწყობილი ექაპედიციები, საიდანაც მნიშვნელოვანი კერამიკული კოლექცია იქნა ჩამოტანილი.

1912-1913 წლებში სამეცნიერო ექსკურსიები მოეწყო მთიან ყარაბახში, ბაქოს გუბერნიაში, დაღესტანში, კახეთსა და დუშეთის მაზრაში. Iგი განახორციელეს ა. ლოკოსევიჩმა, ე. პფიცენმაიერმა და ვ. ბანკოესკიმ. კავკასიის მუზეუმის 1904 –1914 წლების ანგარიშების მიხედვით, აღნიშნული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალები შეიძლება შემდეგნაირად გამოეხატოთ: (ცხრილი 9):

წლები	ზოოლოგ.	ბოტანიკ.	გეოლოგ.	ეთნოგრაფ.	არქეოლ.
1905	3183	1208	18	47	73
1907	16870	3968	54	153	55
1908	7008	3625	5	321	52
1909	2379	3859	23	1	9
1910	2037	1158	—	482	153
1911	2037	5168	115	6	—
1912	13065	2615	8	43	36
1913	5949	195	259	11	55

ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ნივთების გარდა, ამ პერიოდში მუზეუმის ფონდები მდიდრდებოდა შემოწირულობებით, შესყიდვითა და გაცვლითი გზითაც.: 1904 წელს მარიამ არღუთინსკაია–დოლგორუკოვამ მუზეუმს შესწირა 10 ერთეული ნივთი. მათ შორის ვერცხლის თასი, ოქროთი და მარჯნით შემკული გიშერის კრიალოსანი, ქართველი ქალის ტანსაცმელი თავისი მორთულობით და ძვირფასი სამკაულით. მანვე გადაიხადა 500 მან. სპეციალური რკინის ეიტრინიათვის, სადაც მოთავსდა ეს ექსპონატები.[326] 1905 წელს კახეთის მაზრის უფროსმა მუზეუმს გადასცა სიღნაღში აღმოჩენილი 1064 წლით დათარიღებული ქვა ნუსხური წარწერით, რომელზეც იხსენიებიან ბაგრატ აფხაზთა მეფე და კახეთ–ჰერეთის ხელისუფალი აღსართანი.[327] 1907 წელს ელენე ბაგრატიონ–მუხრანსკაიამ მუზეუმს აჩუქა ორი ძველებური თოფი და დამბაჩა ძვირფასად ინკუსტირებული ტარით, ხოლო ანა სუმბათაშვილმა –ბათუმის გარეუბნის სამაროვანში აღმოჩენილი რკინის ხმალი.

1908 წელს თავად გ. ერისთავის ოჯახმა მუზეუმს უსახსოვრა 3 ძველებური ხმალი, სპარსული ფარდაგი და ქურთული ხანჯალი. 1909 წელს ო. დადეშქელიანმა მუზეუმს შესწირა სვანეთში აღმოჩენილი 6 ვერცხლის არქეოლოგიური ნივთი.[328]

1910 წელს ახალქალაქელმა მიწათმფლობელმა მ. ფალავანდიშვილმა მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ჯავახეთში მცხოვრებ თურქი ქალის ეთნოგრაფიული ტანსაცმელი თავისი მორთულობითა და სამკაულებით.[329] ამავე წელს კ. მიქელაძემ მუზეუმს უსახსოვრა ხუთი სპილენძის ფული, ნ. მიქაძემ კი–ჩერქეზული ტანსაცმლის სრული კომპლექტი. 1911 წელს ყარაიაზის მაზრის უფროსმა ო. ყიფიანმა მუზეუმს შესწირა 50 ერთეული საბრძოლო იარაღი და აქაური ქალისა და მამაკაცის ეთნოგრაფიული ტანსაცმელი. ხოლო გ. შერვაშიძემ—სოხუმთან აღმოჩენილი ბრინჯაოს და თიხის არქეოლოგიური ნივთები.[330]

---

[326] Отчет по Кавказскому Музею и Тифлисской публичной библиотеки за 1905 г., в журн. «Известия Кавказского музея» (შემდეგში შემოკლებით «Отчет») ტ. III გვ. 11.

[327] სსმ არქივი, 1905, 41\30 გვ. 7.

[328] Отчет ..... за 1909 г., ИКМ, VI, გვ. 14.

[329] სსმ არქივი 1911, 49\38 გვ. 272.

[330] Отчет...за 1911 г.. ИКМ. ტ IX, გვ.19.

1912 წელს ა. ჭურჩიშვილმა მუზეუმს უსახსოვრა ძველი ებრაული ხელნაწერი მეგილა, ხოლო 1913 წელს შ. კაიშაურმა –მთიული კაცისა და ქალის ტანსაცმელი და საოჯახო ეთნოგრაფიული ნივთები–სულ 103 ერთეული.[331] ამ პერიოდში შემომწირავთა შორის მოიხსენიებიან აგრეთვე: მ. ანდრონიკაშვილი, მ. ჭავჭავაძე, ბ. ჩხეიძე, ა. ლაკერბაია, ი. ვასაძე, ა. ლადარია, ე. კარბელაშვილი, ი. ხალვაში, ბ. ჩხოტუა, გ. გაბლიანი, ა. გარდაფხაძე და სხვები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 1905-1913 წლებში მუზეუმს შესწირეს ნივთები: დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, ნ. მარმა, ე. პოხომოვმა, ე. ვეიდენბაუმმა, კ. განმა, ი. ზეიდლიცმა, ვ. ფონ-ვეისენგოფმა, ე. ვატაციმ, მ. გაკელმა, კ. მალმა, კ. მაევსკიმ, ს. გეიდენმანმა, ო. როზენმა, ტ. დრახენფელსმა, მათი გვარები შეჰქონდათ მუზეუმის საინვენტარო დავთრებში, წლიურ ანგარიშებში და საჯაროდ მადლობას უხდიდნენ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებიდან.

1905-1913 წლებში შემოწირულობების შესყიდვისა და გაცვლითი გზით მუზეუმში შემოსული ექსპონატების რაოდენობა წლიური ანგარიშების მიხედვით ასეთი იყო: (ცხრილი 10):

წლები	შემოწირული	შესყიდული	გაცვლითი
1905	758	979	12
1907	7437	59	32
1908	8213	109	53
1909	3650	335	597
1910	2985	396	312
1911	7746	239	106
1912	12587	4120	2650
1913	8048	11348	432

მუზეუმში სხვადასხვა გზებით შემოსული კოლექციებიდან საყურადღებო იყო: გოგრის ტბის მიდამოებსა და ნორბაიაზეთის მაზრაში 1905 წელს ე. ლალაიანცის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული 128 ბრინჯაოს, საბრძოლო იარაღისა და ქამრის ბალთები, 27 რკინისა და 21 ქვის ნივთები. 42 ცალი ფეხლის, ნიჟარების ყაყის გულსაკიდები და სხვა სამკაულები, 144 კერამიკული ჭურჭელი და სხვა.

საინტერესო იყო 1907 წელს მუღანის ველზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოპოვებული 15539 ერთეული როგორც

[331] Отчет...за 1913 г.. И К М ტ. IX, გვ. 14.

საბუნებისმეტყველო, ისე ეთნოგრფიული და არქეოლოგიური ნივთები. აგრეთვე ვანის ვილაიეთში კ. მაიევსკის მიერ ქვის სტელების კოლექცია ლურსმნული წარწერებით.[332]

მნიშვნელოვანი იყო 1908 წელს კ. სატუნინის მიერ შეკრებილი ზოოლოგიურ ნივთთა კოლექცია, რომელიც მოიცავდა კავკასიის ფაუნის 8029 ეგზემპლარს, აგრეთვე – ა. კაზნაკოვის მიერ შემახიისა და ყუბის მაზრებში შეგროვილი ტატების, მთიელი ებრაელებისა და თათრების 279 ცალი ეთნოგრაფიული ნივთი. ამავე წლის მონაპოვრიდან უნდა გამოვყოთ თ. სახოკიას მიერ სამეგრელოში მოძიებული 96 ერთეულისგან შემდგარი კოლექცია და გენუის ბუნების ისტორიის მუზეუმიდან გაცვლითი წესით მიღებული 50-მდე ძუძუმწოვრის ფიტული[333]

1909 წელს აღსანიშნავი იყო ა. შელკოვნიკოვის მიერ ელიზავეტპოლის გუბერნიაში, ყარაბახში შეკრებილი 3229 ერთეულისგან შემდგარი ზოოლოგიური და ბოტანიკური კოლექციები, თავრიზიდან და ისპაჰანიდან ქაშანური და დაღესტნური ვერცხლის სამკაულების მიღება.

1910 წლის შემოსულობიდან ყურადღებას იმსახურებდა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც სპარსეთიდან, ზაქათალის ოლქიდან და საქართველოს მთიანეთიდან შეკრიბეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ა. შელკოვნიკოვის მიერ მოპოვებული აღმოსავლური ცივი და ცეცხლმსროლელი საბრძოლო იარაღები, მათ შორის ფატ-ალი მირზას ხმალი, აგრეთვე აქვე წელს შემთხვევით შეძენილი აღმოსავლური კერამიკის ნიმუშები და დამასკური ფოლადის მახვილები და ხანჯლები. საყურადღებო იყო აგრეთვე ნუმიზმატიკის განყოფილების გამდიდრება ოქროს იშვიათი სტატერით მიზიის ქ. ლამპსაკიდან.[334]

მუზეუმისთვის ძვირფასი შენაძენი იყო ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის, სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარის ნიკოლოზ მიხეილის ძის ანდერძით 1913 წელს გადმოცემული ბორჯომში ნაყიდი მარგალიტებით გაწყობილი ოქროს ხატი.[335] აგრეთვე მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელშიც შედიოდა კოლხური ვერცხლის დიდრაქმა, ვერცხლის ტეტრადრაქმა (ძვ. წ. აღ. V ს.), იმპერატორ ვესპასიანეს ოქროსა და სპილენძის

---

[332] Отчет.... за 1907 г., ИКМ, ტ IV, გვ. 20
[333] Отчет.... за 1908 г, ИКМ, ტ V, გვ 11
[334] Отчет.... за 1910 г., ИКМ, ტ VI, გვ 7.
[335] Отчет.... за 1913 г., ИКМ, ტ IX, გვ 19.

მონეტები, აბასიდების ორი ოქროს მონეტა, სელჯუკ ქეიკობ სიეასის სამი ვერცხლის მონეტა (618 წ.), ბიზანტიური ვერცხლის მონეტა (1078 წ.), ბოსფორის მეფის რიმეტალკის ოქროს მონეტა და სხვ.

1904-1913 წლებში მუზეუმში შემოსულ ექსპონატთა საერთო რაოდენობა განყოფილებების მიხედვით ასე იყო: (ცხრილი 11).[336]

წლები	1904	1905	1906	1907	1908	1909	1910	1911	1912	1913
ზოოლ	5523	4616	31464	24195	16170	4847	4506	18157	30309	27514
ბოტან.	256	1213	7169	4067	5055	5988	1985	6653	4966	1497
გეოლ.	261	67	200	419	20	92	13	910	455	1305
ეთნოგ	624	235	278	263	570	193	1143	791	187	1037
არქეო	138	976	1045	492	322	411	238	219	148	838
სულ.	6805	7197	40156	29436	22137	11531	17885	26640	36065	32191

მუზეუმში ბევრი შემთხვევით ნაპოვნი განძეულობაც შემოდიოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია 1910 წლის 26 თებერვლის გაზეთ "Голос Правды"-ის ცნობა სათაურით "ძვირფასი ნაპოვნი": "ამ დღეებში ერთმა მეშახტემ ლენქორანიდან ათი ვერსის დაშორებით სოფელ ბალაბურთან ტყეში შემთხვევით იპოვა მიწაში ჩაფლული დოქი, რომელიც სავსე იყო ოქროს ძველებური მონეტებით. მათი საერთო წონა 30 ფუნტამდე აღწევდა. ამ მონეტების უმრავლესობას ერთ მხარეს გამოსახული ჰქონდა ტახტზე მჯდომი უფალი, მეორეზე კი ღვთისმშობელი ჯვრით ხელში. მონეტის ორივე მხარეზე ამოტეიფრული იყო ბერძნული ასოები. ამ განძის სიახლოვეს გლეხებმა კიდევ ნახეს რამდენიმე ასეთი დოქი ვერცხლის მონეტებით სავსე, რომელთა წონა ორ ფუნტს(818 გრ.) აღემატებოდა"[337]

ასევე შემთხვევით იქნა ნაპოვნი 1914 წელს ერევნის გუბერნიაში სურმალინის მაზრაში სოფელ იგდირთან მიწაში ჩაფლული ყუთი, რომელშიც იყო სამი ბრინჯაოს სამაჯური, შუბის პირები, ვერცხლის მონეტა წარწერით ალექსანდრე, რკინის ფანა, ოთხის ჭერჭილი ეჭვსი მძიგი და სხვა.[338] ელიზავეტოპოლის გუბერნიაში არეშის მაზრის სოფელ გერარხ'ში, თხრილის გაყვანის დროს იპოვნეს განძი, რომელიც

---

[336] ცრილი შედგენილია კავკასიის მუზეუმის წლიური ანგარიშების მიხედვით.

[337] გაზ. "Голос Правды" № 1361, 1910 წლის 26 თებერვალი.

[338] სსმ არქივი, 1914, № 71, გვ. 98

მოიცავდა 88 ვერცხლის მონეტას და დიდძალ ვერცხლის ნივთს.[339] ასეთი ფაქტები უამრავი იყო.

1908-1909 წლებში კავკასიის მუზეუმმა შეიძინა თავის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი უნიკალური და ბრწყინვალე ექსპონატები, რომელსაც მსოფლიო არქეოლოგია იცნობს "ახალგორის განძის" სახელით.

ადრეანტიკური ხანის ეს უძვირფასესი კოლექციი ადგილობრივმა გლეხებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ქსნის ხეობაში, ახალგორის ახლოს, სოფელ საძეგურში ქალის მდიდრულ სამარხში. განძი ხელში ჩაუგდია ჩარჩებს, ოქროთ მოვაჭრეებს და იმ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ ა ნაპოვნიდან ხელის მოთბობას. სასიქადულო მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის, რომელიც იმხანად მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივნად მუშაობდა, ძალისხმევას განძის უდიდესი ნაწილ გადაურჩენია და მისივე ინიციატივით კავკასიის მუზეუმ შეუძენია.

ძვ .წ--აღ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული კოლექციი შედგებოდა მაღალხარისხოვნად დამზადებული ოქროს შემდეგ ნივთებისაგან: სასაფეთქლეები მდიდრულად შეკაზმული ცხენების გამოსახულებით, საყურეები, საკისრე რკალები სარტყელი, ფასკუნჯიანი ბალთები, საკიდები, გომბეშოების გამოსახულებიანი ყელსაბამი, ვერცხლის ჯამები, სურა და სხვა. ძვირფას ნივთთა უმრავლესობა შემკულია გავარსით. მართალია ამ ძვირფას ნივთთა სადაურობა პირველ ხანებში აქემენიდურ ირანს დაუკავშირეს,[340] მაგრამ შემდგომში გაირკვა მათი ადგილობრივი წარმომავლობა.

პირველი მსოფლიო ომის დროსაც არ შეწყვეტილა მუზეუმში ნივთების მიღება და მოძიებითი სამუშაოების ჩატარება თვით ფრონტისპირა რეგიონებშიც. კავკასიის არმიის მთავარსარდალმა 1916 წლის 4 მარტს გამოსცა № 117 ბრძანება "საომარი მოქმედების რაიონში სიძველეებისა და კაცობრიობის მატერიალური კულტურის ძეგლთა ნიმუშების შეგროვების შესახებ", რითაც ნებადართული იყო კავკასიის ფრონტზე მოქმედ არმიაში სამხედრო შტაბის მიერ რეკომენდებული მეცნიერების მიელინება. ომის მსვლელობისას ტრაპიზონის დაკავების შემდეგ აქ მიაელინეს ცნობილი მეცნიერები:

---

[339] სსმ არქივი, 1916, № 87 გვ. 389.

[340] Такайшвили Е., Ксанский или Садзегурский клад, Известия Кавказского отд. Московского археологического общество, IV, ტფ., 1915, გვ .141.

ერმიტაჟის მთავარი მცველი აკად. ი. უსპენსკი, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. შმიდტი და საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მდივანი ს. ფარმაკოვსკი. შეიკრიბა საყურადღებო მასალები, განსაკუთრებით კი ძველი სომხური ხელნაწერები, რომლებიც ქ. ტრაპიზონის კომენდანტის ბრძანებით გადაეგზავნა კავკასიის მუზეუმს.[341]

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში მივლინებული იყვნენ აკადემიკოსები: ნ. მარი, ი. უსპენსკი, კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გაშგე სუმბატ ტერ-ავეტისიანი და ა. შელკოვნიკოვი. ამ უკანასკნელმა ვანის ექსპედიციიდან ექსპონატები რამდენიმე ურმით ჩამოიტანა.

მსოფლიო ომის დროს კავკასიის მუზეუმს ერგო ძვირფასი კოლექცია, აღმოსავლური ხალიჩების, ფარდაგების, ქაშანურის, კერამიკის და სხვა ნატიფი ხელოვნების ნივთების სახით. ისინი ეკუთვნოდნენ სპარსელ სამხედრო მოღვაწეს, ურმიის ყოფილ გუბერნატორს, ყაჯართა საგვარეულოს უკანასკნელ წარმომადგენელს, გენერალ მეჯიდ ოს-სალტანეს, რომელიც იმხანად ცხოვრობდა თბილისში, სემიონოვის ქ. № 4-ში. პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა იგი აიძულეს 1915 წელს დაეტოვებინა თბილისი. მეფისნაცვლის ბრძანებით მისი ქონება გაიყიდა აუქციონზე, კოლექციის ნაწილი--გადაეცა კავკასიის მუზეუმს.[342] მუზეუმის ბიბლიოთეკასაც ერგო 450-მდე იშვიათი წიგნი გენერლის დოვლათიდან.

ამ პერიოდში თუ რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობოდა მოძიებითი სამუშაოების წარმოებას და ნიეთების მუზეუმში მოზიდვას, კარგად ჩანს ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდანაც: 1914 წელს კახეთის რკინიგზის მშენებლობა რამოდენიმე დღით შეჩერდა იმ მიზეზით, რომ სამუშაოთა უბანზე ძველ სამაროვნებს წააწყდნენ. ასეთივე შემთხვევა მოხდა ტუაფსე-სენაკის რკინიგზის მშენებლობაზეც.[343]

1914 წელს შემახიის მაზრაში ბარბაროსულად გაიძარცვა XII საუკუნის ისტორიული ძეგლი—პირ-ხანაგის მავზოლეუმი. დაადგინეს, რომ მძარცველები იყვნენ ყუბელი ლეკები. ამ ამბავმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ კავკასიაში და ამას მოჰყვა მეფისნაცვლის 1914 წლის 17 მაისის № 14223 ცირკულარი, რომლითაც კავკასიის მუზეუმს დაეკალა

---

[341] სსმ არქივი, 1916, № 87, გვ 172.
[342] სსმ არქივი, 1916, № 87, გვ 7.
[343] სსმ არქივი, 1915, № 73 გვ. 296.

ისტორიული ძეგლების დაცვისთვის ზრუნეა. მასვე მიუცია უფლება დაეყენებინა იმ პირთა დასჯის საკითხი, რომლებიც გაძარცვავდნენ ან დააზიანებდნენ ისტორიულ ძეგლს.[344]

1917 წელს მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მუზეუმს ნება დართო 60000 მანეთად შეეძინა დ. ერმაკოვის ცნობილი კოლექცია.

დიმიტრი იუანეს-ძე ერმაკოვს (კამბაიჯიო) (1846-1916 წწ.) გამორჩეული ადგილი ეკავა კავკასიაში მოღვაწე ფოტოგრაფ-დოკუმენტალისტთა შორის. თბილისში დაბადებული, ახალგაზრდობაშივე ეზიარა ფოტოგრაფიულ ხელოვნებას და მალე გახდა ამ საქმის ცნობილი სპეციალისტი. იგი ბევრს მოგზაურობდა კავკასიაში და იღებდა ღირშესანიშნავ ისტორიულ მოვლენებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ სურათებს, ქალაქების ხედებს, არქიტექტურულ შენობებს და სხვა. თბილისში გოლოვინის გამზირზე იგი ყალობდა ფოტო-ატელიეს, სადაც ამზადებდა ნატურალური ზომის ფოტოსურათებს. ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც "ერმაკოვის კოლექციის" სახით არის ცნობილი. იგი შედგება 25 ათასი ფოტონეგატივის, 3 ათასზე მეტ სტერეოსურათისა და 116 ალბომისაგან. 1897 წელს დ. ერმაკოვი გახდა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და ნატიფი ხელოვნების თბილისის საზოგადოების მდივანი. მის ნამუშევრები 26-ჯერ დაჯილდოვდა საერთაშორისო გამოფენების უმაღლესი ჯილდოებით. დ. ერმაკოვის გარდაცვალების შემდეგ მის კოლექციების ნაწილი ექ. თაყაიშვილის ძალისხმევით მოხვდა კავკასიის მუზეუმში, ნაწილი კი 1918 წლის მაისში ივან. ჯავახიშვილის ინიციატივით შეისყიდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. დ. ერმაკოვის ფოტონამუშევრები უძვირფასესი განძია კავკასიის მკვლევარებისთვის.

მუზეუმთან ერთად იზრდებოდა ბიბლიოთეკის საცავიც: 1904 წელს ა.კაზნაკოვმა შეძლო თავის ბიბლიოთეკისთვის მიეერთებინა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თბილისის განყოფილების ბიბლიოთეკა,[345] ამავე წელს გ. რად

1916 წელს კავკასიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამდიდრდა 2726 დასახელების 3570 წიგნით.[347] აქედან 562 დასახელების 753 წიგნი ე. ვეიდენბაუმის ნაჩუქარი იყო. მის გარდა შემოწირულობები გაიღეს: გ. რომანოვმა, ბ. პეტრანოვიჩის ქერიემა, ი. კოსცუშ-სტატკოვმა, ფონ ვეისენგოფმა და სხვებმა.

1916–1918 წლებში ბიბლიოთეკარად მუშაობდა ე. ვეიდენბაუმი, მის თანაშემწეებად კი–მ. ბალუევა და ა. ჰეიდემანოპულინინა.

ამ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა კავკასიის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობების გაფართოების საკითხი. XIX საუკუნის 70–იან წლების შუა ხანებში აგებული ეს შენობები ეელარ აკმაყოფილებდნენ მათზე წაყენებულ მოთხოვნილებებს. საფონდო ოთახები ეელარ იტევდა სამუზეუმო კოლექციებს, ექსპოზიციების გადატვირთვა და ფართის ნაკლებობა უკვე ყოველგვარ ფარგლებს სცილდებოდა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო მუზეუმის შენობის ფასადი, რომელიც მობათქაშებული იყო და ყოველწლიურად საჭიროებდა რემონტს, რაც ძალზე ძვირი ჯდებოდა. მდგომარეობას ამძიმებდა შენობის ფასადის გასწვრივ ნიკოლოზის ქუჩის მთელს სიგრძეზე ტრამვაის მოძრაობა, რომლის ვიბრაცია და ხმაური აშიანებდა შენობას. 1904 წლის აგვისტოში ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან ჩამოიშალა ბათქაშის დიდი ნაწილი, რამაც საფრთხე შეუქმნა მუზეუმის დამოვალიერებლებს.

მუზეუმის შენობა დააზიანა აგრეთვე 1904 წლის 4 აპრილს მომხდარმა ხანძარმა. იგი გამოიწვია დირექტორის საცხოვრებელი ოთახიდან სხვენში გამავალმა გადახურებულმა საკვამურის მილმა, რომელიც თურმე ძალზე ახლოს გადიოდა ხის დირესთან. მართალია ხანძარი მალე ჩააქრეს, მაგრამ სხვენი მნიშვნელოვნად დაზიანდა.[348]

1905 წელს შენობის ფასადიდან ბათქაშის ცვენა გაძლიერდა და კედლებზე ეაჩნდა ბზარი, რომელიც თანდათან იზრდებოდა. მუზეუმის დირექციამ 9 სექტემბერის №681 წერილით მიმართა თბილისის გუბერნატორს და მოითხოვა არქიტექტორისა და სათანადო სპეციალისტების გამოყოფა შენობის მდგომარეობის შესამოწმებლად. 15 სექტემბერს მოწვეულმა ტექნიკურმა კომისიამ შეადგინა აქტი, რითაც დაადასტურა შენობის ავარიული მდგომარეობა და დაადგინა საძირკვლის სისუსტე და

---

[347] სსმ არქივი, 1916, № 87, ფ. 638.

[348] სსმ არქივი, 1904, 40\29, გვ. 106.

მიწისქვეშა წყლების შედეგად ნიადაგის არამდგრადობა. შეიქმნა მუზეუმის შენობის მდგომარეობის შემსწავლელი კომისია მეფისნაცვლის საბჭოს წევრის მ. გაკელის თავჯდომარეობით. 1906 წლის 3 მაისს გამართულ კომისიის სხდომაზე ინჟინერმა ნ. მიხაილოვმა აღნიშნა მუზეუმის შენობის კედლებზე, განსაკუთრებით კი მის ქვედა სართულებზე, ბზარების კატასტროფული ზრდა. ამასთან ერთად, კომისიამ მიუთითა, რომ შენობის მიმდინარე შეკეთებები საქმეს ვერარ უშველიდა და საჭირო იყო ახალი შენობის აგება.[349] ამ აზრს მუზეუმის დირექციამ დაჟინებით დაუჭირა მხარი და მოითხოვა ახალი შენობის ასაგებად ინჟინრის (ახლანდელი ჯორჯაძის) ქუჩის ზედა მხარეზე ალექსანდრეს ბაღთან არსებული მიწის ნაკვეთის გამოყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ შენობის ფასადი გასულიყო ლორის-მელიქოვის (ახლანდელი ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე), მაგრამ კავკასიის ოლქის საინჟინრო სამმართველოს, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ადგილი, სამსახურის უფროსმა გენერალ-მაიორმა ბალბაშევმა უარი განაცხადა მიწის ნაკვეთის დათმობაზე. მიზეზად აქ არქიტექტორ ლ. ბილფელდის მიერ წამოწყებული ქაშვეთის ეკლესიის მშენებლობა დასახელდა.

ასევე შედეგი არ მოყოლია დირექტორ ა.კაზნაკოვის მიერ დაყენებულ საკითხს, მუზეუმისთვის გადაეცათ გოლოვინის გამზირზე მდებარე კადეტთა კორპუსის შენობა.[350]

მუზეუმის მდგომარეობა თანდათანობით მძიმდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შენობის სარემონტო სამუშაოებზე ყოველწლიურად იხარჯებოდა გარკვეული თანხები. 1904 წელს შენობის რემონტზე დაიხარჯა 3743 მან. და 14 კაპ. 1905 წ – 2208 მან. და 19 კაპ, 1906 წ – 2228 მან. და 24 კაპ. 1907 წ – 528 მან. და 24 კ.[351]

კავკასიის მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში კავკასიის მუზეუმის შესახებ აღნიშნავდა: "შენობა, რომელიც ამჟამად მუზეუმს უჭირავს, იმდენად ვიწროა და ხანძრის გაჩენის თვალსაზრისით საშიშია, რომ სრულიად გამოუსადეგარია თავისი დანიშნულებისათვის. შენობის კედლების ჩამონგრევის საფრთხეს აძლიერებს თბილისისათვის დამახასიათებელი ხშირი მიწისძვრები და თუ არ იქნება მუზეუმისადმი დროული

---

[349] სსმ არქივი, 1906, 43/32, გვ. 14.

[350] "Кавказ", 1905, №, 245.

[351] სსმ არქივი, 1909, 47/36, გვ. 138.

დახმარება, შეიძლება შეიქმნეს იმის საშიშროება, რომ უდიდესი და მატერიალურად შეუფასებელი სამეცნიერო ღირებულების მქონე მისი კოლექციები ერთ დღეს დაიმარხოს ნანგრევების ქვეშ, ან გახდეს ხანძრის მსხვერპლი. ამგვარად, მხარის შესწავლისათვის გაწეული ორმოცწლიანი შრომა საბოლოოდ დაიღუპება. ერთადერთ საშუალებად კავკასიის მუზეუმის ბედის გადასაწყვეტად და მხარის კვლევისათვის მუშაობის გასაგრძელებლად რჩება ახალი, უფრო ვრცელი შენობის აგება, რომელიც დაჯდება 300000 მანეთი"[352]

1906 წლის 28 ივნისს მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში, რომელიც მდებარეობდა მუზეუმის ეზოს ჩრდილო-დასავლეთით მოხდა აფეთქება, იგი გამოიწვია სტამბაში დაცული ადვილად აალებადი და ასაფეთქებელი მასალების შენახვის წესების უგულველყოფამ. აფეთქებამ გამოიწვია ხანძარი, რომელიც გადავიდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობებზეც.[353] ხანძარმა მნიშვნელოვნად დააზიანა ხსენებული შენობების ხის ნაწილები. მუზეუმის შენობის ავარიულობა იმდენად საშიში გახდა, რომ იგი 1908 წლის 16 დეკემბერს მეფისნაცვლის ბრძანებით დაიკეტა.[354]

1909 წლის 19 იანვარს საღამოს 7 საათზე მუზეუმში ისევ გაჩნდა ხანძარი. ამჯერად ხანძარი შენობის მშენებლობისას საკვამურებისა და ჭერის დირეების არასწორმა გაყვანილობამ გამოიწვია. არქეოლოგიური დარბაზის ჭერის დათვალიერებისას, სადაც გაჩნდა ხანძარი გაირკვა, რომ ჭერის დირე ჩამაგრებული იყო პირდაპირ საკვამულში. როდესაც მთელი ჭერი შეამოწმეს დადგინდა, რომ ექვსი საკვამურიდან მხოლოდ ერთში არ გადიოდა დირე, აქედან გამომდინარე კომისია გაკვირვებას გამოთქვამდა "ამ გარემოებათა გამო მუზეუმი აქამდე როგორ არ დაიწვა"

1909 წლის დასაწყისში კომისიის წევრებმა ინჟინრებმა გეუინოვმა და მიხაილოვმა 26 იანვრის აქტით კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ის ფაქტი, რომ მუზეუმის შენობის კედელი, განსაკუთრებით "ლორის-მელიქოვის ქუჩიდან გაბზარული და გადახრილი იყო."[355]

---

[352] Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова, ტფ.1907, გვ 121.

[353] სსმ არქივი, 1906, 43/32, გვ. 21.

[354] სსმ არქივი, 1909, 47/36, გვ. 340.

[355] სსმ არქივი, 1909, 47/36, გვ. 33.

მუზეუმის შენობისთვის ახალი მიწის ნაკვეთის გამოყოფის სირთთულემ მუზეუმის დირექციასა და ხელისუფლებას მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ დაეშალათ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ძველი ავარიული შენობები და მათ ადგილას აეგოთ ახალი.

მუზეუმისთვის ახალი შენობის აგების გადაწყვეტილებას განსაკუთრებით უჭერდა მხარს მუზეუმის დირექცია და მოითხოვდა, რომ მუზეუმის ახალი შენობა აგებულიყო გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ თორმეტსაჟენიან (24 მეტრიან) ზოლში. ეკონომიურობასთან ერთად, ამას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ უფრო იოლად მოხერხდებოდა სამუზეუმო ექსპონატების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში და მათი დაცვა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ამისათვის გამოყოფილი იქნებოდა ქალთა გიმნაზიის შენობის ნაწილიც.

კავკასიის მეფისნაცვლის წარდგინებით იმპერიის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უფლება მიეცა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს სენატორ ნიკოლსკის სახელმწიფო სათათბიროში დასამტკიცებლად შეეტანა წინადადება კავკასიის მუზეუმის შენობის აგების დაწვრილებითი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შემუშავების შესახებ. აღნიშნული შენობის ასაგებად ნებართვისა და 390,220 მანეთის გამოყოფის შემდეგ, მშენებლობის დამთავრებას ვარაუდობდნენ 1912-1913 წლებში. ამავე დადგენილებით, დამტკიცებული გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უნდა წარედგინათ მეფისნაცვლისთვის, ხოლო მშენებლობის მეთვალყურეობა უნდა დაკისრებოდა საგანგებო სამშენებლო კომისიას. ეს დადგენილება იმპერატორმა დაამტკიცა 1910 წლის 18 ივლისს.

მუზეუმის დახურვის, შემდეგ 1909 წლიდან დაიწყო მუზეუმის შენობის ავარიული კედლების დაშლა, რისთვისაც გამოიყო 1500 მანეთი. კედლების დაშლისას გამოჩენდა, რომ თავის დროზე შენობა აგებული ყოფილა ძალზე უხარისხოდ. თბილისის გუბერნატორის მიერ გამოყოფილმა კომისიამ 1909 წლის 14 მარტს ჩაატარა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შენობის დათვალიერება და აღნიშნა, რომ შენობის კედელი ლორის-მელიქოვისა და ნიკოლოზის ქუჩის მხრიდან, რომელიც ავარიულობის გამო პირველ რიგში დაშალეს, აგებული იყო უხარისხოდ, კედლის შუა ნაწილში ჩატანებული იყო ქვისა და აგურის ნამსხვრევები. აგურების წყობა უმრავლეს შემთხვევაში შესრულებული იყო ცემენტის ხსნარის გარეშე, ხოლო იქ, სადაც ხსნარი გამოიყენეს, ექსპერტიზის შედეგად დადგინდა,

რომ მის შემადგენლობაში ცემენტი ძალზე ცოტა იყო. ამიტომ ხსნარი ადვილად იფშვნებოდა და აგურები ერთმანეთს შორდებოდა. დადგინდა აგრეთვე გამოყენებული კირის უხარისხობა. გარდა ამისა, როგორც ჩანს ქვიშის ნაცვლად გამოყენებული ყოფილა შლამი და თიხის ნარეკი, დარღვეული იყო აგრეთვე შემაერთებლების გადაბმის ნორმები და სხვა.[356] მუზეუმის ძველი შენობის დაშლა მიმდინარეობდა მთელი 1909 წლის განმავლობაში.

1910 წლის 18 ივლისს უმაღლესი ბრძანებულების თანახმად კავკასიის მუზეუმის ახალი შენობის ასაგებად შეიქმნა საგანგებო სამშენებლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა მეფისნაცვლის საბჭოს წევრი მ. გაკელი. ხოლო წევრებად: ეიდენბაუმი, ჯუნკოვსკი, რუდოლფი, ბუინოვი, კაზნაკოვი, შმიდტი, დომერშიკოვი, და არქიტექტორი კ. ტატიშჩევი. აგრეთვე თბილისის ქალაქის თავი, თბილისის კონტროლის პალატის მმართველი. კომისიას უფლება ჰქონდა თავის რიგებში მიეწვია ნებისმიერი პირი.[357] კომისიის სხდომები ტარდებოდა მეფისნაცვლის საბჭოს სხდომათა დარბაზში.

კომისია თავის მოქმედებებში ძირითადად ეყრდნობოდა მის მიერვე შექმნილ საგანგებო ტექნიკურ სათათბიროს გადაწყვეტილებებს.

მუზეუმის შენობისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტის შესამუშავებლად უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი. მაგრამ დროის სიმცირის გამო მისი შედგენა დაავალეს არქიტექტორ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ტატიშჩევს. პროექტზე მუშაობა დამთავრდა 1910 წლის ბოლოს და მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის დამტკიცების შემდეგ, სენატორმა ნიკოლსკიმ იგი შეიტანა ზემდგომ ორგანოებში დასამტკიცებლად.

1911 წლის 29 მარტს უზენაესი ბრძანებულებით დამტკიცდა საგანგებო სამშენებლო კომისიის მიერ შემუშავებული კანონი კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალი შენობის აგების შესახებ, რომელიც მოიწონა სახელმწიფომ საბჭომ და სახელმწიფო სათათბირომ. მშენებლობისათვის სულ უნდა გამოყოფილიყო 386922 მან. და 80 კაპ; აქედან 272819 მან. და 14 კაპ. კრედიტით სახელმწიფო

---

[356] სსმ არქივი, 1909, 47/36, გვ. 89.

[357] სსმ არქივი, 1911, 49/38, გვ. 159.

ხაზინიდან, ხოლო–114103 მან. და 66 კაპ. საერო საშუალებებიდან[358].

არქიტექტორ კ. ტატიშჩევის პროექტით მუზეუმის შენობა უნდა აგებულიყო მეფისნაცვლის სასახლის პირდაპირ გოლოვინის გამზირის გაყოლებაზე, ეიწრო ზოლში ნიკოლოზისა და ბარონის ქუჩებს შორის, რომლის სიგანე 12 საჟენს (24 მეტრს), ხოლო სიგრძე 50 საჟენს (100 მეტრს) უდრიდა. შენობის აგება ნაკარაუდევი იყო იმ დროს რუსეთის იმპერიის არქიტექტურაში გაბატონებული ეკლექტიზმის სტილში. 1910 წლის 12 ნოემბერს კ. ტატიშჩევის მიერ წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა სახელმწიფო საბჭომ.

1911 წლის 29 მარტს მშენებლობისთვის სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა 1912–1913 წლების ანგარიშზე ზემოთ აღნიშნული თანხა და სამუშაოებიც დაიწყო.[359]

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება დაეთმო ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მუზეუმის კოლექციებისა და ბიბლიოთეკის წიგნების დასაბინავებლად საჭირო ადგილის გამოყოფას. ამისთვის აუცილებელი გახდა ნიკოლოზისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, ქალთა გიმნაზიის ძველი ფლიგელის მონგრევა და მის ნაცვლად ახალი სამსართულიანი ფლიგელის მიშენება. რამაც გამოიწვია მუზეუმის უკანა ფრთის შენობის დანგრევა და იქ არსებული კოლექციების გადატანა შენობის შუა ნაწილში. ახალი სამსართულიანი ფლიგელის აშენების შემდეგ, მისი ქვეშა ორი სართული დაეთმობოდა მუზეუმის ექსპონატებს. გარდა ამისა, მუზეუმის ეზოში სპეციალურად უნდა აშენებულიყო დროებითი ორსართულიანი საწყობი, სადაც შეინახებოდა ბიბლიოთეკის წიგნები და კარადები. ამ შენობებში მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მთელი ქონების გადატანის შემდეგ, უნდა დაწყებულიყო ძველი შენობის დაშლა და ახლი ნაგებობის მშენებლობა.

მუზეუმის უკანა ფრთის შენობის დაშლა დაიწყეს 1911 წლის 12 სექტემბერს. იმავე წელს შეუდგნენ ბიბლიოთეკისთვის საწყობის მშენებლობას მუზეუმის ეზოში.

მშენებლობაში ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა 1912 წელი. ამავე წლის აგვისტოში დამთავრდა ქალთა გიმნაზიის შენობაზე სამსართულიანი, კაპიტალური ფლიგელის მიშენება და დაიწყო იქ მუზეუმის ექსპონატებისა და ბიბლიოთეკის წიგნების გადატანა.

---

[358] სსმ არქივი, 1914, №71, გვ. 278.

[359] Отчет..... за 1911 г. И К М, ტ. VII. გვ. 29.

1912 წლის სექტემბერში მუზეუმის მშენებელი არქიტექტორი კ. ტატიშჩევი საგანგებო სამშენებლო კომისიასთან უთანხმოების გამო გადადგა თანამდებობიდან და იგი შეცვალა არქიტექტორმა ა. როგოისკიმ. მაგრამ იმავე წლის ნოემბერში იგი გარდაიცვალა და მის შემცველელად სამშენებლო კომისიამ აირჩია მიხეილ ნიკოლოზის ძე ნეპრინცევი[360] მთელი 1912 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუზეუმის ძველი შენობის დაშლა, რომელიც 1913 წლის იანვარში დასრულდა. ამავე წელს დაიწყო მიწის და საძირკველის სამუშაოები. სამშენებლო კომისიამ ჩაატარა 54 სხდომა.[361]

პირველი, რაც დაევალა ახალ არქიტექტორს იყო შენობის ცენტრალური ფასადის გადაკეთება, რომელიც ოპერის თეატრს უფრო შეესაბამებოდა. მ. ნეპრინცევს შეთავაზეს ფასადის აღმოსავლურ სტილში შესრულება ასეთი არქიტექტურა იმ დროს საშხრეთ და აღმოსავლეთ რუსეთის იმპერიის ნაციონალური სტილის ოფიციალურ გამოხატულებას წარმოადგენდა. აღმოსავლური, ე. წ. "გაუმჯობესებული არაბული სტილის" ინტერიერები უცხო არ იყო XIX საუკუნის თბილისისათვის. ქალაქურ არქიტექტურაში ხშირად გამოიყენებოდა გვიანი ხანის ირანული ფორმები.

პროექტი 1913 წლისთვის უკვე მზად იყო და იგი დამტკიცდა, როგორც შესასრულებელი სამუშაოების პირველ ვარიანტად.

არქიტექტორ ნეპრინცევის პროექტით, სპარსული ხუროთმოძღვრული სტილის შენობის მთავარი ფასადი გაყოფილი იყო სამ რიზალიტად, ისრის ფორმის სამი პორტალური თაღით. ცენტრალურ პორტალს ორივე მხრიდან აგვირგვინებდა მრგვალი მინარეთი. შენობა უფრო საკულტო ნაგებობას მოგვაგონებდა, ვიდრე მუზეუმს.[362]

გარეგნით, მუზეუმის შენობასთან ერთად, ეზოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა აშენებულიყო ბიბლიოთეკის შენობაც—დიდი სამკითხველო, სააქტო დარბაზითა და მრავალსართულიანი წიგნსაცავით. მას უნდა ჰქონოდა დამოუკიდებელი შესასვლელი ბარონის (ახლანდელი ფურცელაძის) ქუჩიდან. ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში უნდა დამონტაჟებულიყო ფოლადის სტელაჟები მოძრავი თაროებით.

---

[360] Отчет..... за 1912 г. И К М, .ტ VIII გვ. 24.

[361] Отчет..... за 1913 г. И К М, ტ. IX გვ. 32..

[362] ჭაში ნ., სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.- გვ. 15.

რკინის მთელი სამუშაოების შეკვეთა გაფორმდა ფირმა "არტურ კოპელთან",[363] ეს საკითხი განიხილა სახელმწიფო სათათბირომ. რკინის თაროების დასამონტაჟებლად მოიწვიეს თბილისში ცნობილი ოსტატი ზეინკალი ლ. ბრამერი.

რადგან, მუზეუმის ძველი შენობის კედლების სიგანე ერთ არშინამდე (71 სმ.) აღწევდა და ზოგან გამოიყენებოდა მაღალი ხარისხის ქართული აგური, გადაწყდა, რომ სარდაფისა და ახალი შენობის საკვანძო ადგილების მშენებლობისას ეხმარათ ეს აგურები.

სამშენებლო პირობები, როგორც მიწის გრუნტის სტრუქტურის, ისე ტოპოგრაფიის თვალსაზრისით რთული იყო. ნიკოლოზის ქუჩის ხუთსართულიანი შენობის ქვეშ აღმოჩნდა 5 მეტრის სიღრმის ხევი, რომელიც ნაგავით ყოფილა ამოვსებული. ამ ადგილას საძირკველისა და 22 მეტრის სიმაღლის კედლის მშენებლობამ კომისიის წევრებს შორის დიდი დისკუსია გამოიწვია. გრუნტის დამატებით შესწავლას რამოდენიმე თვე მოუნდა. ბოლოს, საძირკველის ყველა რთულ კონსტრუქციაზე უარი თქვეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რითაც გრუნტის წინააღმდეგობის შესამცირებლად მთელი შენობა უნდა აგებულიყო ლენტურ ფუნდამენტზე, რომლის საფუძველს გაამაგრებდნენ დაწნეხილი ღორღით. პროექტით კედლები უნდა აშენებულიყო აგურითა და რკინაბეტონის კონსტრუქციებით, სართულებს შუა და სხვენის გადახურვა კი – ნეკნიანი რკინაბეტონით. დიდი დარბაზების ჭერი დაეყრდნობოდა რკინაბეტონის სვეტებს, რომელთა შუაგულში ჩატანებული იქნებოდა სავენტილაციო არხები. კონკრეტულად ამ გადაწყვეტილებაში ცვლილებები არ შეუტანიათ მშენებლობის დამთავრებამდე. ახალი შენობის აგებას შეუდგნენ 1913 წლის გაზაფხულზე. წლის ბოლომდე მოხერხდა საძირკვლისა და სარდაფის კედლების ამოყვანა გოლოვინის გამზირის დონემდე.

გაზაფხულის დასაწყისში შეღება მუზეუმის შენობის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი. ამისათვის წინასწარ დამზადდა ორი ცალი ბაზალტის ფილა. ერთში გაკეთდა ღრმული, სადაც მოთავსდა ბრინჯაოს დაფა, რომელზეც ამოტვიფრული იყო შენობის საძირკვლის ჩაყრის თარიღი და მშენებელთა გვარები.[364] მეორე ფილა პირველს დაახურეს

---

[363] სსმ · არქივი, 1914, №71, გვ. 263.

[364] М. П. Непринцев, Воспоминания автора проекта и строителя здания «Кавказского Музея» в г. Тбилиси, კრებულში სსმ მოამბე XXX–ბ, თბ., 1974, გვ. 201.

ცემენტის ხსნარით შელესეს და მუზეუმის ცენტრალური შესასვლელის ქვეშ მოათავსეს, თან ტრადიციის მიხედვით ოქროს მონეტები ჩააყარეს. ამის შემდეგ აგურის რამდენიმე წყობით ამოაშენეს კედელი პირველი სართულის იატაკამდე.

საძირკვლის ოფიციალური გახსნა დამთავრდა დიდი ეახშამით, რომელზეც მიწვეული იყვნენ მშენებლები და საპატიო სტუმრები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშენებლო კომისიამ არქიტექტორი მ. ნეპრინცევი რამოდენიმე თვით მიავლინა პარიზში მშენებლობის მოწინავე მეთოდების გასაცნობად.

1914 წლის გაზაფხულისათვის მუზეუმის შენობის კედლები თითქმის ამოყვანილი იყო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ მშენებლობა შეაფერხა. განსაკუთრებით გაჭირდა ცემენტისა და რკინის არმატურის შოვნა. მშენებლობას შეჩერება ემუქრებოდა. მაგრამ კავკასიის ფრონტს 1914 წლის ნოემბერში დასათვალიერებლად ეწვია მთავრობის თავჯდომარე, ყოფილი თბილისელი ს. ვიტე. მისი განკარგულების შემდეგ, მოხერხდა ამ დეფიციტური მასალების შოვნა და მშენებლობაც 1915 წლის თებერვლიდან განახლდა.

რკინაბეტონის საძუშაოების შესრულების შემდეგ, წლის ბოლოსათვის შენობის ჩონჩხი თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ დაფინანსება ჯერ შემცირდა ხოლო 1917 წლის დასაწყისიდან საერთოდ შეწყდა. ამის გამო მშენებლობა შეჩერდა და დაკონსერვდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ გარკვეულად იმოქმედა მუზეუმის პირად შემადგენლობაზეც. გართულდა მათი მატერიალური მდგომარეობა. ისინი, როგორც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი დაწესებულების თანამშრომლები ითხოვდნენ შეღავათებს და დახმარებებს, ზოგი კი მოითხოვდა მოქმედ არმიაში მოხალისედ წასვლას. ამ ვნრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუზეუმის დირექტორის ა. კაზნაკოვის და ნ. ტიხონოვის თავგამოდება. ა. კაზნაკოვი ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იგი გაამწესეს კიევის სამხედრო ოლქში. მძიმედ დაიჭრა 1914 წლის 23 ნოემბერს და მოხვდა ქ. ლვოვის დედოფალ მარია თეოდოროვნას სახელობის ჰოსპიტალში.[365] გამოჯანსაღების შემდეგ იგი დაუბრუნდა თავის სამსახურს. ეთნოგრაფიის ნყოფილების გამგე, აკად. ნ. მარის მოწაფე, ნ. ტიხონოვიც მოხალისედ ჩაირიცხა ყუბანელ კაზაკთა პლასტუნის

---

[365] სსმ არქივი, 1914, №71 გვ 644.

ბატალიონში, იბრძოდა გალიციაში, მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა 1915 წლის 15 მაისს.[366] დაკრძალულია ქ. კრაკოვეცის გარეუბანში.

მუზეუმის დირექტორის ა. კაზნაკოვის ფრონტზე გამგზავრების შემდეგ მისი მოვალეობის შესრულება 1914 წლის აგვისტოდან დაეკისრა მუზეუმის მთავარ მცველს იური ნიკოლოზის ძე ეორონოვს. იგი ბოტანიკის განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებდა და ბოტანიკური მასალების მოძიების მიზნით აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში. ამ პერიოდისათვის მუზეუმის განყოფილების გამგეთა შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: არქეოლოგიის განყოფილების — ს. ტერ-ავეტისიანი, ენტომოლოგიური განყოფილების — ფ. ზაიცევი, ზოოლოგიის განყოფილების — ნ. სმირნოვი, ბოტანიკის განყოფილების — ი. ეორონოვი, ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ ომში დაღუპულ ნ. ტიხონოვის ნაცვლად მოწვეულ იქნა გ. ჩურსინი.

1915 წელს მუზეუმის თანამშრომელთა შორის უკვე პირველად ვხვდებით ორ ქართველს: ნოე მანუჩარის-ძე ყიფიანს, რომელიც 1915 წლის 3 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიის კრებამ აირჩია გეოლოგიის განყოფილების გამგედ და დავით გაჩეჩილაძეს, ყაზანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელიც მუზეუმში მიიწვიეს ეთნოგრაფიული ნივთების შესაკროებლად.[367]

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ტაქსიდერმიულ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ევ. პუიცენმაიერი, პრეპარატორად მუშაობდა კარლ კრელი. გარდა ამისა, მუზეუმის პრეპარატორებად, თავისუფალი დაქირავების წესით მიიწვიეს ენტომოლოგიურ განყოფილებაში ე. რიმანსონი, ბოტანიკის განყოფილებაში — მ. მირზოევა, ზოოლოგიურ განყოფილებაში — ა. გონუსი, ეთნოგრაფიულ განყოფილებაში უფროს მცველად მიიღეს ბარონესა ი. ფონ დრახენფელსი, მხატვრად — ნ. კელჩევსკი, საქმის მწარმოებლად ვლ. კოშენეცი, ხოლო ბიბლიოთეკარის თანაშემწედ მ. ბალუევა.[368]

პირველი მსოფლიო ომის წლები კავკასიის მუზეუმისათვის მეტად ძნელი პერიოდი იყო. თუნდაც ის მაგალითი რად ღირს, რომ ამ პერიოდში დაწესებულებას, რომელიც თვითონ

---

[366] Отчет..... за 1913 г, ИКМ, ტ. IX, გვ. 162.
[367] სსმ არქივი, 1914, № 71, გვ. 292.
[368] სსმ არქივი, 1915, № 73 გვ. 412.

განიცდიდა დიდ სიძიწროვეს და ამიტომაც აწარმოებდა მშენებლობას, სარდაფებში შეუსახლეს ჯარისკაცები.[369] ქალთა გიმნაზიის შენობის ნაწილში კი გამართეს სამხედრო ჰოსპიტალი.

მუზეუმის ექსპონატები და წიგნები წლების მანძილზე ყუთებში იყო ჩალაგებული და უკეთესი თავშესაფრის ძებნაში ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰქონდათ. მაგალითად გეოლოგიის განყოფილების ექსპონატებით სავსე 52 ყუთი ჯერ კერძო შენობაში გადაიტანეს, მაგრამ მალე უკანვე დააბრუნეს. ამ გატანა-გადმოტანაში ბევრი ნივთი ისე დაზიანდა, რომ "მათი აღდგენა ყოველთვის შესაძლებელი აღარ იყო."[370] ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა 300-ზე მეტ ყუთში ჩალაგებული ბიბლიოთეკის წიგნები.

პირველი მსოფლიო ომის დროს საომარი მოქმედებების გაფართოებისა და ფრონტის ხაზის მოახლოებასთან ერთად, ოსმალეთის ჯარების თბილისში შემოჭრისა და სამუზეუმო ნივთებზე საშიშროების აცილების საბაბით, სერიოზულად იხილებოდა საქართველოს მუზეუმებიდან ექსპონატების რუსეთში გახიზვნის საკითხი. მართალია მასიურად ეს არ განხორციელებულა, მაგრამ ბევრი სამუზეუმო ნივთი, განსაკუთრებით სამხედრო-ისტორიული მუზეუმიდან, ევაკუირებული იქნა ჩრდილოეთ კავკასიაში. ნივთების უმრავლესობას ქალაქ ეკატერინოდარში (ახლანდელი კრასნოდარი) მოუყარეს თავი.

1917 წლის ბოლოს მუზეუმის შენობის კონსტრუქციის სამუშაოები მხოლოდ "შაქად" იყო ღამთავრებული. მაგრამ ბოლოვინის გამზირზე, ნიკოლოზისა და ბარონის ქუჩებს შორის ძველი დიდხანს იდგა დაუმთავრებელი ვებერთელა შენობის ჩონჩხი.

* * *

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომი რუსეთში 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებში გაღაიზარდა, რასაც მოჰყვა მეფის რუსეთის იმპერიის დაშლა და განაპირა მხარეებში დამოუკიდებელი, ნაციონალური მმართველობის აღდგენა

---

[369] სსმ არქივი, 1914 №71 გვ. 673.

[370] საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, თბ., 1927, გ. 274.

ძველი სამყაროს ნგრევასთან ერთად, მთავრდება კავკასიის მუზეუმის ისტორია და იწყება ახალი ეტაპი საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში.

ამრიგად, კავკასიის მუზეუმის ისტორია მნიშვნელოვან მონაკვეთად გათვალისწინებით შეიძლება 4 ეტაპად დავყოთ:

I ეტაპი (1864–1870 წწ) მოიცავს მისი დაარსებიდან პირველი სტაციონალური გამოფენის მოწყობამდე. კავკასიის კოლონიზაციის პროცესში ამ მხარის მეცნიერული შესწავლის საჭიროებამ, მეფის მთავრობას XIX საუკუნის 60–იან წლებში გადააადგმევინა ნაბიჯი რეგიონში სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულების შესაქმნელად. ამ მიზნის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი იმ სამუზეუმო ტრადიციებმა, რომელიც ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა თბილისში და ახალგაზრდა, საზღვარგარეთელი მეცნიერის გ. რადეს ენთუზიაზმმა. ხელისუფლებისა და იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოების ძალისხმევით, მოხერხდა კავკასიის მუზეუმის ჩამოყალიბება, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების გაუქმებული მუზეუმის ფონდებში თავმოყრილმა მრალრიცხოვანმა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული პროფილის ექსპონატებმა.

კავკასიის მუზეუმმა თავიდანვე ფართოდ გაშალა სამეცნიერო და მოძიებითი მუშაობა. მისი ფონდების დაკომპლექტებაში დიდი წვლილი შეიტანა სხვადასხვა საზოგადოებებისა და კერძო პირებისაგან შემოწირულმა ნიეთებმა.

კავკასიის მუზეუმმა დაარსებიდან სულ მოკლე ხანში მოახერხა დაქირავებული სახლის სამ დარბაზში გაეხსნა დროებითი გამოფენა და გოლოვინის გამზირისა და ნიკოლოზის ქუჩის კუთხეში დაეწყო ერთსართულიანი, საკუთარი შენობის მშენებლობა. ამავე პერიოდში მოხდა კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბილიოთეკის ერთ დაწესებულებად გაერთიანება.

სწორად წარმართულმა სამეცნიერო და შემგროვებლობითმა სამუშაოებმა კავკასიის მუზეუმის მცირერიცხოვან კოლექტივს საშუალება მისცა 1870 წელს საკუთარ შენობაში გაეხსნა თავისი პირველი სტაციონალური გამოფენა.

II ეტაპი (1871–1881 წწ) ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა კავკასიის მუზეუმისათვის.

კავკასიის კოლონიზაციის გაძლიერებასთან ერთად, ხელისუფლება სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა კავკასიის მუზეუმისადმი. 1871 წელს დამტკიცდა მუზეუმის

ახალი ხარჯთაღრიცხვა და შტატები, რამაც კიდევ უფრო გააცხოველა მუზეუმის სამეცნიერო, საფონდო და საექსპოზიციო სამუშაოები.

მუზეუმის ახალი სტაციონალური ექსპოზიცია დიდი მოწონებით სარგებლობდა თბილისის საზოგადოებაში. მას სტუმრობდნენ იმპერიის პირველი პირები. მუზეუმმა გაზარდა თავისი მუშაობის მასშტაბები. მან საზღვარგარეთ გამოფენების მოწყობაშიც მიიღო მონაწილეობა.

მუზეუმის სამეცნიერო სამუშაოებში ებმებოდნენ მსოფლიოს თვალსაჩინო მეცნიერები. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ექსპონატთა განსაზღვრასა და მეცნიერულ დამუშავებაში.

გაფართოვდა აგრეთვე მოძიებით–შემგროვებლობითი სამუშაოები. მუზეუმის თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები კავკასიის თითქმის ყველა რეგიონში აწყობდნენ ექსპედიციებს და იქ მოძიებული ნივთებით ამდიდრებდნენ მუზეუმის ფონდებს. გარდა ამისა, მუზეუმის ფონდების შევსება ყოველწლიურად ხდებოდა ახალი ექსპონატების შესყიდვითა და შემოწირულობებით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები.

მუზეუმისადმი ხელისუფლებისა და საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის გამოხატულება იყო ის, რომ 80–იან წლებში დაიწყო მუზეუმის შენობის გაფართოება. ერთსართულიან შენობას დაეშენა მეორე სართული, რითაც დიდად გაიზარდა საგამოფენო ფართი.

ყოველივე ამან, შესაძლებლობა მისცა მუზეუმს ახალი გამოფენებით ღირსეულად შეხვედროდა თბილისის V საერთაშორისო არქეოლოგიურ კონგრესს.

III ეტაპი (1882–1903 წწ) კავკასიის მუზეუმის ისტორიაში ემთხვევა მნიშვნელოვან ცვლილებებს კავკასიის მხარის მმართველობაში. რასაც მოჰყვა ადმინისტრაციული მეურვეობისა და ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერების მკაცრი კურსი. მნიშვნელოვანი დაწესებულებები უშუალოდ ცენტრალურ უწყებებს დაექვემდებარნენ.

კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა ახალ უწყებაში გადავიდნენ. 1884 წლის მაისში იმპერატორის მიერ დამტკიცებული მუზეუმის ახალი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ისინი იმპერიის განათლების სამინისტროს დაექვემდებარნენ, ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდნენ.

ამ პერიოდში კავკასიის მუზეუმის ფონდები და საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავები სწრაფად მდიდრდებოდა ექსპონატებითა და წიგნებით. უდიდესი ყურადღება დაუთმო მუზეუმმა საკუთარი სამეცნიერო ბეჭედითი პროდუქციის გამოცემას.

კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა თანდათანობით იქცეოდა თბილისის საზოგადოების თავშეყრის და დასვენების სასურველ ადგილად. კავკასიაში ჩამოსული საპატიო სტუმრები პირველ რიგში აქ მოჰყავდათ. იგი იქცა მთელი კავკასიის მასშტაბით მსხვილ, მრავალპროფილიან სამეცნიერო– საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელთანაც თანამშრომლობდა ბევრი სახელოვანი მეცნიერი. მაგრამ სრულიად იგნორირებული იყო ნაციონალური კადრები. კავკასიის მუზეუმის მთელი ისტორიის მანძილზე აქ არც ერთ ქართველს არ უმუშავია. ეს ალბ შედიოდა ხელისუფლების იმპერიული პოლიტიკის მიზნებში.

IV ეტაპი (1904—1919წწ) კავკასიის მუზეუმისათვის ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი გამოდგა. იგი ემთხვეოა იმპერატორ ნიკოლოზ II მიერ დამტკიცებულ კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის დებულების მიღებას. ამ პერიოდში მუზეუმის მოძველებულმა, ავარიულმა შენობამ აიძულა ხელისუფლება დაეწყო ახლის მშენებლობა, რაც ძალზე გაჭიანურდა. მაზე განსაკუთრებით მძიმე შედეგები იქონია I მსოფლიო ომის დაწყებამ და მასთან დაკავშირებულმა სამეურნეო სიძნელეებმა. კავკასიის მუზეუმმა თავისი გამოფენები დახურა და მხოლოდ მოძიებით სამუშაოებს აწარმოებდა.

რევოლუციური მოძრაობებისა და საყოველთაო ანარქიის პირობებში ხელისუფლების ყურადღება კავკასიის მუზეუმისადმი შესუსტდა. მხოლოდ საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, გაჩნდა პირობები კავკასიის მუზეუმის ღიდი პოტენციალის გამოყენებისა და მისი ქართველი ერის კულტურის სამსახურში ჩაყენებისა.

ამრიგად, დიდია კავკასიის მუზეუმის როლი საქართველოში სამუზეუმო საქმის მაღალ პროფესიონალურ დონეზე აყვანის საქმეში. მან შეამზადა პირობები ეროვნული სამუზეუმო დაწესებულების ჩამოსაყალიბებლად. კავკასიის მუზეუმმა თავისი არსებობის მანძილზე უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ამ მხარის მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშების მოძიება-შეგროვებაში და შემდგომ თაობაზე გადაცემაში, რეგიონის ბუნების, ფლორისა და ფაუნის



იმპერატორი ნიკოლოზ II სამხედრო-დიდების მუზეუმში 1914წ.

სამხედრო-დიდების მუზეუმის გამოფენის გახსნა



კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზი

კავკასიის მუზეუმის ეზო

შესწავლაში, იგი დიდად უწყობდა ხელს კავკასიაში მეცნიერების ახალი დარგების—(განსაკუთრებით საბუნებისმეტყველოს), შექმნას და განვითარებას.

ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მეფის რუსეთის მიერ დაარსებული ყველა დაწესებულება, ისიც უპირველეს ყოვლისა მეტროპოლიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა და მისი იმპერიული ზრახვების მყარი დასაყრდენი იყო კავკასიაში.

ამიტომ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, კავკასიის მუზეუმის ბაზაზე ეროვნული დაწესებულების შექმნის ამოცანა დადგა.

თავი III

ეროვნულ სამუზეუმო დაწესებულებათა ჩამოყალიბება.

§ 6. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი.

საქართველოს ისტორიული კუთხეების ერთ სახელმწიფო საზღვრებში თავმოყრამ და სამეურნეო დაკავშირებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ქართველი ერის კონსოლიდაციას, კულტურის ერთობის განმტკიცებასა და ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს XIX საუკუნის 80-იან წლებში ცარიზმის რეაქციული ძალების მხრიდან დაპირისპირება მოჰყვა, რაც გამოიხატა ყოველგვარი "ქართულის" და მისი საფუძვლის--ენის, რწმენის, განათლებისა და კულტურის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში.

ქართველმა საზოგადოებამ თვითმპყრობელობის შემოტევას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღით უპასუხა. ამ მოძრაობის მთავარ მიზნად ხალხის გამოღვიძება, მათი თვითშეგნების, განათლებისა და კულტურის ამაღლება იქნა დასახული. ამ პერიოდში ქვეყნის ეროვნული ძალები აარსებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საზოგადოებებსა და დაწესებულებებს, რომლებიც დაპირისპირებულ რეაქციული ძალების წინააღმდეგ აფართოებდნენ ბრძოლის ასპარეზს და თავიანთი საქმიანობით აფხიზლებდნენ ხალხს, შეჰქონდათ მათში განათლება, კულტურა და უღვივებდნენ პატრიოტულ გრძნობებს. ყოველივე ეს აჩქარებდა ერის სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაციის პროცესს.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის თვითმოქმედების წარმმართველ ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციად XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მასთან არის დაკავშირებული ახალი ტიპის, ეროვნული მუზეუმის ჩამოყალიბება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კავკასიის მუზეუმში ძირითადად დასაქმებული იყო რუსი და საზღვარგარეთელი სპეციალისტები ხოლო ქართველი საზოგადოებისათვის გაძნელებული იყო

დაწესებულებასთან თანამშრომლობა. კავკასიის მუზეუმი ერთგვარად გარიყული აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისგან. ეს უკანასკნელი ვერ პოულობდა მასში თავისი ინტერესების გამოხატულებას. აქედან გამომდინარე XIX საუკუნის 70–იან წლების შუა ხანებში ქართველი ინტელიგენციის წინაშე დაისვა საკითხი ეროვნული სამუზეუმო დაწესებულების შექმნის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით მიაქცევდა ყურადღებას ეროვნული მნიშვნელობის მქონე ნივთთა მოძიებასა და შეგროვებას, ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლას. ეს დიდად შეუწყობდა ხელს ქართველი ერის ცნობიერების ამაღლებას. 1875 წელს გაზეთი "დროება" წერდა: "კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თითქმის ყოველ ძველებურ უბრალო ხელნაწერს, ყოველ ნივთს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული ცხოვრების გასაცნობად... რომ ეს ჩვენი ისტორიული ცხოვრების მოგონება ახლანდელს ქართველებს გვამხნევებს, გვაკეთილშობილებს, სწორ გზაზე დადგომისთვის გვეხმარება".[371]

ქართველი საზოგადოება ენერგიულად შეუდგა ეროვნული მუზეუმის დაფუძნებას. ამისთვის შეიქმნა კიდეც საინიციატივო ჯგუფი. იმდროინდელი პრესა იტყობინებოდა: "შეეტყვეთ, რომ ჩვენს ქალაქში სდგება საზოგადოება, რომელსაც განსაკუთრებული მიზანი ექნებაო, რომ ტფილისში "ქართული მუზეუმი" გამართოსო: თავისი საშუალებით ეცდებაო, რომ მოაგროვოს: ერთ ადგილას ამ მუზეუმში ყველა ძველებური ხელთნაწერი წიგნები, აგრეთვე სიგელები, სხვადასხვა დოკუმენტები და ნივთები, რომელთაც რაიმე ისტორიული ან ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც ახლა გაფანტულნი არიან ჩვენს ქვეყანაში და ტყუილუბრალოდ ფუჭდებიან". [372]

საზოგადოების სახელით სერგეი მესხი, ეხებოდა რა შიო-მღვიმის მონასტრიდან ძველი ხელნაწერების თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოტანასა და მათი დაკარგვის საშიშროებას, განსაკუთრებით მიუთითებდა ეროვნულ ნიადაგზე მდგარი სამუზეუმო დაწესებულების შექმნის აუცილებლობაზე. იგი თავის სტატიაში "ხალხის სახსოვარის დაცვა" წერდა: "ჩვენი წინაპართა სახსოვარი შეიძლება ხვალ ველარ გადარჩეს. . ამის გამო ძალიან კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ (რადგან ეს საქმე უეჭველია მთელ ხალხს

---

[371] გაზ. "დროება" 1875 წლის 21 თებერვალი, №23.

[372] გაზ. "დროება" 1878 წლის 22 სექტემბერი №191.

შეეხება) მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვებში და შიშში არ იყოს. ამისთანა საშუალება, ჩვენი აზრით, იქნება არხეოლოგიური მუზეუმის დაარსება. ამ არხეოლოგიურ მუზეუმში, რომლის გამგებლად და წევრებად, რასაკვირველია მხოლოდ ისეთი პირები იქნებიან, რომელთაც ნამდვილად შესტკივათ გული საქართველოს ისტორიისა და ხალხისათვის, შეიძლება შეინახოს და დაიცვას კაცმა ყველაფერი, რაც შენახვისა და დაცვის ღირსი რამ დაუტოვებიათ ჩვენთვის ჩვენ წინაპართა."[373]

ახალი, ეროვნული შინაარსის მქონე მუზეუმის შექმნა სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ეტაპს, რომელიც გამოიკვეთა 70-იან წლების ბოლოს. იმდროინდელი პრესის აზრით, იგი აუცილებელი იყო "მით უმეტეს, რომ ჩვენი "კავკასიის მუზეუმი", რომელსაც დიდი საშუალება ეძლევა ხაზინიდან, ამ მხრით თითქმის არაფერს არ არიგებს; ამ მუზეუმის დირექტორი უფ. რადდე უფრო თავის ჯიბისთვის და თავის სადგომის მდიდრულად შემკობისათვის ცდილობს, ვინემ მუზეუმის გამდიდრებისათვის."[374]

ახალი მუზეუმის შექმნა ითავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის დაარსების სათავეებთან იდგნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, რაფიელ ერისთავი, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები. მათ 1878 წლის 20 ივნისს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი სტაროსელსკის 123 დამფუძნებელი პირის სახელით წარუდგინეს საზოგადოების წესდების პროექტი. საკითხის მრავალგზის განხილვის შემდეგ 1879 წლის 15 მაისს აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცდა.[375]

1878 წლის 15 მაისს თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის შენობაში, 45 დამფუძნებელი წევრის თანდასწრებით, შედგა ქართველთა შორის წერა—კითხვის (შემდეგში შემოკლებით—ქ.შ.წ.კ.) გამავრცელებელი საზოგადოების პირველი საერთო კრება, რომელმაც საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია დიმიტრი ყიფიანი, თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ)--ილია ჭავჭავაძე, საზოგადოების მდივნად--ალ. სარაჯიშვილი, ხაზინადარად— რ. ერისთავი. საზოგადოების

---

[373] გაზ. "დროება" 1879 წლის 29 სექტემბერი № 201.

[374] გაზ. "დროება" 1878 წლის 22 სექტემბერი №191.

[375] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში - სცი არქივი) ფ. 481, ან. 1. საქ. 2532, ფ. 4.

გამგეობის პირველ წევრებად არჩეულნი იქნენ ნ. ცხვედაძე, ალ. სარაჯიშვილი, ი. გოგებაშვილი. რ. ერისთავი და ი. მაჩაბელი.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის მთავარი ინიციატორი, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე. იგი ჯერ 1879–85 წლებში ასრულებდა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას, ხოლო 1885 წლის მაისიდან გარდაცვალებამდე იყო მისი თავმჯდომარე. 1896 წელს ილია ჭავჭავაძეს ირჩევენ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოების მიერ მოწყობილ თითქმის ყველა ღონისძიებაში. შემდგომ მან თავისი ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა ანდერძით დაუტოვა საზოგადოებას. საგურამოში იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა ილია—საზოგადოებამ სკოლა გახსნა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომლის წევრებსაც სამი წლის ვადით ირჩევდნენ. გამგეობის წევრებად სხვადასხვა დროს იყვნენ: თ. ჟორდანია, ი. მეუნარგია, ი. ბაგრატიონი, ვ. წერეთელი, ი. გამყრელიძე, დ. ბაქრაძე, ე. გაბაშვილი, გ. ქართველიშვილი, ა. ფურცელაძე, ს. ჭიჭინაძე, ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. ქარიჭაშვილი, გ. თუმანიშვილი, ვ. თულაშვილი, ს. ფირცხალავა, ი. ლორთქიფანიძე, გ. ყაზბეგი, ალ. ჭყონია, გ. უთურგაული, ივ. ზურაბაშვილი, გრ. ყიფშიძე, გ. იოსელიანი, ელ. მიქელაძე და სხვები.

საზოგადოება შედგებოდა დაფუძნებელი, საპატიო, ნამდვილი და დამხმარე წევრებისაგან. ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა რაოდენობა პირველი 20 წლის განმავლობაში ასე გამოიყურებოდა: (ცხრილი 12).[376]

წლები	1879	1880	1881	1885	1886	1890	1891	1892	1893	1898	1903
წევრები	245	282	311	381	416	453	490	512	512	518	919

საზოგადოების სამოქმედო მიზანი გაცხადებული იყო მის წესდებაში: "ხელი შეეწყოს წერა–კითხვისა და დასაწყისის განათლების გავრცელებას კავკასიის სანაპესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის".[377] ამ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოება "გახსნიდა ახალ სკოლებს, დახმარებას გაუწევდა

[376] ცხრილი შედგენილია ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშების მიხედვით.

[377] წესდება კავკასიის სანაპესტნიკოს მკვიდრ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი ტფილისის საზოგადოებისა, ტფ., 1904, გვ. 2.

მოქმედ სასწავლო დაწესებულებებს, გამართავდა საკითხავს ხალხისათვის და სახალხო სამკითხველოებს".[378] მას შეეძლო აგრეთვე დაებეჭდა სახელმძღვანელოები და წიგნები.

გამგეობის საქმიანობას პრაქტიკულად წარმართავდა საზოგადოების თავმჯდომარე. როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ყიფიანი.

დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი (1811-1887წ.წ.) გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი. 1830 წლის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დაამთავრების შემდეგ მუშაობს მასწავლებლად. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს ეოლოგდაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს მეფისნაცვლის კანცელარიაში და ხდება მ. ეორონცოვის ლიბერალური პოლიტიკის მხარდამჭერი. სახელმწიფო სამსახურში 33 წლის მანძილზე დ. ყიფიანმა კანცელარიის უბრალო მოხელიდან–მეფისნაცვლის საბჭოს წევრობამდე მიაღწია. ასევე წარმატებული იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. წარმოშობით აზნაური, ქართლ-კახეთის და იმერეთის ბრწყინვალე წოდების მეთაური გახდა: 1864-70 წლებში იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, 1876-79 წლებში–თბილისის ქალაქის თავი, ხოლო 1885-86 წლებში–ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი.[379] მიაჩნდა რა ერის ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღორძინება, იგი სათავეში ჩაუდგა მრავალ საშვილიშვილო საქმეს: იყო ქართული თეატრის, ბანკის, ჟურნალ "ცისკრის", ბიბლიოთეკის და სხვათა დამაარსებელი. აქტიურად მონაწილეობდა ბატონყმობის გაუქმების მოქზადებაში.

დ. ყიფიანმა, როგორც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ხელმძღვანელმა, თავისი მოღვაწეობით და მოწამეობრივი სიკვდილით უდიდესი კვალი დააჩნია XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეროვნულ აზროვნებას. ილია ჭავჭავაძემ მას "ჩვენი ხუროთმოძღვარი" უწოდა.

შესწორებული, მეორედ მიღებული წესდების "ე" პუნქტის მიხედვით, ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება "აარსებდა მუზეუმს და ბიბლიოთეკას საყოველთაო სარგებლობისათვის".[380]

საზოგადოებამ თავიდანვე ენერგიული მუშაობა გააჩაღა ქართული სკოლებისა და სამკითხველოების შესაქმნელად. 1880 წლის 5 აპრილს გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების კანცელარიასთან, სამწიგნობროს(ბიბლიოთეკის)

---

[378] წესდება კავკასიის სამეფისნაცვლოს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა. ტფ., 1907, გვ. 5.

[379] ხუნდაძე ს., დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1936. გვ 88.

[380] წესდება კავკასიის ქ.შ.წ.კ. საზოგადოებისა. ტფ., 1907, გვ. 5.

დაარსების შესახებ, სადაც თავს მოიყრიდა ძველი ქართული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები.

ქართველმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეს საქმიანობა და აქტიურად დაუჭირა მხარი. ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები უსასყიდლოდ გადასცემდნენ მას ძველ ხელნაწერებს, წიგნებს თუ ისტორიული ღირებულების მქონე ნივთებს.

პირველსავე წლებში საზოგადოების საცავებში გაზეთ "ივერიის" ცნობით, ბევრი სამუზეუმო მასალა შემოსულა, "რომელთა რიცხვში ბევრი ძვირფასი არხეოლოგიური და საისტორიო განძი ერია". ბიბლიოთეკას ივანე ალექსი-მესხიშვილმა შესწირა 55 ძველი ხელნაწერი, რაფიელ ერისთავმა—თავისი ნაწარმოებები, ივანე მუხრანსკიმ და გიორგი ქართველიშვილმა კი—გარკვეული თანხა და კანცელიარიისთვის საჭირო ნივთები.[381]

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების ცოგნსაცავისთვის ნიკო დადიანის მდიდარი ბიბლიოთეკის გადაცემას. ამ შემოწირულობაში 169 მნიშვნელოვანი ხელნაწერი და 20-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი ირიცხებოდა. მათ თბილისში ჩამოსატანად იონა მეუნარგია და თვით ილია ჭავჭავაძე ჩავიდნენ სამეგრელოში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში–სოფელ გორდში. ამავე წელს ზაქარია ჭიჭინაძისგან საზოგადოებამ შეიძინა ძველი ნაბეჭდი წიგნები.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დიდი ენთუზიაზმით აგროვებდნენ ძველ ხელნაწერებსა და წიგნებს. მათ შესწავლა–დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ჯერ დ. აქრაძემ და ნ. მთაველიშვილმა, შემდეგ კი–ექ. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა.

საზოგადოების სამწიგნობრო (ბიბლიოთეკა) სწრაფად იზრდებოდა. პირველ წლებში აქ შემოსული წიგნების რაოდენობა შემდეგი იყო: (ცხრილი 13)[382]:

წლები:	1883	1886	1887	1888	1889	1892	1893	1894	1897	1898
წიგნები:	400	940	1020	1187	1259	2270	2601	2770	3154	3213

[381] გაზ. "ივერია", 1883 წ. აგვისტო, № 8.

[382] ცხრილი შედგენილია ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშების მიხედვით.

ხელნაწერებისა და წიგნების უმრავლესობა შემოწირულობებით იქნა მიღებული. პირველ შემომწირველებიდან საზოგადოების ანგარიშებში მოხსენიებული არიან: ვასილ ოქონელი, მიხეილ სარაჯიშვილი, ვასილ სულხანიშვილი, ნიკო მაჭავარიანი, ლუკა ისარლიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, კონსტ. ბაგრატიონ–მუხრანსკი, მიხ. თამამშევი, ასლან წულუკიძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები.[383]

1885 წელს საზოგადოების წიგნთსაცავთან (ბიბლიოთეკასთან) საფუძველი ჩაეყარა მუზეუმს და ორივე ამ უჯრედს წიგნსაცავ–მუზეუმად მოიხსენიებდნენ. "წიგნსაცავ–მუზეუმი, სადაც იკრიბება ყოველნაირი ნაშთი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა" სწრაფად იქცა ქ.შ.ჯ. საზოგადოების კეთილშობილური მიზნების განხორციელების ერთერთ მნიშვნელოვან რგოლად, ყურადღებისა და ზრუნვის საგნად.

საზოგადოების წევრებს ისტორიული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერების, ნივთების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალების შეგროვებაში თავიანთი შემოწირულობებით დახმარებას უწევდა მოსახლეობა. ქართველი საზოგადოებრიობა დიდად იყო დაინტერესებული, რომ სწორედ წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა- –მუზეუმში მოეყარა თავი ერის კულტურულ მემკვიდრეობას. ისინი პრესის ფურცლებიდან მოუწოდებდნენ მოსახლეობას ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები საჩუქრად გადაეცათ მუზეუმისათვის და გადაექციად იგი ეროვნულ საგანძურად.

ერთ-ერთი პირველი საყურადღებო ექსპონატი, რომელიც დაიდო ბინა აღნიშნულ მუზეუმში იყო ერეკლე მეფის ნაქონი თოფი. მის შესახებ გაზეთი "ღროება" წერდა: "მეფე ირაკლის თოფი,' რომელიც კახეთის თავადაზნაურობამ 2000 მანეთად იყიდა და განსვენებულს კავკასიის გმირსა და მთავარმართებელს თავად ბარიატინსკის მიართვა, როცა მან შამილის წინააღმდეგ ლაშქრობა დაამთავრა, დღეს ამ თოფის მფლობელს განუზრახავს ისევ საქართველოს ღაუბრუნოს და საკვარელი მეფის ნაქონი ნივთი ისევ საქართველოს "შვილთ ინახულონ ხოლმე სასწავლებლად და საგულისხმიეროდ . . .უმჯობესი იქნება, რომ ამგვარი წმინდა ქართულის

---

[383] ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ,1960, გვ. 65.

მნიშვნელობის მქონე ძველი სახსოვარი შეწირულ ექნეს წ/კ „ამავრცელებელ საზოგადოებას და ბიბლიოთეკას".[384]

ასევე მნიშვნელოვანი იყო თელავიდან შემოწირული თამარ მეფის დროინდელი მონეტები, "რომელიც არის ძლიერ და ძლიერ ძვირფასი მთელი ქართველობისათვის".[385]

1885 წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მადლობას უხდიდა: დიმ. ბაქრაძეს, გ. საძაგლიშვილს, რაფ. ერისთავს და პ. კარბელაშვილს სამუზეუმო სიძველეთა გადმოცემისათვის. შემოწირული ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი ყოფილა გიორგი საძაგლიშვილის მიერ გადაცემული მინის სურა, რომლის შესახებაც გაზეთი "დროება" აღნიშნავდა: მუზეუმის პატარა ვიტრინაში, რომელიც სავსეა სხვადასხვა შესანიშნაეის და იშვიათის ხელთნაწერებით, ძველი ისტორიულისა და არხეოლოგიური მნიშვნელობის ნივთებიც იკრიფება და გროვდება. ამ დღეებში ამ მუზეუმს მოსვლია ერთი ვერცხლის სურის გვარი მინის ჭურჭელი, რომელიც ოქროს ვარაყით არის შემკული. ვარაყი წარმოადგენს ვაზის ფოთლებს და ერთ ალაგს სურას ვარაყით აწერია: მეფის-ძე იულონი".[386]

ამ პერიოდში რაფიელ ერისთავსაც შეუწირავს დავით რექტორის (ალექსი–მესხიშვილის) მემორიალური ნივთები– საწერი მოწყობილობის კომპლექტი და ნუმიზმატიკური კოლექცია.

ქართული პრესა ხშირად მოუწოდებდა თაეის მკითხველებს, რომ უფრო აქტიურად ჩაებულიყვნენ მუზეუმის ფონდების გამდიდრებაში. ილიას "ივერია" სისტემატურად აცხადებდა შემოწირულობათა მიღების ადგილს: "ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს, წერა-კითხვის საზოგადოებისთვის გთხოვთ კეთილ--ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულობა ქნეინა ოლდა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძველის პირდაპირ თ. ბრუზინსკისეულ სახლებში"[387] გაზეთი ყოველთვის ქებას ასხამდა შემომწირველებს და ცდილობდა სხვებიც წაექეზებინა: "პატივცემული თავადი რაფიელ ერისთავი, რომელმაც შემოსწირა კოლექცია, ამით საუკეთესო მაგალითს უჩვენებს იმ პირთა, რომელთა სახლში ბევრგვარი საარხეოლოგიო და

---

[384] გაზ. "დროება" 1884 წლის 3 იულისი №142.
[385] გაზ. "დროება" 1885 წლის 29 თებერვალი, №29.
[386] გაზ. "დროება", 1884 წლის 26 აგვისტო, № 186
[387] გაზ. "ივერია" , 1891 წლის 26 აპრილი, №87.

საისტორიო განძი მოეპოვებათ, ძველთა დროთა მოსაგონარი და არ ემეტებათ, რომ იგი მთელს ქვეყანას დაუბრუნონ წ/ კ საზოგადოების შუამავლობით, ან და არ იციან რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ერთ ალაგას შეკრებილი იქნება ყოველივე სახსოვარი და მოსაგონებელი ჩვენი წინაპართა მოღვაწეობისა წარსულში."[388]

'80-იანი წლებში მუზეუმის ფონდები განსაკუთრებით მდიდრდებოდა ნუმიზმატიკური მასალით. აღსანიშნავია 1887 წელს იე. ბართოლომეის მიერ მუზეუმისათვის შემოწირული მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც დილომში აღმოჩნდა. მასში ირიცხებოდა 474 მონეტა. "ივერიის" ცნობით: "ამ ფულში 67 არის მეფის გიორგის დროისა, 204—თამარ მეფისა, 170—გიორგი ლაშისა და 23 ადერბეიჯანის სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელთა დროისაა".[389]

სულ რამოდენიმე წელში საზოგადოების მუზეუმში უკვე იმდენი მონეტა დაგროვდა, რომ 1887 წელს დაისვა საკითხი ნუმიზმატიკური კაბინეტის ცალკე უჯრედად გამოყოფის შესახებ.

1890—91 წლებში მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალა შეუწირავს გრიგოლ გურიელს. კოლექციაში შედიოდა: 7 ყერცხლის მონეტა, მათ შორის ერთი ბაქარის დროს მოჭრილი, 10 ცალი ექტონი, რამდენიმე ბრინჯაოს ცული, ისრის პირი, თიხის ჭურჭელი, ძველებური კრიალოსანი და რკინის შუბი. ეს უკანასკნელი, გადმოცემის მიხედვით, ეკუთვნოდა მურეან ყრუს. გიორგი ტატიშვილმა მუზეუმს შესწირა ანტიკური ხანის ბერძნული მონეტები, კონდ. ინასარიძემ—თეიმურაზ II დროს მოჭრილი მონეტა, ბეს. ნიჟარაძემ კი—სვანეთში აღმოჩენილი ისრის პირები.[390]

1891 წელს რაფიელ ერისთავმა კიდევ ერთხელ გაიღო შემოწირულობა. ამჯერად მან საზოგადოებას გადასცა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგებოდა ათასზე მეტი წიგნისაგან.

მომდევნო წელს საზოგადოების წიგნსაცავ—მუზეუმს მ. ამირაძემ შესწირა 26 ხელნაწერი, ალ. როინიშვილმა—ძველებური ვერცხლის დოქი; ძველი სიგელ-გუჯრები და დოკუმენტები; გ.

---

[388] გაზ. "დროება", 1884 წლის 12 სექტემბერი, № 197.
[389] გაზ. "ივერია", 1887 წლის 23 მაისი, № 101.
[390] ქ.შ.წ.კ. გამაერცელებელი საზოგადოების 1891 წლის ანგარიში, გვ. 25.

საძაგლიშვილმა–ხელნაწერები, მონეტები და მცხეთაში აღმოჩენილი ანტიკური ხანის სარდიონის ქვა აფროდიტეს გამოსახულებით; ოლღა ჭაეჭავაძემ–მხატვარ გაგარინის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი; მ. საბინინმა–სამი ისტორიული ხელნაწერი; ქ. ზარაფოვმა შუა საუკუნეების დროინდელი ქართული და სპარსული მონეტები; თედო სახოკიამ–ორი ძველებური სიგელი; ვ. ყიფიანმა–ძველი ქართული ისტორიული დოკუმენტები და სხვა.[391]

1893 წელს დავით ჩუბინაშვილის შემკვიდრეებმა საზოგადოების წიგნსაცავს გადასცეს დიდი მეცნიერის ბიბლიოთეკიდან 282 ერთეული წიგნი.

მუზეუმში შემოსულ ექსპონატებზე ცნობები ფართოდ შუქდებოდა საზოგადოების ანგარიშებში და ქართულ პრესაში. "ივერია" განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ "მუზეუმი და ბიბლიოთეკა დღითი-დღე მატებასა და ზრდაშია სხვადასხვა კუთხიდან მოსდის ძველი ხელთნაწერები თუ ძველი საარხეოლოგიო ნივთნი".[392] საზოგადოების გამგეობა სხვადასხვა გაზეთების მეშვეობით "გულითად მადლობას უძღვნიდა შემომწირველთ".

1893 წელს ალექსანდრე როინაშვილის შემოწირულობის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: "ამ მდიდარს შემოწირულობაზე, რომელიც 50000 მანეთად ღირს, ჩვენ ახლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბ-მა როინაშვილმა ჩაყარა მტკიცე საძირკველი დიდისა და სახელოვანი საქმისა. მან დაამტკიცა, რომ ღმერთს უხვად მიუნიჭებია მისთვის ძვირფასი და წმინდა ერძნობა ამ ერძნობას ეწოდება—ერის ერთგულება, ქვეყნის სიყვარული."[393]

ისტორიული ნივთების მოძიებისა და შეკრების გარდა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ბევრი საზოგადო საქმის მოთავე იყო: 1893 წელს მისი ინიციატივით განჯიდან გადმოასვენეს დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი, 1895 წელს საზოგადოების ძალისხმევით აღინიშნა კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავი, რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილე და სხვა.

საზოგადოების ფონდსაცავების გაძდიდრება შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა: წიგნსაცავმა პლატონ იოსელიანის ქვრივისაგან 1896 წელს მიიღო დიდი ისტორიკოსის ბიბლიოთეკა

---

[391] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1892 წლის ანგარიში, გვ. 20
[392] გაზ. "ივერია", 1886 წლის 12 ნოემბერი, №245.
[393] გაზ. "ივერია", 1893 წლის 12 ოქტომბერი, №217.

და მეუღლის სხვადასხვა ქალალდები—"მეტად ძვირფასნი საქართველოს ისტორიისათვის". ალავერდის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მუზეუმს შემოსწირა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური ნივთები. ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა, ამ წელს შემომწირაეთა შორის მოიხსენიებიან: მთავარი დიაკვანი ნ. ოქრომჭედლიშვილი, ანტ. ფურცელაძე, ი. მაჭავარიანი, კ. თავართქილაძე, ნ. ასათიანი, ქრ. მამაცაშვილი, დ. პაველიაშვილი, სპ. ბასილაშვილი, ა. თულაშვილი, ს. გამრეკელი და სხვები.

შეწირულობათა გაღებაში თავი გამოუჩენიათ აგრეთვე მანდილოსნებსაც: ნინო ორბელიანს, მარიამ ლეონიძეს, ელენე მირიანაშვილს, ნინო ნიჟარაძეს და სხვებს.[394]

საქართველოს ისტორიისათვის მეტად საყურადღებო დოკუმენტები, ძველი სიგელ-გუჯრები და ნუმიზმატიკური მასალა შესწირეს 1897 წელს წიგნსაცავ—მუზეუმს ელ. ყაზბეგმა, ლ. რაზიკაშვილმა, ყიფშიძემ, გრ. ჯავახიშვილმა, ალ. დოდაშვილმა, ვ. ბარნოვმა, პ. მირიანაშვილმა, მიხ. საბინინმა, კ. აბაშიძემ, ბარნ. ფურცელაძემ, თ. რაზიკაშვილმა, ა. თარხან-მოურავმა, ტ. მომცემლიძემ და ს. დალაქიშვილმა.[395]

1898 წელს გარდაიცვალა ალ. როინაშვილი და მთელი "მისი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია, როგორც სხვა ყოველივე მისი შეძლება, შეიქმნა საკუთრებად წ/კ საზოგადოებისა". ამ ფაქტს წ/კ საზოგადოებამ ისეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ თავის ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნა: "ამის გამო ციგნსაცავი გადაიქცა ნამდვილ მუზეუმად".

ალექსანდრე სოლომონისძე როინაშვილი (1846-1898წწ) ქართული ფოტოგრაფიის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. 50-იანი წლებში დასახლდა თბილისში და მხატვარ ვ. ხლამოვის ხელმძღვანელობით დაეუფლა ფერწერისა და ფოტოგრაფიის ხელოვნებას. 60-იან წლებში მან ერეკლის მოედანზე გახსნა ფოტოსახელოსნო "რეპბრანტი", რომელიც პოპულარულ ფოტო-ატელიედ იქცა თბილისში. ა. როინიშვილმა ეროვნული შინაარსის ფოტოსურათების შესაქმნელად ფეხით შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ხეიბებისა და პეიზაჟების გარდა იღებდა ეთნოგრაფიულ, ყოფითი ხასიათის სურათებს, ტიპაჟებს. სულ მოკლე ხანში ამ ძვირფასი კოლექციის შეგროვება შეძლო. მისი შემოქმედება გამსჭვალული იყო საშობლოსადმი სიყვარულით. ა. როინაშვილის

---

[394] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1896 წლის ანგარიში, გვ. 28.

[395] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1897 წლის ანგარიში, გვ. 38.

ობიექტივს არ გამოპარვია იმდროინდელი საქართველოს არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, არც ერთი მისი თანამედროვე ცნობილი პიროვნება. ასევე პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღსავსე მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც. ქართული სიძველეების დიდმა მოტრფიალემ, დაუოკებელმა შეგროვებელმა და პოპულარიზატორმა მიზნად დისახა თავისი კერძო არქეოლოგიური მუზეუმის შექმნა. ამ მიზნის განხორციელებას მან ბევრი ენერგია და დრო შეალია. მის მიერ მოძიებულ და შეგროვებულ კოლექციებში ბევრი პირველხარისხოვანი და მნიშვნელოვანი ხელნაწერი თუ ისტორიული ნიეთი მოიპოვებოდა. ამ მუზეუმს საზოგადოებაში "მცირე კავკასიის ჯუსეუმსაც" უწოდებდნენ. მუზეუმის ნიეთებით იგი ხშირად აწყობდა მოძრავ გამოფენებს, როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთაც. 1875 წელს მან მოაწყო ექსპოზიცია ასტრახანსა და სამარაში, 1885 წელს—დაღესტანში, ქალაქ თემურ-ხანშურში, ხოლო 1887–წელს მოსკოვსა და პეტერბურგში.

ასევე დიდია ალ. როინიშვილის დამსახურება საქართველოში საერთოდ სამუზეუმო საქმიანობის განვითარებაში. იგი დიდი ენთუზიაზმით ილწვოდა ეროვნული სამუზეუმო დაწესებულების, "საერო სახლის" შექმნისათვის. ამ საკითხის მოსაგვარებლად იგი სისტემატურად გამოდიოდა პრესის ფურცლებზე. როგორც ქველმოქმედი თავისი შეკრებილი ექსპონატებით ამარაგებდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა სხვა მუზეუმებს. საზოგადოებამ ერთხმად აღიარა მისი დიდი მამულიშვილობა. ძის დიდ სიქველეზე ხშირად მიუთითებდა ილია: "არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნეებს და გაირჯება . . გროშს გროშზე აწყებდა და ბოლოს თავის ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსანის შრომით მოგებული, თავის ქვეყანას მაროლ..სულ მთლად თავისის ; ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად".[396] წ/კ. საზოგადოებამ დიდების პანთეონში ძველი დაუდგა წარწერით: "სამაგალითო ქველმოქმედს და თავის ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს, ალექსანდრე როინაშვილს".

1898 წელს მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულების მქონე ხელნაწერების შემომწირავთა შორის დასახელებული არიან: კირიონ ეპისკოპოსი, თ. სახოკია, ფ. გურიელი, ი. გეგარაშაძე, გ. დიასამიძე, ე. ბეხტმანი, ი. კალანდაძე, პ. ტატიშვილი, ვ. კალატოზიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, გ. დარჩიაშვილი, დ. ჯანდიერი და დ. მიქელაძე.[397]

ისტორიულ ნიეთების და ძველი მონეტების შემოწირვისთვის საზოგადოება მადლობით მოიხსენიებდა ან. ფურცელაძეს, ნ.

---

[396] ჯაფარიძე ი., თხზ. ორტომეული, ტ. 2, გვ. 243

[397] ქ.შ.წ.კ. გამაერცელებელი საზოგადოების 1898 წლის ანგარიში, გვ. 45.

მათიკაშვილს, ზ. ჩხიკვაძეს, ფ. ლალიაშვილს, გ. ყაჯარდუზოვ
და ბ. ყარდიაშვილს, ი. ციციშვილს და მ. ზუდგენიძეს.[398]

1899 წლის შემოწირულობებიდან განსაკუთრებით
საინტერესო იყო: თედო ჟორდანიას მიერ გადაცემული
იმერეთის მეფის სოლომონ მეორის 19 ცალი წერილი, იოსე
მერკვილაძისგან მიღებული სამურაის იაპონური ხმალი, კოტ
ყიფიანისგან—ალბომი, მარი ბროსეს საქართველოში
მოგზაურობის შესახებ, ვასილ კალატოზიშვილისგან—1796 წლის
სიგელი და აგრეთვე გრ. ბასილაშვილის, სპ. დავაძის, თ
ყიფშიძის, მ. ჯაველიშვილის, ნ. ლომოურის, ქ. ხერხეულიძის დ
ა. წერეთლის მიერ შემოწირული სამუზეუმო მასალა.[399]

ახალი საუკუნის დამდეგს საზოგადოების მუზეუმში შესულ
მასალიდან მნიშვნელოვანი იყო რ. ბარამიძის, ევ. ბერიძის, ი
საყვარელიძის, თ. ჯორჯაძის, გ. ყიფშიძის და პ. მირიანაშვილის
მიერ გადმოცემული ექიპონატები.[400] 1900 წელს თათრასა
დადეშქელიანმა სვანეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური
კოლექცია გადასცა მუზეუმს.[401]

მუზეუმის ფონდსაცავებში თავი მოიყარა საქართველოს
ისტორიის შესწავლისათვის ბევრმა უმნიშვნელოვანესმა
დოკუმენტმა. აქ ირიცხებოდა ხელნაწერები: ამბროსი
ნეკრესელის მიერ გადაწერილი ისტორიული თხზულება
"ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. მამისა ჩვენისა და მოციქულთა
სწორისა ბაგრატისი", მოძიებული პ. კარბელაშვილის მიერ; ალ.
იოსელიანის მეუღლის ანას მიერ გადაწერილი XII საუკუნის
კარაბადინი; უძველესი ხელნაწერი "დილარიანი"; საინვენტარო
დავთარში 413 ნომრით გატარებული ექვთიმე მთაწმინდელის
მიერ ბერძნულიდან თარგმანი XI საუკუნის ხელნაწერი; № 421—მაქსიმე აღმსარებლის კითხვა-მოგება (XI ს.); № 423--იოანე
ოქროპირის თარგმანებაი იოანეს სახარებისა (XII ს.); № 425—
მიქაელ მოღრეკილის იადგარი (X ს.); ახალი "ქართლის
ცხოვრების" ავტორების სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა
ორბელიანის თხზულებანი და სხვა

ამ ხელნაწერთა ყოველმხრივ შესწავლის შედეგად
ქართველი ერის ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს

---

[398] გაზ. "იერია" 1898 წლის 29 იანვარი, №21.

[399] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1899 წლის ანგარიში, გვ. 63.

[400] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1900 წლის ანგარიში, გვ. 44.

[401] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1900 წლის 11 ივლისი, №1177.

მოეფინა ნათელი. იმის წარმოსადგენად რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის საცავებში დაცულ ექსპონატებს, დიმიტრი ბაქრაძის 1884 წელს მიკვლეულ და წ/კ საზოგადოების მიერ შეძენილ, მარიამ დედოფლისათვის გადაწერილი "ქართლის ცხოვრების" ხელნაწერიც კმარა. იგი მეტად საყურადღებო აღმოჩნდა ამ ისტორიული წყაროს თარიღის გასარკვევად. დადგინდა, რომ ქართველებს საკუთარი ისტორია მე-18 საუკუნეზე ადრე ჰქონიათ შედგენილი: *ხელნაწერი წარმოადგენს 470 ფურცლიან (932 გვ) 59 რვეულს, (ზომით 32X23 სმ.) აქვს ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა, რომელზედაც ამოტეიფრულია ჯვრის გამოსახულება ყვარცხლაპეკზე, შესრულებული წნული ორნამენტით. ხელნაწერი ნაწერია მხედრული ანბანით. სათაურები (სინგურით), გადამწერი წიგნის ზოგიერთ გვერდს აფორმებს პირველი და უკანსკნელი სტრიქონის შესაბამისი ასოების ზედმეტად აზიდვით ან ჩამოზიდვით და ბოლოების დახლართვით. ფურცლები სხვადასხვა წვირნიშნიანია, ხშირია გვირგვინის გამოსახულება.*[402] *ხელნაწერი გადაწერილია 1633-1646 წწ ქართლის მეფის როსტომის მეულლის დედოფალ მარიამის ბრძანებით. იგი შეიცავს ეახტანგ VI წინადროინდელ ძველი "ქართლის ცხოვრების" უძველეს ტექსტებს: მასში შეტანილია თამარ მეფის ისტორია.*

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კუთვნილ მრავალრიცხოვან ხელნაწერთა შორის უნდა აღინიშნოს ფონდებში 425 ნომრით გატარებული X საუკუნის ეტრატი "საგალობელი", იოანე ტბელელ ეპისკოპოსის სურათითა და საგალობო ნიშნებით. ეტრატი 554 ფურცლიანია, დაწერილია ასომთავრული და ხუცური ანბანით. მასში მოხსენიებულია მეფეები სუმბატი, გურგენი, დავით კურაპალატი და მრავალი ისტორიული პირი, მოცემულია მათი ბიოგრაფიული ცნობები.[403] ხელნაწერი წარმოადგენს უძველესი ქართული საგალობლებისა და ნოტების შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს.

1903 წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიძინა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომელშიც 720 ეგზემპლარი ხელნაწერი და წიგნი ითვლებოდა.

---

[402] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქ.შ.წ.კ.ს. კოლექცია, ტ.I, 1959 გ.41.

[403] ჯანაშვილი მ., საუნჯე XI საუკუნისა, ტფ., 1892, გვ. 11.

ამავე პერიოდში მუზეუმში შემოვიდა დ. გაბრუაშვილისა და ვ. ბექარაულისაგან შემოწირული სპარსული მონეტების კოლექცია. ნუმიზმატიკური მასალით გაამდიდრეს მუზეუმის ფონდები აგრეთვე ა. ანდრონიკაშვილმა. ი. სონღულაშვილმა და შ. ხუნდაძემ. ძველი გუჯრები, სიგელები, ლოცვანი, ისტორიული დოკუმენტები და სხვა ხელნაწერები გადასცეს მუზეუმს ჭ ქავთარაძემ, ი. გიუნაშვილმა, ე. ციციშვილმა, ე. ხუციშვილმა და პ. მასხარაშვილმა.[404]

ამავე დროს საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მუზეუმში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა შემოსული ნივთების შესწავლისა და მოწესრიგებაში. დ. კარიჭაშვილის ავტორობით დაიბეჭდა საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგი. წიგნსაცავში ცალ-ცალკე ფონდებად დაიყო ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები, ისტორიული დოკუმენტები და ნაბეჭდი გამოცემები. შედგა ფონდებში დაცული მასალების შემოწმებისა და შეჯერების კომისია ვ. კარბელაშვილის, ა. ქუთათელაძის და დ. კარიჭაშვილის შემადგენლობით.[405]

ასე თანდათანობით იზრდებოდა და მდიდრდებოდა ბიბლიოთეკა. საზოგადოების ანგარიშების მიხედვით ამ პერიოდში წიგნსაცავში დაცული წიგნების რაოდენობა შემდეგი იყო: (ცხრილი 14):

წლები	1899	1900	1903	1905	1908	1909	1912	1915
წიგნები	4507	4434	5193	6381	7029	7225	6888	8919

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ფონდების ზრდასთან ერთად სულ უფრო, მეტად იჩენდა თავს უბინაობით გამოწვეული პრობლემები.

საფონდო და საექსპოზიციო ფართის უქონლობის გამო საზოგადოების მუზეუმის კუთვნილი ბევრი ექსპონატი შესანახად გადაეცა სხვადასხვა პირებსა და ორგანიზაციებს, ისინი განთავსდნენ ქალაქის სხვადასხვა უბნებში. დიდი ზომის მხატვრული სურათები ინახებოდა ალ. როინაშვილის ბინაზე. ძველი ხელნაწერები და არქეოლოგიური ექსპონატების ნაწილი 1887 წელს სარაჯიშვილის სარდაფებსა და არწრუნის ქარვასლაში მოათავსეს. ნუმიზმატიკურმა მასალამ კი 1886 წლიდან საადგილმამულო ბანკის სეიფებში დაიდო ბინა.

---

[404] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1907 წლის ანგარიში, გვ. 23.

[405] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1900 წლის 16 მარტი, №1173.

სამუზეუმო ნივთების სხვადასხვა ადგილზე გადატანა და გაფანტვა, რასაკვირველია უარყოფითად მოქმედებდა მათ დაცვაზე. ამის შედეგი იყოს ის, რომ 1912 წელს დაიკარგა რამდენიმე ძვირფასი ექსპონატი: ახალ ბინაზე ნივთების გადატანისას კარადაში მოთავსებული ნუმიზმატიკური კოლექციის შეჯერების დროს, ადგილზე არ აღმოჩნდა 8 ცალი ოქროს მონეტა და ალ. როინაშვილის მიერ შეწირული ოქროს საბურნუთე. გამგეობის სხდომაზე აღინიშნა, რომ "ეს პატარა შკაფი ძველ ბინაზე დაუკეტავად ინახებოდა. ასევე დაუკეტავად, მხოლოდ თოკით შეკრული გადატანილი იქნა იგი ახალ ბინაზე. ცხადია ბოროტმოქმედს ეს შეუმჩნევია და ამოუღია, რაც მას ძვირფასად მიაჩნდა. გამგეობამ ამის შესახებ მკაცრი გამოძიება მოახდინა, მაგრამ უშედეგოდ".[406]

მუზეუმის ექსპონატების დიდი ძირითადი ნაწილი 1910 წლის მაისიდან ინახებოდა სათავადაზნაურო გიმნაზიის (დღევანდელი თბილისის უნივერსიტეტის) შენობის მეორე სართულზე. აქვე, გიმნაზიის შენობაშივე იყო მოთავსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის კაბინეტი, მისი მემორიალური ნივთები: ტანსაცმელი, სურათები, წიგნები და სხვა.

აქაც, ამ შენობაშიც სამუზეუმო ნივთების კონსერვაცია და შენახვა გაძნელებული ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილი 1911 წლის 21 აპრილს საზოგადოების სხდომაზე აღნიშნავდა: "სამუზეუმო ნივთები, რომელნიც გიმნაზიაშია გადატანილი და ყუთებში არის ჩალაგებული, თუ ასე დარჩა დიდხანს, გაფუჭდება და შემდეგ გამოუსადეგარი გახდება, აქიტომ საჭიროა მათი ხშირი გამზეურება".[407] სინესტის გამო, ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ის ნივთები, რომლებიც სათავადაზნაურო ბანკის სეიფებში ინახებოდა. არც ხანძრის საფრთხისაგან ყოფილა დაცული სხვადასხვა შენობაში მოთავსებული ექსპონატები. საზოგადოების მდივანი დავით კარიჭაშვილი განაცხადა: "ეს ძვირფასი და შესანიშნავი ნაშთები, რომელიც ს/კ. საზოგადოებას აქვს შეგროვილი, ისეთ საშიშს და სახიფათო მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია ერთს უბედურ დღეს სრულიად და ანაზდეულად მოისპოს და გაჰქრეს" და მითხოვდა დაჩქარებულიყო მუზეუმის სათანადო შენობით უზრუნველყოფა- "მუზეუმის აშენებას თან მოჰყვება არამც თუ ახლა

---

[406] ქ.შ.ს.კ. გამაერცელებელი საზოგადოების 1912 წლის ანგარიში, გვ. 02.

[37] ქ.შ.ს.კ. გამაერცელებელი საზოგადოების 1911 წლის ანგარიში, გვ. 7.

შეგროვილის და ერთად თაემოყრილის ძველი ნაშთების ცეცხლისგან გადარჩენა, არამედ ერთ ადგილას შეკრება იმ ნაშთებისაც, რომლებიც ახლა გაფანტულია აქეთ-იქით."[408]

საზოგადოების მუზეუმი, როგორც აღვნიშნეთ, ტერიტორიულად მოთავსებული იყო სათავადაზნაური გიმნაზიის შენობაში. მუზეუმი ღია იყო დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე. ძას დამთვალიერებელიც საკმაოდ ბევრი ჰყავდა.

ხალხმრავლობა იყო წიგნთსაცავშიც. საზოგადოების ანგარიშების მიხედვით წიგნთსაცავში მკითხველთა რიცხვი და მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურის რაოდენობა შემდეგი იყო: (ცხრილი 15):

წლები	1911	1912	1913	1914	1915	1916
მკითხველ. რაოდენობა	728	789	832	872	924	1087
გამოყ. ლიტერატურა	1008	1143	1192	1207	1268	1410

საზოგადოება ხშირად აყენებდა თავის ბიბლიოთეკისა და მუზეუმისთვის სათანადო შენობის აშენების საკითხს. ამ მოთხოვნას ფართო საზოგადოებაც უჭერდა მხარს, მაგრამ შედეგი არ ჩანდა..

ჯერ კიდევ ადრე, 1885 წელს, ილია ჭავჭავაძემ დააყენა საკითხი წიგნსაცავ–მუზეუმისთვის ვერაზე მდებარე ნიკო ბერძენიშვილის ორსართულიანი სახლის ყიდვის შესახებ. იაკობ გოგებაშვილმა კი გამგეობის 1889 წლის იანვრის სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ ლიორის–მელიქოვის ქუჩაზე სათავადაზნაურო ბანკის მახლობლად, მუზეუმისთვის აეშენებინათ ახალი შენობა. ამავე სხდომაზე დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება შენობის ასაგები შეწირულობის შესაკრებად. 1893 წელს, ერთ-ერთ სხდომაზე საზოგადოების გამგეობა აღნიშნავდა: "საზოგადოება ძველ ნივთებს და ფულებს აგროვებს და ინახავს იმ იმედით, რომ მოვა დრო, როცა იგი მოახერხებს საკუთარი მუზეუმი ააშენოს და იქ დააწყოს, როგორც წესი და რიგია, როგორც წიგნები, ისე სხვა არხეოლოგიური ნივთები და ძველი ფულები".[409]

გაზეთი "ივერია" იტყობინებოდა: "ჩვენ ახლა შეეიტყვეთ, რომ ქ/კ. საზოგადოებას განუზრახავს მუზეუმის შენობის აგება შესაფერის ადგილას, რამდენისამე პატიეცემულ ქართველის დახმარებით. ხოლო საჭირო ალაგიც ამ ქართული

---

[408] გაზ. "ივერია",1898 წლის 25 იანვარი №18.

[409] ქ.ს.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1893 წლის ანგარიში, გვ. 32.

მუზეუმისათვის, როგორც გვესმის, შეწირული იქნება ერთის პატივცემულ ქვეყნის გულშემატკივარ ქართველისაგან. ამ ჩვენის ქვეყნის შვილს მოუსურვებია გუგმა სამუზეუმო შენობისა ევროპაში საუკეთესო არხიტექტორებს აჩვენოს და იმათთან ერთად შეიმუშავოს მუზეუმის მოდელი."[410]

1894 წელს საზოგადოების გამგეობამ თავის წევრს ნიკო ცხვედაძეს გამოუყო 200 მანეთი და დაავალა უმოკლეს ვადებში მოეხერხებინა ბიბლიოთეკისა და მუზეუმის შენობის პროექტის შედგენა. პროექტი უსასყიდლოდ შეადგინა არქიტექტორმა კ. ტატიშჩევმა. საქმეკ თითქოს ადგილიდან უნდა დაძრულიყო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ გამგეობას წესდებით არ ჰქონდა უფლება შეეძინა მიწის ნაკვეთი და უძრავი ქონება. ახალი შენობის მშენებლობის საკითხი გადაიდო 1907 წლამდე, ვიდრე წესდებაში სათანადო კორექტივებები არ იქნა შეტანილი.

ამასობაში ოდესელ ქართველ სტუდენტებსაც უცდიად თავიანთი წვლილი შეეტანათ მუზეუმის შენობის აგების საქმეში. მათი დავალებით ცნობილ არქიტექტორს პ. შტეგს შეუდგენია ორსართულიანი, ლამაზი შენობის პროექტი,[411] მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა.

წიგნსაცავ-მუზეუმის შენობის პრობლემა იმდენად აქტუალური და მძიმე გახდა, რომ წ/კ. საზოგადოების 1907 წლის დეკემბრის საერთო კრებაზე წამოყენებული იქნა აზრი იმის შესახებ, რომ წიგნსაცავ-მუზეუმი გადასცემოდა საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას. კრებაზე ამ წინადადების დაყენებას დიდი ვნებათა ღელვა გამოუწვევია. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ: "ეს ბიბლიოთეკა წ/კ. საზოგადოების მოღვაწეობის ნაყოფია, ეს ძვირფასი ხელნაწერები მისი შრომით და მოღვაწეობით არის აქ შეგროვილი. ეს განძი საუკეთესო ფურცელია ჩვენი საზოგადოების ისტორიაში. ეს ბიბლიოთეკა წ/კ. საზოგადოების სულიერი საკუთრებაა, მისი ძალაა, მისი საუკეთესო ტრადიცია, ძველის მოგონება და გამამხნევებელი იმპულსი მომავალი მოღვაწეობისათვის. წ/კ. საზოგადოებამ გააკეთა დიდი საქმე, რომ ეს ხელნაწერები და წიგნები შეიძინა. და ეს გაკეთებული საქმე აუალებს მას შემდეგშიაც უპატრონოს და არ გადასცეს სხვა რომელიმე დაწესებულებას, მით უმეტეს, რომ ეს სხვა არ

---

[410] გაზ. "ივერია", 1893 წლის 12 ოქტომბერი, №217.

[411] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1899 წლის 19 იანვარი, №728.

გვაძლევს საფუძველს, რომ ის უკეთესად უპატრონებს ამ ძვირფას განძს."[412]

საკითხის გადასაწყვეტად საზოგადოების კრებამ გამოუო კომისია ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ "ბიბლიოთეკა და მუზეუმი ჯერჯერობით დარჩეს ისევ წერა–კითხვის საზოგადოებას და არ გადაეცეს საისტორიო საზოგადოებას, რადგან უკანასკნელს ჯერჯერობით არ შესწევს ძალა უკეთესად უპატრონოს ბიბლიოთეკასა და მუზეუმს".[413]

1909 წელს საზოგადოების გამგეობამ იაკობ და ლევან ზუბალაშვილებს სთხოვა სასტუმრო "ლონდონის" მახლობლად მიწის ნაკვეთის შეძენა და იქ მუზეუმის სამშენებლო სამუშაოების დაწყება. ორი წლის შემდეგ ზემოთ ხსენებულმა კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, სადაც ხაზგასმით აღნიშნული იყო: "მუზეუმის აშენება შეიქმნა საზოგადოების გამგეობის ოცნებად და სანატრელად ამ უკანასკნელ 15 წელიწადში". ამასთან ერთად, კომისიის დასკვნების გათვალისწინებით გამგეობამ შესთავაზა საერთო კრებას, რომ წიგნსაცავ–მუზეუმი მთელი თავისი ფონდებით დროებით გადატანილიყო ილიასეულ სახლში თბილისში, რომელიც მანადე შესაფერისად უნდა შეკეთებულიყო. 1910 წლის 20 დეკემბრის კრებამ ი. გოგებაშვილის წინადადებით უარყო ეს აზრი, რადგან ილიას სახლის შეკეთება ძალიან ძვირი ჯდებოდა. გამგეობამ კრებას ურჩია, მუზეუმისთვის ახალი შენობის ასაგებად საჭირო თანხის მოსაგროვებლად ყველა შემოწირულულობის და ფულადი ფონდის გაერთიანება და სპეციალური სამუზეუმო ფონდის დაარსება. ამ საქმის სახელმძღვანელოდ კრებამ აირჩია სამუზეუმო კომისია: ს. ყლდიაშვილის, დ. ჯორჯაძის. ნ. ელიავას, ე. მუსხელიშვილის, დ. კარიჭაშვილის, ა. ყიფშიძის და პ. სურგულაძის შემადგენლობით. მოგვიანებით კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი. ამასობაში, ცნობილმა ქართველმა მრეწველმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა, მუზეუმისათვის სათანადო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში, იკისრა შენობის ასაგები თანხის გაღება.

ზემოთ აღნიშნულმა კომისიამ მუზეუმისთვის გამოსადეგ მიწის ნაკვეთად შეარჩია ადგილი ფრეილინის ქუჩაზე,

---

[412] ხუნდაძე ტ., ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ. 1960, გვ. 123.

[413] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1911 წლის ანგარიში, გვ. 62.

რომელიც ეკუთვნოდა თბილისის თავადაზნაურობას. მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მიწის ამ ნაკვეთის დათმობაზე, სამაგიეროდ საზოგადოების სასარგებლოდ გაიღო შეწირულობა 50000 მანეთის ოდენობით, რომელიც უნდა გაცემულიყო 5 წლის განმავლობაში.[414]

1911 წელს გარდაიცვალა დავით სარაჯიშვილი. სიკვდილის წინ, მან თავისი ანდერძით უზრუნველყო საზოგადოების წიგნსაცავ-მუზეუმისთვის ახალი შენობის აგების ხარჯების გასტუმრება. დ. სარაჯიშვილმა 100000 ათასი მანეთი უანდერძა საზოგადოებას, ხოლო მისმა მეუღლემ-600000 მან. დაუმატა ამ თანხას. საზოგადოების მიერ გამოყოფილი კომისია ენერგიულად განაგრძობდა მუზეუმის შენობისთვის შესაფერისი ადგილის ძებნას. ბოლოს არჩევანი შეჩერდა ვერაზე ე.წ. "ფიქრის გორაზე" მდებარე მიწის ნაკვეთზე.

საზოგადოების საერთო კრებამ 1911 წლის 11 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მუზეუმის შენობის ასაგებად, 60000 მანეთად შეეძინათ 4656,75 კვ. საჟენის მიწის ნაკვეთი "ფიქრის გორაზე"- ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოყვანილ იქნა 1912 წელს.

მაგრამ მუზეუმის მშენებლობის დაწყება სხვადასხვა მიზეზების გამო მაინც ვერ მოხერხდა. დ. სარაჯიშვილის უძრავი ქონების გაყიდვა, რომლის შემდეგაც, ანდერძის მიხედვით, უნდა გამოყოფილიყო შენობის ასაგები თანხა, ძალზე გაჭიანურდა. ამას დაემატა XX საუკუნის 10-იანი წლების პერიოდისა და პირველი მსოფლიო ომის სამეურნეო ნგრევა, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა მუზეუმის შენობის აგების გეგმა.

ამ პერიოდში გამოითქვა მოსაზრება, რომ გაერთიანებულიყო ქ/კ. გამავრცელებელი და საისტორიო საზოგადოებების მუზეუმები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო ე.წ. "ქართული მუზეუმი.[415]" ამის შესახებ ქ/კ. გაამავრცელებელი საზოგადოების 1912 წლის საერთო კრებაზე. მიიღეს სათანადო დადგენილებაც: "მას აქეთ, რაც ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების გარდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დაარსდა მუზეუმი, დაიბადა აზრი ამ ორი მუზეუმის შეერთებისა, ეს აზრი დაფუძნებულია

---

[414] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1911 წლის ანგარიში, გვ. 63.

[415] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1915 წლის ანგარიში, გვ. 23.

იმ ჭეშმარიტებაზე, რომ ერთის კარგის მუზეუმის მოწყობა თავისთავად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ხოლო ორის კარგის მოწყობა, უფრო ძნელია და ჩვენის ერისთვის თითქმის შეუძლებელიც არის. ამიტომ თუ გვინდა, რომ ქართველებს ერთი ღირშესანიშნავი მუზეუმი გვქონდეს, საჭიროა შეერთებულ იქნეს ერთ მუზეუმში ყველა ის სამუზეუმო ნივთები, რომელნიც კი ქართველების ხელთ არიან"[416]. ნათქვამი იყო საზოგადოების გამგეობის მოხსენებაში. მაგრამ, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ჩაშალეს აღნიშნული მოსაზრების განხორციელება.

უბინაობის მიუხედავად, წ/კ. საზოგადოების მუზეუმის ფონდები მაინც იზრდებოდა. 1912 წელს მუზეუმის 22 განყოფილებაში დაცულმა ნივთებმა შეადგინა 925 ერთეული, ნუმიზმატიკურ განყოფილებაში იყო 2510 ვერცხლის, 2655 სპოლენძის მონეტა და 12 ქაღალდის ბანკნოტი, მხატვრული სურათების კოლექცია ითვლიდა 1714 ცალს, ძველი ხელნაწერების რიცხვი 1835 ეგზემპლარს აღწევდა.[417]

ამავე წელს, ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ქონება და ბიბლიოთეკა უანდერძა წ/კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

1911--13 წლებში მუზეუმის ფონდები თავიანთი შემოწირულობებით გაამდიდრეს მარი ბროსემ, პ. კოკოჩაშვილმა, რაფ. ნებიერიძემ, გ. აბაშიძემ, პ. გერმანაშვილმა, ალ. მაჩაბელმა მ. ნიჟარაძემ, გ. რატიშვილმა, მ. კიკნაძემ, ი. მაჭავარიანმა ბ. ახოსპირელმა და სხვებმა.

1913 წელს ნ. ღოღობერიძემ საზოგადოებას უანდერძა 45000 მანეთი. 1913 წლის შემოსულობიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პროფ. პ. მელიქიშვილის მიერ გაღებული შემოწირულობა, რომელიც წარმოადგენდა "დიდ მეცნიერულ განძს".

1914 წელს მუზეუმი გამოცალკევდა წიგნსაცავისგან. სამუზეუმო ნივთები განლაგდა ცალკე დარბაზში, შეკეთდა კარადები და ვიტრინები. ქრონოლოგიურ რიგზე დალაგდა სიგელ-გუჯრები. ამ წელს მუზეუმმა შეიძინა მოსე თოიძის მიერ ეთნოგრაფიულ თემაზე შესრულებული 4 მხატვრული ტილო.

საზოგადოების მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ლაიფციგის საერთაშორისო გამოფენაზე. გერმანიაში გაიგზავნა მუზეუმის

---

[416] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1915 წლის ანგარიში, გვ. 32.

[417] ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების 1912 წლის ანგარიში, გვ. 101.

საუკეთესო ექსპონატები: სურათები, ხელნაწერები და მინიატურები.

ამ წლებში მუზეუმში დაცულ ექსპონატთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: (ცხრილი 16):

წლები	1912	1913	1914	1915
ისტორიული ნივთ.	925	940	975	987
ხელნაწერები	1835	1916	1940	1956
ნუმიზმატიკა	5177	5300	5340	5371
სიგელ-გუჯრები	1267	1303	1341	1363
სურათები	1714	2706	3011	3087
წიგნები	6880	8684	10723	11916
სულ	17795	20849	23330	24678

1915 წელს ნუმიზმატიკურ კოლექციაში ირიცხებოდა 2625 ვერცხლის და 2734 სპილენძის მონეტა, აქედან 1511 იყო ქართული, 397–რუსული, 881–ბერძნულ-ბიზანტიური, 194–ევროპული და 2388–აზიური.[418]

ამ პერიოდში მუზეუმის ფონდები გაამდიდრეს ისტორიული ნივთების შეწირვით:–დ. სონღულაშვილმა, ი. ხმალაძემ, მ. დადიანმა, დ. კარიჭაშვილმა, რ. ყირმიზაშვილმა, შ. ჩაგუნავამ, ი. ჯორჯაძემ, ს. გელაშვილმა, ლ. ბოცვაძემ, დ. ყაჩნაძემ, ა. ჯაველმა და თ. ფორაქიშვილმა.

ნუმიზმატიკური მასალების გადმოცემით:–მ. სიხარულიძემ, გ. ბეგეჭკორმა, ი. ყიფიანმა, გ. ფოფხაძემ, შ. ვარდაძემ, ა. პატარაიამ, ბ. ცინცაძემ, ა. ავალიშვილმა, ა. ხერხეულიძემ, თ. ნაცვლიშვილმა, მ. მაყაშვილმა , ს. ხმალაძემ, გ. ნათიშვილმა, ს. ჯაფარიძემ და მ. ბურდულმა.

ძველი სიგელებისა და ხელნაწერების შემოწირვით:—შ. თუხარელმა, მ. საყვარელიძემ, ა. კახაბერმა, ი. ქანანოვმა, ი. თაქთაქიშვილმა, ი. დეკდაბრიშვილმა, ს. რცხილაძემ, ი. ციციშვილმა, კ. აბაშიძემ და ი. ბათიაშვილმა.

I მსოფლიო ომის შემდეგ გაჩაღებულმა საიმპერიალისტო ომმა და რევოლუციებმა ძალზე უარყოფითად იმოქმედა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაზე.

ეკონომიკის კატასტროფულ დაქვეითებასა და ანარქიას მოჰყვა მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან ყურადღების შესუსტება. 1915 წლის შემდეგ ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ საერთოდ შეწყდა საზოგადოების მუზეუმის მიერ ექსპონატების ძიება. მუზეუმის საქმიანობა აქ დაუნჯებული ხელნაწერებისა.

---

[418] ქ.შ.წ.ქ. გამავრცელებელი საზოგადოების 1915 წლის ანგარიში, გვ. 139

და სამუზეუმო ნივთების დაცვით, კონსერვაციით და სხვა საფონდო სამუშაოებით შემოიფარგლებოდა. ამ პერიოდში ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება მხოლოდ საგამომცემლო სამუშაოებს აწარმოებდა.

1919 წელს დაიწყო წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა ლიკვიდაცია. მათი ქონება და ფუნქციები ერობებსა და ქალაქების ადგილობრივ თვითმართველებს გადაეცა.

20–იანი წლების დამდეგისთვის ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ფუნქციონირება თითქმის შეწყვეტილი ჰქონდა. 1922 წლის 8 იანვარს მას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა "წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოება" და განათლების სახალხო კომისარიატს დაექვემდებარა.

1925 წლის ბოლოს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ბიბლიოთეკა და არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ექსპონატების ნაწილი, განსაკუთრებით კი ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები გადაეცა საისტორიო და ეთნოგრაფიულ საზოგადოებას. თბილისის უნივერსიტეტმა წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისაგან მიიღო: (ცხრილი 17): [419]

ხელნაწერი წიგნები	2.214 ც.
სიგელ–გუჯრები და სხვა დოკუმენტები	1.600 ც.
ქართული ნაბეჭდი წიგნები	5.286 ც.
რუსული და სხვა ენებზე ნაბეჭდი წიგნები	6.348ც.
სამუზეუმო ნივთი არქეოლოგიური	851 ც.
ეთნოგრაფიული	199 ც.
ნუმიზმატიკური	5.518 ც.
მხატვრული სურათი	155 ც.
ფოტოგრაფიული სურათი	9.303 ც.
სულ	10026 ც

მთავრობის დადგენილებით 1926 წლის ბოლოს წ/კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ჩამოერთვა იურიდიული პირის უფლება. 1927 წლის დასაწყისში შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია, რომელმაც ამაყე წლის 20 ივნისს დაამთავრა თავისი საქმიანობა და მიახდინა წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების

---

[419] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი (შემდეგ შემოკლებით – სუი არქივი), ფ. 481, ან. 1, საქმე 2137, ფ. 10.

ლიკვიდაცია. საზოგადოების დარჩენილი ქონება გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირს.

ამრიგად, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ცდილობდა პირნათლად მოეხადა თავისი ვალი მამულის წინაშე. ქართული სკოლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმის გახსნით და მშობლიურ ენაზე წიგნების გამოცემით, მას განათლება შეჰქონდა მოსახლეობაში და აღვივებდა მათ ინტერესს წარსული კულტურის ნაშთებისადმი.

საზოგადოების მუზეუმმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის ამაღლების საქმეში, როცა ეძიებდა, კრებდა, ინახავდა და ამზეურებდა ჩვენი საზოგადოების სულიერების უძვირფასეს განძს: ძველ ხელნაწერებს, წიგნებს, დოკუმენტებს, სიგელ-გუჯრებს და ისტორიულ ნივთებს. ამით მან ისინი დაკარგვას გადაარჩინა და შთამომაჟლობას შემოუნახა. წ/კ. საზოგადოების მიერ მოგროვილმა და მის მუზეუმში დაცულმა ბევრმა ექსპონატმა შემდგომში გააშდიდრა საქართველოს მუზეუმის ფონდები.

§ 7. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი.

საქართველოს სამუზეუმო ცხოვრებაში XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ქართველი ერის თვითშეგნებისა და განათლების ამაღლებისთვის ბრძოლაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს ჩაენაცვლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი. სწორედ ამ უკანასკნელმა იტვირთა ქართული კულტურის ძეგლების, ნივთებისა და სხვა წარსულის ნაშთების მოძიება, შესწავლა, შეგროვება და მათი გადარჩა.

თუ წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოება ძირითადად კულტურულ- საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დაკავებული, ამ პერიოდში მის გვერდით დაარსებული ასევე საზოგადოებრივი დაწესებულების- საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების-- მუშაობის მთავარ მიმართულებად სპეციალური საქმიანობა გამოიკვეთა.

ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა სწორედ ამ საზოგადოებას დაუკავშირა თავისი საქმიანობა და მთელი თავისი ძალები ერის ისტორიისა და კულტურის ამსახველი მასალების მოძიების, შეგროვების და შესწავლისკენ წარმართა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წარმატებით შეძლო ერის სამსახურში ჩაეყენებინა მთლი იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობა და სამეცნიერო პოტენციალი.

რევოლუციური მოძრაობით დამფრთხალი ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართველი ხალხის ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის და შერიგებოდა ეროვნული სამეცნიერო საზოგადოებების აღმოცენებას.

ქართველი საზოგადოება მტკივნეულად განიცდიდა იმ გადაუჭრელ პრობლემას, რომელიც წ/კ. გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე უბინაობის გამო იდგა. გადიოდა წლები მაგრამ ამ პრობლემას ვერაფრით ვერ შველოდნენ. ამიტომ XIX საუკუნის ბოლოს ისევ მკვეთრად დადგა საკითხი ქართული მუზეუმის-"საერო სახლის" დაარსების შესახებ. ილიასეული "ივერია" 1895 წელს აღნიშნავდა: "დიდად სასურველია, რომ ამ XIX საუკუნის დამლევში მაინც

მოიფიქროს ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ, რომ საერო სახლის, მუზეუმის აგება საჭირო არის და მით გაუჩინონ ბინა მას, რაც კიდევ დარჩენილა ჩვენს ქვეყანაში ძველი ნივთნი და ნაშთნი და ყველა ერთად მოაწყოს ჩვენ წინაპართა სასახელოდ და სადიდებლად."[420]

"მუზეუმის აშენება სხვა საჭიროებაზედ მაღლა სდგას– წერდა დ. კარიჭაშვილი--ეს უბრალო შენობა იქნება ძეგლი მთელი ქართველობისა, იგი იქნება საკუთრება არა ერთის რომელიმე საზოგადოებისა, არამედ საზოგადოდ მთელის ერისა და კერძოდ თითოეულის ქართველისა".[421]

ცნობილი მეცნიერი ალ. ხახანაშვილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ წ/კ. საზოგადოების მუზეუმის შენობის აგების იდეის "შეფერხება, რასაც რასაკვირველია ჩვენ ხელმოკლეობას და საერთო სიღარიბეს ეაბრალებთ...პატივსადებს საბუთს არ გვაძლევს დავიწყებას მივცეთ ზემოხსენებული კეთილი განზრახვა"[422] და აყენებდა "საერო," ქართული სახლის აშენების გეგმას. მისი აზრით, ეს "საერო" სახლი უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის "პატარა უნივერსიტეტი და სამეცნიერო აკადემიაც, შესაფერისი მოწყობილობებით," რომელშიც მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გარდა თავშესაფარს პოვებდა სხვადასხვა ქართული საზოგადოებები. აქ მოთავსდებოდა აგრეთვე სალექციო აუდიტორიები, ლაბორატორიები, გამომცემლობები და სხვა.

ამგვარად, სამუზეუმო ტიპის ეროვნულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნას, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები უკავშირებდნენ საერთოდ ქართული სამეცნიერო კერის საფუძვლის ჩაყრის საკითხს.

მომძლავრებულ ქართული სამეცნიერო ძალების თაოსნობით შექმნილ სამეცნიერო საზოგადოებებს წინ უძღოდა წრეების ჩამოყალიბება. XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა წრე. გაზეთი "ცნობის ფურცელი" აუწყებდა თავის მკითხველებს: "სდგება პატარა წრე ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა, რომელნიც აპირებენ თავიანთ შორის შეაგროვონ თანხა და შეუდგნენ საისტორიო და საარქეოლოგიო მასალების ბეჭდვას"[423] და

---

[420] გაზ. "ივერია", 1895 წლის 26 ნოემბერი. № 256.
[421] გაზ. "ივერია", 1898 წლის 25 იანვარი, № 18.
[422] ჟურნ. "კვალი" 1895, № 47.
[423] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1896 წლის 31 ოქტომბერი, № 12.

მოუწოდებდა დახმარებოდნენ "ამ სასარგებლო და ფრიად საჭირო საქმეში."

XX საუკუნის დასაწყისში, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა შექმნეს "ქართული კულტურის მოყვარულთა წრე", რომელსაც უწოდეს ილია ჭავჭავაძის სახელი.[424] შემდეგში აღნიშნული წრე უკვე თბილისში ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით გადაკეთდა "საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მოყვარული წრედ". ამ წრის ჩამოყალიბებას საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა. წრის წევრები: ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით კარიჭაშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, სერგო გორგაძე და სხვები, რომელთაც სათავეში ექვთიმე თაყაიშვილი ედგა, ცდილობს ზემოთ ხსენებული წრის ბაზაზე სამეცნიერო–საზოგადოებრივი დაწესებულების საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო (შემდგომში შემოკლებით--ს.ს.ს.) საზოგადოების დაარსებას. მისი მიზანი იქნებოდა მოეძია და გამოემზეურებინა ისტორიული სიძველენი, გაეცნო ერისათვის თავისი წარსული და ამით ჩაენერგა მოსახლეობისათვის უკეთესი მომავლის იმედი. ამ მოძრაობა'ში თავიდანვე ჩაებნენ ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებიც: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, თავადები–ე.ლ. მიქელაძე, პ. თუმანიშვილი, ი. აფხაზი, მ. მაჩაბელი; სამხედროები: გ. ყაზბეგი, ბ. ვასაძე ნ. დიასამიძე; სასულიერო პირები: დეკანოზი ა. თოთიბაძე, მღვდელი კ. ცინცაძე, დეკანოზი კ. კეკელიძე; მეწარმეები: დ. სარაჯიშვილი, ნ. ღოღობერიძე და მ. ჯამბაკურ–ორბელიანი; მეცნიერები: ა. ცაგარელი, მ.მუსხელიშვილი; ინტელიგენციის წარმომადგენლები: ალ. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ყიფშიძე, ს. გორგაძე, კ. მაყაშვილი და სხვები.

ზემოთ დასახელებულ პირთა ძალისხმევით შედგა წესდების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად. წარედგინა ახლად დანიშნულ კავკასიის მეჯისნაცვალს გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვს. მთავრობამ, რომელიც ცდილობდა ქვეყნის დემოკრატიული პროცესებისაღმი ხელშეწყობის ილუზიის შექმნას, 1907 წლის 20 ივნისს მიიღო საზოგადოების წესდება.

ამავე წლის 20 სექტემბერს დავით სარაჯიშვილის სახლში, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს დარბაზში (დღევანდელი–ბელინსკის ქ. №2) შედგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პირველი კრება.

---

[424] სცი არქივი, ფ. 2094 ან. I, საქ. 94, ფ. 6.

მან საზოგადოების დამფუძნებლებად 38 წევრი აირჩია. წესდების მიხედვით, საზოგადოება მიზანად ისახავდა საქართველოს ისტორიის შესწავლისა და ქართველი ხალხის ცნობიერების ამაღლებისთვის მოეძია, შეეკრიბა, შეესწავლა და შთამომავლობისთვის შემოენახა ერის ისტორიის ამსახველი ყოველგვარი ნიეთი თუ დოკუმენტური მასალა. ამიათვის მას უნდა მოეწყო ექსპედიციები, ექსკურსიები და გამოფენები; გაემართა საჯარო ლექციები, დისკუსიები და კრებები; გაეშალა ფართო საგამომცემლო საქმიანობა, დაეარსებინა მუზეუმი და ციგნსაცავი, გამოენახა სახსრები, როგორც მუზეუმის შენობის ასაგებად, ისე საზოგადოების უზრუნველსაყოფად.[425]

ს.ს.ს. საზოგადოება შედგებოდა საპატიო, მზრუნველი, ნამდვილი, კორესპონდენტი და დამხმარე წევრებისაგან. საზოგადოების საქმიანობას ხელმძღვანელობდა საზოგადო კრება და არჩეული საბჭო. ს.ს.ს. საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის მანძილზე სულ გაიმართა საბჭოს 158 სხდომა და 124 საზოგადო კრება.[426] საბჭო შედგებოდა 9 პირისაგან (თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველები, მდივანი, ხაზინადარი და 3 წევრი). პირველსავე კრებაზე საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ექ. თაყაიშვილი.

ეკეთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი (1863-1953) წყაროთმცოდნე, არქეოგრაფი, არქეოლოგი, საზოგადო მოღვაწე. ოზურგეთის სასწავლებლისა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1887 წელს საშუალებლიში დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და გიმნაზიაში. პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის აღზრდილი ახალგაზრდობიდანვე აგრძელებს წყაროთმცოდნეობის დარგში თავის მასწავლებლების მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის გზას. ხელს ჰკიდებს საქართველოს სიძველეთა შეკრებას და მათ მეცნიერულ დამუშავებას. თავისი დაუღალავი შრომით ეღიღესი ამაგი დასდო ძველი ქართული ხელნაწერების, სიგელ-გუჯრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა გამომზეურებას, შესწავლასა და გადარჩენას. მისი ნაშრომები ორჯერ (1907, 1911 წწ) დაჯილდოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით და მიჩნეული იქნა "იშვიათ და ძვირფას შენამატად რუსული ორიენტალისტიკისა".

---

[425] საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდება, ტფ. 1910 წ. გვ. 2.

[426] თაყაიშვილი ე., მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში, კრებულში—აკად. ე. თაყაიშვილი, თბ. 1966, გვ. 192.

თაეისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ე. თაყაიშვილი მრავალი საზოგადოებრივი და კულტურული საქმის მოთავე და მესვეური იყო: 1888 წ. მას ირჩევენ ნ/ა გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, 1889 წ. დიმიტრი ბაქრაძის წინადადებით—საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად, იმავე წელს ხდება ქართული დრამატული საზოგადოების წევრი, 1891 წ. —"წიგნების გამომცემელთა ამხანაგობის" წევრი. მომდევნო წლებში—თბილისის სამეურნეო საზოგადოების ბანკის გამგეობის წევრი, 1902 წ. —კავკასიის სტუდენტთა საზოგადოების გამგეობის წევრი და ქართველთა სათეისტომოს საპატიო წევრი, 1907 წ. —საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავჯდომარე, 1913 წ.— ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წევრი, 1915 წ. —კავკასიაში ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების წევრ-თანამშრომელი, 1916 წ. —კავკასიის კუსტარული საზოგადოების კომიტეტის წევრი და სხვა.[427]

ე. თაყაიშვილი 1894 წ. არჩეული იყო საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრ-თანამშრომლად, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების წევრად, 1901 წ. იყო—გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის თბილისის განყოფილების წევრი, 1907 წ.—კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1922 წ.—საყრანცვეთის ნუმიზმატიკური საზოგადოების წევრი და პარიზის აზიური საზოგადოების წევრი; იყო თბილისის უნივერსიტეტისის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პროფესორი და არქეოლოგიური კათედრის გამგე.

საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოსავლენად და შესასწავლად შემოიარა თითქმის მთელი საქართველო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მისი ხელმძღვანელობით 1902, 1907 და 1917 წლებში განხორციელებულ ექსპედიციებს.

იდია მისი ღვაწლი ემიგრაციის დროს სამეუზეუმო ძვირფასეულობის მოვლა პატრონობისა და გადარჩენის საქმეში. ამისთვის ქართველმა ხალხმა მას "საქართველოს მეგზურ-ანგელოზი" უწოდა. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) აირჩიეს დაკით კარიჭაშვილი, ხაზინადარად—ალ. სარაჯიშვილი, საზოგადოების მუზეუმ—ბიბლიოთეკის მცველად ილია ფერაძე, 1909 წლიდან ამ

---

[427] ლომთათიძე გ. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოერება და ღვაწლი, კრებულში—აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1966, გვ.36.

თანამდეობაზეა ალ. სარაჯიშვილი, საზოგადოების მდივნად არჩეული იქნა სერგო გორგაძე.[428]

ს.ს.ს. საზოგადოების ჩამოყალიბებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა მოსახლეობა. იგი ნამდვილად საერთო—ეროვნული ორგანიზაცია ხდება. მისი წევრები იყვნენ ერის სასიქადულო შვილები: აკაკი წერეთელი, ვაჟა—ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე; უმაღლესი სასულიერო პირნი: კირიონი, ლეონიდე, ალექსანდრე, პეტრე ეპისკოპოსი; ხელოვნების მუშაკნი: ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი; დიდი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, იოსებ თარხნიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები.

პირველ წელს საზოგადოებაში თუ ირიცხებოდა 98 წევრი, ერთი წლის შემდეგ ეს რიცხვი 436—მდე გაიზარდა. საზოგადოების სახსრებს შეადგენდა წევრთა საწევრო გადასახადები და მოსახლეობისგან გაღებული შემოწირულობანი. მაგალითად, მზრუნველი პირის საწევრო წლიური გადასახადი 600 მანეთამდე აღწევდა. ს.ს.ს. საზოგადოების საქმიანობის პირველ წელს საზოგადოების ბიუჯეტი 379 მანეთს და 76 კაპ. შეადგენდა, ხოლო 10 წლის შემდეგ საზოგადოების შემოსავალმა 14000 მანეთს მიაღწია, ხოლო 1916 წლის ბალანსი უდრიდა 89.257 მან. და 98 კაპ.[429] ფულადი სახსრების გარდა, საზოგადოებას სწირავდნენ ისტორიულ ნივთებს, ძველ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს და სხვა.

პირველსავე საზოგადო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულიყო ანთროპოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ნუმიზმატიკის განყოფილებები.

მოძიებული და შეგროვებული ნივთების დასაბინავებლად და დასაცავად საზოგადოების წესდების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, უნდა გაეხსნათ მუზეუმი, რომლის ძირითადი ამოცანა იქნებოდა ისტორიული ნივთებისა და დოკუმენტების მოძიება და დაცვა, რათა "საზოგადოების თვალსაწიერიდან არ დაკარგულიყო წარსულის ნაშთების აღნუსხვა, შესწავლა და მოელა—პატრონობა."

---

[428] კრებული, "ძველი საქართველო", ტ. III, ტფ; 1913, გვ 3.

[429] თაყაიშვილი ე., დასახ. ნაშრ., კრებულში —"ე. თაყაიშვილი"გვ. 199.

ს.ს.ს. საზოგადოების მუზეუმის დაარსების ნებართვა ოფიციალურად 1912 წლის 24 იანვარს გაიცა, თუმცა ამ პერიოდისათვის საზოგადოებას უკვე ჰქონდა დაგროვილი საკმაო რაოდენობის სამუზეუმო ექსპონატები. პირველ ხანებში ძველი წიგნები და ხელნაწერები თუ გროვდებოდა. პირველი ექსპონატები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მუზეუმ-ბიბლიოთეკის ფონდებს იყო ნიკოლოზ ხიზანიშვილის (ურბნელის) ქვრივის მიერ 25 ცალი ძველი ქართული წიგნისა და 52 ცალი არაქართული წიგნის შეწირვა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ისტორიის მოყვარულთა წრის მიერ გამოცემული "თამარიანის"და 70-იოდე მანეთის შემოწირვა.

საზოგადოების მუზეუმი მოთავსდა სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებულ საადგილმამულო კომისიის ოთახის ერთ-ერთ კუთხეში. მუზეუმის ფონდების გამდიდრების საქმეში დიდი წელილი შეიტანა 1907 წელს დაარსებულმა სამუზეუმო კომისიამ, რომლის თავჯდომარე იყო ექ. თაყაიშვილი, კომისიის წევრები კი—ალ. სარაჯიშვილი, დ. ცეცხლაძე და სხვები.

კომისიამ ენერგიული მუშაობა გააჩაღა სამუზეუმო ნივთების მოსაძიებლად და შესაგროვებლად. ექსპონატები მუზეუმში ხვდებოდა შემოწირულობათა და შესყიდვის გზით.

1908 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი შემოწირულობა შემოვიდა ექ. თაყაიშვილმა მუზეუმ-ბიბლიოთეკას გადასცა ორი ხელნაწერი: ვახტანგის VI კანონები და სამართალი. მას სხვებმაც მიბაძეს: მოსე ჯანაშვილმა მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნივთები შესწირა, თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა—ექვსი ძველებური ბეჭედი, არაბული მონეტა, საკალატოზო შეეული (მინანქრიანი), დასაკეცი ხატის ძვლის პატარა კარი და სხვ; ვენერალმა ვლადიმერ მაყაშვილმა—1691 წლის ხელნაწერი "დავითნი" და 1738 წლის ხელნაწერი "ჟამლოცვანი"; მარიამ ჯამბაკურ—ორბელიანისამ ვერცხლით ნაწყობილი კეხი, ოქროთი დაფერილი ხატი, ვერცხლის რახტი, ოქრომკერდით ნაკერი ქალის პირსაბური, სამღვდელო ფილინი, სტიქარი, ქამარი, ოლარი და მარგალიტით შემკული საბუხრეები.[430]

1909 წლის ბოლოს მუზეუმის ფონდებში უკვე ირიცხებოდა 79 სამუზეუმო ნივთი—ძირითადად: ნუმიზმატიკური მასალა, საეკლესიო და ეთნოგრაფიული ნივთები. მაგრამ სამუზეუმო

---

[430] რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ. 1982 წ. გვ. 68.

ნივთების შეკრებას და სათანადოდ მოვლა-პატრონობას ხელს ძალზე უშლიდა თითქმის ყველა მუზეუმისთვის დამახასიათებელი სენი—საგამოფენო და საფონდო ფართის სიმცირე. ს.ს.ს. საზოგადოების მესვეურები თავიდანვე ენერგიულად აყენებდნენ მუზეუმისათვის შესაფერისი შენობის აგების საკითხს. ექ. თაყაიშვილი 1907 წლის სექტემბერში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში წერდა: "ამჟამად, ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს მუზეუმის აშენება, სადაც უნდა მოთავსდეს ქართული კულტურის ნაშთები, რომელიც ეხლა "წერა-კითხვის საზოგადოებაში" ინახება. ამ მუზეუმში უნდა შევკრიბოთ ყოველგვარი საისტორიო, საარხეოლოგიო, სალიტერატურო და საეთნოგრაფიო ნაშთები და ნიმუშები საქართველოს ერისა. მუზეუმი უნდა მოვაწყოთ ისე, რომ საქართველოს წარსული და აწმყო ნათლად გვედგას თვალწინ".[431]

მუზეუმში ექსპონატების დაგროვებასთან ერთად, სამუზეუმო კომისიის და მისი თავეკაცის ექ. თაყაიშვილის ძალისხმევით, შესაძლებლობა შეიქმნა საზოგადოების მუზეუმ—წიგნსაცავისთვის უფრო ვრცელი ფართის გამოყოფა, თბილისის სათაყვანებელი გიმნაზიის შენობის (ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის შენობის I კორპუსი) მეორე სართულის ვრცელ დარბაზში. მოგვიანებით მუზეუმმა ამავე შენობის მესამე სართულზეც მთელი მარჯვენა ფრთა დაიკავა. შემდგომში აქ წერა—კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავ—მუზეუმიც გადმოვიდა, რითაც ბედად გადაურჩა იმ ხანძარს, რომელიც გაჩნდა ამ მუზეუმის ძველ სადგომზე—დ. სარაჯიშვილის ქარვასლაში.

ოფიციალური ნებართვის მიღების შემდეგ, უფრო სწრაფად დაიწყო მუზეუმის ფონდების ექსპონატებით გამდიდრება.

1911 წელს მუზეუმს მნიშვნელოვანი ძველებური ხელნაწერები შესწირეს: ა. ქვლივიძემ, დ. ყიფიანმა, ზ. მაღალაშვილმა, ს. გამრეკელმა, ს. ჯაერიშვილმა, ა. გარაყანიძემ, გ. ყარანგოზაშვილმა და სხვებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. საყვარელიძის მემკვიდრეების მიერ გადმოცემული ვახტანგ მეექვსის დროინდელი სიგელ—გუჯრები, ხელნაწერები, 31 ვერცხლისა და 29 სპილენძის მონეტები; ასევე მნიშვნელოვანი იყო ლეონარდ ზუბალაშვილის მიერ შემოწირული 14 დოკუმენტი, ბიბინა მაყაშვილის მიერ გადმოცემული XIX საუკუნის ხელნაწერები, საპსონ

---

[431] გაზ. "ისარი" 1907 წლის 14 სექტემბერი, №201.

ბაიდაშვილის მიერ ნაჩუქარი 60 სიგელ–გუჯარი, "სამდივნოს წიგნი", "წიგნი ზეციდან ბოძებული" და სხვა სიძველენი; მანვე მუზეუმს შესწირა ეკმების განთავისუფლების აღსანიშნავად მოჭრილი მედალიონი; ნატალია გობედაშვილმა--ხელნაწერი "ბეჟანიანი", თეიმურაზ პირველის თხზულებანი და სხვები; დუშიკო ფავლენიშვილმა–ტყავსა და ქაღალდზე დაწერილი 8 საგელი; ი. მაჭავარიანმა—"არჩილიანის" XVIII საუკუნის ხელნაწერი; რაჟდენ დათეშიძემ--"ვეფხისტყაოსნის" XVII საუკუნის ხელნაწერი და სხვა.[432]

მუზეუმს ძველი ნივთები უსახსოვრეს: ე. გულისაშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა, ე. კვესაძემ, ქ. ჯანდიერმა, ნ. ჯავრიშვილმა, ს. ღამბაშიძემ და სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო: მღვდელ იოსებ ჩიტაძისაგან საჩუქრად მიღებული ალექსანდრე ბატონიშვილისეული თოფი, ორი დამბაჩა, ხანჯალი, 9 ქართული და ბიზანტიური მონეტა, 4 ქართული თეთრი და სხვა; გენერალმა სპირიდონ ანდრონიკაშვილისგან—ორი სპილენძის ძველებური ჯვარი და ქათიბის 24 ოქროს ღილი; ალექსანდრე სარაჯიშვილმა-- რკინით შეჭედილი დიდი ძველებური სკივრი; ანა კაპანაძისამ-- ღვთისმშობლის ხატი და სადაფი.

მუზეუმს ნუმიზმატიკური მასალა შესწირეს: ვ. დეკანოზიშვილმა, დ. ჯავრიშვილმა, გ. ასათიანმა, ა. მინდელმა, ნ. ახმეტელაშვილმა, ვ. კანდელაკმა, ნ. ქარსელაძემ, ვ. ნახუცრიშვილმა, ო. გორგაძემ, ი. პაიჭაძემ, გ. ყაზბეგმა და ნ. შატბერაშვილმა.

განსაკუთრებით მნიშნელოვანი იყო: მღვდელ ალექსანდრე ფხალაძის მიერ შემოწირული რუსუდან მეფის დროს მოჭრილი მონეტა, სპილენძის 11 და ვერცხლის 5 მონეტა და ვახტანგ კანდელაკის მიერ გადმოცემული კოლხური თეთრი.

დროთა განმავლობაში საზოგადოების მუზეუმმა ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ნივთებისა, და ფოლკლორული მასალების მოძიებისა და შეკრების მიზნით, დაიწყო ფართო საექსპედიციო საძიებაოების განხორციელება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილ ექსპედიციებში მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ საგანგებოდ მოწვეული მეცნიერები, მხატვრები, ფოტოგრაფები და სხვადასხვა სპეციალობის მქონე პირები. სულ მოეწყო ორმოცზე მეტი ექსპედიცია: ქართლი, კახეთი, ქიზიყი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი-- ეს იყო არასრული სია საქართველოს იმ

---

[432] "ძველი საქართველო", ტ. III ტფ. 1914, გვ. 5.

კუთხეებისა, სადაც მუზეუმის ექსპედიცია სწავლობდა მატერიალური კულტურის ძეგლებს. იღებდა ნახაზებს, გეგმებსა და ფრესკის ასლებს. ამ ექსპედიციების დროს ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლის მეცნიერული დონე.

ეკლესია–მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოხატვა საგანგებოდ მოწვეული ახალგაზრდა მხატვრების მიერ, მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდებოდა. ძირითადად ხდებოდა დინასტიური პორტრეტების: ქართველ მეფე–დედოფალთა, ერისთავებისა და დიდებულთა ფრესკის პირების დამზადება. ფრესკის ასლები შესრულდა შემდეგი ეკლესია–მონასტრების კედლებიდან: ბეთანია, საფარა, მცხეთა, ჟინწვისი, ჭულევი, ტიმოთეს უბანი, ნაბახტევი, ნაყურალეში, ტაბაკანი, ვანი, გარეჯი, ბერთუბანი და ნეკრესი.[433]

მუზეუმმა მოიძია და შეკრიბა მრავალი ისტორიული ღირებულების მქონე ნივთი და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში, ძველი ხელნაწერი და სიგელ-გუჯარი. ეს ექსპედიციები მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ დროთა განმავლობაში ბევრი ძეგლი დაინგრა, ფრესკა განადგურდა, მრავალი ისტორიული ნივთი საერთოდ გაქრა და მხოლოდ მუზეუმის მიერ ჩატარებული ამ სამუშაოების შედეგად თუ შემორჩა შთამომავლობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო I მსოფლიო ომის მიწურულს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში მოწყობილი ტაო–თორთუმ–ისპირის ექსპედიცია, რომელშიც ექ. თაყაიშვილის გარდა მონაწილეობდნენ არქიტექტორი ან. კალგინი, ი.ზდანევიჩი, ახალგაზრდა მხატვრები: დ. შევარდნაძე, ლ. გუდაშვილი, და მ. ჭიაურელი. ექსპედიციას დიდი დახმარება აღმოუჩინეს I მსოფლიო ომში მონაწილე ქართველმა ოფიცრებმა. შესწავლილი იქნა ხახულის, ეკეკის, ოშკის, იშხანის, ბანას, პარხლის ტაძრები, თორთუმის ციხე და სხვა ქართული ხურიოთმოძღვრული ძეგლები. გაკეთდა მათი მეცნიერული ანახაზები და გეგმები. ფიქსაცია გაუკეთდა მატერიალური კულტურის ძეგლებს, არქიტექტურულ დეტალებს და მნიშვნელოვან საგნებს, გადმოღებული იქნა ფრესკებიდან ასლები და სხვა. როგორც ექ. თაყაიშვილი აცხადებდა: "ამ ექსკურსიების დროს არის უმეტესად შეგროვილი ჩვენი

---

[433] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., კრებულში –"ე. თაყაიშვილი," გვ. 195.

მუზეუმ—ბიბლიოთეკის ნივთები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრნი, სურათები, ფრესკები და გეგმები".[434]

ექსპედიციებში მოძიებული, შესყიდული თუ შემოწირული ძასალების შესწავლის გარდა, მუზეუმი მნიშვნელოვან საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა. მიღებული მეცნიერული შედეგები და დასკვნები ცნობილი ხდებოდა საზოგადოების კრებებსა და ფართო აუდიტორიის სამსჯაროზე. საზოგადოების კრებები სისტემატურად იმართებოდა თითქმის ყოველ თვეში. ამ კრებებზე საზოგადოების მიმდინარე საკითხების გარდა ისმენდნენ სამეცნიერო ლექცია-მოხსენებებს როგორც საზოგადოების წევრები, ისევე მოწვეული სპეციალისტები.

ს.ს.ს. საზოგადოების მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში მოწვეულ 124 კრებაზე სულ ჩატარებულა 88 საჯარო ლექცია. საზოგადოება ამ მხრივ, მეტად დაავალებული ყოფილა საზოგადოების წევრის ივანე ჯავახიშვილისაგან. იგი საზოგადოების სახელით და საზოგადოების სასარგებლოდ თითქმის ყოველ წელს კითხულობდა საჯარო ლექციებს. ივანე ჯავახიშვილის გარდა, საზოგადოების კრებებზე საჯარო ლექციები წაიკითხეს: ექვთიმე თაყაიშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, აკაკი შანიძემ, კორნელი კეკელიძემ, პავლე ინგოროყვამ, დავით კარიჭაშვილმა, სერგო გორგაძემ, გიორგი ჩუბინაშვილმა და სხვებმა. ლექციების თემები ეხებოდა საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, სამართლისა და კულტურის სხვადასხვა აქტუალური პრობლემებს. ლექციებს, როგორც ვთქვით, ფართო აუდიტორია ესწრებოდა და ყოველთვის ხალხით გაჭედილ დარბაზში ტარდებოდა.

ს.ს.ს. საზოგადოების სამეცნიერო სამუშაოთა შედეგები ხშირად ქვეყნდებოდა საზოგადოების გამოცემებში. ამისათვის დაარსდა ორი სერია: "ძველი საქართველო" და "საქართველოს სიძველენი". თუ პირველში ძირითადად ქვეყნდებოდა სამეცნიერო შრომები, ეამოკელეები ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მეორეში ისტამბებოდა თვით წყაროები: სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები, ისტორიული წერილები და სხვა დოკუმენტები. კრებული "ძველი საქართველო" სულ გამოვიდა ოთხ ტომად, ხოლო "საქართველოს სიძველენი" სამ ტომად. ამ წიგნში სულ დაიბეჭდა 1527 სიგელ-გუჯარი და სხვა საბუთები.

---

[434] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., კრებულში –"ე. თაყაიშვილი", გვ. 193.

ამ პერიოდში ს.ს.ს. საზოგადოება ქართველოლოგიის ცენტრის ფუნქციებსაც ასრულებდა. იგი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ლექსიკოგრაფიულ და ლინგვისტურ საკითხების კვლევაზე. ამ მიმართულებით მოღვაწეობდნენ: ა. შანიძე, ი. აბულაძე, პ. კარბელაშვილი, ს. გორგოძე, ი. სონღულაშვილი, გ. იმნაიშვილი და სხვები. საზოგადოება სცემდა ორ ფოლკლორული ხასიათის სერიას– "ძველი ქართული მწერლობა" და "ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება". 1914 წელს გამოიცა "ვეფხისტყაოსანი", ხოლო 1916 წელს—"შაჰნამეს" ქართული თარგმანის I ტომი. გამოსაცემად მომზადდა სხვა ნაშრომებიც, მაგრამ შემდგომში გამეყებულმა ანარქიამ 'ძეაფერხა მუშაობა.

ექსპედიციებში მოგროვებული მასალათა საფუძველზე მუზეუმმა ორჯერ მოახერხა მოეწყო თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობაში გამოფენების მოწყობა. 1914 წელს გახსნილ ფოტო გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო სამეგრელოსა და გურიაში შეკრებილი მასალა, რომელიც ასახავდა ამ რეგიონებში არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებსა და მხარის ეთნოგრაფიულ ყოფას.

1917 წელს მოწყობილ მეორე გამოყენაზე ძირითადად ნაჩვენები იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე ეკლესია–მონასტრებიდან აღებული ფრესკის პირები. აღნიშნულ გამოფენებს დიდი ინტერესი გამოუწვევია დამთვალიერებლებში, განსაკუთრებით მეორე გამოფენამ "დიდი ყურადღება მიიქცია თავისი ორიგინალობით, არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც"[435]

მუზეუმის ფონდები თანდათანობით მდიდრდებოდა სხვადასხვა შემოწირულობებით, შესყიდვითა და ექსპედიციებში მოგროვილი მასალებით.

1910 წელს მუზეუმში თუ იყო მხოლოდ 79 ექსპონატი და ისიც უმთავრესად ხელნაწერები და წიგნები, 1917 წლისათვის მუზეუმში უკვე ირიცხებოდა 2432 ერთეული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობის ნივთი, 550 ნაქსოვ–ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ტილო–ისტორიულ პირთა პორტრეტები.

განსაკუთრებით მდიდარი იყო მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი. ეს ფონდი ძირითადად შედგა სამი კოლექციისაგან: 1) საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის კირიონ II კოლექცია, რომელშიც ითვლებოდა 2700 ერთეული, უმთავრესად დასავლეთ ევროპისა და აზიის სახელმწიფოების მონეტები. 2) იაკობ

---

[435] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., კრებულში –"ე. თაყაიშვილი", გვ. 193.

მედეედიევისაგან შეძენილი კოლექცია, რომელიც ძირითადად ქართული მონეტებისაგან შედგებოდა და 3) ექვთიმე თაყაიშვილისაგან შემოწირული კოლექცია, რომელიც მოგროვებული ან შეძენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან.

მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში განსაკუთრებით გამოსარჩევი და მნიშვნელოვანი იყო ქართული მონეტები. აქ ბევრი ე.წ. "უნიკუმი" (იშვიათი) მონეტა მოიპოვებოდა. ქართული მონეტების ქრონოლოგია მოიცავდა პერიოდს—კოლხური თეთრიდან დაწყებული ქართულ—რუსული თეთრით დამთავრებული, რომელის გამოშვებაც შეწყდა 1833 წელს.

აღნიშნული მონეტების განსაზღვრაში, შესწავლაში, მეფეთა და დინასტიების მიხედვით მათ დალაგებაში საზოგადოების მუზეუმს უდიდესი სამსახური გაუწია ქართული ნუმიზმატიკის საუკეთესო სპეციალისტმა ევგენი პახომოვმა.

1917 წელს ქართული მონეტების ფონდი ითვლიდა 3883 ერთეულს, აქედან 1081—ვერცხლის, 2794—სპილენძის და 4—ბრინჯაოს მონეტას.[436]

ასევე გაიზარდა საზოგადოებაში დაცული წიგნადი ფონდი. 1917 წლისათვის აქ აღნუსხული იყო 9875 წიგნი. აქედან 1495 წიგნი ქართულ ენაზე იყო გამოცემული. ამავე პერიოდში აქ ირიცხებოდა 1427 ხელნაწერი, 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი და 160 ალბომი.

ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით, საზოგადოების მუზეუმის ფონდების არა მარტო გამდიდრებაში, არამედ მატერიალური სახსრებით დახმარებაშიც.

დაეით სარაჯიშვილმა ს.ს.ს. საზოგადოებას შესწირა 100 000 მანეთი. ამ თანხით ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე უნდა ეყიდათ მიწის ნაკვეთი, მუზეუმის ბინის ასაშენებლად.

პეტრე თუმანიშვილმა კი—საჩუქრად გადასცა ერთი დესეტინა ფართობის მიწის ნაკვეთი სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად. მან აგრეთვე ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვს დაამზადებინა საქართველოს ეკლესია-მონასტრების და სიძველეთა ფოტო-ალბომი და საჩუქრად გადასცა საზოგადოების მუზეუმს.

ნიკოლოზ ლოღობერიძემ მუზეუმს ანდერძით გადასცა თავისი ქონების საწილი, რომელიც შეფასებული იყო 13000 მანეთად.

---

[436] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., კრებულში —"ე. თაყაიშვილი", გვ.194.

მრეწველმა და მეცენატმა აკაკი ხოშტარიამ საზოგადოებას შესწირა 8000 მანეთი და სამუზეუმო ნივთები, ექიმმა ი. მრევლიშვილმა–5000 მანეთი, ნიკოლოზ ჯაველმა და მიხეილ მირიამულმა კი ათას-ათასი მანეთი.

ს.ს.ს. საზოგადოებას მატერიალურად ეხმარებოდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილებიც, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი თვითონ განიცდიდნენ მატერიალურ ხელმოკლეობას. აკაკი წერეთელმა ანდერძით საზოგადოებას გადასცა თავისი პატარა მამული და ის თანხა, რომელიც უნდა შეკრებილიყო მის დაკრძალვაზე გვირგვინების სანაცვლოდ. ეს თანხა შეადგენდა 13000 მანეთს.

იაკობ გოგებაშვილმა საზოგადოებას შესწირა სესხის მომგებიანი ბილეთი, რომლის ღირებულება ათას მანეთს უტოლდებოდა.

საზოგადოებას მატერიალური დახმარება გაუწია აგრეთვე საქართველოს კათალიკოს—პატრიარქმა კირიონ II, აკადემიკოსმა ნიკო მარმა, პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა და სხვებმა.

ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუგროვდა საკმაოდ სოლიდური ქონება. 1917 წლისათვის იგი შეფასებული იყო 700000 მანეთად.

1914—15 წლებში საზოგადოების მუზეუმს მნიშვნელოვანი ნივთები შესწირეს: ღარია და ივანე ჭავჭავაძეებმა–ერეკლე მეფის საწერ-კალამი, ვერცხლის კოლოფი, რამდენიმე ხელნაწერი ლოცვანი და მხატვრული ტილო; ვასილ მამულოვმა–ერეკლე მეფის ნაქონი მაშხალა; მინადორა ტატიშვილმა–ერეკლე ბატონიშვილის კუთვნილი მინის ჭურჭელი და ერეკლე მეფის ასულის ანა ბატონიშვილის წერილი ქსნის ერისთავისადმი; იასონ ციციშვილმა—ერეკლე მეფის ასულის მარიამის სამზითვო ნივთები: ფაიფურის, ფაიანსის და მინის ჭურჭელი (8 ერთეულამდე) და ანტონ კათოლიკოსის ნაქონი თეფში, თბილისის მოურავის ესტატე ფანასკერტელ-ციციშვილის ორი საავარძელი, მხატვრული ტილო, კერამიკული სასმისები და სხვა; პლატონ იოსელიანის ქვრივმა ანა ნიკოლოზის ასულმა—რამდენიმე ანტიკვარული ნივთი ძველებური ავეჯის კომპლექსიდან და კარაბადინის ხელნაწერები; ანა კაპანაძემ–სპილენძის სამკლავე ოქროს

ზარნიშით, ოქრომკედის ქამარი ვერცხლის აბზინდით და მეფე ერეკლეს დროინდელი რამდენიმე მონეტა.[437]

გარდა ამისა, შემოწირულობები გაიღეს: მ. თარხნიშვილმა, მ. ხუციშვილმა, ან. წერეთელმა, ა. ფალავანდიშვილმა, ი. როსტიაშვილმა, ზ. ტურიაშვილმა, ივ. ჯაჯავაძემ და სხვებმა.

ამავე წლებში მუზეუმს თინათინ კეზელმა გადასცა "ვეფხისტყაოსნის" XVII საუკუნის ხელნაწერი; იოსებ საყვარელიძემ–31 სიგელ–გუჯარი; დიმიტრი სულხანიშვილმა–როსტომ მეფის დროინდელი საბუთები; ეპისკოპოს კირიონმა–129 წიგნი და ხელნაწერი; პაველ თუმანიშვილმა–2438 წიგნი და ხელნაწერი; დიმიტრი აბაშიძემ–33 სიგელ-გუჯარი, მხედრულად ნაწერი "კონდაკი" და საგვარეულო დოკუმენტები; ნიკო ახმეტელაშვილმა–12 ცალი სიგელი; შალვა ქარუმიძემ მხედრული ანბანით შესრულებული ხელნაწერები "როსტომიანი" და "სამართალი მეფის ვახტანგისა"; ანა წერეთელმა–40-მდე ისტორიული საბუთი; ს. ღამბაშიძემ–ვახტანგ VI სამართალი, რამოდენიმე ძველი სიგელი და საწერი მოწყობილობის კომპლექტი; ხოლო ა. მაყაშვილმა--23 სიგელ–გუჯარი; ი. საყვარელიძემ–31 სიგელ-გუჯარი[438]და სხვა.

ამ სახის ექსპონატები გადასცეს მუზეუმს აგრეთვე: მ. იმედაშვილმა, ზ. მაღალაშვილმა, მ. მაჩიტაძემ, ე.მიხელიძემ, დ. გურამიშვილმა, მ. ჩხეიძემ და თ. სახოკიამ.

მუზეუმისადმი განსაკუთრებით ბევრი იყო შემოწირული ნუმიზმატიკური მასალა: ზაქარია ფორაქიშვილმა მუზეუმს გადასცა თეიმურაზ მეფის დროინდელი სპილენძის მონეტები, მიხეილ ზედგენიძემ--20 ვერცხლისა და ოქროს მონეტა, მოსე თოიძემ--26 სპილენძის მონეტა და რამდენიმე ძხატერული ტილო, პეტრე შაპრაძემ--ანტიკური ხანის მონეტები და სხვა.

ნუმიზმატიკური ფონდის გამდიდრებისთვის აგრეთვე მადლობა დაიმსახურეს: მ. ნაცვლიშვილმა, მ. არაქელაშვილმა, ვ. პაპიძემ, გ. ნოზაძემ, ვ. ბარნოვმა, ს. ვაჩნაძემ, ა. ამირაჯიბმა, ე. თარხან–მოურავმა და სხვებმა.[439]

შემოწირულობებით, შესყიდვითა და ექსპედიციებში მოპოვებული სამუზეუმო მასალის დიდი რაოდენობით დაგროვებამ, მეტისმეტად გადატვირთა მუზეუმის საფონდო ოთახების ისედაც მცირე ფართობი. არც საექსპოზიციო ფართს უჩანდა სასიკეთო პირი. ახალი საფონდო ფართის გამოძებნის

---

[437] კრებული "ძველი საქართველო", ტ. III, ტფ., 1914, გვ. 4.
[438] კრებული "ძველი საქართველო", ტ.. III, ტფ. 1914, გვ. 5.
[439] კრებული "ძველი საქართველო", ტ.. III, ტფ. 1914,გვ. 6.

საჭიროებამ, აიძულა საზოგადოების მესვეურების ძალისხმევა ამ მიმართულებით წარმართულიყო.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ასეთივე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და ანალოგიური პრობლემები აწუხებდა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმსაც. ამიტომ სამუზეუმო საქმიანობის განვითარების მიზნით, გადაწყდა საქართველოში არსებული მთელი სამუზეუმო ძალების გაერთიანება და პრობლემის ერთიანი ძალებით მოგვარება. ამას ემსახურებოდა ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით სამუზეუმო კომისიის შექმნა. კომისია ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა მუზეუმის საბინაო პრობლემის გადასაჭრელად. იგი ცდილობდა საქმეში ჩაება რომელიმე შეძლებული ქველმოქმედი და გულშემატკივარი. მუზეუმის შენობის აგების თაობაზე პირველად მათ მიმართეს ცნობილ მრეწველებს და მეცენატებს ძმებ ზუბალაშვილებს. მაგრამ იმპერიოდში ზუბალაშვილების გართულებული და გაუარესებული კომერციული მდგომარეობის გამო, ეს საქმე ადგილიდან აღარც დაძრულა.

ქართულმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა სამუზეუმო კომისიის გასაჭირი. 1910–1914 წლებში ბევრი შემოწირულობები შედიოდა კომისიის სახელზე მიწის ნაკვეთის საყიდლად და მუზეუმის შენობის ასაგებად. მათგან აღსანიშნავია დავით სარაჯიშვილის დიდი მამულიშვილობა, რომელმაც იკისრა მიწის ნაკვეთის ყიდვა და მუზეუმის შენობის აგება. ამისათვის გამოყო კიდეც სათანადო თანხა.

მატერიალური საფუძვლის შექმნას მოჰყვა მუზეუმის შენობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შერჩევა. მალე ასეთი ადგილიც გამოინახა ჯერ ვერაზე, ფრეილინის ჭუჩაზე, სათავადაზნაურო გიმნაზიის გვერდით, ხოლო შემდეგ, არჩევანი შეჩერდა უკეთეს ვარიანტზე. ე.წ. "ფიქრის გორაზე" 60000 მანეთად შესაძლებელი იყო 1800 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთის ყიდვა. ზოგი კომისიას ურჩევდა მუზეუმისათვის შეეძინათ ანჩისხატის ეკლესიის მახლობლად გიორგი XII ყოფილი სასახლე.[440] საქმე თითქოსდა სასიკეთოდ უნდა წარმართულიყო. ისევ გულშემატკივრების შემოწირულობებით კომისიამ მუზეუმის შენობის ასაგები თანხის შეგროვებაც შეძლო. მაგრამ სულ მალე სიტუაცია მკვეთრად უარესობისაკენ შეიცვალა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ქვეყანაში არსებული

---

[440] გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი, კრებულში, "ექვთიმე თაყაიშვილი", თბ. 1966, წ. გვ. 42.

სიძნელეების გამწვავება მოჰყვა. ამას დაემატა დაკით სარაჯიშვილის გარდაცვალება და ბოლოს, რევოლუციური კატაკლიზმების შედეგად გამეფებულმა უწესრიგობამ და ფულის კატასტროფულმა ინფლაციამ გააუფასურა შემოწირულობებით მოგროვებული თანხები და მუზეუმისათვის ახალი შენობის აგების იდეა საბოლოოდ დაასამარა.

ძიუხედავად უბინაობისა და საერთო გაჭირვებისა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მაინც განაგრძობდა ფუნქციონირებას. საზოგადოების სამუშაოებიდან აღსანიშნავია რაჭაში მოწყობილი ექსპედიცია, საიდანაც ბევრი სამუზეუმო ნივთი იქნა შეკრებილი. საექსპოზიციო სამუშაოებიდან უნდა აღინიშნოს 1920 წელს ორგანიზებული ქართული ხუროთმოძღვრული ნიმუშების გამოფენა, რომელიც უმთავრესად ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციების შედეგად მოგროვილი მასალების საფუძველზე მოეწყო.

ამ გამოფენის გამართვა დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მისი მნიშვნელობა გასცილდა ჩვეულებრივი გამოფენის ფარგლებს. ექსპოზიციაში ასახული იყო ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა გეგმები, ფოტოსურათები; ჩამოსხმული იყო ქანდაკებითი ნიმუშები. ექსპოზიციამ თვალსათლივ წარმოადგინა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება VI საუკუნიდან—XVII საუკუნემდე; ნაჩვენები იყო, თუ რა სრულყოფას მიაღწია ხუროთმოძღვრების ქართულმა სტილმა ისტორიის ათასაუკუნოვან შანძილზე.[441]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს.ს.ს. საზოგადოების მდგომარეობა შეიცვალა. მისი თავკაცის ექ. თაყაიშვილის, საქართველოს სამუზეუმო განძეულობის საპატრონოდ და გადასარჩენად საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, 1922 წელს საისტორიო საზოგადოებას სათავეში უდგება ივანე ჯავახიშვილი. ამ პერიოდში საზოგადოების მუზეუმის ფონდების გამდიდრებაც მოხერხებულა. ეს მომხდარა საქართველოდან რუსეთში პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციების დრის გატანილი ძნიშველოვანი ისტორიული საბუთებისა და ხელნაწერების დაბრუნების შედეგად. მათ დამუშავებასა და მოწესრიგებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ: ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ა. შანიძეს, ს. კაკაბაძეს და სხვა თვალსაჩინო მეცნიერებს.

---

[441] რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ. გვ. 115.

XX საუკუნის 20-იან წლებში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ კიდევ წარმოადგენდა ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან კერას. მაგრამ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში, რადგან საზოგადოება საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო, მას ფინანსურად ძალზე გაუჭირდა. საბჭოთა ხელისუფლებამ სამუზეუმო და სამეცნიერო სამუშაოთა აქცენტები სხვა მიმართულებებით გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ს.ს.ს. საზოგადოებაში ქართული ინტელიგენციის მოწინავე სამეცნიერო ელიტა იყო გაერთიანებული, \ 1927 წელს საზოგადოების მუზეუმი წყვეტს არსებობას. სამუზეუმო ექსპონატები ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ საქართველოს მუზეუმის ფონდებში გადადის.

ამრიგად, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, რომელიც ეროვნულ დაწესებულებად ჩამოყალიბდა, თავის არსებობის მანძილზე დიდსა და მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებდა. იგი ეძებდა, კრებდა და შთამომაელობას უნახავდა ქართველი ერის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს. მის კედლებში დიდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა, რითაც მნიშვნელოვნად მდიდრდებოდა ქართული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა.

§ 8 საეკლესიო მუზეუმი

XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ცარიზმმა ქართული კულტურის წინააღმდეგ გააძლიერა თავისი რეაქციული საქმიანობა, ადგილობრივი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების გვერდით ტრადიციულად დადგა ქართული ეკლესია. იგი გადაჭრით დაუპირისპირდა თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას და აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქართული ენის, სარწმუნოებისა და კულტურის დაცვა-გადარჩენისთვის. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო საეკლესიო სიძველეთა, ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილის–საეკლესიო სიძველეთა მოძიება, ერთ ადგილას მოგროვება, შესწავლა, დაცვა და მათი პროპაგანდა.

საშიშროება, რომელიც ამ პერიოდში ქართულ საეკლესიო სიძველეებს დაემუქრა მართლაც დიდი და რეალური ჩანდა.

1811 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართული ეკლესია-მონასტრების მთელი ქონება საქართველო–იმერეთის სინოდალური კანტორის ხელში გადავიდა, რომელსაც რუსი ეგზარქოსები განაგებდნენ. მათი უმრავლესობის მხრიდან საქართველოს სიძველეებისადმი გულგრილობისა და უყურადღებობის შედეგად თანდათანობით იძარცვებოდა და ნადგურდებოდა ქართული საეკლესიო ქონება. ამ ფაქტს თვით რუსეთის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებიც ხშირად გულისტკივილით აღნიშნავდნენ.

ცნობილი მწერალი და ღვთისმეტყველი ნიკოლოზ დურნოვო მიუთითებდა: "რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ კი არ მოდიოდნენ, რომ ეპატრონათ აქაური ეკლესიისათვის, არამედ იმისთვის, რომ გაეძარცვათ და გაეყ�იფათ იქერიის უძველესი ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ საძარცვი ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში."[442] გაზეთი "ცნობის ფურცელი" იძოწმებდა რა იმდროინდელ უურნალ "Петербургская ведомость"-ში იმავე ავტორის კორესპოდენციას, წერდა: "საქართველოს ყოველ კუთხიდან ისმის ტაძრების დაქცევაო, მათი ეშვენიერი ხუროთმოძღვრების და ქანდაკების ნაწარმოების გაძარცვა, განადგურება და აოხრებაო."[443]

---

[442] საქართველოს ეკლესიის აკლება, ბაქო, 1907, გვ. 8.

[443] გაზ "ცნობის ფურცელი," 1901 წლის 6 სექტემბერი, № 246.

გამოჩენილი რუსი მხატვარი ვ. ვერეშჩაგინი აღწერდა ბიჭვინთის ტაძრისადმი რუსი ბერების ბარბაროსულ დამოკიდებულებას, როდესაც ბათქაშით შელესეს და გაათეთრეს უძველესი ფრესკები. იგი აგრეთვე მიუთითებდა ხობისა და შემოქმედის მონასტრებში დაცული დიდებული ხატებისა და სამკაულების გაძარცვაზე. კუმურდოს, გელათისა და სხვა ეკლესიათა უძველეს ხელნაწერებისა და ნიეთების გატაცებაზე.

რუს ეგზარქოსთა ყურადღების მიღმა დარჩენილი ქართული საეკლესიო საგანძური თანდათანობით იძარცვებოდა სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტთა და ავაზაკთა მხრიდან. ცნობილია, რომ ეგზარქოსს ევსევის დროს გაიძარცვა მსოფლიო მნიშვნელობის ნივთი–ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც გელათის მონასტერში ესვენა. 1856 წელს ხახულის კარედს ჩამოხსნეს მისი ცენტრალური ნაწილი, X საუკუნის ნახელავი ღვთისმშობლის მინანქრის ხატი ვედრებისა, ტიხრული მინანქრით შემკული სახარების მოჭედილობა (X—XI ს.), რომელიც ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი დაცულია ბერლინის მუზეუმში, მეორე კი შეადგენს ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებას.[444] ხახულის ხატიდან აგრეთვე მოიპარეს ოთხი დიდი და შვიდი პატარა ლალის თვალი. ეს ძვირფასი თვლები თამარ მეფეს გელათისთვის შეუწირია და თითოეულს საკუთარი სახელი ჰქონია: "ობოლა," "კედელა," "შედეგა" და ა. შ. ხატის ტიხრული მინანქარის დიდი ნაწილი შემდეგ შ. ბოტკინის კოლექციაში მოხვდა.

იმავე ეგზარქოსის წაყრუებით გაიძარცვა გელათის მონასტრის მშვენება–XI საუკუნის ქართული სახარების ოქროთი მოჭედილი ყდა ეშვიათი მაინოლკებით. იგი ვითომ შესაკეთებლად წაიღო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმა და მისი ოქროს მოჭედილობა შეცვალა ნაკლებფასიანი ვერცხლით. ორიგინალი შემდეგ აღმოჩნდა პეტერბურგში სტროგანოვების მუზეუმში. სიონის საკათედრო ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე. ასეთივე დღეში ჩავარდა ალავერდის, ბოდბის, ნინოწმინდის, იოანე ნათლისმცემლის, მარტვილის, ჯუმათის, შემოქმედისა და სხვა მონასტრები.

ლევაშოვისა და პანინის სახელებთანაა აგრეთვე დაკავშირებული გელათის მონასტერში დაცული იმერეთის

---

[444] ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968, გვ. 4.

კათალიკოსთა შესამოსელის გაძარცვა. ეს ბისონი კონსტანტინეპოლის დაცემამდე, XV საუკუნეში იქნა ოქრომკედით დამზადებული და შემკული იყო მსხვილი მარგალიტებითა და ბრილიანტებით. მისგან მძარცველებმა 8 გირვანქა ოქრო გამოადნეს, ხოლო მარგალიტებიდან და ფირუზებიდან გულსაბნევები გააკეთეს. გელათიდან ასევე დაიკარგა საპატრიარქო თვალ-მარგალიტებით შემკული მიტრა, რომელსაც ამშვენებდა ვახტანგ გორგასლის გვირგვინის ბრილიანტებიანი ჯვარი. ეს ქვები ვახტანგ მეფემ სპარსეთში ლაშქრობის დროს მოიპოვა.[445]

პავლე ეგზარქოსის დროს მეტეხის ეკლესიიდან გაქრა ბეთლემის ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი, როცა იგი 1891 წელს იპოვნეს, მასზე ძვირფასი ლითონისა აღარაფერი იყო. იმავე ეგზარქოსის დროს დაიკარგა ნინოწმინდის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი. სიონის ეკლესიიდან გრაფმა ბობრინსკიმ უამრავი ხელნაწერის მოპარვა შეძლო. ეგზარქოსმა პალადიმ მასთან დაახლოებულ მხატვარ საბინ გუსს ნება დართო წაეღო სამეგრელოს და გურიის საეკლესიო ნივთები. ერთ-ერთი მოხელე ზვენიგოროდსკი ეგზარქოს პალადის სარეკომენდაციო წერილით დადიოდა ქართულ ეკლესიებში და უვიც ბერებისგან ჩალის ფასად იძენდა საეკლესიო ნივთებს;[446] სვეტიცხოველის ეკლესიის შეკეთებისას სამეფო სალოცავიდან ეოიპარეს როდოსის მარმარილოს სვეტები და შეცვალეს იგი უბრალო ქვის ბოძებით. ძარცვაში არც მაღალი ჩინის მოხელეები აკლებდნენ ხელს.. ა. გოლიცინმა ვახტანგ VI-ის დროშა და მუზარადი ვადასცა მოსკოვის არქიეს.[447] საქართველოდან გატანილი ნივთები და მანუსკრიპტები შემდეგ ევროპის მსხვილ სამუზეუმო ცენტრების საცავებში აღმოჩნდა. ბარონმა დე ბაიმ ამ სიძველეებით საზღვარგარეთ დიდი ექსპოზიცია მოაწყო.

მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში აღმოჩნდა საფარისა და წებელდის კანკელის ფილები, შემკული დიდებული ჩუქურთმებით და რელიეფური კომპოზიციებით, აგრეთვე ბეღლის ტაძრის ქანდაკებათა ნიმუშები.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მომძლავრებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში ვითარება და სისტემატური ხასიათი მისცა

---

[445] საქართველოს ეკლესიის აკლება, ბაქო, 1907, გვ. 10.

[446] იქვე, გვ. 13.

[447] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1898 წლის 22/II №462; 1899 წლის 6/V, №240.

ეკლესიების რბევას. იმდროინდელი პრესა სავსეა ამა თუ იმ ეკლესიის ქონების გაძარცვის ფაქტების გადმოცემით[448].

ქართული საეკლესიო განძეულის გადარჩენისა და პატრონობის გარდა, დღის წესრიგში დადგა მათი, განსაკუთრებით კი ძველი ხელნაწერების, შესწავლის აუცილებლობა. ამ პერიოდში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ხელში თავი მოიყარა უამრავმა ხელნაწერმა და სიგელ-გუჯარმა. 1852 წელს სახელმწიფო კომისიის მიერ შედგენილი კატალოგის მიხედვით, საეგზარქოსოში 3000-ზე მეტი ხელნაწერი ითვლებოდა, მათ შორის იყო ანტიოქიის, იერუსალიმის, სინასა და ათონის ქართული მონასტრებიდან ჩამოტანილი მანუსკრიპტები და საბუთები.[449] მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი ქრისტიანული სამყაროს ისტორიისა და კულტურის კვლევისთვის.

ეკლესია-მონასტრების ნივთებისა და სასულიერო ისტორიულ ნაშთთა დაცვა—გადარჩენის საჭიროებამ და მათი მეცნიერული შესწავლისადმი ყურადღების გამახვილებამ ქართველი სამღვდელოების წინაშე დააყენა სპეციალური განძთსაცავის, მუზეუმის შექმნის აუცილებლობა. ამ საკითხში სამღვდელოებას ხარი აქტიურად დაუჭირა საერო საზოგადოებამ. ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა: "ვინ იცის, რამდენი ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში. რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები უადგილო--ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად-- ყოველი ეს რომ, შეძლებისამებრ ერთ ალაგს თბილისში მოგვიგროვდეს, როგორც აზრადა აქვს მუზეუმსა, მაშინ, იმედია დავინახავთ, რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და გამოუყენებლად".[450]

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ასე ასაბუთებდა სიძველეთა მუზეუმის შექმნის საჭიროებას: "მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია იქონიოს საკუთარი, სამდვილი ისტორია, რომელთაც თავისის მუზეუმი აქვს კარ–ღია ყველა ისტორიულის მასალების შემუშავების მოსურნესათვის. უიმისოდ შეუძლებელი საქმეა ხალხმა ისტორია იქონიოს."[451]

---

[448] გაზ."დროება,"1866,4/XI, №36; 1882,5/VI. №115; "ცნობის ფურცელი"1884, 13/XII, № 268.

[449] Бакрадзе Д., Статьи по истории и древностям Грузии, ტფ., 1876, გვ. 38.

[450] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 345.

[451] გაზ."ივერია," 1877 წლის 21 აპრილი, №8, გვ. 14.

ჯერ კიდევ ადრე, 1873 წელს, დ. ბაქრაძე საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა: "არ შეიძლება სინანული არ გამოიწვიოს იმან, რომ მეცნიერ დიუბას თქმით "ძველი ქართული ნაცია, რომელიც უხსოვარი დროიდან მცველად ედგა კავკასიის ყელს და პირდაპირი შეხება ჰქონდა ყველა ცნობილ ხალხთან, ნაკლებად არის შესწავლილი მისი საუკეთესო და სარწმუნო ძეგლების, ტაძრებსა და ხატებზე მრავალრიცხოვანი წარწერების, მანუსკრიპტებისა და ხელნაწერების მეშვეობით."[452] ამის გამო, იგი დაჟინებით აყენებდა ქართულ სიძველეთა შეკრებისა და მათი მეცნიერული შესწავლის საკითხს. 1886 წელს კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს და საქართველოს ეგზარქოსს პაველეს დ. ბაქრაძე მოახსენებდა: "თქვენს ხელშია არა მარტო ბოლო მოულოს ქართულ სიძველეთა ძარცვას და გადაარჩინოს რისი ხსნაც კიდევ შეიძლება, არამედ ისიც, რომ იგი ხელმისაწვდომი გახადოს მეცნიერებისათვის. ამის გამო, ვფიქრობ საჭიროა სასულიერო მმართველობასთან შეიქმნას განსაკუთრებული მუზეუმი, რომელსაც დაერქმევა– "საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი."[453]

დ. ბაქრაძის დიდი ძალისხმევის შედეგად 1888 წლის 15 ივლისს თბილისში დღის 12 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში, საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა თბილისის საეკლესიო სიძველეთსაცავს, მუზეუმს, რომელიც ოფიციალურად ასე იწოდებოდა "საქართველოს საეგზარხოსოს ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი." გახსნას დაესწრნენ საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი პალადი და სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენლები. ერავალრიცხოვან დამსწრეთა წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ღ. ბაქრაძემ, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "მწყემსში".[454]

1889 წლის 19 თებერვალს ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საბჭომ 1888 წლის 3 ივნისის თავის სხდომაზე სიძველეთსაცავის გამგედ დანიშნა დ. ბაქრაძე და მას შესთავაზა მიეღო საცავის ექსპონატები, რომლებიც მანამდე ებარა საბჭოს თავმჯდომარეს დეკანოზ ე. ელიევს.

საეკლესიო სიძველეთსაცავის–მუზეუმის დაფუძნებას დიდი სიხარულით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე

---

[452] Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчир, . 1878, გვ.15.
[453] Бакрадзе Д., Статьи по истории и древностям Грузии, ტ9., 1876, გვ. 37.
[454] ჟურნ. "მწყემსი," 1888 №14—15.

წერდა: "დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირებს სიონთან დაარსოს მუზეი შესანახად და დასაცველად ძველთა საეკლესიო ნაშთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საეგზარხოსოში, ჩვენდა სასიხარულოდ ეს განზრახვა უკვე შესრულებულია და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის".[455]

1889 წლის 24 იანვარს ეგზარხოსმა №300 ბრძანებით დაამტკიცა ბაქრაძის მიერვე შემუშავებული სიძველეთსაცავის წესდება. მის მიხედვით საცავი "არსდება იმ აზრით, რომ დაცული იქნას ძველი საეკლესიო ნაშთები, რომელნიც საქართველოს საეგზარხოსოში მოიპოვებიან."[456] ასეთ ნაშთებად მოიაზრებოდა "ძველი ხელნაწერები, წიგნები, გუჯრები (სამონასტრო აქტები), საეკლესიო ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი" და სხვა, რომლებიც აღარ იხმარებოდა ღვთისმსახურების დროს, აგრეთვე ის ნივთებიც, რომლებიც აღმოჩნდებოდა სასულიერო შენობათა ნანგრევებში. წესდებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სხვადასხვა ეპარქიებში გაბნეული საეკლესიო ნივთები და ხელნაწერები უნდა მოგროვებულიყო ერთ ადგილზე—საცავში. წესდებით იკრძალებოდა "საეკლესიო—საარხეოლოგიო ნაშთთა მუზეუმს გარეთ გადაცემა."

თბილისში საეკლესიო მუზეუმის ჩაბოყალიბებას ილია ჭავჭავაძე მხურვალედ მიესალმა: "ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და სისრულეში მოიყვანეს"[457].

1888 წლის 3 ივნისს გამართულ კრებაზე მუზეუმის მართვა და "სამუდამო ყურის გდება ძველი დროის ნაშთთა დასაცველად" დაევალა მუზეუმთან ჩამოყალიბებულ საეკლესიო და საარქეოლოგიო განყოფილების საბჭოს, რომელშიც შეეიდნენ: კიევის სასულიერო აკადემიის მღვდელ-მონაზონი ლეონიდე (ოქროპირიძე), სასულიერო სემინარიის მასწავლებლები: თედო ჟორდანია, ვასილ ბარნოვი, მღვდელი

---

[455] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 344.

[456] წესდება'საქართველოს საეგზარხოსო'ში ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საეკლესიო ძველნაშთთა საცავისა, ტფ., 1889, გვ. 3.

[457] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 344.

პოლიექტ კარბელაშვილი, სპირიდონ თაყაიშვილი, ალ. მირიანაშვილი და დეკანოზი ნ. კალისტოვი. ეს უკანასკნელი ასრულებდა საბჭოს მდივნის მოვალეობასაც. საეკლესიო-საარქეოლოგიო განყოფილების საბჭოს თავმჯდომარედ და სიძველეთსაცავის გამგედ დაინიშნა დიმიტრი ბაქრაძე.

დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძე (1826-1890 წწ) XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისთვის სამსახურში გაატარა. მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული მუშაობას იწყებს ჯერ გორის სამრევლო სკოლაში, ხოლო 1856 წლიდან ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში საგანგებო დავალებათა მოხელედ. მაგრამ სამეცნიერო სამუშაოებისადმი ლტოლვამ და ეროვნული ინტერესებისადმი სამსახურმა იგი დიდ ისტორიოსად ჩამოაყალიბა. მან თავის მოღვაწეობის მიზნად დაისახა პასუხი გაეცა საქართველოს ისტორიის მრავალ საჭირბოროტო და კარდინალური საკითხისთვის. ამისთვის მას აუცილებლად მიაჩნდა ძველი ქართული ნიეთიერი და წერილობითი ძეგლების გამოვლენა, შეკრება და მათი შესწავლა. ამ მიზნის განსახორციელებლად საუკეთესო საშუალებად მუზეუმის ჩამოყალიბება მიაჩნდა. ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობისთვის იგი 1879 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

იგი მრავალი საშვილიშვილო საქმის თაკაცი იყო. მისი თაოსნობით თბილისში შედგა არქეოლოგთა V საერთაშორისო ყრილობა, აქტიურად მონაწილეობდა წკ გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში, იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ნაყოფიერად თანამშრომლობდა არქეოგრაფიულ კომისიაში. მისი ღვაწლი აღიარებული იქნა საზოგადოების პირ. ილია თვლიდა, რომ მის ღვაწლს "მადლობელი ერი და დავალებული ქეეკანა თავის დღეში არ დაივიწყებდა". მანვე დ. ბაქრაძის სამგლოვიარო გვირგვინს ასე წააწერა: "საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა".

ილია ჭავჭავაძე საეკლესიო მუზეუმის ხელმძღვანელობას მაღალ შეფასებას აძლევდა: "ძმათა საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეუმისა ჩაუბარებიათ იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს—ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკელეეარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. მისთანა კაცნი საკმაოდ თავმდებნი არიან, რომ ახლად დაწყებულ საქმეს კარგნი გამგებელნი ეყოლება და მაშასადამე, თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განგრძნობისა"[458].

---

[458] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 345.

მუზეუმის გახსნისთანავე მოიხაზა უახლოეს პერიოდში სიძველეთსაცავის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. დ. ბაქრაძის თქმით: "არქეოლოგია საზოგადოდ და საქართველოსი განსაკუთრებით, ძალიან ძნელი საქმეა, ვინაითგან ძველ ნაშთებზე ქართული წარწერების შესწავლა, მათი ისტორიულად და ფილოლოგიურად გარჩევა ხანგრძლივ მომზადებასა და შრომას ითხოვენ. ამიტომ გახყოფილება საჭიროდ რაცხს ეს ძველნაშთთა საცავი თავდაპირველად აქციოს თავის მოსამზადებელ სკოლად. შემდეგ, რასაკვირველია აღძრულ იქნება კითხვა ძველნაშთთა საცავში მოგროვებულ ნივთების მეცნიერულ გარჩევაზე და სპეციალურ გამოცემაზე, რომელმანც უნდა შეატყობინოს განათლებულ საზოგადოებას ის ნივთები, რომელნიც საცავში იქნებიან."[459]

თავიდანვე ინტენსიური მუშაობა წარიმართა მუზეუმის ფონდების შესავსებად. 1889 წლის თებერვალ—მარტში დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ორი ექსპედიცია მცხეთაში და დავით-გარეჯში. პირველმა ექსპედიციამ მოიძია 58 მანუსკრიპტი, სკეტიცხოველის ეკლესიის გუმბათის ქვეშ იპოვნა ხელნაწერების ფურცლებით სავსე დიდი ყუთი და 50 ცალი სიგელ-გუჯარი;[460] მეორე ექსპედიციამ მოახერხა მოეგროვებინა 50 ხელნაწერი და რამდენიმე ათეული საეკლესიო ნივთი. გარდა ამისა, როგორც ანგარიშია აღნიშნული, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთ კედელზე აღმოაჩინა ბაგრატ IV მეუღლის ბორენის, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის მანამდე უცნობი ფრესკები.[461] იმავე წელს სიძველეთსაცავის ფონდებში ჩაირიცხა სინოდალური კანტორის კუთვნილი საეკლესიო ნივთების ის ნაწილი, რომელიც აღწერილი იყო 1852 წლის კატალოგში.

1889 წლის 9 მარტს სიძველეთსაცავის გამგედ დაინიშნა თედო ჟორდანია. მალე მასვე დაეკისრა საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულებაც.

თედო (თეოდორე) დავითის-ძე ჟორდანია (1854--1916 წწ) საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ფილოლოგი. ქუთაისსა და თბილისის სასულიერო სემინარიების დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1879 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის სასულიერო სემინარიაში ზედამხედველად. 1889 წლიდან დ. *ბაქრაძის წინადადებით სამუშაოდ გადმოვიდა საეკლესიო მუზეუმში და უდიდესი ამაგი დასდო ამ დაწესებულებას. განსაკუთრებით დიდი იყო მისი დამსახურება ქართული საეკლესიო სიძველეთა მოძიების,*

---

[459] ჟურნ. "მწყემსი," 1888 № 14—15 გვ 16.

[460] სცი არქივი, ფ. 1471, ან. 1, საქ. 19, ფ. 18.

[461] Тифлисское церковное дрелехранилище, ტფ., 1898, გვ.12.

შესწავლის, აღწერისა და მათი დაცვის საქმეში. უტყუარი მეცნიერული ალღოთი დაჯილდოვებულმა მკვლევარმა მოახერხა დიდძალი სამუზეუმო ექსპონატების გამოვლენა, გადარჩენა, და მათი შემოტანა მეცნიერულ მიმოქცევაში. მან პირველმა აღწერა მუზეუმის ფონდებში დაცული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები. თავის ფუნდამენტალურ სამტომიან ნაშრომში "ქრონიკები", თავი მოუყარა საქართველოს ისტორიის ამსახველ მრავალ პირველხარისხვან მასალას. ასევე დიდია მისი დამსახურება ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების და გრამატიკის შესწავლის საქმეში. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას: იყო წ/კ გამავრცელებელი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგდოებების წევრი. შეუპოერად იბრძოდა სკოლებში ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად.

1889 წლის 15 თებერვალს ეგზარქოსმა დაამტკიცა საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტერში, იქ დაცული საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების შემოწმება-აღწერის მიზნით, ზაფხულობით უნდა მოწყობილიყო ექსპედიციები. წესდების მე-5 პუნქტის თანახმად თითოეული ექსპონატი, თუ მას გააჩნდა ისტორიული ღირებულება, დაწერილებით უნდა აღწერილიყო და დაეწყოთ მუშაობა ოფიციალური კატალოგის შესადგენად.

მოგვიანებით, დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ, 1890 წლის 17 აპრილს მუზეუმის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზი.

დ. ბაქრაძის გარდაცვალება მეტად უარყოფითად დაეტყო მუზეუმის საქმიანობას. როგორც ეგზარქოსისადმი გაგზავნილ ანგარიშებიდან ჩანს, მოუწესრიგებელი ყოფილა ეკლესიებიდან წამოღებული ნივთების მიღება—ჩაბარების აქტები და დოკუმენტაცია, არც ექსპონატების ინვენტარიზაცია მდგარა სათანადო დონეზე. მოსკოვის საიმპერატორო არეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი პ. უვაროვა 1895 წლის 12 სექტემბერს სწერდა საქართველოს ეგზარქოს ვლადიმერს: "ბოლო ხანებში სიძველეთსაცავის დათვალიერების დროს, მე იგი დამხვდა საკმაოდ ცუდ, ძალიან მდგომარეობაში"[462] და რჩევას იძლეოდა, რომ გადახალისებულიყო მუზეუმის ხელმძღვანელთა შემადგენლობა.

1895 წლის 20 ნოემბერის გადაწყვეტილებით მუზეუმის ხელმძღვანელი საბჭო შეიცვალა გამგეკომიტეტით. ეგზარქოსმა ვლადიმერმა კომიტეტის თავმჯდომარედ და სიძველეთსაცავის გამგედ დანიშნა არქიმანდრიტი ლეონიდე, წევრებად: ილუმენი კირიონი, დეკანოზი პ. კენჭოშვილი, მღვდლები: კ. ცინცაძე და მ.

---

[462] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტუ. 1916, გვ. 4.

ტყემალაძე, ა. თოთიბაძე და პ. კარბელაშვილი; სასულიერო სასწავლებლების ინსპექტორები და მასწავლებლები: მ. ჯანაშვილი და ექ. თაყაიშვილი, ი. მახათაძე, ილ. ფერაძე, ა. ქუთათელაძე, ნ. მთვარელაშვილი, ა. ნატროშვილი; წ/კ. საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი და ფოტოგრაფი ალ. როინაშვილი.[463]

თედო ჟორდანია სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და 1898 წლის 10 აპრილიდან არქიმანდრიტ ლეონიდეს დავალებით მოსე ჯანაშვილი შეუდგა სიძველეთსაცავის გამგის მოვალეობის შესრულებას.

მოსე გიორგიძე ჯანაშვილი (1855-1934 წწ), საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ფილოლოგი, პუბლიცისტი. კახის სამრევლო სკოლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისისა და თბილისის გიმნაზიებში. 1888 წლიდან მუშაობს საეკლესიო მუზეუმში. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მუზეუმის მოძიებითი, საფონდო და სამეცნიერო სამუშაოების მაღალ დონეზე წარმართვა მ. ჯანაშვილი მრავალმხრივი და ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი კალეიის საგანს შეადგენდა საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა, ფილოლოგია და ყველგან ღრმა კვალი დატოვა. მისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად მდიდარი მემკვიდრეობა დარჩა, რომელიც მოიცავდა 1600-ზე მეტ ნაშრომს, მათ შორის 70-მდე მონოგრაფიას. იგი ავტორია მრავალი ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და მხარეთმცოდნეობითი ნაშრომისა. მისი შრომები გამოირჩეოდა ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზით. მან აღმოაჩინა "ქართლის ცხოვრების" ე.წ. ჯანაშვილისეული ნუსხა, "სერაპიონ ზარუბელის ცხოვრება" და ბევრი ისტორიული წყარო, რომლებსაც უდიდესი მიშენელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიისათვის. იკვლევდა ავრეთვე ქართულ გრამატიკის და ლექსიკოგრაფიის საკითხებს. 1920 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ამავე წლიდან იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართული საეკლესიმცოდნეობო და სხვა საზოგადოებების წევრი.

1899 წლის 12 იანვრის სხდომაზე ეგზარქოსმა ფლავიანემ გორის ეპისკოპოსის ლეონიდეს ნაცვლად კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, ხოლო მდივნად—სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილია ფერაძე.

სხვადასხვა დროს სიძველეთსაცავის კომიტეტის წევრები იყვნენ: არქიმანდრიტი დოსითეოსი, დეკანოზები: მ. ხელაშვილი,

---

[463] გაზ "ცნობის ფურცელი", 1897, 9 IV, №166; "ივერია", 1899, 13/II, №33.

დ. ღამბაშიძე და ი. ხახუტაიშვილი, სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები: უ. სანებლიძე, მ. ჩოგოვაძე, ი. როსტომაშვილი და გ. წერეთელი; ინსპექტორი ე. მამინეიშვილი, მღვდლები მ. კელენჯერიძე, ბ. ფურცელაძე, და სხვები. კომიტეტთან შექმნილი იყო მუდმივმოქმედი კომისია, რომლის თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი ანტონი, მდივანი კი—კალ. ცინცაძე. კომისიის წევრებად მუშაობდნენ არქიმანდრიტი ნაზარი, კორნ. კეკელიძე, ექ. თაყაიშვილი, ს. გორგაძე, მ. ჯანაშვილი და სხვები.

ყველა ისინი დიდი ენთუზიაზმით ჩაებნენ მუშაობაში. მათ ღრმად სწამდათ მუზეუმის მომავლის. ექ. თაყაიშვილი 1899 წელს წერდა: "სიძველეთსაცავი საქართველოს ისტორიის მკვლევარსაც და მოყვარულსაც გაუწევს დაუფასებელ სამსახურს, რაც მოკლე დროში გამოჩნდება. მოვა დრო, რომ ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავის არსებობა ეცოდინება ყველას, ვინც კი იკვლევს წარსულს და მადლობით მოიხსენიებს— მისი არსებობა და მისი საუნჯენი ეცოდინება მთელ რუსეთს და მთელ ქვეყანას."[464]

კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საეკლესიო მუზეუმის ფონდების შევსების მიზნით ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულიყო მოძიებით-შემგროვებლობით საქმიანობაზე. ეპისკოპოს კირიონის წინადადებით შედგა სამი კომისია, რომელთა წევრებსაც უნდა შემოეველოთ მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრები და შეეერჩიათ სამუზეუმო მასალა. ამასთან ერთად, უნდა შედგენილიყო მათზე სათანადო ცნობები. სამუშაოების დაწყებას ვარაუდობდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან. პირველ კომისიას ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით უნდა შეეკრიბა სამუზეუმო მასალა თბილისის ტაძრებიდან, მეორე კომისიას არქიმანდრიტ დოსიოეოსის თავმჯდომარეობით დაევალა ექსპონატების შერჩევა კასეთის ეკლესიებიდან, ხოლო მესამე კომისიას კირიონის თავმჯდომარეობით—ქართლის ეკლესიებიდან. გარდა ამისა, წამოყენებული იქნა წინადადება, რომ კომიტეტს სამუზეუმო ნივთების გამოსავლენად საქართველოს ყველა კუთხეში ჰყოლოდა თავისი წარმომადგენლები და თანამგრძნობნი.

რაღგან ამ ექსპონატებს მსოფლიო ეკლესიების ისტორიის კვლევის თვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მუზეუმში შემოსული განსაკუთრებით საყურადღებო ხელნაწერი და ნივთი

---

[464] გაზ. "იბერია", 1899 წლის 16 თებერვალი, #35.

მეცნიერულად დაწვრილებით უნდა შესწავლილიყო და რუსულ ენაზე გამოსაქვეყნებლად მომზადებულიყო. გადაწყდა, რომ ასეთი სამუშაოების ჩატარებისას ეთანამშრომლათ კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელ, საისტორიო, საეთნოგრაფიო და სხვა საზოგადოებებთან.

საეკლესიო მუზეუმი ტერიტორიულად მდებარეობდა სიონის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში, პირველ ხანებში იგი ღია იყო კვირაში ორჯერ ორშაბათს 15-დან 17-საათამდე, ხოლო კვირაობით 12-დან 14 საათამდე, 1898 წლიდან მუზეუმი მუშაობდა კვირაში 3-ჯერ: სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9-დან 11-მდე, ხოლო კვირაობით 10-დან 13 საათამდე. შესასველელი ბილეთის ფასი ჯერ 20 კაპიკი ღირდა, ხოლო შემდეგ მუზეუმის დათვალიერება უფასო გახდა.[465]

საეკლესიო მუზეუმმა ენერგიულად წარმართა სამუშაოები ხელნაწერებისა და სამუზეუმო ნივთების გამოსავლენად და მათი თბილისში გადმოსატანად. პირველსავე წლებში მნიშვნელოვანი საეკლესიო სიძველეები იქნა გადმოტანილი მცხეთის, დავით გარეჯის, გელათის, სამთავროსა და სოხუმის ეკლესიებიდან.

1899 წელს ექ. ოაკაიშვილის თაოსნობით სიძველეთსაცავში გადმოიტანეს თელავის სამეფო კარის ეკლესიიდან "ფრიად შესანიშნავი ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთები" და დოკუმენტები. ეპისკოპოსმა კირიონმა ქვაბთახევის მონასტრში დაცული მთელი ხელნაწერებისა და წიგნების გადმოტანა შეძლო თბილისში.[466] თედო ჟორდანიას ძალისხმევით კი მოხერხდა მუზეუმში ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერების დაბინავება.

მოძიებული მასალების გარდა, მუზეუმის ფონდები მდიდრდებოდა შემოწირული საეკლესიო ნივთებითაც. 1898 წელს ეპისკოპოს კირიონს მუზეუმისთვის შემოუწირავს რამდენიმე ძვირფასი საეკლესიო ხელნაწერი და წიგნი, მათ შორის აღსანიშნავი იყო: "ვახტანგ VI სჯულის კანონი", XII საუკუნის ეტრატი—"ოთხთავი", დამკვეთი მუჩატური გრიგოლი; მაქსიმე აღმსარებლის 1028 წლის "კლემაქსი, 1494 წელს ყვარყვარეს-ძე მზეჭაბუკის დაკვეთით შესრულებული 'დავითნი" და სხვა.[467] ასევე მნიშვნელოვანი იყო ეპისკოპოს ალექსანდრეს და არქიმანდრიტ პიროსის შემოწირულობანი. სიონის ტაძრის

---

[465] გაზ. "Кавказский календарь" на 1914 год, გვ. 873.

[466] გაზ "ცნობის ფურცელი", 1888 წლის 22 აგვისტო №612.

[467] Тифлисское церковное древехранилище, ტფ., 1898, გვ.56.

დეკანოზს ესტატე ელიევს საეკლესიო წიგნებისა და ხელნაწერთა კატალოგის დასაბეჭდად ასი მანეთი შემოუწირავს. ალ. როინაშვილს მუზეუმისათვის გადაუცია დედოფალ რუსუდანის დროს მოჭრილი მონეტა. გარდა ამისა, იმდროინდელი პრესა იტყობინებოდა, რომ "ბატონ როინაშვილს აღუთქვამს იმაევ საცავს უნდა გადავცე ყველა ჩემგან მოგროვილი საეკლესიო-არქეოლოგიური ნივთებიო."[468]

აკაკი წერეთელს მუზეუმისთვის შეუწირავს ეტრატზე დაწერილი მინიატურული სახარება და წიგნები.

1899 წლის 17 მარტს მუზეუმის გამგე-კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა: "დაიწყო გადაზიდვა სხვადასხვა ძვირფას სიძველეთა საქართველოს ტაძარ-მონასტერთაგან ტფილისის სიძველეთ-საცავში. გადაზიდული იქნა ათასამდე ხელნაწერი ნივთი შესანახად და შესასწავლად—სიძველეთსაცავის კომიტეტის ერთგულებამ ხელნაწერთა და ძვირფას ნივთთა ტფილისში ერთად თავმოყრის საქმეში უმალლეს წერტილამდის მიაღწია. საცავში მოთავსებული იქნა წმინდანაწილებიანი ხატები, ჯვრები და წიგნები, რომელთაც ძვირფას განძად თელის ქართველი ერი."[469]

მუზეუმის ფონდების ზრდა საყუძველს აძლევდა იმდროინდელ პრესას განეცხადებინა: "საეკლესიო მუ'ზეუმი თანდა'თან იზრდება და წარმატებაში მოდის. მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ჩვენი თავმოსაწონებელი მუზეუმი თითით საჩვენებელი შეიქმნება განათლებულის კაცობრიობისთვის."[470]

არსებობის ათი წლის თავზე საეკლესიო მუზეუმში უკვე მოგროვილი იყო 1359 ექსპონატი, აქედან 271 ხელნაწერი და 65 ეტრატი, რომელთა ფურცლების რაოდენობა 16326 შეადგენდა. ეტრატები მიეკუთვნებოდა IX–XII საუკუნეებს, ხოლო ქაღალდზე ნაწერი—XIII-XVIII საუკუნეებს. 60–მდე ხელნაწერი გადაწერილი იყო ათონის, ოპიზის, გარეჯის, მცხეთის, ბანის, შემოქმედისა და გრემის ეკლესია–მონასტრებში და მათი ნაწილი თარგმნილი იყო ექვთიმე მთაწმინდელის მიერ. სიგელ-გუჯართა რიცხვი მუზეუმში 933 ერთეულს შეადგენდა, მათგან 869 იყო ქართული, 56-- სპარსული და 8–ბერძნული. ქართულ სიგელ-გუჯართა შორის 24 არის "ტყავზედ ნაწერი ფრიად ძველი დროის."[471]

---

[468] გაზ "ცნობის ფურცელი", 1897 წლის 8 ოქტომბერი, № 334.
[469] გ ა ზ. "ივერია", 1903 წლის 25 მარტი, № 68.
[470] გაზ. "ივერია", 1900 წლის 3 ნოემბერი, № 240.
[471] გ ა ზ. "ცნობის ფურცელი", 1898 წლის 15 ივლისი, №581.

მუზეუმში დაცულ საეკლესიო ნივთთა შორის საყურადღებო იყო ჯვრები და ხატები, თამარ მეფისა და რუსუდანის დროინდელი მონეტები, მრავალი საეკლესიო ნივთი: ბარძიმი, თასი, საზედაშე, ოდიკი და მირონის ჭურჭელი; აგრეთვე ტანსაცმელი: ფილონი, ენქერი, ოლარი, სარტყელი და მიტრა. მათ შორის იყო ფილონი წარწერით "საქართველოს მეფის სძალმან ქეთევან- უძღვენ მონასტერსა შენსა მცირე ესე მოსართმევი- დღეთა სიგრძედ და მეუღლისა ჩემისა საქართველოს მეფის ძის გიორგისა"; კიპაროსის ჯვარი მხედრული წარწერით: "მეფის ჰერაკლეს ასულსა ელენეს, 1704. ამინ." ეს უკანასკნელი შემკული იყო 22 ცალი ზურმუხტითა და მრავალი ლალით. ჯვარი მოჭედილი იყო ოქროთი. ჰქონდა ვერცხლის ჩარჩო და სახელური.[472]

კატალოგის მიხედვით, ერთი წლის შემდეგ მუზეუმში ხელნაწერთა რაოდენობა გაიზარდა 484 ერთეულამდე. სიგელ-გუჯართა რიცხვი--944 მდე, ხოლო ნივთების რაოდენობამ 102 ცალს მიაღწია.[473]

მუზეუმის ფონდებში დაცული ექსპონატებიდან განსაკუთრებით ღირებული იყო ხელნაწერები და ეტრატები. მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, არამედ ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა და მთელი მართლმადიდებული ეპარქიების წარსულის კვლევისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავი იყო: შემოსულობათა დავთარში პირველ ნომრად გატარებული XI საუკუნის ეტრატი-გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ და გადაწერილი 1031 წელს კონსტანტინეპოლში; მე-19ე ნომრით – X საუკუნის მრავალთავი, დამკვეთნი იოანე მტბევარი და მამა თევდორე; № 24-- ეფრემ მცირეს XI საუკუნის დიალექტიკა; № 51–ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი ბიბლია; №93—პარაკლიტონი 1093 წელს გადაწერილი ათანასე არეანდ-ყოფილის ძიერ ოპი'ნის ნათლისმცემლის მონასტერში და სხვა.[474]

1902 წლის 13 ივნისს მუზეუმის ხელმძღვანელობა და საცავში დაცული მთელი ქონება ჩაიბარა ალავერდის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ. ამასთან დაკავშირებით მუზეუმში ჩატარდა ინვენტარიზაცია. ჩაბარებას აწარმოებდა მღვდელი პ.

---

[472] Тифлисское церковное дрелехранилище, ტფ., 1898, გვ.108.

[473] Джанашвили М., Каталог церковного музея Груз. экзархата, .,1899, გვ. 15.

[474] Жорданя ф, Описание рукописей Тифлисского церковного музея, ნაწ. I, ტფ., 1903, გვ. 95.

კარბელაშვილი. შეჯერებას დაესწრო კომიტეტის მთელი შემადგენლობა. გაირკვა, რომ სიძველეთსაცავში დაცული ნივთები შეესამამებოდა საინვენტარო დავთრებში და კატალოგებში დაფიქსირებულ რაოდენობას. ადგილზე არ აღმოჩნდა მხოლოდ 2 ხელნაწერი, რომლიც ეგზარქოსის ნებართვით შესასწავლად გატანილი ჰქონიათ ექ. თაყაიშვილს და მოსკოველ პროფესორს ა. სპასკის.[475]

ეპისკოპოს დიმიტრის შემდეგ მუზეუმის ხელმძღვანელები იყვნენ ეპისკოპოსები: ეფიმი(1904—1905 წწ.), პეტრე(1905—1909წწ.), დავითი(1909—1911წწ.) და ანტონი(1911—1917წწ.).

1908 წლისათვის საეკლესიო მუზეუმში 1040 ხელნაწერი და ძველებური წიგნი ითვლებოდა, რომელთა ფურცლების რაოდენობა 30900 შეადგენდა.

1913 წელს ექსონატთა საერთო რაოდენობა საეკლესიო მუზეუმში უკვე 3114 ნომერს ითვლიდა: აქედან ხელნაწერი იყო 1075 ერთეული, 1074–სიგელ-გუჯარი, 183–საეკლესიო ნივთი, 116–საეკლესიო ჭურჭელი და ჯვარი: მათ შორის იყო დავით კურაპალატისა და რუსეთის პირველი ხელმწიფის მიხეილ თეოდორეს-ძის ჯვრები, 142—ძველებური ხატი, და სხვა საეკლესიო ნივთები, 102–ცალი ქვა. მათ შორის XI საუკუნის და 993 წლით დათარიღებული; 50—საბრძოლო იარაღი, 215–ძველი მონეტა და 158—ახლად დაბეჭდილი სასულიერო წიგნი.[476]

საეკლესიო ნივთებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავით III ჯვარი. იგი გორის მაზრის სოფელ ბრეთში მარანში მიწის თხრისას უპოვია გლეხ ა. ქართველიშვილს და ჩაუბარებია ადგილობრივ ეკლესიისათვის, შემდეგ კი თავად გრ. დიასამიძის ინიციატივით იგი გადაეცა საეკლესიო მუზეუმს. ეერცხლის ჯვარი მოოქრულია. მას აქვს ასომთავრული წარწერა: "ქრისტე ადიდე ღღეგრძელობით დავით კურაპალატი, ამინ. ოსტატი ასათ".

ასევე საინტერესო იყო ეერცხლის მოოქრული რუსული ჯვარი, რომელიც ეკუთნოდა რუსეთის რომანოვების სამეფო დინასტიის პირველ წარმომადგენელს მიხეილ თეოდორეს-ძეს. ჯვარს წინა მხრიდან ჰქონდა წარწერა: " Повелением Великаго Государя Царя и Великаго князя Михаила Федоровича всея Руси и отца его Великаго Государя Святейшаго патриарха Филорета Никитича

---

[475] გაზ. "ეერია", 1902 წლის 30 ივნისი, №128.

[476] Джапаридзе М., Церковный музей. в кн. "Летопис Грузии".. 1913, ‡3. 99.

Московскаго и всеа Русии зделань сей крест къ Василию Кесарийскому."[477]

საეკლესიო მუზეუმის ისტორიის პირველ ეტაპზე თუ უმეტესად მოძიებით-შემგროვებლობით საქმიანობაზე კეთდებოდა აქცენტი, შემდგომ უპირატესად ყურადღება დაეთმო მუზეუმის ფონდებში დაცულ მასალათა მეცნიერულ შესწავლას. მუზეუმში შემოტანილი ხელნაწერები კომიტეტის თავმჯდომარის მიერ შესასწავლად ნაწილდებოდა წევრებს შორის. მათზე შეადგენდნენ რეფერატებს, რომლებსაც საჯაროდ ეცნობოდნენ სამეცნიერო სხდომებზე. რეფერატში მოცემული უნდა ყოფილიყო ექსპონატის აღწერილობა, შინაარსი, მისი ანალიზი და მნიშვნელობა. ამ სამუშაოებში ჩაბმული აღმოჩნდა იმდროინდელი საქართველოს თითქმის ყველა თვალსაჩინო ჰუმანიტარული დარგის მეცნიერი. მუზეუმის მასალებზე ასევე ნაყოფიერად მუშაობდნენ რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სწავლულები და სტუდენტები.

მუზეუმის ექსპონატებს მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება პერიოდული ორგანოს—"საქართველოს ეგზარქატის მაცნეს" და კატალოგების მეშვეობით ეცნობოდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია თედო ჟორდანის და მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობა. 1902 და 1903 წლებში გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი "საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის" I და II წიგნი, ხოლო 1908 წელს –III წიგნი, რომლიც შეადგინა მოსე ჯანაშვილმა. მანვე 1898, 1889, 1913, 1914 და 1916 წლებში გამოსცა "საქართველოს ეპარქიის საეკლესიო სიძველეთსაცავის" კატალოგები. ამ გამოცემათა უმრავლესობა გამოსულია რუსულ ენაზე.

მუზეუმსა და იქ დაუნჯებულ ექსპონატების მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითებდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი ი.სოკოლოვი: "სიონის ტაძართან არსებულ საეკლესიო მუზეუმში მოგროვდა მრავალფეროვანი შინაარსის ძველი ქართული წერილობითი ძეგლები, როგორც ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები, ასევე ქართული საეკლესიო სიძველეთა ბევრი ნიმუში. მუზეუმი დიდ სამეცნიერო ინტერესს იწვევს, ხოლო მისი ინვენტარი ქართველოლოგთა მხრიდან იმსახურებს დაწვრილებით შესწავლას. ქართული ხელნაწერების გარეშე შეუძლებელია საეკლესიო ქართველოლოგიის სფეროში პროდუქტიული სამეცნიერო მუშაობა–უფრო მეტიც, ბიზანტიური პერიოდის

[477] Каталог предметам церковного музея Грузинского духовенства, 1914, გვ 42.

ბერძნულ-აღმოსავლური ეკლესიის ისტორიის ბევრი საკითხის საკვლევად ქართულ ხელნაწერთა ცნობების შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში აუცილებლობას წარმოადგენს."[478] ფონდებში თავმოყრილი ხელნაწერების საფუძველზე საეკლესიო მუზეუმმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნა: ა) თ. ჟორდანიას--ქრონიკები, მეფე დავითის ანდერძი, შიო-მღვიმის მონასტრის სიგელი; ბ) მ. ჯანაშვილის–საეკლესიო მუზეუმის პერგამენტის ხელნაწერები, ეგვიპტის ნისიმიის ეკლესიის შესახებ, გ) ქ. კეკელიძის–ლიტურგიული ძეგლები, დ) ექ. თაყაიშვილის--არქეოლოგიური ძიებანი, ე) პ. ინგოროყვას–ქართული სასულიერო პოეზია VIII-XIII საუკუნეებში, ვ) ე. ნიკოლაძის–საეკლესიო კრებები XVIII საუკუნეში, ზ) ა. ნატროეევის-- ივერიის მონასტრის ისტორია, და სხვა. სამუზეუმო მასალაზე დაყრდნობით შედგა: 1. ქართული ბიბლიის ისტორია, 2. ქართულ-რუსული ლექსიკონი, 3. პალეოგრაფიული ცხრილები, და 4. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის გადაწერა ურბნისის სახარება.[479]

მუზეუმის კომიტეტის ძალისხმევით გამოიცა 20-მდე წიგნი. მათ შორის: ა) აბო თბილელის ცხოვრება, ბ) ძველი ქართული არქიერატიკონი, გ) 1074 წლის ათონის ქართველთა მონასტრის კრებული, დ) კათალიკოს არსენის თხზულება–ცხოვრება წმინდა ნინოსი (X ს.) ე) იოანე ბოლნელის ქადაგებანი, ზ) დაუჯდომელი და სხვა.[480]

ამ შრომებში მოყვანილ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ მუზეუმის ხელნაწერების მეშვეობით ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას მოეფინა ნათელი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იყო VI-XIII საუკუნის ეტრატები, რომლებიც ეხებოდნენ მეფე გუბაზსა და ბიზანტიის ისტორიას, ათონის მთაზე ივერთა მონასტრის დაარსებას, ქართველ წმინდა მამების და მონაზონთა ღვაწლს და სხვა.

საეკლესიო მუზეუმის საგანძურიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს საცავში № 529-ით გატარებული ე. წ. "ციმისხის ეტრატი"–ათონის ქართველთა მონასტრის კრებული. იგი შეიქმნა 1074 წელს და მის შინაარს შეადგენს: ისტორიები, ბიოგრაფიები, გალობები და სინოდიკა (აღაპები). კრებული იწყება გიორგი მთაწმინდელის მიერ 1066 წელს დაწერილი

---

[478] "ეურნ." Церковный вестник", პეტროგრადი., 1914, № 30, გვ. 6.

[479] Джанашвили М., Церковный музей, в кн. "Летопис Грузии"., ტფ. 1913, გვ. 100.

[480] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტფ.. 1916, გვ. 7.

ერცელი წერილით, რომელიც ეხება წიგნის დამკვეთს ექვთიმე ათონელს (1028 წ.), მის მამას იოანეს და ცნობილ სარდალს თორნიკე ერისთავს, რომელიც მოღვაწეობდა X საუკუნის II ნახევარში. კრებულში შეტანილია: ა) ილარიონ ქართველის ცხოვრება, რომელმაც იმპერატორ ვასილის დროს (867 წ.) დაარსა თესალონიკის ქართველთა მონასტერი და ბ) იოანე ღვთისმეტყველის მოგზაურობა, რომელიც შედგენილია მისი მოწაფის და თანამგზაურის პროხორის მიერ. კრებული მთავრდება ქართული სიწმინდეების საპატიცემულოდ აღავლენილ გალობებით.[481]

აღნიშნული კრებული უძვირფასეს ცნობებს იძლევა საქართველოს იმ მეფეებზე, რომლებსაც სამსახური გაუწევიათ ან რაიმე შეუწირავთ მონასტრისათვის. მათ შორის მოხსენიებულია თამარ მეფე და ბიზანტიის ინპერატორი, ეროვნებით სომეხი, იოანე ციმისხი-ჩიმიშკიანი (969-976წწ.) რომელიც თავის ხაზინიდან ყოველწლიურად 244 დრაპკანს უხდიდა მონასტერს. გაზ. "ივერია" 1900 წელს წერდა: "ხელნაწერი ფრიად შესანიშნავია საეკლესიო ისტორიის მეცნიერებისათვის. აქ ჩართულია მრავალ დღემდე უცნობი წმინდანთა სახელები და მათი ცხოვრება. ქართველ წმიდათაგან ჩართულია ილარიონ ქართველის, წმ. ეფთვიმეს და მისის მამის იოანეს დღესასწაული. სვინაქსარს დართული აქვს ტიბიკონური საჩვენებელი და წარწერანი თვით გიორგი მთაწმინდელისა. წინათ სვინაქსარი შიო-მღვიმის ლავრის საკუთრება ყოფილა".[482]

1916 წელს მუზეუმში სულ ირიცხებოდა 1116 ხელნაწერი და ძველებური წიგნი, 1017-სიგელ-გუჯარი, 184—საეკლესიო ნივთი და შესამოსელი, 120—ჯვარი და ჭურჭელი, 142—ხატი და პორტრეტი, 105—ქვის ნიეთი, 50 კაჭის ძველებური თოფი, 215—ძველი მონეტა, 650—ახლად დაბეჭდილი წიგნი.[483]

საეკლესიო მუზეუმი თავდაპირველად თავის ხარჯებს მხოლოდ შემოწირულობების გზით შემოსული თანხებით ფარაჯდა. უნდა აღინიშნოს ეგზარქოს ფლაბიანეს, ეპისკოპოსების ლეონიდეს, კირიონის, არქიმანდრიტების დოსითეოსის, ესტატეს და სხვათა ფინანსიური დახმარებები. 1897 წლიდან მუზეუმს თბილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის

---

[481] Джанашвили М., Пергаментный рукописи музея, в кн."Летопис Грузии", ტფ.1913, გვ.101.

[482] გაზ."ივერია", 1900 წლის 3 ნოემბერი, № 240.

[483] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტფ,. 1916 .გვ. 7.

შემოსავლებიდან ყოველწლიურად დაენიშნა 1000 მანეთი. მაგრამ ეს თანხა არ იყო საკმარისი. ქრონიკული უსახსრობის პირობებში გაძნელებული იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ექსპედიციების მოწყობა, ჭირდა ექსპონატების შეძენაც. მაგრამ ხშირად მდგომარეობას ამსუბუქებდა საქმისადმი უანგარო თავდადება, სხვადასხვა პირებისა და საზოგადოებებისგან მიღებული დახმარება. ამ მხრივ აღსანიშნავია 1902 წლის ნოემბერში დიდი მთავრის გიორგი მიხეილის-ძისა და მისი მეუღლის მარიამის მიერ გაღებული თანხები. იმავე წლის დეკემბერში არაგვის ერისთავის ოჯახმა მუზეუმს შესწირა XIII საუკუნის 303 ფურცლიანი სვინაქსარი და სხვა.[484]

მიუხედავად სახსრების ნაკლებობისა, მუზეუმი ზოგჯერ ახერხებდა ექსპონატების შეძენასაც. როგორც ანგარიშებიდან ჩანს, 1900-1901 წლებში შეუძენიათ ვერცხლით გაწყობილი ბროლის სურა წარწერით: "საქართველოს კათოლიკოსის მეფის ძის ანტონისა არის, 1811 წ", გიორგი მეფის ბეჭედი, რომაული ხმალი, ძველებური კრამიტი ჯვარის გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით, ბრინჯაოს კერპი, ქართული და ასირიული ვერცხლის მონეტები და სხვა.[485]

საეკლესიო მუზეუმს ეკავა სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში ორსართულიანი შენობა, რომელიც თავის დროზე ეკლესიის ძმათა საბჭომ ააგო და მოიყვანა წესრიგში. 1899 წლის 29 ნოემბერს ეგზარქოსმა ფლავიანემ ეს შენობა სასულიერო წოდების საკუთრებად გამოაცხადა. მანვე იკისრა აგრეთვე შენობის მიმდინარე შეკეთებებისა და საჭირო სამეურნეო ხარჯების გაღება. XX საუკუნის დასაწყისში გამოირკვა, რომ აღნიშნული ნაგებობა ვეღარ აკმაყოფილებდა მუზეუმის მოთხოვნებს და დადგა ახალი მუზეუმისთვის შესაფერისი შენობის აგების საკითხი. მაგრამ რადგან ვერ მოხერხდა ახალი შენობის ასაგები თანხის შეგროვება, გადაწყდა, რომ მუზეუმი გადატანილიყო ქალაქგარეთ, ვერაზე, აქ არსებულ სასულიერო სემინარიის შენობაში. ამ წინადადებამ აზრთა სვადასხვაობა გამოიწვია. "ცნობის ფურცელი" აცხადებდა: "ადგილობრივ მთავრობას გადაუწყვეტია, რომ საეკლესიო მუზეუმი, რომელიც სიონის ტაძრის შენობაშია, გადაიტანოს ვერაზე და მოათავსოს სასულიერო სემინარიის ახალს შენობაში". ამასთან ერთად,

---

[484] გაზ. "ივერია", 1902 26/XI № 253; 1902 10/XII № 364.

[485] Краткий отчет по церковному музею за 1900-01 гг, ст. 14.

გაზეთი რჩევას იძლეოდა: "დღეს მუზეუმი ადვილი მისადგომია. თუ მართლა იგი ვერაზე გადაიტანეს, მაშინ ვერ შეძლებენ იმ სიშორეზე სიარულსა."[486] ამ და სხვა მიზეზების გამო საეკლესიო მუზეუმს გაფართოება აღარ ღირსებია. მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მუზეუმის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის გამოფენები და აქ დაცული ექსპონატები დიდ ინტერესს იწვევდნენ საზოგადოებაში. მათ ათვალიერებდნენ არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან სპეციალურად ჩამოსული სტუმრები. საგამოფენო დარბაზებში გაკეთილები და თემატური საუბრები უტარდებოდათ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს. თუ 1898 წელს მუზეუმი დაუთვალიერებია 18000 ადამიანს, ეს რიცხვი 1916 წლისათვის 40000-მდე გაზრდილა.[487] დამთვალიერებელთა შორის იყვნენ ქვეყნის უმაღლესი პირები, საიმპერატორო ოჯახის წევრები, დიდი მთავრები, მინისტრები, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, საულიერო წოდების წარმომადგენლები და სხვა. მუზეუმში ხშირად ტარდებოდა ექსკურსიები, როგორც იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან, ისე ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებიდან. მაგალითად, 1913 წელს იგი დაუთვალიერებია კიევ—პეჩორის ლავრისა და იაპონელ სასულიერო პირებსაც. მუზეუმმა ღირსეული მასპინძლობა გაუწია 1881 წელს თბილისში ჩატარებულ არქეოლოგთა V საერთაშორისო ყრილობისა და 1913 წელს შემდგარ რუს ბუნებისმკვლევართა და ექიმთა XIII ფორუმის დელეგატებს.

მუზეუმში დაცულ ხელნაწერებისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდნენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებები: 1911 წელს რამოდენიმე ხელნაწერი შესასწავლად გაიგზავნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში, აზიის მუზეუმში და სხვა.

მუზეუმის ექსპოზიციებისა და ფონდებში დაცული ექსპონატების მოწონებაზე კარგად მეტყველებს სტუმართა ის გამოხმაურებები, რომლებიც მოყვანილია ამ დაწესებულების ანგარიშებში. მაგალითად, კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი, არქიეპისკოპოსი პლატონი 1903 წლის 7 იულისს წერდა: "განმაცვიფრა მუზეუმში თავმოყრილმა მეცნიერებისა და

---

[486] გაზ. "ცნობის ფურცელი", 1909 წლის 26 ნოემბერი, №2681

[487] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტფ., 1916 გვ. 7.

მსოფლიოსათვის უცნობმა ლიტურგიული და საეკლესიო-ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერთა სიუხვემ. ვისურვებდი, რომ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს ამ იშვიათი განძისათვის."[488] პეტერბურგელი პროფესორი ანდრეი პრახოვი 1911 წლის 6 ოქტომბერს აღნიშნავდა: "ქართული საეკლესიო-არქეოლოგიური მუზეუმის დათვალიერებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, როგორც მაღალმხატვრული ქართულ სიძველეთა სიმდიდრით, ისე ამ საგანძურის აღწერით".[489] ანალოგიურ მოსაზრება გმოუთქვამს ცნობილ მეცნიერებს პ. უვაროვას, რ. კონდაკოვს და სხვებს.

მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელს აუცილებლად აჩვენებდნენ აქვე სიონის ტაძარში დასვენებულ ქართველი ერის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ ისტორიულ ნიეთებს--წმ. ნინოს ჯვარს და სიონის ღვთისმშობლის ხატს, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მნახველებზე: ზომით 1,4 ადლის სიგრძის და 0,3 ადლის სიგანის ჯვარი ჩასმული იყო ფარჩის შალითაში და დაფარული იყო ვერცხლის ჭედურობით. IX-X სს. ხელნაწერების მიხდვით იგი ქართველთა განმანათლებელს წმ. ნინოს თავის თმებით შეუკრავს ვაზის ტოტებისაგან. ეს ჯვარი 1749 წელს მიტროპოლიტ რომანოზს წაუღია რუსეთში და გადაუცია ვახტანგ VI ძის ბაქარისათვის. მის შვილიშვილს უფლისწულ გიორგის კი ჯვარი მიურთმევია იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის. ამ უკანასკნელმა 1801 წლის 15 ოქტომბერს იგი წაუძღვარა თბილისში შემოსულ რუსთა ჯარს და მას აქეთ წმ. ნინოს ჯვარი დაუნჯებულია სიონის საკათედრო ტაძარში. რაც შეეხება სიონის ღვთისმშობლის ხატს, იგი შემკულია 70 ცალი ალმასით, 200—ლალით, 160—იაგუნდით, 90—ზურმუხტით, 70--ფირუზით და 600—მარგალიტით და სხვა ძვირფასი თვალით.[490]

საეკლესიო მუზეუმი საქველმოქმედო საქმიანობითაც გამოირჩეოდა. მუზეუმის ბიბლიოთეკით არა მარტო უფასოდ სარგებლობდა საზოგადოება, არამედ მისი სასულიერო წიგნებით მარაგდებოდა თბილისის სხვადასხვა სასწავლებელი. მუზეუმს წიგნები შეუწირია პეტერბურგში არსებულ "ქართულ

---

[488] Краткий отчет по церковному музею за 1900-01 гг, გვ. 7.

[489] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტფ,. 1916 .ст. 13.

[490] Церковный музей духовенства Грузинской епархии, ტფ,. 1916 . გვ. 13.

სამეცნიერო წრისათვის", ყარსის ქალთა გიმნაზიისათვის და სხვა.[491]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ეკლესიაზე ტოტალური შეტევის პერიოდში, ფუნქციონირება შეწყვიტა საეკლესიო მუზეუმმა. მის ფონდებში დაუნჯებული ექსპონატები გადაეიდა განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და 1921 წელს გადაეცა თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს. მთელი მასალის გადაცემა ოფიციალურად დაეევალა მოსე ჯანაშვილს. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ხელმძღვანელები კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე რამოდენიმე თვის განმავლობაში იბარებდნენ ექსპონატებს. იგი მოათავსეს უნივერსიტეტის შენობის მე-3-ე სართულზე. რაც შეეხება მ. ჯანაშვილს, ისიც გადაიყვანეს უნივერსიტეტში და დანიშნეს სიძველეთსაცავის გამგის ასისტენტად.

მოგვიანებით, უნივერსიტეტში განთავსებული საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები სამთავრობო გადაწყვეტილებით შეუერთდა საქართველოს მუზეუმის ფონდებს. მის ბაზაზე მუზეუმში 1929 წელს ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება პაველ ინგოროყვას მეთაურობით. საეკლესიო მუზეუმის კოლექციებმა აქ შეინარჩუნეს საკუთარი სახელები და მათ ფონდებს მიეცათ ცალკე ლიტერი. იგი აღირიცხებოდა პირობითი ასოითი ნიშნით-A, საეკლესიო მუზეუმი ექსპონატემის მოამაგემ და მცველმა მოსე ჯანაშვილმა საქართველოს მუზეუმში კონსერვატორის თანამდებობა დაიკავა.[492]

ამრიგად, XIX საუკუნის II ნახევრსა და XX საუკუნის დასაწყისში საეკლესიო მუზეუმმა დიდი ეროვნული მისია იკისრა, როცა სათავეში ჩუდგა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძველ ნაშთთა შეკრების, შესწავლისა და გადარჩენის საქმეს. თავის არსებობის მანძილზე იგი საეკლესიო ხელნაწერების, წიგნებისა და ნივთების მნიშვნელოვან განძთსაცავად ჩამოყალიბდა. საეკლესიო მუზეუმი რეეოლუციამდელ თბილისში კავკასიის მუზეუმის შემდეგ ყველაზე დიდ და ღირებულ კოლექციებს ფლობდა, რომელიც დიდად აინტერესებდა სამეცნიერო სამყაროს. საეკლესიო მუზეუმის მეშვეობით მსოფლიოს საზოგადოება

---

[491] მუმლაძე მ., ნიკოლაიშვილი თ., საეკლესიო მუზეუმი თბილისში, გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი" 1989 წლის 21 ოქტომბერი.

[492] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, ან3, საქ. 140, ფ. 73.

ახლოს გაეცნო და კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართველი ერის მდიდარი სულიერი და მატერიალური კულტურის ნაშთებმა.

ეროვნული დაწესებულებების ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო და საეთოგრაფიო საზოგადოებების და საეკლესიო მუზეუმების ექსპონატების საქართველოს მუზეუმის ფონდებში თავმოყრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც იოანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა "ამის წყალობით საქართველოს მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებად გადაიქცა."



დიმიტრი ბაქრაძე

თედო ჟორდანია



ი. ჯაფარიძეული და ნ. მარი ანისის გათხრებზე 1903წ.

სამეცნიერო ექსპედიცია მცხეთაში 1904წ.

მოსე ჯანაშვილი



ეკვთიმე თაყაიშვილი

თავი IV

საქართველოს მუზეუმი (1919-1932წწ)

საქართველო 1918 წლის 26 მაისს კოლონიური უღლისგან განთავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ შეუღგა ახალი, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა ძველი მუზეუმების, პირველ რიგში კავკასიის მუზეუმის ბაზაზე ახალი სამუზეუმო დაწესებულება ჩამოყალიბებულიყო.

ეროვნულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა კავკასიის მუზეუმის მნიშვნელობა და თავიდანვე მას დიდი ყურადღება დაუთმო. კავკასიის მუზეუმი, მოიაზრებოდა როგორც ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნიმუშთა თავმოყრისა და დაცვის ცენტრი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული ინტერესების მატარებელი დაწესებულების შექმნა.

1918 წლის 3 ივნისს კავკასიის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ამავე დაწესებულების გეოლოგიის განყოფილების გამგე ნოე მანუჩარის ძე ყიფიანი. ამასთან ერთად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ჩამოსაყალიბებლად. 1919 წლის იანვარში მთავრობის თაოსნობით დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაეკალა მუზეუმის დებულების შემუშავება.

1919 წლის 1 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ და საქართველოს მთავრობამ მიიღო დეკრეტი კავკასიის მუზეუმის გაუქმებისა და მის ბაზაზე საქართველოს მუზეუმის დაარსების შესახებ.[493] დეკრეტში აღნიშნული იყო: "1. გაუქმებულ იქნეს ქალაქ ტფილისში არსებული კავკასიის მუზეუმი. 2. დაარსდეს საქართველოს მუზეუმი, რომელსაც გადაეცეს კავკასიის მუზეუმის ყოველი უძრავი და მოძრავი ქონება და საქმე. 3. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს მუზეუმისა."[494] დებულების შესაბამისად საქართველოს მუზეუმის მიზანსა და ამოცანებს შეადგენდა საქართველოს მეცნიერულად შესწავლის ხელშეწყობა, რისთვისაც თავი უნდა მოეყარა, ძოეწესრიგებინა, შეენახა და მეცნიერულად დაემუშავებინა ყველა მასალა და კოლექცია,

---

[493] სსმ არქივი, 1919 148/136, გვ. 19.

[494] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918–1921, თბ., 1990, გვ 307.

რომლებიც შეეხებოდნენ საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ფიზიკურ ბუნებას, ეთნოგრაფიასა და ისტორია–არქეოლოგიას."[495]

საქართველოს მუზეუმი შევიდა სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში. მას განაგებდა სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგებოდა დირექტორის, განყოფილების გამგეების და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ არჩეული 5 წარმომადგენელისგან.

დებულების მიხედვით, (მუზეუმი შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან: გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიის და ისტორია–არქეოლოგიის.) დირექტორსა და განყოფილებათა გამგეებს ირჩეოდა სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებდა განათლების მინისტრი.

საქართველოს მუზეუმის სახსრებს შეადგენდა: "ა) სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადადებული განსაზღვრული თანხა და ბ) სპეციალური თანხა." "მუზეუმის სპეციალურ თანხას შეადგენდა: 1) მუზეუმში შესასვლელი გადასახადი, 2) შემოწირულობანი და 3) გამოცემათა და კოლექციათა დუბლიკატების გაყიდვით მიღებული შემოსავალი"[496]

(საქართველოს მუზეუმთან არსებობდა წიგნსაცავი, სადაც თავმოყრილი იყო ლიტერატურა ძირითადად საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ. მას ეწოდა"საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა."

საქართველოს მუზეუმს რთულ პერიოდში მოუწია საქმიანობის დაწყება. პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციებისა და გართულებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგებული იყო. ისეთი დიდი დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისთვის, როგორიც იყო მუზეუმი, საჭირო თანხები არსად ჩანდა. მუზეუმის გამოფენები დაიხურა, აქედან გამომდინარე სპეცთანხები აღარ იკრიბებოდა, ექსპედიციები ძალზე შეზღუდული მასშტაბებით ტარდებოდა, ახალი შენობის მშენებლობის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. მაგრამ სამაგიეროდ ღიღ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებთან დაკავშირებით შექმნილი ახალი ვითარება საიმედო

---

[495] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918–1921, თბ., 1990 გვ. 108.

[495] იქვე, გვ 108.

[496] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918–1921, თბ., 1990, გვ. 108.

ნიადაგს ქმნიდა მუზეუმის ფუნქციონირების განახლებისთვის. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ნაციონალური თვითშეგნების აღზევების ფონზე, ახალგაზრდა სახელმწიფოს ხელეწიფებოდა ყველა სიძნელის გადალახვა.

(უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მუზეუმის გაეროვნულობა, როგორც მისი პირველი ქართველი დირექტორი ნოე ყიფიანი აღნიშნავდა: "კავკასიის მუზეუმის უმთავრეს ნაკლს შეადგენდა ის გარემოება, რომ მუზეუმში საკუთრივ საქართველო სუსტად გახლდათ წარმოდგენილი. საქართველოს მუზეუმი უმთავრეს მიზნად ამ შემკვიდრეობით გადმოცემული ნაკლის გამოსწორებას ისახავს".[497] ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო კადრებიდან: 1919 წელს საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ დირექტორად ისევ აირჩია ნოე ყიფიანი.

ნოე მანუჩარის ძე ყიფიანი (1887-1966 წ.წ.) დაიბადა 27 იანვარს ხონის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში. 1903 წელს სწავლობდა ქუთაისის პროგიმნაზიაში. 1906 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. სწავლა განაგრძო საზღვარგარეთ. 1912 წელს დაამთავრა პარიზის სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. 1912-1913 წლებში სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებით, მუშაობას იწყებს ალფრედ ლაკრუასთან, მოგვიანებით კი—ემილ პოგთან. 1915 წელს დაბრუნდა რუსეთში და თანამშრომლობდა აკადემიკოს ნიკოლოზ ანდრეუსოვთან. ამ უკანასკნელის წარდგინებით საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ იგი აირჩია კავკასიის მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების გამგედ.[498] ნოე ყიფიანმა ცხრა წელი დაჰყო მუზეუმში და გარკვეული კვალი დატოვა მის ისტორიაში.

საქართველოს მუზეუმში 1918 წელს მუშაობდა სულ 19 მუშაკი. მუზეუმში ახლადშეერთებულ თბილისის უნივერსიტეტთან ერთად ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა სამჭედლოდ იქცა.

1919 წლის სექტემბრიდან მუზეუმში ძიებეს ახალი თანამშრომლები: მინერალოგიის განყოფილების გამგედ—პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე, ზოოლოგიის განყოფილების გამგედ—ზოოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჩხიკვიშვილი, ბოტანიკის განყოფილების გამგედ — ბორის შიშკინი, ბიბლიოთეკის გამგედ —ალექსანდრე სვანიძე, მის თანაშემწედ—ნინო. ჭავჭავიძე, 1920 წლის 1 ივნისიდან არქეოლოგიის განყოფილების გამგედ—პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი, მუზეუმის მდივნად—სოლომონ იორდანიშვილი, იგი

---

[497] სსმ არქივი, 1920 149/137, ფ. 116.

[498] ნ. ყიფიანის საოჯახო არქივი, ფ 15.

1920 წლიდან შეცვალა სერგი მაკალათიამ. პრეპარატორად მუშაობდა ელენე ამირაშვილი; ასისტენტებად—მარიამ ბარათაშვილი, ელისაბედ ქიქოძე, თანამშრომლებად შალვა ამირანაშვილი, თამარ ამირეჯიბი, თინათინ დვალი, თამარ ლომინაძე, ალექსანდრე ლომაძე, გიორგი ეპიტაშვილი, მხატვარი ევგენი ლანსერე.[499]

მუზეუმის მუშაობაში უნივერსიტეტიდან ჩაერთვნენ საქართველოს თვალსაჩინო მეცნიერები და სახელოვანი მამულიშვილები.

1920 წლის 9 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი ატყობინებდა მუზეუმის დირექტორს, რომ მუზეუმის სამეცნიერო საბჭოში თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებად არჩეული არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, სოლომონ ქურდიანი და ალექსი ნათიშვილი.[500] მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა 1920 წლის 1 იანვარს.

1919 წელს მუზეუმის დირექტორი განათლების მინისტრს სწერდა: "ცხადია მეტად რთულ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორც საქართველოს მუზეუმია თავისი ხუთი განყოფილებით და ბიბლიოთეკით, ერთ დღესაც არ შეუძლია მოადუნოს მუშაობის მსვლელობა. მუზეუმი გარკვეულად სცდილობს, რომ საიმედოდ მომზადებულნი მუშაკნი შემოიკრიბოს თავის გარშემო და თავიდანვე დაამკვიდროს სწორი მეცნიერული კვლევა—ძიების ადათი. 12 მარიამობისთვიდან მუზეუმმა მოიწვია რამდენიმე სპეციალისტი და ბიბლიოთეკარი და უკვირდება თუ რამდენად შეეფერება მათი მუშაობის უნარიანობა მუზეუმის არსებით მოთხოვნას. ვფიქრობ, რომ ამ ეხრივ მუზეუმმა საიმედო გამოსავალი იპოვა"[501]

მუზეუმი დიდ მატერიალურ გასაჭირს განიცდიდა. ამას მეტყველებს მის არქივში დაცული უამრავი ბარათი და მოხსენება, რომლებიც ეგზავნებოდა განათლების სამინისტროს. "მუზეუმის თანამშრომლები ეწევიან მძიმე მუშაობას და ამასთან ერთად, ისეთ განსაკუთრებულ პირობებში, როგორიც არის მუზეუმის ჯერ კიდევ მოუწყობელი ლაბარატორიები და განყოფილებები. ჩვენი მუშაობა გაცილებით ძნელია, ვიდრე მასწავლებლისა და შესაძლებელია შრომის უნარის დაკარგვაც."--

---

[499] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 206

[500] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 140

[501] სსმ არქივი, 1919, 148/136, ფ. 37.

იტყობინებოდნენ მუზეუმიდან. ისინი უპირველეს ყოვლისა, ითხოვდნენ ექსპონატების შესაწამლად და კოლექციების დასაცავად ნაფტალინს, სპირტს, ფორმალინს, ქაღალდს, "მუზეუმის ესახურთათვის მანუფაქტურას, ფეხსაცმელს, შაქარს, საპონს, სანთელს" [502] და ა. შ.

მუზეუმის დირექტორი 1919 წელს მოახსენებდა ზემდგომ ორგანოებს: "ისეთ მდგომარეობაში დაგვიტოვეს იგი საქართველოს მუზეუმის დღევანდელ მუშაკებს, რომ ამ ჟამში მუზეუმის ხუთივე განყოფილება უდიდეს გასაჭირს განიცდის როგორც მათთვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურის, ისე ლაბორატორიულ ხელსაწყოთა მხრივ, აღარას მოგახსენებთ იმ ბიბლიოთეკის შესახებ, რომელიც ზემოხსენებული მიზეზების გამო უკვე 5 წელია, რაც მოკლებულია საშუალებას მიიღოს ესა თუ ის ახალი მეცნიერული ნაშრომი."[503]

მიუხედავად უდიდესი ინფლაციისა და საყოველთაო გაჭირვებისა, ხელისუფლება მაინც ცდილობდა რითიმე დახმარებოდა მუსეუმს.

1919 წლის 19 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დეკრეტი საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფის შესახებ. 1919-1920 წლებში განათლების სამინისტრომ მუზეუმს "ნივთების შესაძენად გადასცა 104,800 მანეთი. ხოლო სამეცნიერო, საგამომცემლო და საოჯახო ხარჯებიათვის" 1920 წლის დასაწყისში სხვადასხვა ფონდებიდან ყოველთვიურად გამოიყოფოდა 3.333, 3750 და 1250 მანეთი.[504] ამ თანხებით მოხერხდა ექსპედიციებისა და მივლინებების მოწყობა. ელ. ქიქოძე გაემგზავრა გორის რაიონში, ნ. ყიფიანი – ორთაჭალის მიდამოებში, პ. სვიდერენკო – შორაპნის მაზრაში, ი. ჩხიკვიშვილი – კუმისის ტბაზე, ა. ლომაძე – ყარაიაზში, ა. მარკოვი – ფასანაურში, ა. თვალჭრელიძე – კისტრიშის ხეობაში, ბ. შიშკინი—აღმოსავლეთ გურიაში და სხვა.

მუზეუმი ამ თანხებით აგრეთვე ახერხებდა თავის სამუშაოებზე მაღალკვალიფიციური რუსი და უცხოელი სპეციალისტების მოწვევასაც: 1920 წლის ივნისში ბოტანიკური მასალების მოსაწესრიგებლად მიიწვიეს ალ. გროსჰეიმი. ურმიის კოლექციების დასამუშავებლად – გ. მაიოროვი, ენტომოლოგიურ მასალებზე სამუშაოდ – პენზის საბუნებისმეტყველო მუზეუმის

---

[502] სსმ არქივი, 1919, 148/136 , ფ. 79.
[503] სსმ არქივი, 1919, 148/136, ფ. 86.
[504] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 122.

სპეციალისტი გრ. ოლსუფიევი.[505] ამ დაწესებულებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა ცნობილ ბოტანიკოს ნ. ეორონიხინთან თანამშრომლობა.[506]

1919 წელს დაისვა რესპუბლიკაში გაბნეული სამუზეუმო ნივთებისა და წიგნების საქართველოს მუზეუმში თავმოყრის საკითხი. ამის ინიციატორად გამოდიოდა მუზეუმის დირექტორი ნ. ყიფიანი: "ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები გვიკარნახებს, რომ ყველა სამუზეუმო მასალა თავმოყრილი და დაცული იყოს საქართველოს მთავარ მუზეუმში".[507] აღნიშნულ ეტაპზე განსაკუთრებით სასურველად იქნა მიჩნეული შინაარეწველობის კომიტეტის მუზეუმის, აბასთუმანში დიდი მთავრის გიორგი რომანოვის კერძო ბიბლიოთეკის, ბორჯომის სატყეო მუზეუმის, ლიკანში რომანოვების სასახლის ნივთებისა და წიგნების მუზეუმისთვის გადმოცემა.

საქართველოს მუზეუმი გახდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა მეთვალყურეობისა და ისტორიული მნიშვნელობის ნივთთა დაცვის ცენტრი. 1920 წლის აპრილში საქართველოს მუზეუმთან დაარსდა ისტორიული მნიშვნელობის საგნების შეძენის ფონდი. ფონდთან ფუნქციონირებდა კომისია. 1920 წლის 24 მაისს კომისიის წევრებმა ე. თაყაიშვილმა და გ. ჩუბინაშვილმა განათლების სამინისტროს მიმართეს თხოვნით საარქეოლოგიო ნივთთა შესაძენი ფონდიდან 418500 მანეთის გამოყოფის შესახებ. ამ თანხით უნდა შეეძინათ: 1) კოლექციონერ ა. ტერ-ოგანეზოვისგან ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც მოიცავდა 700-მდე ერთეულს, მათ შორის 400-მდე ვერცხლის, დანარჩენი სპილენძის (არშაიდების, სასანიდების, ქართულ, რუსულ, რომაულ, ბერძნულ, ბიზანტიურ და სხვა) მონეტებს, 2) ორი ძველებური ხმალი, 3) ქართული ხელნაწერი წიგნი, 4) სამი ძველი ნაბეჭდი წიგნი (კონდაკი), 5) მოვერცხლილი ორი ყანწი, 6) ოქრომკედით ნაქარგი აბრეშუმის ბოხჩა, 7) ერეკლე მეფის ხანჯალი მინანქრიანი ოქროს ბუდით და 8) დამბაჩა.[508] 1920 წელს მუზეუმმა შეიძინა ვ. ბაგრატიონის, მ. ვაჩნაძის, გ. შერვაშიძის, ყაფლან ორბელიანისა და მარიამ ერისთავის ოჯახებიდან სამკაული, იარაღი, ტანსაცმელი, ხალიჩები და სხვა ნივთები[509]

---

[505] სსმ არქივი, 1920, 149/137 ფ. 263.

[506] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში – სცი არქივი), ფ. 1935, ან.1, საქ. 948, ფ. 6.

[507] სსმ არქივი, 1919, 148/136, ფ. 51.

[508] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 163.

[509] საქართველოს მუზეუმის საკოლექციო დავთარი, გვ. 4—17.

ამავე წელს, ექ. თაყაიშვილს ისტორიულ–კულტურული მნიშვნელობის საგნების შესყიდვის ფონდიდან გამოუყვეს 300.000 მან. მუზეუმისთვის ძველი მონეტების, იარაღისა და ხელნაწერების შესაძენად. ამავე კომისიას 1920 წლის ოქტომბერში გაუგზავნია თხოვნა მხატვრული სურათების, ნუმიზმატიკური მასალისა და იარაღის საყიდლად, რისთვისაც ხაზინიდან გამოყვეს 150 ათასი მანეთი.[510]

1919-1920 წლებში მუზეუმის მიერ განხორციელებული ექსპედიციების, ნივთების შესყიდვისა და შემოწირულობების გზით მუზეუმში შეეიდა ბევრი მნიშვნელოვანი ექსპონატი. 1920 წლის მაისში ივ. ტყეშელაშვილმა მუზეუმს შესწირა ძველი ოსმალური ხმალი, ხანჯალი, თოფი, ფარი, ყალამგანი, დამბაჩა და სხვა.[511] 1920 წელს მუზეუმმა ა. დადეშქელიანისაგან მიიღო საინტერესო ვერცხლის ნივთები: თამარისეული ლარნაკი, ეამეყისეული ჩარა (ფიალა), აგრეთვე 5 ერთეული ყელსაბამი და სურა.

ამავე დროს, აბასთუმნის სახელმწიფო მამულების მმართველმა გიორგი კოკოჩაშვილმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა ახალციხის მაზრასა და ბორჯომის ხეობაში შეგროვებული მდიდარი ზოოლოგიური და ბოტანიკური კოლექცია[512] და სხვა.

საყოველთაო ანარქია და გამწვაეებული საგარეო პოლიტიკური ვითარება გარკვეულად აისახებოდა მუზეუმის საქმიანობაზეც. 1919 წლის ბოლოს ხანგრძლივი კამათი ამტყდარა ამერ-იმერეთის სომხურ გრიგორიანული ეკლესიის ეპარქიის ეპისკოპოს მხითარის მოთხოვნაზე, რომ ეჩმიაძინის ეკლესიის მუზეუმს გადასცემოდა 1910 წელს კავკასიის მუზეუმის მიერ მოძებული ბითლისის მონასტრის უნიკალური კარი.[513]

ამავე პერიოდში მუზეუმის დირექცია პროტესტს გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ ყოფილი კავკასიის მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგე ბ. ტერ-ავეტისიანი აპირებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებისათვის მიეყიდა 500-ზე მეტი სპარსულ-არაბული ხელნაწერი.[514] ეს ძვირფასი ექსპონატები ტერ-ავეტისიანმა მოიძია ანატოლიაში კავკასიის მუზეუმის მიერ განხორციელებული ექსპედიციის დროს და ამ მუზეუმის საკუთრებას წარმოადგენდა.

---

[510] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 226.
[511] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 132.
[512] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ. 311.
[513] სსმ არქივი, 1919, 148/136, ფ. 132.
[514] სსმ არქივი, 1919, 148/136, ფ. 161.

საქართველოს მთავრობის ჩარევის შემდეგ ორივე ეს ინციდენტი მუზეუმის სასარგებლოდ დამთავრდა.

მუზეუმის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და კავკასიის მუზეუმის ძველი პრივილეგიების დაკარგვა თანამშრომელთა (განსაკუთებით არაქართველთა) მცირე ნაწილისათვის საბაბი გამხდარა არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილების ასისტენტ დ. გორდეევის ინიციატივით პეტროგრად'ში გაგ'ზავნილი წერილისა, რომელშიც იყო მოთხოვნა მუზეუმის ისევ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემა'ში დაბრუნების შესახებ. წერილ'ში ამის მთავარ მოტივაციად მოყვანილი იყო ის, რომ მუზეუმი მთელი კავკასიის საკუთრება იყო და არა მარტო საქართველოსი.[515] მთავრობის მიერ გადადგმულმა მტკიცე ნაბიჯებმა—კერძოდ, მუზეუმის ქართულ დაწესებულებად გამოცხადებამ, ძირშივე აღკვეთა ზემოთ აღნიშნული მოსაზრება.

1920 წლიდან დიდი ყურადღება დაეთმო მუზეუმის მეცნიერული პროდუქციის გამოქვეყნებასაც. საფუძველი ჩაეყარა პერიოდულ გამოცემებს:—"საქართველოს მუზეუმის მოამბე"-ს და "საქართველოს მუზეუმის შრომებს."ამ უკანასკნელის I ტომი გამოვიდა 1920 წელს და 1932 წლამდე სულ გამოიცა 8 ტომი, ხოლო "მოამბე-"ს გამოქვეყნება დაიწყო 1922 წლიდან და 1932 წლამდე სულ გამოვიდა 7 წიგნი.

(მუზეუმის გამოცემათა ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა ჯერ გ. ჩუბინაშვილს, მოგვიანებით კი—გ. ჩიტაიას.)

1919-1920 წლებში მოხერხდა ურთიერთობების აღდგენა ევროპის ანალოგიურ სამეცნიერო დაწესებულებებთან: პარიზის, ლონდონის,, ბერლინის და რომის მუზეუმებთან. მათ დაიწყეს თბილისში თავიანთი გამოცემების გამოგზავნა.

1920 წელს საქართველოს მუზეუმს დაეკალა ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების შეკეთება-დაცვაზე თვალყურის დევნება და მზრუნველობა. დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 13 აგვისტოს დეკრეტით ამ სამუშაოებისთვის გამოყო 2 მილიონი მანეთი.[516] ამ ხაზით მუზეუმმა მოითხოვა თანხა ეკლათისა და მარტვილის მონასტრების სახურავების შესაკეთებლად და შესაღებად. ხელისუფლებამ ამ სამუშაოებისთვის გაიღო 800 ათასი მანეთი.[517] მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ გამოყო კომისია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესასწავლად. მას'ში შეეიდნენ: პროფ.

---

[515] ჯილაშვილი ლ.„საქართველოს მეისტორიე, გაზ."თბილისი", 2002,25/V № 1[illegible].

[516] გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წლის 21 აგვისტო, №188.

[517] სსმ არქივი, 1920, 149/137, ფ236.

გ. ჩუბინაშვილი, ინჟინრები ნ. სევეროვი და ა. კალგინი. ისინი გაემგზავრნენ მცხეთაში სვეტიცხოველისა და ჯვრის მონასტრის მდგომარეობის გამოსარკვევად. ამის გარდა, მათ ევ-ლანსერესთან ერთად შეისწავლეს კახეთის ძეგლები კერძოდ, ბოდბის წმინდა ნინოს, ალავერდისა და შუამთის ეკლესიების მდგომარეობა. შეკეთდა ვეჯინის ამაღლებისა და ხირსის მონასტრების დაზიანებული საძირკველი და კედლები, მუზეუმის ფონდებში გადმოტანილი იქნა წრომის ეკლესიის მოზაიკის ფრაგმენტები.

ისტორიული და მხატვრული ნივთების მუზეუმში თაემოურის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 28 მაისის დეკრეტს: "საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ" [518] ." საზღვარგარეთ გატანას არ ექვემდებარებოდა: "1) ყოველგვარი მიწაში და სასაფლაოებში ნაპოვნი ნივთები ლითონისა, ძვლისა, თიხისა, მინისა და ხისა; 2) ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და სამკაული, ხატი, ჯვარი, ჭურჭელი, შესამოსელი, ქსოვილები, ნაკერ-ნაქარგი ნივთები, ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნები, სიგელ-გუჯარნი, ქანდაკებანი და ჩუქურთმიანი ქვები; 3) ყოველგვარი ძველი იარაღი, საომარი და საოჯახო; 4) ყოველგვარი ძველი სამკაული ღედაკაცისა და მამაკაცისა; 5) ძველი ფულები, მედლები, ეეტონები; 6) სურათები, ნახატები და მხატვრული ნაწარმოებები".

მნიშვნელოვანი იყო დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1920 წლის 30 მარტის დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ,[519] რითაც თბილისში ერთ-ერთ დიდ სამუზეუმო დაწესებულებას--საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩაეყარა საფუძველი.

ამ პერიოდშიც მთავარ საკითხად რჩებოდა საქართველოს მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება. დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 19 დეკემბრის დეკრეტით მუზეუმის შენობის მშენებლობის დამთავრებისთვის გამოყო 5.500000 მანეთი.[520]

---

[518] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990, გვ. 396.

[519] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990, გვ. 379.

[520] სცი არქივი, ფ. 1935, ან.1, საქ. 900, ფ. 14.

დაარსდა სპეციალური სამშენებლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა გ. ჟურული. საშენებლო კომისიას დაეკისრა მუზეუმის მთავარი კორპუსის ორი—სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფრთის სასწრაფოდ დამთავრება. ხოლო განათლების სამინისტროს დაეკალა მშენებლობის პროცესის მეთვალყურეობა.

განათლების მინისტრმა 1920 წლის 5 აპრილს მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი იმის შესახებ, "რომ ლორის- მელიქოვის ქუჩაზე გამაკალი კვარტალი, სადაც მუზეუმის შენობაა აგებული და სადაც ამჟამად სხვა დაწესებულებებიც არიან მოთავსებულნი (ქალთა გიმნაზია და მთავრობის სტამბა), გადაეცეს მუზეუმს, ვინაიდან ამ შენობაში აღრე თუ გვიან თავი უნდა მოიყაროს საქართველოს სხვადასხვა მდიდარმა და დიდმა მუზეუმებმა, რომელთა ერთ შენობაში მოთავსება მოითხოვს მის გაფართოებას."[521]

1920 წელს გარკვეული თანხები გამოიყო აგრეთვე ფასადის მოსაპირკეთებლად. ამ თანხებით დაკონსერვებული მშენებლობა განახლდა და დაიწყო შენობის გადახურვის სამუშაოები.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და ეროვნული სულისკვეთების აღმავლობამ, განაპირობა მუზეუმის შენობის ფასადის შეცვლის აუცილებლობა. ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის საცავს გარეგნული იერიც შესაბამისი უნდა ჰქონოდა.[522] ამიტომაც დაისვა მუზეუმის შენობის ფასადის გაფორმების ქართულ ეროვნულ არქიტექტურასთან მიახლოების საკითხი. ამისთვის სამშენებლო საქმეში ჩართეს ახალგაზრდა ნიჭიერი არქიტექტორები ნიკოლოზ სევეროვი და ანატოლი კალგინი. მაგრამ შემდგომ პერიოდში განვითარებულმა ტრაგიკულმა პოლიტიკურმა ბატალიებმა კიდევ რამოდენიმე წლით შეაფერხა მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება.

ამრიგად, ახალგაზრდა ეროვნული მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა მუზეუმისთვის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების პირობების შესაქმნელად, მაგრამ არ დასცალდა.

---

[521] სცი არქივი, ფ. 1935, ან. 1, საქ. 900, ფ. 6.
[522] სცი არქივი, ფ. 1935, ან. 1, საქ. 900, ფ. 6.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მუზეუმს რთული პერიოდი დაუდგა: ხელისუფლების ცვლის კატაკლიზმებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა მუზეუმში დაცულ ეროვნულ განძეულობას. მუზეუმის საუკეთესო ექსპონატები საქართველოს ხაზინასთან ერთად საზღვარგარეთ აღმოჩნდა გატანილი:

ყველაფერი დაიწყო 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, როდესაც საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია წამოიწყო.

13 თებერვალს მან დიდი ძალებით შემოუტია ეორონცოვკასა და სადახლოსთან. 20 თებერვალს მოწინააღმდეგე უკვე თბილისის მისადგომებთან იდგა და ყარაიაზის მხრიდან შეტევისთვის ემზადებოდა. ამ დღესვე წითელმა არმიამ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები შავიზღვისპირეთში ადლერის მხრიდანაც.

კოჯორსა და ტაბახმელასთან გააფთრებულმა ბრძოლებმა ცხადყო მდგომარეობის სერიოზულობა, რამაც საქართველოს მთავრობას გადააწყვეტინა თბილისიდან ხაზინისა და სამუზეუმო ძვირფასეულობის გახიზვნა.

ექვთიმე თაყაიშვილი ამ მოვლენებთან დაკავშირებულ საფრანგეთში დაწერილ მოგონებებში გადმოგვცემს: "ტფილისის დატოვებამდე ორი დღით ადრე, მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარემ საღამოს გამოგვიცხადა, "ხვალ დილით ჩვენ ხაზინის ქონებას ევაკუაციას ეუშვრებით და ქუთაისში ვგზავნითო, საჭიროა მუზეუმის უძვირფასესი ნიეთებიც გავხიზნოთო." შევატყობინე ეს ამბავი ყველა მუზეუმთა გამგეებს. მთელი ღამე დაუცხრომლად იმუშავეს და დილით ყუთები მზად იყო. გამოვითხოვეთ "გრუზავიკი", ჩამოვუარეთ ყველა მუზეუმს და ყუთები გაიგზავნა ქუთაისში. სამუზეუმო ნიეთების მეთვალყურეს ნ. ყიფიანმა, საქართველოს (ყოფილი კავკასიის) მუზეუმის გამგემ გააყოლა ჩვენგან კარგად ცნობილი იონა თამაშვილი,[523] რომელმაც მოგვიტანა წერილობითი დამოწმება, ქუთაისის ხაზინამ უკლებლად მიიღო გაგზავნილი სამუზეუმო ნიეთები. ის ღამოწმება ყიფიანმა მე მაჩვენა".[524]

---

[523] ვფიქრობთ, აქ უსუსტობაა, იგი უნდა იყოს მუზეუმის ასისტენტი სოლომონ ორდანიშვილი.

[524] თაყაიშვილი ექ., ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისთვის, მრავალტომეულში—"დაბრუნება", ტ. I, თბ.,1991, გვ. 471.

საქართველოს მუზეუმის არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელიც შედგენილია 1921 წლის 17 თებერვალს №230 და ეგზავნება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ეკითხულობთ: "საქართველოს საეთნოგრაფიო მუზეუმის გამგემ ექვთიმე თაყაიშვილმა, საეკლესიო მუზეუმის გამგემ კალისტრატე ცინცაძემ და საქართველოს მუზეუმის გამგემ ნოე ყიფიანმა იქონიეს რა მსჯელობა ფრონტზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დაადგინეს, რომ მათდამი რწმუნებულ მუზეუმთა უძვირფასესი საგნები ჩააბარონ ქუთაისის ხაზინას. აღნიშნულის გამო გთხოვთ გვიბოძოთ სათანადო საშუალება და მოწერილობა ქუთაისის ხაზინისადმი. მუზეუმთა მხრივ აღნიშნულ საგნებს გაჰყვება ორი მცველი".[525]

1921 წლის 17 თებერვლითაა აგრეთვე დათარიღებული უახლესი ისტორიის არქივში დაცული დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ბარათი მოსე ჯანაშვილისადმი: "ბ. მოსე! ინებეთ და წაბრძანდით მუზეუმში და რაც ძვირფასი ოქრო-ვერცხლის ნივთებია ჩაალაგეთ ყუთში და გააზავნეთ წერა-კითხვისა და საისტორიო მუზეუმების ნივთებთან ერთად. მასთან ჩააბარეთ ის ყუთი, რომელიც სიონში არის დაცული. ეს განკარგულებაა მისი უწმინდესობისა. დეკ. კ. ცინცაძე".[526]

ძნელი დასაჯერებელია, ზემოთ ჩამოთვლილ მუზეუმების ხელმძღვანელებს ერთპიროვნულად, ზემდგომი ორგანოს–განათლების სამინისტროს გარეშე, მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება. უნდა ვიფარაუდოთ, რომ ეს მოხდა მთავრობის ინიციატივით, ან ზეპირი დავალებით (რაზედაც მიუთითებს ექ. თაყაიშვილის ზემოთ მოყვანილი მოგონება). ყოველ შემთხვევაში, არქივებში რაიმე წერილობით საბუთს ან სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებას ამ საკითხზე –ჯერ მივაგენით.

ექ. თაყაიშვილი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგაც თბილისში დაწერილი მოგონების II ვარიანტშიაც იგივეს იმეორებს: "თბილისის დატოვებაზე რომ შეიქმნა ლაპარაკი, ნ. ჟორდანიამ თქვა: "განძეულობა სულ ქუთაისში გადავიტანოთ და სულ ბოლოს ჩვენც წავალთ, რითაც მოგვეხერხდებაო. . . საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც კი გვიფიქრია და არც სიტყვა დაუძრავს ვისმე".[527]

---

[525] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 47.

[526] სუ: არქივი, ფ. 461 ან. 1, საქ. 79, ფ. 1

[527] თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 345.

სამი დღის შემდეგ სამუზეუმო ნივთები უკვე ქუთაისის ხაზინაში იყო. მუზეუმის არქივში დაცულია ქუთაისის მთავარი ხაზინადარის ი. მისაბიშვილის 1921 წლის 20 თებერვლით დათარიღებული № 5695 შეტყობინება: "ქუთაისის ხაზინა გაცნობებთ, რომ მათ მიერ გამოგზავნილ მოწმობასთან ასისტენტ სოლომონ გიორგის-ძე იორდანიშვილის სახელზე თებერვლის 18-ის თარიღით №231, მისგან, იორდანიშვილისაგან მიიღო ხაზინის სალაროში შესანახად 12 ყუთი თოკებით შეკრული და მუზეუმთა სათანადო ლუქის ბეჭდით დაბეჭდილი და ერთი რკინის ცეცხლუკარება კასსა."[528]

მუზეუმიდან უძვირფასესი ექსპონატების გამოტანის გადაწყვეტილება ძალზე საპასუხისმგებლო იყო, მით უმეტეს, რომ იგი მიღებული იყო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოსა და იმ დროს მოღვაწე ივანე ჯავახიშვილის, კორელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის და სხვათა გვერდის აყლით. მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი მკაცრად შეაფასებს იმქამინდელი ხელისუფლების ამგვარ ქმედებას.[529]

ქუთაისის ხაზინაში თავი მოიყარა საქართველოს მუზეუმებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილმა ძვირფასეულობამ. იქვე ჩაიტანეს მარტვილის, ხობისა და გელათის მონასტრების ნივთები, რაც ე. თაყაიშვილის შენიშვნით: "რა თქმა უნდა დიდი უტაქტობა იყო ნ. ჟორდანიასიცა და მაშინდელი კათალიკოზის ლეონიდესიც."[530]

საჩქაროდ შეკრებილი დიდძალი განძეულობა მოითხოვდა დახარისხებას, აღწერას და სათანადო ყუთებში მოთავსებას. ამას მთელი დღე და ღამე მოუნდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, მთავრობის მხრიდან ძვირფასეულის მეთვალყურედ დანიშნული ფინანსთა მინისტრის მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, განათლების მინისტრი დავით კარდელაკი და თბილისის ხაზინის გამგე ი. ბეკი.

მალე მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. XI წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდე მოწინააღმდეგე ახლა უკვე სამი მხრიდან მოიწევდა წინ. 33-ე სსრრლელი დივიზია და 38-ე ბრიგადა მამისონის უღელტეხილიდან უტევდა.

საჭირო გახდა ქუთაისის საჩქაროდ დატოვებაც. მთავრობამ ახალ რეზიდენციად ბათუმი შეარჩია და გადაწყვიტა საეკლესიო ძვირფასეულობისა და სამუზეუმო საგანძურის იქ გადატანა.

---

[528] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 48.

[529] ჯავახიშვილი ი., შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ."კომუნისტი", 1937 წლის 9 მარტი. №55.

[530] თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 345.

ასეთი ძვირფასი ტვირთის ტრანსპორტირების საფრთხე უკვე ქუთაისის ხაზინიდან ბათუმის სადგურში გადატანის დროსვე გამოჩნდა, როდესაც სათვალავში დააკლდათ ერთი ყუთი, რომელშიც ყველაზე უფრო ძვირფასი ნივთები იყო ჩალაგებული. დიდი ხნის უშედეგო ძებნის შემდეგ, "თავზარდაცემული დავრჩი—იხსენებს ექ. თაყაიშვილი--რაც საუკეთესო იყო დაკარგული მეგონა. გადავწყვიტე აღარ გამოვსულიყავი ქუთაისიდან, სანამ იმ ყუთს არ იპოვნიდნენ." მაგრამ განათლების მინისტრის მოთხოვნით, იგი იძულებული გახდა გაჰყოლოდა ტვირთს ბათუმში. განძეულობა ბათუმში 2 მარტს ჩაიტანეს. აქ რკინიგზის სადგურის სატვირთო ბაქანზე ძვირფასეულობით დატვირთული ვაგონი მთელი ოთხი დღე-ღამის განმავლობაში იდგა მხოლოდ ე. თაყაიშვილისა და რამდენიმე ადამიანის ამარა.

არც ბათუმი აღმოჩნდა უსაფრთხო ადგილი. მის წინააღმდეგ შეიქმნა სპეციალური დამკვრელი ჯგუფი მე-18 საკავალერიო და 28-ე მსროლელი დივიზიების 53-ე და მე-9 ბრიგადების შემადგენლობით, რომელიც უტევდა გოდერძის უღელტეხილიდან.

ბათუმში იმართებოდა დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომები. საქართველოს მთავრობამ ამიერკავკასიაში საფრანგეთის წარმომადგენლის ,,ბელ შევალიეს" რჩევით მიიღო გადაწყვეტილება, საფრანგეთში გაეხიზნა განძეულობა და თვითონაც იქ გადასულიყო. ექვთიმე თაყაიშვილს წინადადება მისცეს, მეუღლესთან სინო პოლტორაცკაიასთან ერთად, მცველად გაჰყოლოდა განძეულობას საზღვარგარეთ. მთავრობის მხრივ კი განძის მეთვალყურედ კვლავ იოსებ ელიგულაშვილი რჩებოდა.

5 მარტს ძვირფასეულობა გადაიტანეს საფრანგეთის კრეისერ "ერნესტ რენანზე". მას აქ დაუმატეს ბორჯომის დიდი მთავრის სასახლიდან წამოღებული მდიდარი ბიბლიოთეკა, ზუგდიდის სასახლის დადიანისეული ნივთები და ის ერთი ყუთიც, რომელიც ქუთაისში დაკარგული ეგონათ. ხაზინისა და მუზეუმის განძეულობამ სულ 236 ყუთი, ერთი დიდი კალათა და 12 ტომარა შეადგინა.[531]

11 მარტს გემმა ბათუმი დატოვა და გეზი კონსტანტინოპოლისაკენ აიღო. მასზე ექვთიმესა და თანმხლები პირებისათვის ადგილი არ აღმოჩნდა და ისინიც იძულებული

---

[531] თაყაიშვილი ექ., ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისავის, მრავალტომეულში—"დაბრუნება", ტ. I, თბ.,1991, გვ. 475.

გამხდარან კერძო გემით 14 მარტს კონსტანტინოპოლში დაწეოდნენ კრეისერს.

თურქეთის ნავსადგურში ხაზინის ძვირფასეულობა ტომრებიდან ყუთებში გადააწყეს. საქართველოდან გახიზნულმა ტვირთმა სულ შეადგინა 248 ყუთი და ერთი კალათა. ყველაფერი ეს გადაიტანეს საფრანგეთის სამხედრო სატრანსპორტო გემ "ბოენ ჰოაზე". 20 მარტს ამ უკანასკნელმა დატოვა ნავსადგური და გეზი მარსელისაკენ აიღო. მარშრუტი ასეთი იყო: მერსინი-ალექსანდრეტა-ბეირუთი--ბიზერტა. 10 აპრილს საღამოს დასრულდა ფათერაკებით აღსავსე გზა და გემმა ღუზა მარსელის ნავსადგურში ჩაუშვა.

საფრანგეთში ჩატანილი განძეულის შემდეგი ბედის შესახებ მოვიყვანთ ნაწყვეტს ე. თაყაიშვილის 1935 წლის 9 აპრილის წერილიდან ეუკოლ ბერიძისადმი: "ვინაიდან ზოგი სამუზეუმო ნივთები არეული იყო მთავრობის სხვა საქონელთან, ამიტომ მარსელში მოსვლისას მოვითხოვე კომისია, რომელიც გამოყოფდა სამუზეუმო ნივთებს სხვა ნივთებისაგან და მიიღებდა ზომებს მათი ჯეროვანი დაცვისათვის. კომისია შედგა ოთხი კაცისაგან, პროფ. ზურაბ ავალიშვილის, ანდრია დეკანოზიშვილის, იოსებ ელიგულაშვილის და ჩემ მიერ. ის ყუთები, რიცხვით 13, რომელნიც ტფილისის ძუ'ხეუმებიდან იყო წამოღებული და მუზეუმების ბეჭდებით დაბეჭდილი, კომისიას არ გაუხსნია. სხვები გავხსენით, ნივთები გადავარჩიეთ და სამუზეუმო ფონდში მოვათავსეთ: ყველა წამოღებული— გელათის, მარტვილი და ხობის ნივთები, აგრეთვე ზუგდიდის სასახლის ნივთები და ყველა ის ნივთები, რომელნიც მთავრობას ხაზინაში ჰქონდა შეგროვილი სხვადასხვა გაუქმებულ დაწესებულებათაგან და რომელთაც ახლობელი თუ შორეული მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმისათვის ისტორიის, არქეოლოგიის, თუ ხელოვნების თვალსაზრისით. ყველა ნივთები ავღნუსხეთ, სია შევადგინეთ, ჯეროვნად ყუთებში ჩავალაგეთ, დავბეჭდეთ მთავრობის ბეჭდით. სულ შესდგა ტფილისიდან წამოღებულიანად 39 ყუთი, რომელიც ჩავაბარეთ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას შესანახად მთავრობის წარმომადგენლის-- მინისტრის აკაკი ჩხენკელის სახელზე". [532]

რას წარმოადგენდა უცხოეთში საქართველოდან გატანილი განძეულობა: 248 ყუთიდან უმრავლესობა-— 109 ყუთი —იყო სახელმწიფო ხაზინიდან გატანილი ძვირფასეულობა. მისი სია გამოაქვეყნა გაზ. "კომუნისტმა" (1921, 9/IV). მოვიყვანთ

---

[532] სუი არქივი, ფ. 600, ან. 1, ს.აქ. 4534, ფ. 69.

ნაწყვეტს ამ სიდან: ოქრო--17 ტომარა, 13 ფუთი; ვერცხლი–41 ტომარა, 41 ფუთი; ვერცხლის ფული–433 ტომარა; ბრილიანტი–388 ცალი, მარგალიტი--318 ცალი, ფირუზი–373 ცალი, რუსული ოქროს მონეტა—3778 ცალი და სხვა.[533] ყველაფერი ეს შემდგომ გაიყიდა მილიონ 200 ათას ფრანკად.

რაც შეეხება 39 ყუთს, რომელშიც იყო მოთავსებული სამუზეუმო განძეულობა, იგი 13 წლის განმავლობაში ინახებოდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში. მოგვიანებით, 1934 წლის 22 მაისს გადაიტანეს პარიზში და დააწყვეს "ბანკის მთავარ შენობაში". მისი სია გამოქვეყნდა გაზ. "კომუნისტში" (1931, 22/II) და არსებობს საქართველოს მუზეუმის არქივშიც. მარტო ამ მუზეუმიდან გატანილმა ოქროსა და ვერცხლის ნივთებმა შეადგინა:

ა/. პანტიკაპეის კოლექციიდან	59 ერთეული.
ბ/. ახალგორის კოლექციიდან	68 ერთეული.
გ/. სტეფანწმინდის კოლექციიდან	24 ერთეული.
დ/. დიგორის კოლექციიდან	176 ერთეული.
ე/. ოქროს ნივთები საინვენტარო წიგნით	8 ერთეული.
ვ/. ნუმიზმატიკური მასალა	1193 ერთეული.[534]

ნივთებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასაფეთქლე–საკიდები, საყურეები და ყელსაბამი სოფელ საძეგურიდან; სამეფო გვირგვინი და სხვა.

30–იან წლებში შედგა სპეციალური სამთავრობო კომისია ვუკოლ ბერიძის (თავმჯდომარე), გ. ჩუბინაშვილის, დ. შევარდნაძის, გ. ჭრინევსკის, ი. შარლემანის და ს. გორგაძის შემადგენლობით, რომელმაც ოქროს მანეთებში შეაფასა საქართველოს მუზეუმებიდან გატანილი ძვირფასეულობის მატერიალური ღირებულება, რაც შემდეგი თანხით გამოიხატება:

ა/ საქ. მუზეუმიდან გატანილი ნივთები შეფასდა	8072500 მან.
ბ/ სამხატვრო გალერეიდან	765850 მან.
გ/ საისტ.-საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმიდან	277605 მან.
დ/ წერა/კითხვის საზ. მუზეუმიდან	315080 მან.
ე/ საეკლესიო მუზეუმიდან	100000 მან.
ვ/ ნუმიზმატიკური მასალა	1277605 მან.
ზ/ კატალოგში ჩაუწერელი ოქროს ნივთები	464435 მან.[535]

მთელი განძეულობა განსახკომს იმდროინდელი კურსით 10471770 ოქროს მანეთად შეუფასებია.

---

[533] გაზ. "კომუნისტი", 1921 წლის 9 აპრილი, № 31.

[534] სსმ არქივი 1921, 151/139, ფ. 58—60.

[535] გაზ. "კომუნისტი", 1931 წლის 22 თებერვალი № 45.

აქვე, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განძეულის 39 ყუთი მოგვიანებით, 23 წლის შემდეგ, უკლებლივ დაუბრუნდა საქართველოს ისე, რომ "ერთი ნუმსიც არ მოკლებია"..

ბედად სამუზეუმო განძის დაცვა ითავა დიდმა მამულიშვილმა ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც შეძლო მრავალი ფათერაკებიდან დაეცვა იგი. ჭეშმარიტებას ღაღადებდა მხცოვანი მეცნიერი, როდესაც აღნიშნავდა: "მთელი სამუზეუმო ძვირფასეულობა ემიგრაციაში წასულ მენშეევიკურ მთავრობასთან ერთად საფრანგეთისაკენ წავიდა და მეც ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ ჩამოვშორებოდი ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგან, ამ საქმეს ვემსახურებოდი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და იმდენი ხნის უსიხარულო ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმილისა, შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად მოვიხადე ეს ჩემი მოვალეობა მშობლიური ერის წინაშე". [536]

ეროვნული განძეულის ევროპეის კეთილად დასრულებაში ექვთიმე თაყაიშვილის დიდ დამსახურებასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გადამწყვეტი როლი, რომელიც ითამაშა ი. ბ. სტალინის დიდმა საერთაშორისო აუტორიტეტმა და იმ პერიოდში საფრანგეთის ლიდერის დე გოლის დაინტერესებამ, მეორე მსოფლიო ომის მთავარი გმირის გული მოეგო.

დაუბრუნდეთ 1921 წლის თებერვლის იმ სუსხიან დღეებს... თუ რაიმეზე უარყოფითად მოქმედებდა ომი და უწესრიგობა, ეს უპირველეს ყოვლისა მუზეუმზე ითქმის. 20 თებერვალს ფრონტისპირა თბილისში მუზეუმის დირექტორი ბრძანებდა: "საქართველოს მუზეუმის მსახურთა საყურადღებოდ, თანახმად მთავრობის 20 თებერვლის დადგენილებისა, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა შეწყვეტილია, მთავრობის ახალ გახარგულებამდე"[537]. ექსტრემალურ სიტუაციაში გარკვევა ძნელი ჩანდა. მუზეუმის თანამშრომელთა ნაწილი ფრონტზე აღმოჩნდა გაწვეული. დირექტორი მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სახელით 22 თებერელს გენერალური შტაბის უფროსს სწერდა: საქართველოს მუსეუმის საბჭო უმორჩილესად გთხოვთ გაათავისუფლოთ სამხედრო მოვალეობისაგან პირები, რომელთაც დაკავებული აქვთ შექმნილ სახიფათო

---

[536] თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრ., ტ. I, გვ. 345.
[537] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 49.

მდგომარეობის გამო საქართველოს მუზეუმის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა და ეროვნული გალერეის ევაკუაცია და დაცვა."[538] ჩამოთვლილ გასათავისუფლებელ პირთა შორის საქართველოს მუზეუმიდან მოხსენიებული არიან ნოე ყიფიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, სოლომონ იორდანიშვილი და შალვა ამირანაშვილი.

ახალი ხელისუფლება შეეცადა თავის ხელში აეღო და გაეკონტროლებინა მუზეუმში ის, რისი გადარჩენაც მოხერხდა: 1921 წლის 5 აპრილს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საქართველოს მუზეუმის შენობაში ჩაატარა რევიზია. მუზეუმის ქონებისა და სალაროს შემოწმების შემდეგ მიღებულ აქტში ვკითხულობთ: "რაც შეეხება მუზეუმის ქონებას, ის ჩალაგებულია ყუთებში ახალი შენობის აშენების დროს და დღესაც ყუთებშია დაცული. დანარჩენი ნაწილი ნივთებისა მოთავსებულია ვიტრინებში, რომელთა აღრიცხვა კატალოგის მეშვეობით სწორი აღმოჩნდა...უძირფასესი ქონება მუზეუმისა (ოქროს და ვერცხლის ნივთები) ყოფილი მთავრობის წინადადებით, 2 ვიტრინა ნივთები, ჩალაგებულ იქნა ფოლადის ცეცხლგამძლე ზანდუკებში და გაიგზავნა ქ. ქუთაისს... ზანდუკს, აქვს 2 გასაღები ერთი ჩაკეტილია შიგ ზანდუკში, მეორე კი ინახება მუზეუმის დირექტორთან"[539].

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დავამჯდომარე მამია ორახელაშვილი 1921 წლის 29 მარტის №249 ბრძანებით დავალებას იძლეოდა: "წინადადება ეძლევა საქართველოს მუზეუმის დირექტორს ნ. ყიფიანს, რომ მუზეუმის შენობაში არავინ არ დაუშვას და ჩემი განკარგულების გარეშე არავის, ვინც არ უნდა იყოს, არ გადასცეს მუზეუმის ქონება. მუზეუმის შენობა ლორის-მელიქოვის №10-ში არ ექვემდებარება ჩხრეკას, რეკვიზიციას და სხვა დაწესებულებასთან გაერთიანებას."[540]

ამ მძიმე პერიოდში მუზეუმის მუშაობას ხელმძღვანელობდა სამეცნიერო საბჭო. მის შემადგენლობაში ექ. თაბაიშვილის ნაცვლად 1921 წლის 10 მარტიდან აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე.[541]

იყო ექსპერიმენტებიც. განათლების სახალხო კომისარიატის 1922 წლის №441 ბრძანებულებით "წინათ არსებული საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ნაცვლად,

---

[538] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ 50, 166.
[539] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 115.
[540] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 62.
[541] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ 67.

დაარსდეს მუზეუმის სახელმძღვანელო სამეცნიერო კოლეგია ალ. .ნათიშვილის თავმჯდომარეობით. წევრები: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ქურდიანი და ნ. ყიფიანი. სამეცნიერო კოლეგიას დაეკალოს მუზეუმის ადმინისტრაციულ მართვა—გამგეობის უახლოესი მდგომარეობა და სამეცნიერო სამუშაოების ხელმძღვანელობა."[542] კოლეგია უნდა შეკრებულიყო თვეში ორჯერ. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კოლეგია არაქმედითუნარიანი გამოდგა.

მუზეუმის დირექტორი ნ. ყიფიანი 1921 წლის ანგარიშში მიუთითებდა: "მრავალი დაბრკოლება გადაეღობა საქართველოს მუზეუმს ამ ხნის განმავლობაში"[543] ამ დაბრკოლებებიდან მთავარი იყო უბინაობა და უსახსრობა. დირექტორი განათლების სახალხო კომისარს მოახსენებდა იმ საფრთხეზე, რომელიც მოელოდა ექსპონატებსა და წიგნებს მოუვლელობის გამო, რომლებიც "უკვე 12 წელიწადია ყუთებშია ჩალაგებული და უსარგებლოდ ძევს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ თუ ამ მდგომარეობამ კიდევ რამოდენიმე ხანს გასტანა, ისინი მთლიანად გაფუჭდება და ეს მდიდარი განძი დაგვეღუპება.[544]

მუზეუმის მომდევნო დირექტორი ალ. ჯანელიძე თავის მოხსენებაში წერდა: "ყოფილი კავკასიის მუზეუმის ძველი შენობის ევაკუაციას, ომისა და რევოლუციური წლების აშბებს მეტად მძიმე გავლენა მოუხდენიათ მუზეუმის კოლექციებზედაც. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ თითქმის ყველაფერი ახლად ასაწერი შეიქნა."[545]

განსაკუთრებული სირთულეები იყო ფონდების მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. სამუზეუმო ნივთები, რომელიც წლების განმავლობაში ყუთებში იყო ჩალაგებული, ზიანდებოდა და მოითხოვდა გაშლას, დახარისხებასა და განიავებას. "მუზეუმს არა აქვს არც ერთი საგამოფენო დარბაზი. მუზეუმის ძვირფასი კოლექციები არა თუ გაუშლელია და გამოუყენებელი რჩება, სივიწროვეს გამო მათი დაზიანებისგან უ'ხრუნველყოფაც კი ძნელი გამხდარა."[546]—დასძენდა დირექტორი.

---

[542] სუი არქივი, ფ. 300, ან. 3, საქ.32. ფ.11.

[543] ყიფიანი ნ., საქართველოს მუზეუმის მოქმედების მოკლე ანგარიში (1919-1921 წწ), საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ I, ტფ.,1922, გვ.112.

[544] სსმ არქივი, 1924 № 142, ფ. 258.

[545] ჯანელიძე ა., საქართველოს მუზეუმის 1926 წლის მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ.III, 1927, გვ.272.

[546] იქვე, გვ. 290.

1921 წლიდან შეწყდა საქართველოს მუზეუმის ყოველგვარი ურთიერთობა და კავშირები საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცენტრებთან.

მუზეუმის თანამშრომელთა მატერიალური მდგომარეობა ისეთივე მძიმე რჩებოდა, როგორც თბილისის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა: "ჩვენ საქართველოს მუზეუმის მოსამსახურენი მატერიალურად შეეიწროვებული ვართ, გასაოცარი სიძვირე ყოველგვარი სანოვაგისა, გიჟური ზრდა მათი ფასებისა გვისპობს საშუალებას ნორმალური შრომისათვის."--იტყობინებოდნენ მუზეუმიდან.

ფულის კურსის არნახული ინფლაციის პირობებში, მუზეუმის თანამშრომელი იღებდა მსყიდველობით უნარს მოკლებულს, სამაგიეროდ ციფრებით ფანტასტიკური სიდიდის ხელფასს, რომელიც თითქმის ყოველთვე იზრდებოდა. მაგალითად, 1923 წელს მუზეუმის მუშაკებისთვის ხელფასის სახით გაცემულა: იანვარში—მილიარდ 548 მილიონი მანეთი, აგვისტოში—მილიარდ 887 მილიონი, სექტემბერში--3 მილიარდ 329 მილიონი, ოქტომბერში—4 მილიარდ 672 მილიონი, ხოლო ნოემბერში—9 მილიარდ 950 მილიონ 950 ათასი მანეთი.[547]

მუზეუმის პრეპარატორის ხელფასი მე-11 კატეგორიის მიხედვით 11 მილიონ 200 ათას მანეთს აღემატებოდა. რაკი ამ თანხით არსებობა შეუძლებელი იყო, მუშაკს ეძლეოდა ე.წ. "სასაქონლო ფული"-19 მანეთი და 20 კაპიკი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით იმხანად შემოღებული მყარი ვალუტით—"ჩერვონეცით." ამით თითოეულ ადამიანზე განაწილებული "ულუფის" მიხედვით, შეიძლებოდა ცოტაოდენი სურსათის ყიდვა. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "პურის ულუფაზე" ყოველთვიური ხელფასიდან იკავებდნენ 675 ათას მანეთს. მუზეუმიდან წასელის შემთხვევაში მუშაკი უმალვე კარგავდა ამ მცირე შეღავათსაც. მუზეუმის მხატვარ ილანსერეს 1923 წელს სერიოზული უსიამოვნება შეხვდა "ულუფის" სიიდან დაგვიანებით ამორიცხვისთვის.

ახალი ცხოვრების დამახასიათებელ სტილში იყო მუზეუმში ადგილკომის თაოსნობით მოწყობილი იაფი სასადილო და "მუშათა მაგიდები," 1923 წლის 3 ივლისს გამართულ საერთო კრებაზე განუხილავთ მუზეუმში "შუდმივად ადუღებული წყლის" შემოღებისა და შესვენებაზე "ტკბილი ჩაის მოწყობისა" და მეოთხედი გირვანქა (104 გრ.) პურის მოღების საკითხი,

---

[547] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ.589.

რისთვისაც კოლექტიურად შეუძენიათ სათანადო ჭურჭელი, ხუთ-ხუთი კერამიკული ჭიქა თითოეული განყოფილებისთვის.[548]

1922 წლის მაისში განხორციელდა მუზეუმის მუშაკთა საშტატო ერთეულის შემცირება, თანამშრომელთა რაოდენობა 30-დან 22-მდე დავიდა.

თანხების დაზოგვის მიზნით მოხდა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებების გაერთიანება.

იმის გამო, რომ მუზეუმი ფინანსური ხელმოკლეობის შედეგად ვერ იხდიდა გადასახადებს, ხშირად რჩებოდა წყლისა და სინათლის გარეშე[549] და იყო გაუთავებელი მოთხოვნები მათ აღსადგენად.

მუზეუმის მუშაკებს არც არსებული რეჟიმის სუსხი მოკლებიათ. არქივში შემონახულია მუზეუმის დირექტორის 1923 წლის 9 ოქტომბრის №248 წერილი ე. წ. "ტფილისის გამასწორებელი სახლების გამტვირთავი კომისიის" თავმჯდომარისადმი, სადაც იგი თავდებად უდგება მუზეუმის ეთნოგრაფ გიორგი ჩიტაიას, რომელიც დაკავებული იქნა საგანგებო კომისიის განკარგულებით. რამდენიმე თვის პატიმრობას გ. ჩიტაია დაუავადმყოფებია და მოუთავსებიათ ცხის საავადმყოფოში. "მაქვს პატივი ვიშუამდგომლო კომისიის წინაშე: გ. ჩიტაია შებყრობილია ტუბერკულოზის მძიმე ფორმით, მისი ფიზიკური არსებობა მოითხოვს საგანგებო მოვლას, ამის გამო გთხოვთ გაანთავისუფლოთ იგი გამასწორებელი სახლიდან"[550]-წერდა დირექტორი.

მესხეთის სამეცნიერო ექსპედიციაში მყოფი გ. ჩიტაია დაუპატიმრებიათ აბასთუმანში. როცა იგი თბილისში გადმოყავდათ სამგზავრო მატარებლის კუპეში დამგზავრებულ ლავრენტი ბერიას მისთვის განუცხადებია: "რატომ არ ურიგდებით ახალ მთავრობას და რატომ ებრძვით მას". როგორც გ. ჩიტაია თავის მოგონებებში გადმოგვცემს, თბილისის სადგურშივე მათი გზები გაყრილა: "ლ. ბერია-- მთავრობის სახლში, მე კი— "ციხეში" მიმიყვანეს, სადაც მაშინ ქართული საზოგადოების ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი იჯდა". [551]

არც მუზეუმის მუშაკთა საცხოვრებელი ბინები ყოფილა დაცული საფრთხისგან და უცხო პირთა შესახლებისგან. 1921

---

[548] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 290.

[549] სუი არქივი, ფ. 300, ან 3, საქ. 69, ფ.72.

[550] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 488.

[551] ჩიტაია გ., ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ.,1988, გვ. 53.

წლის 11 ივნისს მუზეუმის დირექცია ატყობინებდა სათანადო ორგანოებს: "საქართველოს მუზეუმი სამეცნიერო მიზნით გზაენის ხეესურეთში 3 პირს: მხატვარ ევ. ლანსერეს, კონსერვატორიის ინსპექტორ ზაქარია ფალიაშვილს, მასწავლებელ თედო სახოკიას და გთხოვთ უბოძოთ მათ დაცვითი ქაღალდი მათი ბინების ხელშეუხებლობის შესახებ."[552]

საბჭოთა ხელისუფლება ახალ პირობებშიც ცდილობდა საქართველოს მუზეუმისთვის დახმარების გაწევას:

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 22 მარტის №1157 განკარგულებით, საქართველოს მუზეუმს, რომელიც განიცდიდა დიდ სივიწროვეს, ბიბლიოთეკისათვის გადაეცა იქვე, მეზობლად მდებარე ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობა,[553] თუმცა ამის პრაქტიკულად განხორციელებას ათეული წლები დასჭირდა.

1921 წლის 28 მაისს საქართველოს რევკომის ბრძანებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება– "სიძველეებისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ".[554] ამას მოჰყვა საქართველოს რევკომის 1921 წლის 11 ივლისის № 322 დეკრეტი–"რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კულტურისა და განათლების საგნების გატანის აკრძალვის შესახებ."[555]

1921 წლის აგვისტოში საქართველოს მუზეუმთან აღდგა ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის საგნების შესაძენი ფონდი, რომელსაც უმალვე გამოეყო 891 666 მანეთი[556]

დასავლეთ საქართველოში სამუზეუმო საქმის მოწესრიგებას ეხებოდა რევოლუციური კომიტეტის 1922 წლის 23 თებერვლის №337 დეკრეტი, განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში ქ. ზუგდიდში "სამეგრელოს მუზეუმის შექმნის შესახებ."[557]

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 29 აგვისტოს დადგენილება "საქართველოსათვის საარქივო მასალათა და სამუზეუმო განძეულობათა დაბრუნების შესახებ."

მიზანშეწონილად მიმაჩნია დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე. 1922 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ

---

[552] სსმ არქივი, 1921 151/139 ფ.234.

[553] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ.110.

[554] მოამბე შინაგან საქმეთა კომისარიატისა, 1922, №7.

[555] სუი არქივი, ფ .281, ან. 1, საქმე 201, ფ.110.

[556] სსმ არქივი, 1921 151/139 ფ 39.

[557] Ревкомы Грузии, სოხუმი, 1963, გვ. 412.

დააყენა რუსეთის მუზეუმებსა და საცავებში არსებული ქართულ სიძველეთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი. რუსეთის იუამინდელი მთავრობის ზემოთ მოყვანილი დადგენილების მე-12 პარაგრაფით აღინიშნა: "რსფსრ-ს საცავებში და მუზეუმებში დაცული ყველა რეგალიები და სიძველეები მათი ქართული წარმოშაელობის დამტკიცების შემთხვევაში გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკას".[558] საკითხის მოგვარება დაეკალა რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ არქივს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად. ამ დადგენილებას წინ უსწრებდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 20 ივნისის №48 (4) გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შეიქმნა საგანგებო კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, განათლების კომისარიატის წარმომადგენელთა, ექსპერტთა და ქართველ მეცნიერთა შემადგენლობით. კომისიაში შევიდნენ: ა. ლუნაჩარსკი, ბ. პოკროვსკი, ს. ოლდენბურგი, საქართველოდან რუსეთის აკადემიურ საქმეებში წარმომადგენელი დ. ჯგუშია, საქართველოს განათლების კომისარი დ. კანდელაკი და სხვები. საქართველოს მხრიდანაც შეიქმნა კომისია კ. კეკელიძის, აკ. შანიძის, პ. ინგოროყვას და ს. კაკაბაძის შემადგენლობით. მოგვიანებით ამ კომისიას დაემატა შალვა ამირანაშვილი.

როგორც კ. კეკელიძის მოხსენებიდან ჩანს, კომისიაში კამათი გამართულა მთავარი საკითხის ირგვლივ: რა ძეგლები უნდა დაბრუნებოდა საქართველოს. აქ გასარკვევი იყო: ა) ის ძეგლები, რომლებიც საქართველოდან გაიტანეს რუსეთთან შეერთების შემდეგ თუ მანამდე. ბ) ადმინისტრაციული წესით გატანილნი, თუ შესყიდვით ან შეწირულობის გზით რუსეთში მოხვედრილი ნივთები. გ) მხოლოდ "ქართული წარმოშობის" ნიეთები თუ სხვა ძეგლებიც.[559]

ხანგრძლივი კამათის შემდეგ საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო და საარქივო მასალები კომისიამ ორ ჯგუფად დაყო: პირველ ჯგუფს მიეკუთვნა ის სიძველენი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს იქნა ევაკუირებული საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში (ეკატერინოდარში, სტავროპოლში და სხვ.). მეორე ჯგუფში კი შევიდა ის ნივთები და დოკუმენტები, რომელიც ბოლო ასი წლის განმავლობაში სხვადასხვა გზით

---

[558] სუი არქივი, ფ. 600, ან.1 საქ.47, ფ.15.

[559] საქართველოს სიძველეთა დამბრუნებელი კომისიის წევრის კ.კეკელიძის მოხსენება, ჟურნ. "მაცნე", 1971, №4, გვ. 185.

მოხვდა მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებსა და არქივებში.[560]

1922 წლის 24 ივნისს განსახკომის საგანგებო კომისიამ დასახა ის ზოგადი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო "რუსული მეცნიერებისთვის ზიანის მიუყენებლად" ქართული მხარისთვის მისი კუთვნილი სიძველეთა გადაცემა. გადასაცემი მასალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად. I კატეგორიაში შეეიდა მსოფლიო ომის დროს საქართველოდან ევაკუირებული მასალა, რომელიც ინახებოდა ყუთებში შეფუთულ მდგომარეობაში და ექვემდებარებოდა საქართველოსთვის დაუყოვნებლივ გადაცემას. II კატეგორია მოიცავდა იმ ექსპონატებსა და საბუთებს, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებებში და არ იყვნენ შესულნი სამეცნიერო ბრუნვაში. ისინი საქართველოს პრინციპში უნდა გადასცემოდა იმ პირობით, რომ ზოგიერთ ნივთზე უნდა ყოფილიყო საგანგებო კომისიის ნებართვა. III კატეგორიაში კი შეტანილი იყო ის მასალები, რომლებსაც ჰქონდათ მსოფლიო მნიშვნელობა და გახდნენ რუსეთის მუზეუმებისა და არქივების ორგანული ნაწილი. ისინი როგორც წესი არ ექვემდებარებოდნენ რევევაკუაციას.

რუსეთის საცავებში მოხვედრილი ქართული კულტურის ფასეულობათა გადარჩევისა და ზემოთ ხსენებულ კატეგორიებად დაყოფისთვის რუსეთის სახკომსაბჭოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შეეიდნენ მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: აკადემიკოსები მ. კრისტი, ნ. მარი, ს. ოლდენბურგი ე. ბარტოლდი და სხვები. საქართველოსათვის მის კუთვნილ სიძველეთა დაბრუნების გადაწყვეტილებას მოჰყვა საპროტესტო ტალღა რუსეთის სამეცნიერო წრეებიდან. შალვა ამირანაშვილის გადმოცემით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები: "როგორც ნ. მარისა და ს. ოლდენბურგის წერილობითი განცხადებიდან ჩანს, ისინი არ ცნობდნენ საქართველოს სიძველეთა და ისტორიულ ფასეულობათა უკან დაბრუნების უფლებას". მათ ბევრი რუსი მეცნიერი თანაუგრძნობდა: "სამუზეუმო ნივთების ასეთმა გადაცემებმა რუსეთის საცავები შეიძლება ჩააყენოს კატასტროფულ მდგომარეობაში"[561]—ეღერდა მოტივაციად.

---

[560] სუი არქივი, ფ 300, ან.3, საქ.77, ფ.1.

[561] სუი არქივი, ფ. 600, ან.1 საქ.47, ფ.15.

მაგრამ ქართულ მხარესაც გააჩნდა ძლიერი არგუმენტები: მათ მხარეს იყო სიმართლე და მხარდამჭერები, იმხანად კრემლში მომუშავე ქართველი პარტიული მუშაკების (ი. სტალინის, ა. ენუქიძის, ა. სვანიძის) სახით.

1922 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დამატებით იქნა განხილული ეს საკითხი. მ. კალინინისა და მ. პოკროვსკის მხარდაჭერით ზემოთ მოყვანილ დადგენილებას დაემატა წინადადება: "იმ სიძველეთა გარდა, რომლებსაც აქვთ მსოფლიო მნიშვნელობა და შესულია სამეცნიერო ბრუნვაში".[562]

მოსკოვში ამ პერიოდში რუსეთის სახკომსაბჭოსთან იხილებოდა ანალოგიური საკითხი—რუსეთის საცავებში დაცულ პოლონეთისა და უკრაინის კუთვნილ სიძველეთა ამ ქვეყნებისთვის გადაცემის შესახებ. იმისთვის, რომ პრეცედენტი არავისთვის არ შექმნილიყო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე რომის საერთაშორისო ხელშეკრულების XI მუხლზე დაყრდნობით, გაიმარჯვა "მსოფლიო მნიშვნელობის მქონე სამუზეუმო კოლექციების ხელშეუხებლობის" წინადადებამ, რასაც საქართველოს წარმომადგენლობა პროტესტი შეხვდა. ოფიციალურ დოკუმენტში ეს უთანხმოება მხოლოდ ასე დაფიქსირდა: "რუსეთის საცავებში დაცულ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლთა კონსტატაციისას, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა შორის უთანხმოება არ არის. მსჯელობა გაიმართა მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის აზიის მუზეუმსა და პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ კოლექციებსა და ხელნაწერების შესახებ."[563] უნდა ითქვას, რომ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ "განსაკუთრებული ღირებულების მქონე ექსპონატებს".

ბოლოს, "საქმე დაბოლოვდა ჩვენდა სასარგებლად და სასურველად"(კ. კეკელიძე). ციღწეული შეთანხმების თანახმად, "მოსკოვის მუზეუმებში დაცული ქართული სიძველეები დაუყოვნებლივ უდავოდ და სრულად უნდა დაბრუნებოდა საქართველოს,. ხოლო პეტროგრადის მუზეუმებიდან პირველ რიგში უდავოდ უნდა გადაცემოდა ყველა უნიკუმი. ხოლო პეტროგრადში უნდა დარჩენილიყო ის ძეგლები, რომლის მსგავსი მოიპოვებოდა საქართველოს მუზეუმებში."[564]

---

[562] სუი არქივი, ფ 300, ან 3, საქ77, ფ.16.

[563] სუი არქეი ფ .600, ან 1, საქ. 47, ფ .17.

[564] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, №1513, გვ. 1.

რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენელთა ერთობლივ სხდომაზე საბოლოოდ დადგინდა ქართული მხარისთვის გადასაცემ ნივთებისა და დოკუმენტების ნუსხა. 1923 წლის იანვრიდან დაიწყო ქართულ სიძველეთა დაბრუნება სამშობლოში. 1923 წლის 24 მაისს პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან საქართველოს მხარეს გადაეცა ძველი ქართული ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და ხელოვნების ნაწარმოებთა დიდი კოლექცია.[565] ზემოთხსენებული კომისიის ერთ-ერთი წევრი შალვა ამირანაშვილი ექვთიმე თაყაიშვილს 1923 წლის 17 მარტის წერილით პარიზში ატყობინებდა: "მსურს შეგატყობინოთ ისეთი რამ, რაც თქვენ ძალზე გესიამოვნებათ. რუსეთიდან ჩვენში ჩამოიტანეს და საისტორიო მუზეუმს ჩააბარეს აგვისტოს დამლეეს: 1. ქართული დროშა 1711 წლის (არჩილ მეფის საკუთრება ყოფილა, როგორც წარწერა მოწმობს) 2. ვეფხისტყაოსანი, გიორგი XI-ის ვეფხისტყაოსანის მსგავსი, მოსურათებულია არშიები, 3. პატარა ტანის ეტრატზე ნაწერი სახარება მინიატურებით, XII საუკუნის, 4. ტრაქტატი 1783 წლის, ორ ხეეულად ეტრატზე, მხედრული ხელით ნაწერი, 5. ტყავის ფარი, მოხატული წმინდანების სურათებით, 6. ავგაროზი, სურათებით შემკული XVIII საუკუნის დამლეეს".[566]

წერილში ჩამოთლილია აგრეთვე ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნებული ის სამეფო რეგალიები, რომელსაც ქაროლ-კახეთის ბოლო მეფე გიორგი XII ფლობდა და სხვა უმნიშნელოვანესი ნივთები:: 1. მეფის გვირგვინი ოქროსი ძვირფასი ქვებით შემკული; 2. მეფის ტახტი; 3. მინაქრის ხატებით შემკული კვერთხის თავი; 4. ოქროს კვერთხის თავი, სპარსული მინაქრით შემკული; 5. საფარის კანკელი; 6. წებელდის კანკელი; 7. სურათებიანი დაფითნი(XVI ს.) (71 მინიატურა); 8. ქსოვილი (ენქერი), (წარწერაში მოხსენიებულია მეფე გიორგი და დედოფალი თამარი); 9. ბუზარადი და რკინის პერანგი და სხვა. რუსეთის საგანძეულობაში ყოფილა ქართული მინაქრის ხატები, რომელიც ბოტკინის კოლექციას ეკუთვნოდა. ეს ძვეგლებიც უნდა მივიღოთ მოკლე ხანში."[567]

---

[565] ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968, გვ. 5.

[566] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 1513, გვ 1.

[567] საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, №1513, გვ. 3.

ზემოთ ხსენებული სამეფო საინვესტიტურო ნიშნ.ები ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სთვის 1798 წელს რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის შეკვეთით პეტერბურგში დაუზადებია ოსტატებს პ. ტერემენსა და ნ. ლიხტს. იგი შედგებოდა მაღალი ხარისხის ოქროსგან და შემკული იყო 1318 ბრილიანტითა და 349 ლალით. 1799 წლის 1 დეკემბერს ანჩისხატის ეკლესიაში რუსეთის ელჩმა პ. კოვალენსკიმ საზეიმო ცერემონიალზე სამეფო რეგალიები გადასცა გიორგი XII. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ნივთები გაიგზავნა რუსეთში და 1811 წლიდან ინახებოდა კრემლის იარაღთა პალატაში[568].1923 წლის 5 თებერვალს ექსპონატები გადაეცა საქართველოს და 10 აგვისტოს ისინი უკვე თბილისში იყო.

განსაკუთრებით გაჭირდა ჩრდილოეთ კავკასიიდან სიძველეთა გადმოტანა. ამის მიზეზი უტრანსპორტობა იყო. ქართულმა მხარემ ისარგებლა რსფსრ გზათა უწყების კომისრის ფ. ძერჟინსკის თბილისში ყოფნით და პრობლემა სასწრაფოდ მოაგვარა. ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა ცენტრალური არქივის ხელმძღვანელი სარგის კაკაბაძე. იგი 1923 წლის 27 თებერვალს განათლების კომისარს ატყობინებდა: "თანახმად დავალებისა, მე მოვიარე ყველა საჭირო პუნქტები ჩრდილო კავკასიაში, სადაც მოთავსებული იყო საქართველოდან გატანილი საარქივო და სამუზეუმო მასალები. . . შეეკრიბე ყველა ეს მასალა, რომელიც გადარჩენილი იყო დროთა ვითარებისაგან დაღუპვას და გამოვგზავნე. ამჟამად მთელი ეს მასალა (11 ვაგონი, მათ შორის ერთი სპეციალურად დიდი ზომის სამუზეუმო სურათების და მასალის გადმოსატანად) ტფილისში ჩამოტანილია."[569] მისივე მეცადინეობით 4 ვაგონით თბილისში გადმოგზავნილი იქნა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის კანცელარიის საარქივო საქმეები--სულ 983 ფუთა და ე.წ. "დიდების ტაძრის" მუზეუმის ექსპონატები. გარდა ძეირფასი ლითონისგან დამზადებული ნიუთებისა, რომლებიც უკვე მოსკოვისა და რუსეთის სხვა მუზეუმებში აღმოჩნდა გაგზავნილი.[570] ჩამოსული მასალები განაწილდა თბილისის მუზეუმებს, სამხატვრო გალერეასა და ცენტრალურ არქივს შორის.

---

[568] Бичикашвили И., О регалиях последних царей Картли и Кахети, გაზ. "Свободная Грузия," 2002, №112.

[569] სუი არქივი, ფ 300, ან 3, საქ 28, ფ. 10.

[570] იქვე, ფ. 11.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 30 მაისის №98 დადგენილებით საქართველოს მუზეუმს გამოეყო და როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება თბილისში დაარსდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. დადგენილების მე-2 პარაგრაფით, "ბიბლიოთეკას საფუძველად დაედვას საქართველოს მუზეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა."[571] საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაც დაექვემდებარა განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობას.

განათლების მინისტრის 1924 წლის 18 სექტემბრის №141 დადგენილებით, რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობასთან დაარსდა მისი ქვემდებარე "სიძველეთა და ხელოვნების დაცვის განყოფილება. მის გამგედ დაინიშნა სარგის კაკაბაძე. წევრებად: საქართველოს მუზეუმის დირექტორი ნ. ყიფიანი, საისტორიო საზოგადოების მუზეუმის დირექტორი ს. გორგაძე, ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორი დ. შევარდნაძე და უნივერსიტეტის პროფესორი გ. ჩუბინაშვილი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის №279-ის ბრძანებით განათლების კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია სამუზეუმო საქმის მოსაგვარებლად.

სამუზეუმო საქმიანობის ხელმძღვანელობის მხრიდან ზოგჯერ ადგილი ჰქონდა საეჭვო ექსპერიმენტებსა და გაუგებარი გადაწყვეტილებების მიღებას. მუზეუმების რეორგანიზაციას ითვალისწინებდა სახკომსაბჭოს 1923 წლის 12 ნოემბრის №114 დადგენილება, რის მიხედვითაც თბილისში არსებული სამუზეუმო ფონდების, ეკლესიებისთვის ჩამორთმეული სათანადო კოლექციებისა და რუსეთიდან რეევაკუაციის წესით მიღებულ საძუზეუმო ნიკუთების ერთათავსებლად უნდა დაარსებულიყო ახალი საბუნებისმეტყველო და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმები: "საბუნებისმეტყველო მუზეუმი გამოყოფილ იქნას საქართველოს ახლანდელ მუზეუმიდან.. ხოლო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი შეესებულ იქნას საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი საისტორიო-საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო

---

[571] მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, № 53,

განყოფილების კოლექციებით"[572]. ეს ფაქტობრივად საქართველოს მუზეუმის დაშლას ნიშნავდა.

1924 წლის 3 იანვარს საგანგებოდ მოწვეული მუზეუმის სამეცნიერო საბჭო ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით პროტესტს გამოთქვამდა ამის გამო: "მუზეუმი მიზანშეუწონლად სცნობს განზრახულ რეორგანიზაციას მუზეუმისას და ითხოვს გამორკვეული იქნეს, რა მიზეზების გამო დაუპირეს მოსპობა საქართველოს მუზეუმს".[573]

აღნიშნულ დადგენილებას სასარგებლო შედეგი არ მოუტანია და პრაქტიკულად ვერც განხორციელდებოდა. განათლების კომისარიატი რესპუბლიკის მთავრობას მოახსენებდა: "დადგენილება ვერ შესრულდა სათანადო შენობის უქონლობის გამო".[574] ახალი შენობის მიღების შესაძლებლობა იმხანად კი მხოლოდ საქართველოს მუზეუმს გააჩნდა. ამიტომ, მალე დადგა ამ მუზეუმიდან სხვა უჯრედების გამოყოფის ნაცვლად, მთელი რესპუბლიკის სამუზეუმო კოლექციების თავმოყრის, ცენტრალიზაციისა და საპირისპირო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა: 1923 წლის 12 ნოემბრის №114 გადაწყვეტილების დამატებად, სახკომსაბჭომ მოგვიანებით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს მუზეუმის ფონდებში თაი უნდა მოეყარა სხვადასხვა მუზეუმებში გაბნეულ კოლექციებს.[575]

ასე რომ, საქართველოს მუზეუმის ახალი შენობის აგება იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იგი გახდა ამ მუზეუმში მთელი რესპუბლიკის "სამუზეუმო ფონდის გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის" ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი. ამიტომ მთავრობამ მუზეუმის მშენებლობის საკითხის დადებითად გადაჭრას დიდი ყურადღება დაუთმო.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა სათანადო თანხის მოძიება მუზეუმის შენობისთვის, რომლის მშენებლობაც უსახსრობის გამო შეჩერებული იყო. სუან მალე თანახმად რევკომის 1921 წლის 17 მაისის დადგენილებისა, გამოინახა 22 ულ. 500 ათასი მანეთი[576] და იმავე წლის აგვისტოდან სააღმშენებლო კომისიამ (ნ. ყიფიანის თავმჯდომარეობით)

---

[572] სუი არქივი, ფ 600, ან. 1, საქმე,1758, ფ. 6.
[573] სსმ არქივი, მცირე საბჭოს ოქმები. ფ. 54.
[574] სუი არქივი, ფ 600, ან. 1, საქმე,1758, ფ.5.
[575] სუი არქივი, ფ 600, ან. 1, საქმე,1758, ფ. 7.
[576] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ. 185.

განაახლა თავისი სამუშაოები. მშენებლობა საკმაო ტემპებით მიმდინარეობდა, მაგრამ საშშენებლო მასალების დეფიციტის გამო, განსაკუთრებით გაჭიანურდა შენობის სამხრეთი ფრთის ბანური გადახურვის სამუშაოები.

განათლების სახალხო კომისარიატის 1922 წლის აგვისტოს №429 განკარგულებით შეიცვალა სააღმშენებლო კომისიის შემადგენლობა. მასში შევიდნენ: სარგის კაკაბაძე (თავმჯდომარე), წევრები: ნ. ყიფიანი, ი. ჩხიკვიშვილი, ინჟინრები ნ. სეეეროვი და ა. ლეჟავა.[577] მაგრამ, ისედაც უამრავ პრობლემას დაემატა ის უთანხმოება, რომელიც წარმოიშვა მუზეუმის დირექტორსა და კომისიის თავმჯდომარეს შორის. პირველი საერთოდ არ უშვებდა მუზეუმის შენობაში მეორეს, ხოლო ეს უკანასკნელი ბრალს სდებდა დირექტორს მასში, რომ იგი თვეების მანძილზე არ ესწრებოდა კომისიის სხდომებს. ბოლოს ეს იმით დამთავრდა, რომ ორივენი გამოუყვანეს კომისიის შემადგენლობიდან. თავმჯდომარეობა დაეკალა ივ. ჩხიკვიშვილს, ხოლო 1924 წლის 4 მაისის ბრძანებით—განათლების კომისარს დ. კანდელაკს.

სამშენებლო მასალების გაძვირებისა და საყოველთაო ინფლაციის გამო, მშენებლობის დასამთავრებელად აუცილებელი შეიქნა დამატებით თანხის გამონახვა. 1922 წლის ბოლოს, სააღმშენებლო კომისიამ დამატებით მიიღო 4 მილიონი მანეთი,[578] მაგრამ არც ეს თანხა აღმოჩნდა საკმარისი. 1923 წლის 8 ივნისს მუზეუმს გამოეყო 5 მილიარდ. 500 მილიონი მანეთი.[579] ამით მოხერხდა იმავე წლის ზაფხულში მუზეუმის ახალი, მთავარი შენობის სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფრთების მშენებლობის დასრულება.

რაც შეეხება მთავარ საგამოფენო კორპუსს, ამ წელს მთლიანად დამთავრდა ცოკოლისა და I სართულის სამშენებლო სამუშაოები.

1923 წლის ზაფხულის ბოლოსთვის საქართველოს მუზეუმის დირექციის განკარგულებაში იყო შემდეგი უართობი: ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში აგებულ ძველ სამსართულიან შენობაში ლორის-მელიქოვის ქუჩის №10-ში—ორი სართული. (შესაძე სართულზე მოთავსებული იყო ქალთა II სასწავლებელი და თბილისის XI პროფტექნიკუმი), ამ კორპუსში მუზეუმს ეკუთვნოდა 12 ოთახი.

---

[577] სუი არქივი, ფ. 300, ან 3, საქ. 32, ფ. 13.
[578] სსმ არქივი, 1922, 152/140 ფ.160.
[579] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 99.

ახალი შენობის მარჯვენა, ჩრდილოეთ ფრთაზე კალოუბნის (ყოფილი ბარონის) ქუჩის კუთხეში, ოთხსართულიან შენობაში მუზეუმს ეკავა 11 ოთახი, ხოლო მარცხენა, სამხრეთის ფრთაზე, მუზეუმის (ყოფილი ნიკოლოზის) ქუჩის კუთხეში, ექვს- სართულიან შენობაში --24 ოთახი. გარდა ამისა, მუზეუმს ეკუთვნოდა ლორის-მელიქოვისა და მუზეუმის ქუჩების კუთხეში XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული სამსართულიანი საფონდო შენობა და ეზოში მდებარე პატარა ორსართულიანი ფარდული 6 ოთახით.[580]

, აღნიშნულ ფართობზე მუზეუმის განყოფილებები შემდეგნაირად განაწილდა: ახალი შენობის მარცხენა ფრთის ქვედა I და II სართულებზე განლაგდა ბიბლიოთეკის საცავი და სამკითხველო დარბაზი, ხოლო ზედა III-VI სართულები გადაეცა ზოოლოგიურ განყოფილებას აქვე, III სართულზე ამ განყოფილებას დაეთმო საგამოფენო დარბაზი.

ახალი შენობის მარჯვენა ფრთის II-IV სართულები დაიკავა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებებმა. I სართულზე მდებარეობდა აუდიტორია.

ძველი შენობის გამოთავისუფლებულ ოთახებში განლაგდნენ გეოლოგიისა და პოტანიკის განყოფილებები. თუმცა ამ კორპუსის II სართულზე რამდენიმე ოთახი დარჩათ არქეოლოგებს, ხოლო III სართულზე--ეთნოგრაფებს. ამავე შენობაში იყო მოთავსებული დირექციაც. საფონდო კორპუსი დაიკავა განყოფილებათა საცავებმა.

მუზეუმში საცხოვრებელი ფართობი ეჭირათ დირექტორის ოჯახს, მეეზოეესა და დარაჯს.

1924 წლის 15 იელისს სახალხო კომისართა საბჭოს №1383 დადგენილებით საქართველოს მუზეუმს უნდა გადასცემოდა მუზეუმის ძველი შენობის მე-3-ე სართულზე ქალთა II სასწავლებლის მიერ დაკავებული ფართი.[581] მაგრამ ამ დადგენილების რეალიზებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა.

ახალი შენობის ნაწილის ექსპლოატაციაში გადაცემა და მუზეუმის გაფართოება მუშაობის ახალ ჰორიზონტებს შლიდა ამ დაწესებულების თანამშრომელთა წინაშე.

1923 წელს ისევ 27-მდე გაიზარდა მუზეუმის მუშაკთა რიცხვი. მუზეუმში მოვიდნენ ახალი თანამშრომლები: მიხეილ შავარდნაძე, გიორგი ჩიტაია, კონდრატე თათარიშვილი (უიარაღო), ვერა ბარდაველიძე-ლომია, ნიკოლოზ ჯავახიშვილი,

---

[580] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 470.
[581] სსმ არქივი, 1924, №142, ფ. 511.

ივანე კაჭარაეა, კონსტ. ნიკურაძე, ივანე მენალარიშვილი და სხვები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფულის ინფლაციური პროცესების გამო, მუზეუმის მუშაკები მატერიალურად მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომაც ხშირად დგებოდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი. მაგრამ თანამშრომელთა მოთხოვნები დაკმაყოფილებული ხდებოდა, როცა საქმე ეხებოდა სამუზეუმო ექსპონატების დაცვას. ისინი განსაკუთრებით მოითხოვდნენ სადეზინფექციო საშუალებებს საფონდო მასალების შესაწამლად: ნაფტალინს, მორბანის ზეთს, ბრომეთილის ხსნარს, სპირტს და სხვას.[582]

მუზეუმის მუშაკთა თანამდებობები კვალიფიკაციის მიხედვით შეესაბამებოდა 5-დან 17-მდე კატეგორიას. დირექტორი, როგორც უმაღლესი მე-17 კატეგორიის მუშაკი, ხელფასს იღებდა 45 მანეთს. განყოფილების გამგეები მე-15 კატეგორიით—38 მანეთს, ასისტენტები მე-14 კატეგორიით--35 მანეთს "ჩერვონეცით"[583] და ა.შ. რასაკვირველია ეს არ იყო საკმარისი და არ აკმაყოფილებდა მუზეუმის მუშაკებს და იყო გაუთავებელი მოთხოვნები მათი უფრო მაღალ, შესაფერ კატეგორიებში გადაყვანის შესახებ. თითქმის ყველა მაღალ-კვალიფიციურ მუზეუმის მუშაკს ჰქონდა შეთავსებით სხვა სამუშაო, უმთავრესად, უმაღლეს სასწავლებლებში. მუზეუმის დირექციას სპეციალური ბრძანების გამოცემა დასჭირდა, რითაც ყოველ შემთავსებელ მუზეუმელს დილის I საათამდე თავისი სამუშაო დღე მხოლოდ მუზეუმისათვის უნდა დაეთმო.[584]

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში მუზეუმში თავი მოიყარეს, პროფესიონალმა, სპეციალისტებმა, რომლებსაც საზღვარგარეთის, რუსეთისა და საქართველოს უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული განათლება: ნ. ყიფიანს დამთავრებული ჰქონდა პარიზის, სორბონის უნივერსიტეტი; გ. ჩუბინაშვილს და კ. კრელს—ლაიფციგის; ალ. თვალჭრელიძეს—გეტინგენის და მოსკოვის; კ. თათარიშვილს—ბრიუსელის; ივ. ჩხიკვიშვილს—კიევის; მ. შაკარდნაძეს—ციურიხის; ა, ილინსკის და ბ. შიშკინს--ვარშავის; მ. ბარათაშვილს, ე. ქიქოძეს და ე. ლანსერეს—მოსკოვის; დ. გორდეევსა და გ. სმირნოვს—ხარკოვის; გ. ჩიტაიას, ს. მაკალათიას, შ. ამირანაშვილს, თ.

---

[582] სსმ არქივი, 1923, 153/141 ფ. 77.
[583] სსმ არქივი, 1924, №142, ფ.358.
[584] სსმ არქივი, 1923, 153/141 ფ.43.

დვალსა და ე. ლომიას—თბილისის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები.[585]

1921 წელს მუზეუმის ტაქსიდერმისტი კარლ კრელი მიელინეს საზღვარგარეთ. იგი 4 თვე იმყოფებოდა ლაიფციგში ანატომიის ინსტიტუტის კონსერვატორ მაქს ზუმელთან.[586] კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ იგი საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი გახდა. მის მიერ დამზადებული ფიტულები დიდი მოწონებით სარგებლობდა საზოგადოებაში.

1922 წელს კ. კრელმა შექმნა ზოოლოგიური განყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი—ვეფხვის ფიტული.

1922 წლის 5 დეკემბერს თბილისის მახლობლად, სოფელ ლელობთან ადგილობრივმა გლეხებმა გიორგი წითურაშვილმა, სიმონ და იოსებ ბექაურებმა და ალექსი წიკლაურმა მოკლეს ორი მეტრის სიგრძის ვეფხვი. იგი ლენქორანიდან (თალიშიდან) თბილისამდე გარეულ ტახებზე ნადირობას შემოყოლია.[587] 1923 წელს მაღალხარისხოვნად დამზადებული ფიტული სხვა ექსპონატებთან ერთად გამოიფინა მუზეუმის ახალი შენობის სამხრეთი ფრთის ზოოლოგიური გამოფენის დარბაზში. გამოფენა შესანიშნავი გამოვიდა. ვეფხვის ფიტული წარმოდგენილი იყო ბიოლოგიურ ჯგუფში, ლენქორანის ლანდშაფტის გარემოცვაში, ჭაობიან ლერწმებში. ასევე დიდი ოსტატობით იყო შესრულებული სხვა ექსპონატებიც, რაც დამთვალიერებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ შესასვლელი ბილეთი ღირდა 50 ათასი მანეთი, კარგა სანს გამოფენაზე დამთვალიერებელთა დიდი რიგი იდგა. ამ გამოფენიდან მიღებულმა შემოსავალმა მარტო 6 თვეში 36 მილიონ 280 ათას მანეთს გადააჭარბა.

ზოოლოგიურ გამოფენასთან ერთად, მუზეუმის ახალი შენობის ჩრდილოეთ ფრთაში გაიხსნა მოწყობილიყო ეთნოგრაფიული გამოფენა. 100 მანეთი (ოქროთი) გამოუყვიეს ე. ჰიტაიას ეთნოგრაფიული კოლექციის—"გლეხის დარბაზის" მოსაწყობად.[588]

1923 წელს საქართველოს მუზეუმმა მიიღო მიწვევა მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, სადაც ექსპონირებული იქნებოდა ქართველი

---

[585] სსმ არქივი, 1922, 152/140, ფ. 375.

[586] სუი არქივი, ფ. 600, ან. 1, საქ. 1215, ფ. 13.

[587] ჩხიკვიშვილი ივ., ლელობის მახლობლად მოკლული ვეფხვი, კრებულში—სსმ მოამბე, ტ. II, თბ.,1923. გვ. 12.

[588] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 23.

გლეხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები. საგამოფენო კომიტეტმა ამ მასალის შესაძენად გამოყო 100 მილიონი მანეთი.

ამრიგად, 14 წლის იძულებითი უმოქმედობის შემდეგ მუზეუმმა დაიწყო თავისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის— საგამოფენო სამუშაოების შესრულება.

1922 წლის 23 დეკემბრიდან მუზეუმის მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნა მცირე საბჭო, რომელიც უნდა შეკრებილიყო 2 კვირაში ერთხელ. საბჭოს მდივნად აირჩიეს გ. ჩიტაია.

საქართველოს მუზეუმის თანამშრომლები, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გულმოდგინედ ასრულებდნენ ყოველდღიურ, მიმდინარე სამუშაოებს. ისინი უმეტესად დაკავებული იყვნენ საფონდო და მოძიებითი სამუშაოებით.

1921 წლის მუზეუმის ანგარიშების მიხედვით, საბუნებისმეტყველო განყოფილებათა თანამშრომლებმა დაამუშავეს ჭოროხის აუზის, გურიის, სვანეთის, ჭიათურისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში წარმოებული ექსპედიციების დროს მოძიებული გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექციები; დაიწყეს თბილისის მიდამოების გეოლოგიის სისტემური შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გეოლოგიის სისტემურ კვლევას.

მუზეუმის ფონდები გამდიდრდა პალეონტოლოგიური, პეტროგრაფიული და ორნითოლოგიური მასალებით. შესწავლილ იქნა ქანგლისის, ატენისა და ბორჯომის ხეობის სპორიანი ფლორა. მოწესრიგდა ჰერბარიუმი და შედგა კატალოგი. მუზეუმის ფონდები გამდიდრდა 22400 ეგზემპლარი საჰერბარიუმო მასალით. მიიღეს აგრეთვე მწერების და ფრინველების 55 ათასი ეროული.[589] მოეწყო ორნითოლოგიური კაბინეტი.

ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ევ. ლანსერემ ჩაიხატა ეთნოგრაფიული ჯგუფები თავისი ტანსაცმლით და შედგა ქართული კოსტიუმის კატალოგი, მუზეუმში შემოვიდა ათასამდე ეთნოგრაფიული ნივთი.

1923 წლის მარტიდან ფართოდ გაიშალა სამუშაოები მუზეუმის ახალ შენობაში გადასასვლელად. ვიდრე ახალ საფონდო ოთახებში ნივთებს გადაიტანდნენ, მუზეუმის მცირე საბჭოს გადაწყვეტილებით, ოითოეულ ნივთს ჩაუტარდა

---

[589] ყიფიანი ნ., საქართველოს მუზეუმის მოქმედების მოკლე ანგარიში(1919-1921 წწ), სსმ მოამბე, ტ. I, თბ.,1922, გვ 110.

დეზინფექცია. ამისათვის ეზოში აშენდა სპეციალური სადეზინფექციო კამერა, რაც დაჯდა 100 მილიონი მანეთი.[590]

ახალ შენობაში ნივთებისა და წიგნების გადატანის სამუშაოებისთვის 1923 წლის 19 აპრილს გამოყოფილი 250 მილიონი მანეთი განაწილდა განყოფილებების მიხედვით. ამავე წლის 7 ნოემბერს დამატებით გამოიყო 1200 მანეთი (ოქროთი). ამ პერიოდში ძწვავედ დადგა სამუზეუმო ნივთებისთვის სათანადო ჭურჭლის, თაროებისა და ინვენტარის დამზადების საკითხი. ამისათვის მუზეუმის თითოეულმა განყოფილებამ წარადგინა განაცხადი, რომლის საერთო ჯამმა შეადგინა 51813 მანეთი (ოქროთი).

1922 წელს საქართველოს მუზეუმმა სულ დახარჯა 672 ილიარდ 095 მილიონი მანეთი, 1923 წელს მუზეუმისათვის ,ათვალისწინებულმა ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 89263 მანეთი ოქროთი), 1924 წელს კი—149626 მანეთი ("ჩერვონეცით").

1921-1923 წლებში მუზეუმში შემოსული ნივთებიდან ღსანიშნავია: მანანა ორბელიანისეული ყელსაბამი (ფარღული), რომელსაც ჰქონდა ბროწეულის ყვავილის მოყვანილობა, მინანქრით შემკული ოქროს ფოთლები, ალმასის თვლები და მაღალი ღირსების მარგალიტები.[591] ბარბარე ერისთავისგან შემოწირული ქსნის ერისთაველების საგვარეულოს ძვირფას ყდაში ჩასმული თერთმეტი სასულიერო და საერო წიგნი.

1921 წელს მუზეუმთან არსებულმა შემფასებელმა კომისიამ 8 მილიონ 220 ათას მანეთად შეისყიდა ეახტანგ მეფის კანონთა კრებული, თამარიანი, კონდაკი, ფსალმუნი, დაფარნა (ბარძიმის ღასაფენი), სპარსული ეაზა, მინანქრიანი ჭიქა და მონეტები.[592]

განათლების კომისარიატისგან და პოლიტიკური განათლების კლუბების გაერთიანებისაგან მუზეუმმა მიიღო ძველებური ნივთები: ვერცხლის ჭურჭელი, საომარი და სამეურნეო იარაღი, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, ხალიჩები, ქირმანშალი (მატყლის ფერადი ქსოვილი) და სხვა.[593] 1923 წელს თბილისის მშრომელთა საურთიერთო საზოგადოების გამგეობისგან მუზეუმს გადმოეცა თბილისელ ამქართა დროშები. ამავე პერიოდში შეიძინეს გუმბრის მახლობლად

---

[590] სუი არქივი, ფ.300, ან. 3, საქ. 69, ფ. 5.

[591] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ.238.

[592] სსმ არქივი, 1921, 151/139, ფ.437.

[593] საქართველოს მუზეუმის 1922-28 წწ საკოლექციო დავთარი გვ. 22--34.

აღმოჩენილი პალეონტოლოგიური მასალა–სამხრეთის სპილოს ეშვი და კბილი, აგრეთვე პანტიკაპეური მონეტა.

საყოველთაო გაჭირვების პირობებში მუზეუმში ნივთები ასეთი გზითაც ხვდებოდა: "მოქალაქე ალ. ეროეინმა გასაყიდად მოიტანა ძველი ხელოვნების დამბაჩა, მაგრამ ვინაიდან იგი განიცდის უფეხსაცმელობას, გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება მიეცეს მას ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რათა ამით შეძლება მიეცეს ჩვენ მუზეუმს შეიძინოს ძველი ხელოვნების ნივთი",[594] - ატყობინებდნენ მუზეუმიდან ზემდგომ ორგანოებს.

1923 წლიდან მწვავედ დაისვა მუზეუმში შესული ნივთების აღრიცხვიანობის მოწესრიგების საკითხი. მუზეუმის მცირე საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა განყოფილებისთვის უნდა შემოღებულიყო საინვენტარო წიგნი. დავთრის ნიმუშის შემუშავება დაევალა კომისიას. სულ მალე გ. ჩიტაიამ წარმოადგინა კოლექციების კატალოგისთვის ჩასაწერი სამი ფორმა: საკოლექციო დავთარი, კოლექციების სარეგისტრაციო სიები და საბარათო კატალოგი. საინვენტარო დავთარში ნივთზე უნდა შემდგარიყო შემდეგი მონაცემები: საკოლექციო ნომერი, შემოსვლის დრო, ნივთის აღწერილობა და ფასი.[595]

1924 წლის 25 აპრილს მცირე საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მუზეუმის (განსაკუთრებით კი ყოფილი კავკასიის მუზეუმის) ექსპონატების ეტიკეტების გადაქართულების შესახებ.

1924—1925 წლებში მუზეუმში შემოწირულობით შემოსული ნივთებიდან მნიშვნელოვანი იყო: ე. ბაგრატიონების ოჯახიდან–ოქროს ზარნიშიანი ხმალი და აზარფეშა; მარიამ დადეშქელიანისგან–ჩოხა, ახალუხი, კაბა და სვანური ეთნოგრაფიული ტანსაცმელი; ა. ონიანისგან—14 ერთეული სვანური საბრძოლო და სამეურნეო იარაღი; თბილისელ ვაჭართა საპაიო ამხანაგობისგან—9 ერთეული ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, იარაღი და ჭურჭელი;[596] ცნობილი მქსოველის თებრონე გელდიაშვილის მიერ დამზადებული ხალიჩები.[597]

1926 წელს მუზეუმში შემოსული 664 ნივთიდან აღსანიშნავია: ა. მიქელაძის, მ. ჩინჩალაძის და გ. ვეზირიშვილის

---

[594] სსმ არქივი, 1923 151/139, ფ.149.

[595] საქართველოს მუზეუმის მცირე საბჭოს ოქმები., გვ. 51.

[596] საქართველოს მუზეუმის 1922-28 წწ საკოლექციო დავთარი გვ. 134–146.

[597] სსმ არქივი, 1924, №142 ფ.63.

მიერ შემოწირული საომარი საჭურველი, კოლხური ვერცხლის მონეტები და ბრინჯაოს იარაღები.

(მუზეუმის მიერ შეძენილი ნივთებიდან გამოსაყოფია: გ. მუხრან-ბატონისგან–ძველებური, კაჟის თოფი; ცნობილ კოლექციონერ ა. მირზოევისაგან—165 ერთეული საბრძოლო იარაღი, ვერცხლისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, მუსიკალური საკრავები და სხვა; ოქრომჭედელ მ. ანიეფისგან–7 ცალი საეკლესიო ვერცხლის და ოქროს ჭურჭელი; ს. ჩუბინაშვილისგან—ქართული ხმალი და სხვა[598]

1926 წლისათვის მუზეუმში მუშაკთა რიცხვმა 29-ს მიაღწია. დაწესებულებაში მოვიდნენ ახალი თანამშრომლები: პროფესორები ალ. ჯანელიძე და გ. ნიორაძე, ქენეფის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ივ. რუხაძე, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტები ს. ყაუხჩიშვილი და ნ. იოსელიანი, მხატვარი კ. ქავთარაძე, პრეპარატორები—კ. გაბუნია და გ. გოგილაშვილი, ასისტენტები—დ. ციციშვილი და მ. აფხაზი.

მუზეუმის სამეცნიერო საბჭო, რომელიც ბოლო ხანებში ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა, დაშლილად იქნა გამოცხადებული. 1926 წლის თებერვალში დაინიშნა ახალი სამეცნიერო საბჭო, რომელსაც დროებითი საბჭო ეწოდა. მასში შევიდნენ: პროფესორები ალ. ჯანელიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. ქურდიანი, ფ. ზაიცევი; დოცენტები ნ. იოსელიანი, ს. ყაუხჩიშვილი; გაჩყოფილების გამგეები: ი. ჩხიკვიშვილი, გ. ნიორაძე და მ. შავარდნაძე. საბჭოს მდივნის მოვალეობას ასრულებდა გ. ჩიტაია. 1927 წლის აპრილიდან კი სამეცნიერო საბჭოს მდივანია ავქსენტი აფაქიძე.

მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ დირექტორის პოსტზე წარადგინა პროფესორ ალ. ჯანელიძის კანდიდატურა, რომელიც1926 წლის 15 მარტს დაინიშნა კიდეც ამ თანამდებობაზე.

ალექსანდრე ალექსიოსის ძე ჯანელიძე (1888—1975 წ.წ.) ლაიბადა რაჭის მაზრის სოფელ ნიკორწმინდაში. სწავლობდა საჩხერეში, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო პარიზში სორბონის უნივერსიტეტში. საშშობლოში დაბრუნების შემდეგ მსახურობდა ქუთაისის ქალთა კერძო ქართულ გიმნაზიაში. ვინაიდან საზღვარგარეთული დიპლომი მასწავლებლობის უფლებას არ იძლეოდა, ა. ჯანელიძემ მიაშურა ქ. ყაზანს. ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ყაზანის უნივერსიტეტში. საშშობლოში დაბრუნების შემდეგ, თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ მას შესთავაზა

---

[598] საქართველოს მუზეუმის 1922-28 წწ. საკოლექციო დავთარი გვ 58.

საპროფესოროდ მომზადება გეოლოგიის დარგში და განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, მიულინებული იქნა ევროპაში. მუშაობდა პარიზში, გრენობლში. 1923 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გახდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1925 წელს იგი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

ხელისუფლება თანდათანობით სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მუზეუმის პრობლემების გადაჭრას. ყოველწლიურად იზრდებოდა მუზეუმის მუშაკთა რიცხვი. 1927-1928 წლებში მუზეუმში მოვიდნენ ახალი თანამშრომლები: განყოფილების გამგედ–პავლე ინგოროყვა, ასისტენტებად--ნიკოლოზ ბერძენიშვილი და ალექსანდრე ბარამიძე, კანცელარიის გამგედ–ავქსენტი აფაქიძე, ბიბლიოთეკარებად–ქრისტინე შარაშიძე და ნინო ნაკაშიძე, პრეპარატორებად ალექსანდრა ვაშაკიძე და ანა ხარაძე.

ასევე ყოველწლიურად იზრდებოდა მუზეუმის დაფინანსებაც. მყარ საფუძველზე დგებოდა მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

1927–1932 წლებში, მუზეუმში განყოფილებების, თანამშრომელთა და დაბანდებული თანხების რაოდენობა შეჯამებულად ასე გამოიხატება:[599] (ცხრილი 18):

წლები	1927/28	1928/29	1929/30	1930/31	1931/32
განყოფილებები	6	6	8	8	9
თანამშრომლები	29	31	38	39	41
ხელფასი	21157	32861	70857	73552	116603
სამეცნ. ხარჯები	2462	7713	15427	69105	85314
სამეურნ. ხარჯები	2742	3300	6219	2550	10400
სპეც. ხარჯები	3658	4150	5061	5945	6486
სულ	30019	48024	97564	151152	218803

მუზეუმის თანამშრომელთა რიცხვის ზრდამ და დაფინანსების გაუმჯობესებამ, მუზეუმის მუშაობა გამოაცოცხლა. 1927-29 წლებში საქართველოს ბევრ კუთხეში მოეწყო მუზეუმის ექსპედიციები: ზოოლოგიური განყოფილების თანამშრომლები ი. ჩხიკვიშვილი, კ. თათარიშვილი და ე. რეიში მუშაობდნენ ალაზნის ველზე, დედოფლის წყაროსა და სოფელ შილდის მიდამოებში.

ბოტანიკურმა განყოფილებამ ექსპედიცია ჩაატარა თელეთის ველზე, კოჯორსა და ქოროლლის მიდამოებში, თეძმისა და

[599] ცხრილი შედგენილია საქართველოს მუზეუმის ანგარიშების მიხედვით.

ბორჯომის ხეობებში. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ელ. ქიქოძე, დ. სოსნოვსკი და ე. ჯარამურზა.

გეოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა ა. თვალჭრელიძემ და ი. რუხაძემ ექსპედიციები მოაწყეს გარე კახეთში, ივრის ხეობაში, ძირულას მასივში, აღბულაღისა და ლისის ტბის მიდამოებში.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციები ჩატარდა მცხეთაში, ზემო რაჭაში, მთიან ქართლში, მდინარე ჩხერიმელას სანაპიროსთან, "დევის ხვრელის" გამოქვაბულში. გარდა ამისა, მოხერხდა ზემო-აეჯალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის გათხრა.[600]

(აღსანიშნავია 1926 წელს ხევსურეთში ჩატარებული ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ: გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია ი.შარლემანი და დ. ციციშვილი. ექსპედიციამ იმუშავა ბარისახოში, ლიქოკში, ხახმატში, ღულში, შატილში და ახიელში. (მუზეუმში ჩამოიტანეს 435 ერთეული ეთნოგრაფიული ნივთი. მათ შორის: სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, გადასაზიდი საშუალებები, აევჯი, სამკაული და სხვა. ექსპედიციამ შეძლო ერთ-ერთი ხევსურული ხატიდან მოეპოვებინა ძველებური "საჯურუმო" (შერისხვის) დროშა.

1927 წლის დასაწყისში შესაძლებელი შეიქნა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებების ერთმანეთისაგან განცალკევება. 1929 წელს მუზეუმის განყოფილებებს შეემატა ხელნაწერებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილებები.

ხელნაწერთა განყოფილება ჩამოყალიბდა ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი სახოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმების ხელნაწერთა მდიდარი კოლექციების ბაზაზე, რომელსაც 1930 წლის ოქტომბერში მიემატა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერთა მთელი ფონდები. საქართველოს მუზეუმში ხელნაწერთა კოლექციებს მიეცათ დამოუკიდებელი ლიტერი—პირობითი ასოითი ნიშანი: საეკლესიო მუზეუმის კოლექციას--A, წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციას--S, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციას--H, ხოლო მუზეუმის ახალ

---

[600] ჯანელიძე ალ., საქართველოს მუზეუმის 1927 წლის მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 375.

კოლექციას–Q ლიტერი. განყოფილების გამგე გახდა პაელე ინგოროყვა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილებაც შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ნიეთიერი ფონდების ბაზაზე და გადმოტანილ იქნა საქართველოს მუზეუმში თავისი ინვენტარით

მუზეუმის ახალი შენობის ნაწილობრივ დამთავრებასა და მასში განყოფილებების გადასვლასთან დაკავშირებით დაისვა ახალი გამოფენების მოწყობის საკითხი. მუზეუმის შენობის სამხრეთ ფრთაში, ზოოლოგიური გამოფენის გაფართოებასთან ერთად 1927 წლის მაისში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა შენობის ჩრდილოეთ ფრთაში აუდიტორიის ზემოთ არსებულ ოთახებში ხევსურეთისა და ფშავის ამსახველი ეთნოგრაფიული გამოფენების მოწყობა. საგამოფენო მასალების მოძიებისა და შევსების მიზნით 1928 წლის გაზაფხულზე ამ რეგიონებში ჩატარდა ექსპედიცია, რისთვისაც გამოიყო 55 ათასი მანეთი. მასში მონაწილეობდნენ გ. ჩუბინაშვილი, გ. ნიორაძე, გ. ჩიტაია და ს. ყაუხჩიშვილი; ამ პერიოდში ს. მაკალათია მიელინებით იმყოფებოდა ზემო რაჭაში.[601]

1927—1929 წლებში მუზეუმს ბევრი მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა: კ ავალიშვილის, მ. ანდრონიკაშვილის, ი. მუჩაიძის, პ .არჯევანიძის, გ. ზელინსკაიას, ლ. ნიკოლაიშვილის და სხვათაგან შემოწირულობისა თუ შესყიდვის გზით მიღებულმა ნიეთებმა გაამდიდრეს მისი ფონდები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი მეიარაღე-სპეციალისტის პოლკოვნიკ ზ. კობიაშვილისეან მიღებული საბრძოლო იარაღის საუცხოო კოლექცია, რომელიც შედგებოდა 184 ერთეულისაგან. ამ კოლექციიდან აღსანიშნავია გიორგი სააკაძისეული კაეის თოფი წახნაგოვანი ფოლადის ლულით, წაშლილი წარწერით და დამღით. თოფს გააჩნდა ლითონის სამი სალტე, ამობურცული ჭედურობით. ჩახმახი შემკული იყო ვერცხლის ფირფიტებით. კონდახზე პქონდა ინკრუსტაცია.[602]

ასევე აღსანიშნავია–ჰაჯი მურატის ნაქონი თოფი და ერეკლე მეორის შვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის რახტი.[603]

მაგრამ მთავარი საზრუნავი, როგორც ხელისუფლების, ისე მუზეუმის დირექციისა, რუსთაველის გამზირზე მთავარი საგამოფენო კორპუსის მშენებლობის დამთავრება იყო, რითაც

---

[601] სსმ არქივი, 1927, № 38, ფ. 4.

[602] საქართველოს მუზეუმის 1929-1931წწ. საკოლექციო დავთარი, გვ. 23.

[603] იქვე, გ. 42.

შეერთდებოდა უკვე აგებული შენობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფრთები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მინარეთის მსგავსი კოშკებიანი, სპარსულ სტილში გადაწყვეტილი მუზეუმის ფასადის გადაკეთებას.

ჯერ კიდევ 1923 წელს განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, შედგა მუზეუმის შენობის ფასადის გადაკეთებაზე წარმოდგენილი პროექტების შემაჯამებელი კომისია ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ: გ. ჩუბინაშვილი, დ. შეევარდნაძე, ო. შარლემანი, გ. გრინევესკი და ნ. ყიფიანი.[604] კომისიამ თავისი სხდომა ჩაატარა 1923 წლის 18 ივლისს და დაადგინა: "ხმების უმეტესობით მიეცეს I პრემია (ჯილდო 375 მან.) არქტ. ნ. სევეროვს, როგორც შედარებით დამაკმაყოფილებელად შესრულებული პროექტისათვის, მაგრამ შენობის აგების დროს მასში უნდა იქნას შეტანილი ზოგიერთი ცვლილებები. II პრემია (ჯილდო 125 მან.) კი მიეცეს ან. კალგინის პროექტს, როგორც მხატვრულად შესრულებულს".[605] მაგრამ 1923 წელს, კონკურსში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად და ვერც პროექტის პრაქტიკულად განსახორციელებლად სათანადო თანხის გაღება ვერ მოხერხდა.

ნ. სევეროვის მიერ წარდგენილი გამარჯვებული პროექტის ვარიანტი თითქოსდა ითვალისწინებდა ძველი ქართული არქიტექტურის მოტივებს (ბოლნისის სიონის, სვეტიცხოვლის ორნამენტებს), მაგრამ არ იყო თავისუფალი ეკლექტურობისგან და გადატვირთული იყო. კომისიის დავალებით, ნ. სევეროვი წლების მანძილზე აგრძელებდა მუშაობას პროექტზე და ხელწდა მას.

(1927 წლის 21 ივლისს სახალხო კომისართა საბჭომ ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით სპეციალური სხდომა ჩაატარა საქართველოს მუზეუმის შენობის მთავარი კორპუსის მშენებლობის დამთავრების საკითხზე და მიიღო დადგენილება. იგი ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს: "1. აუცილებლად იქნას მიჩნეული საქართველოს მუზეუმის მშენებლობის დასამთავრებელი სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყება. 2. ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს 100000 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა გამოინახოს საბანკო კრედიტის სახით. 3. შეიქმნას საალმშენებლო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. ჯუღელი (თავმჯდომარე), დ. კანდელაკი, მ. ორახელაშვილი,

---

[604] სუი არქივი, ფ. 300, ან. 3, საქ. 69, ფ. 94.

[605] სსმ არქივი, 1923, 153/141, ფ. 116.

ლ. სუხიშვილი, რ. დუმბაძე, ა. მიქელაძე, მხატვარი დ. შევარდნაძე, პროფესორები გ. ჩუბინაშვილი და ალ. ჯანელიძე, არქიტექტორი ნ. სევეროვი".[606] სახკომსაბჭომ ხუთი დღის შემდეგ 26 ივნისის სხდომაზე კომიტეტის შემადგენლობას დაუმატა ახალი წევრი—ლავრენტი ბერია.[607]

ახლად შექმნილმა საალმშენებლო კომიტეტმა თავის მხრივ ჩამოაყალიბა სამშენებლო-ტექნიკური კომისია, რომელსაც ევალებოდა მშენებლობის მიმდინარე საკითხების პრაქტიკულად მოგვარება. კომისიას თავმჯდომარეობდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი. წევრებად მიიწვიეს არქიტექტორები მ. ნეპრინცევი და ნ. სევეროვი. კომისიას შენობის ფასადის სამუშაოების დასაჩქარებლად გამოეყო 350000 მანეთი.[608]

საალმშენებლო კომიტეტმა მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნა ნ. სევეროვი, რომელსაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება --თვეში 400 მანეთი დაენიშნა.

ნიკოლოზ პაველის ძე სევეროვი(1887—1957 წ.წ.) დაიბადა თბილისში. პეტერბურგის სამოქალაქო საინჟინრო აკადემიის დამთავრების შემდეგ 1915 წელს ბრუნდება თბილისში და პროფ. გ. ჩუბინაშვილთან ერთად ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით ბევრს მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მან აზომა, შეისწავლა და მეცნიერული გამოკვლევები მიუძღვნა მცხეთის ჯვარს, კუმურდოს, ნიკორწმინდას. ნეკრესს, ალავერდს და სხვა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. შემდეგ თავის შემოქმედებაში მან კარგად გამოიყენა მიღებული ცოდნა და ძველი ქართული არქიტექტურის ტრადიციები. ნ. სევეროვი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი და წლების განმავლობაში მისი პროფესორი.

სამშენებლო კომისიამ ცალკეული სამუშაოების შესასრულებლად მიიწვია იმ დროს თბილისში არსებული მოიჯარადე ორგანიზაციები: "სამშენი", ანდრეოლეტი და ვილა ლორენცინი, აგრეთვე მირზოიანისა და აგლაძის კერძო ფირმები. ძირითადი სამუშაოების შესრულება დაეკისრა სამშენებლო-სამრეწველო სააქციო საზოგადოება–"სამშენს", რომლის მთავარი კანტორა იქვე მეზობლად, თავისუფლების მოედნის №3-ში იყო მოთავსებული.

---

[606] სსმ არქივი, 1927, №40, ან. 1, ფ. 2.

[607] სუი არქივი, ფ .600, ან. 1, საქ 47, ფ.119.

[608] ჯანელიძე ალ., საქართველოს მუზეუმის 1927 წლის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 376.

სამშენებლო მასალებს იღებდნენ საბჭოეთის სხვადასხვა ადგილიდან: ცემენტი შემოჰქონდათ ბათუმიდან, ხეტყე—სტალინგრადიდან, რკინის არმატურა--უკრაინიდან და სხვა.

სამუშაოთა დიდ ნაწილს ხელშეკრულებით ასრულებდა გეორქ მირზოიანის ფირმა.[609] სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებდა და დახმარებას უწევდა რესპუბლიკის მთავრობა. მისი წევრები: (ს. ჯუღელი დ. კანდელაკი და მ. ორახელაშვილი) უშუალოდ იყენენ ჩაბმული მშენებლობის პროცესში, ხელისუფლება აქტიურად შუამდგომლობდა რესპუბლიკის ბანკებს, რომ მათ ამ მშენებლობისათვის დროულად მიეწოდებინათ კრედიტები, ცალკეული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებისას, არ ერიდებოდა იმ დროს დაკანონებული წესების შეცვლას (მაგ. სამუშაოების ღია კონკურსის გარეშე ჩაბარება) და სხვა, აჯილდოვებდა და პრემიებით ახალისებდა მშენებლობის მოწინავე მუშაკებს.

1927 წლის 9 აგვისტოს სახალხო კომისართა საბჭომ №28 ოქმით დაამტკიცა ნ. სევეროვის მიერ წარმოდგენილი მუზეუმის შენობის ფასადის ჩასწორებული და გაუმჯობესებული პროექტი. მისი მეორე ვარიანტი უფრო დახვეწილი იყო და გამოირჩეოდა კომპოზიციური მთლიანობით.. ამასთან ერთად, მშენებლობის გაიაფების მიზნით, შესაძლებლად მიიჩნიეს ფასადის მოსაპირკეთებელი ქუთაისური ქვა შეცვლილიყო ძეგამის ქვით, ხოლო ალგეთის ქვა—ეკლარის ქვით.

სამშენებლო კომისიამ დიდი ენერგიით დაიწყო მუშაობა. მხოლოდ 1927 წელს მშენებლობაზე დახარჯულმა თანხამ 400000 მანეთს მიაღწია, რაც აღემატებოდა გამოყოფილ თანხას. საჭირო შეიქმნა დამატებითი დაფინანსება.

1927 წლის ბოლოს სახალხო კომისართა საბჭომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1600,000 მან. გამოყო საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად. [610]

მუზეუმის შენობის დასამთავრებელი სამუშაოები საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მშენებლობის დროს ფართოდ გამოიყენებოდა იმ დროს შემოღებული და მეტად გავრცელებული მუშაობის ფორმები: დამკერელობა და სოციალისტური შეჯიბრება. მთავრობის სხდომებზე მრავალგზის აღინიშნებოდა ინჟინერ-არქიტექტორ ნ. სევეროვის უნარიანი ხელმძღვანელობა.

---

[609] სუი არქივი, ფ .600, ან. 1, საქ. 1215, ფ.10.

[610] სუი არქივი, ფ. 284, ან. 1, საქ. 350, ფ.109.

1928 წლის თებერვალში საალმშენებლო კომიტეტმა განიხილა ნ. სევეროვის პროექტის მესამე ვარიანტი და რეკომენდაცია მისცა მას, რომ დამტკიცებულიყო როგორც საბოლოო დოკუმენტი. ამასთან ერთად, კომიტეტმა გადაწყვიტა შენობის ფასადის შვერილები, სვეტისთავები და ლავგარდანები დაემზადებინათ ბუნებრივი ქვისაგან, მოეპირკეთებინათ მხოლოდ პირველი სართული, ხოლო დანარჩენი ნაწილი კიბათქაშით შეევსოთ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, ამით შენობის საერთო სახემ საგრძნობლად წააგო. [611]

მშენებლობის დროს ხშირი იყო სამწუხარო ინციდენტებიც. 1928 წლის მაისის წერილში მუზეუმის დირექცია მიუთითებდა მშენებლობის უფროსს ნ. სევეროვს: "მიუხედავად არაერთგზის ჩვენი განცხადებისა, მუზეუმის ახალ შენობაში ისევ განმეორდა ქურდობის შემთხვევები. მიმდინარე წლის 6 მაისს ადმინისტრაციის დაუკითხავად გაღებული იქნა მარცხენა ფლიგელის ოთახი, საცა გეოლოგიური განყოფილების ქონება ინახებოდა. მის შემდეგ სამი კარადის ვიტრინა გატეხილი იღმოჩნდა, საკეტები წაღებული" [612] და ა. შ.

1929 წლის გაზაფხულზე დასრულდა საქართველოს მუზეუმის მშენებლობა. რუსთაველის გამზირის გასწვრივ ნ. ვაჩნაძისა და ა. ფურცელაძის ქუჩებს შორის მთელ კვარტალზე, თითქმის 90 მეტრის სიგრძეზე, აღიმართა შენობა, რომელიც გახდა თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო და ღირსშესანიშნავი ნაგებობა.

სიგრძის გასანეიტრალებლად ფასადი დანაწევრებულია საერთო ღონიდან წინ გამოწეული ცენტრალური და ორი გვერდითი თაღებიანი შვერილებით—რიზალიტებით, რომელიც შენობის ძირითად ნაწილთან ქმნიან ერთიან, მთლიან მოცულობას. ფასადის ქვეშა ორ სართულზე გამოდიან დიდი ზომის ფანჯრები, მესამე სართულის კედლები კი დაფარულია ერთმანეთთან დაკავშირებული ნახევრადწრიული დეკორატიული თაღებით. მათ ცენტრებში მოთავსებულია დიდი როზეტები, რომელთა ფორმებში ოსტატურად გამოყენებულია ძველი ქართული არქიტექტურული მოტივები.

სპეციალისტებში მიღებული აზრით, საქართველოს მუზეუმის შენობის "არქიტექტურის დეტალები და ელემენტები, მოტივები და ხერხები ნასესხებია ეროვნული

---

[611] ჯაში ნ., სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1983, გვ. 16.

[612] სსმ არქივი, 1926 № 40, ფ.197.

ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობიდან. გააზრებულად, ლოგიკურად გარდაქმნილი სახით გამოყენებულნი, ისინი ქმნიან არქიტექტურულ იერსახეს, რომელიც შეესაბამება შენობის დანიშნულებას." [613]

ასე აშენდა 1929 წელს დედაქალაქის ცენტრში საქართველოს მთავარი მუზეუმის საკადრისი შენობა, რომელსაც მრავალი წლის შრომა და ძალისხმევა დასჭირდა.

საქართველოს მუზეუმის შენობა სამართლიანად არის მიჩნეული ქართულ არქიტექტურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეტაპო ნაგებობად. იგი ითვლება ძველი ეროვნული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა და ახალი ქართული არქიტექტურული ფორმების წარმატებული შერწყმის ნიმუშად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის ახალ შენობას თავიდანვე ზოგიერთი ნაკლი დაჰყვა: 1. ნაგებობა სიგრძეში ძალზე გაწელილი აღმოჩნდა. ამის გამო, საგამოფენო დარბაზების შესასვლელები ერთმანეთის მიმართებაში არ აღმოჩნდა სწორ ღერძზე, რის შედეგადაც დაირღვა გამჭოლი ხედვა და შეიზღუდა სააქცენტო ადგილების ეფექტიანობა.
2. წყალგაუმტარობის მიღწევის თვალსაზრისით, ყოველთვის პრობლემებს ქმნიდა (და ახლაც ქმნის) შენობის ბრტყელი, ბახური გადახურვა.

მუზეუმის შენობის დამთავრებამ უკეთესობისკენ შეცვალა საქართველოს მუზეუმის ორგანიზაცია და სულ ახალი მიმართულება მისცა მის დანიშნულებას და საქმიანობას.

თუ წინა წლებში მუზეუმის თანამშრომელთა მუშაობა ძირითადად მოძიებით–შემგროვებლობითი და სამეცნიერო საქმიანობით შემოიფარგლებოდა, ახალი შენობისა და საგამოფენო დარბაზების მწყობრში ჩადგომის შემდეგ მათ წინაშე დღის წესრიგში დადგა საგამოფენო სამუშაოთა ყართოდ გაშლის ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრა ხშირად ადვილი არ იყო. უნდა გათვალისწინებულიყო ხელისუფლების დაკვეთა და ქვეყნად შექმნილი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნილებები.

როგორც მუზეუმის ერთ-ერთ ანგარიშში იყო ნათქვამი: "საბუნებისმეტყველო განყოფილებებმა ახლა ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანები დაისახეს, ე. ი. ქვეყნის საწარმოო ძალების ჩვენება და მათი დაკავშირება სამეურნეო აღმშენებლობასთან. ზოგად-ისტორიული განყოფილებებიც

---

[613] ჯაში ნ., სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1983, გვ. 16.

აგრეთვე ახალ საფუძველზე დადგნენ, რომ უჩვენონ მასებს მთლიანი ისტორიული განვითარების პროცესი, შეიარაღონ მასები დროშოჭმული საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებთან და კლასებთან აქტიური ბრძოლისათვის და ჩააბან ისინი სოციალიზმის აღმშენებლობაში."[614]

ხშირად ხელისუფლების დაკვეთის გათვალისწინება არ ხერხდებოდა, რასაც ბევრი მუზეუმელი ეწირებოდა. მარტო მუზეუმის ოთხი დირექტორის გამოცხადება "მავნებლად"– კმარა ამის საილუსტრაციოდ.

მიუხედავად ზეწოლისა, მუზეუმი მაინც ყოველთვის აგრძელებდა თავის ტრადიციულ საქმიანობას, არ ღალატობდა წლების მანძილზე დამკვიდრებულ პროფესიონალიზმსა და ქვეყნის სამსახურს.

1928 წლის 11 ოქტომბერს შემდგარმა მუზეუმის დროებითმა სამეცნიერო საბჭომ საბოლოოდ გადაანაწილა განყოფილებებს შორის საექსპოზიციო ფართი. მიღებული გადაწყვეტილებით, ახალი საგამოფენო კორპუსის მარჯვენა მხარეს მდებარე დარბაზებს დაიკავებდა ჰუმანიტარული განყოფილებები (ქვედა სართულებს არქეოლოგია, ზედას – ეთნოგრაფია), ხოლო მარცხენა მხარისა და ფლიგელის დარბაზებს საბუნებისმეტყველო განყოფილებები.[615]

საგამოფენო საქმიანობის მოწინავე მეთოდების გასაცნობად მუზეუმის რამდენიმე მუშაკი (ალ. ჯანელიძე, ან. კაკაბაძე, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინაშვილი) მიყლინებით გააგზავნეს საბჭოთა კავშირის დიდ სამუზეუმო ცენტრებში: ლენინგრადში, მოსკოვში, კიევსა და ხარკოვში. მუზეუმის მთელი ძალები ჩაება თემატურ-საექსპოზიციო გეგმების შემუშავებაში.

დაფინანსების შეზღუდულობის გამო შეუძლებელი იყო ყველა განყოფილებას ერთდროულად მოეწყო გამოფენები. ამიტომ გადაწყდა, რომ პირველ რიგში მუზეუმის ის კოლექციები გამოფენილიყო, რომლებიც რესპუბლიკის შინამრეწველობის, ნედლეულისა და წარმოების ეკონომიკური გამოყენების საკითხებს უკავშირდებოდა. ახალი საგამოფენო მასალის მოსაგროვებლად დამატებით ორჯერ მოეწყო ექსპედიცია ხევსურეთში გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციის აქტიური წევრი იყო ვერა ბარდაველიძე-ლომია.

---

[614] საქართველოს მუზეუმის 1931-32 წწ მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ.VII, ტფ., 1933, გ. 337.

[615] სსმ არქივი, 1928, №38, ფ. 23.

1929 წლის იანვარში ალ. ჯანელიძემ საკუთარი სურვილით დატოვა მუზეუმის დირექტორის თანამდებობა და მის ადგილზე დაინიშნა ანანია (ანატოლი) კაკაბაძე, რომელიც მანამდე მუშაობდა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად. მისი მოღვაწეობა მუზეუმში დიდხანს არ გაგრძელებულა. 1931 წლის მაისში იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

1927-28 წლებში პროფესორ ივანე ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა ზოოლოგიური გამოფენის რეექსპოზიცია. გამოფენამ დაიკავა სამხრეთის ფლიგელის ორი სართული. ტაქსიდერმისტ კ. კრელის ადრე დამზადებული ექსპონატები ახლებურად, შემოქმედებითად წარმოადგინა მხატვარ—დეკორატორმა ივანე ვეფხვაძემ. გამოფენაში ჩაერთო კავკასიის მუზეუმის ძველი, რადესეული ზოოლოგიური ექპონატებიც. ექსპოზიცია მოეწყო ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრინციპით და ასახავდა საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტის ცხოველსა და ფრინველს. მათი ფიტულები წარმოდგენილი იყო დამახასითებელ ბუნებრივ გარემოში—ამისთვის სპეციალურად დამზადებული რვა დიორამის ფონზე—ამ არსებათა დამახასიათებელი ქცევებისა და პოზების გათვალისწინებით. გამოფენა ერთ-ერთი საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში და მან დიდი საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა.

საბჭოეთის მთავარი მწერალი მაქსიმ გორკი, რომელსაც 1928 წელს უნახავს ეს გამოფენა, წერდა: "ზოოლოგიური გამოფენა ენახე და უნდა ვთქვა, რომ მას სანიმუშოდ აწყობენ თვალსაჩინოებით, სილამაზით."[616]

1929 წლის გაზაფხულიდან დაიწყო ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობა, რომლის ავტორი იყო გ. ჩიტაია. მხატვრული გაფორმება მიენდო პროფ. ი. შარლემანს. ცალკეულ მხატვრულ სამუშაოებს ასრულებდნენ ახალგაზრდა მხატვრები რ. შეერლინგი და ს. საბუკკი.[617] გამოფენისთვის საჭირო ინვენტარი და აეკვი დამზადდა ი. შარლემანის ესკიზებით, თუმცა გამოყენებულ იქნა კავკასიის მუზეუმის რადესეული ძველი ვიტრინები და კარადები. ამ პერიოდში ახალი საგამოფენო აეკვის დასამზადებლად მუზეუმის ეზოშიც

---

[616] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილების შთაბეჭდილებათა წიგნი, გვ 16.

[617] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, ტ.VI, ტფ., 1931, გ. 464.

მოეწყო სადურგლო სახელოსნო, რომელიც კიდევ დიდხანს ფუნქციონირებდა.

ხევსურეთის გამოფენის მოწყობას საფუძვლად დაედო ამ მთიანი რეგიონის მოსახლეობის შრომის, ყოფისა და კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალის კომპლექსურად ჩვენება. საგამოფენო დარბაზებში დიდი გემოვნებით და საქმის ცოდნით მოეწყო ნატურალური ზომის ხევსურული ბინის და სამლოცველო კოშკების (სასანათლო და საქურუმო) მოდელები, რომლებშიც მოთავსდა დედანი ეთნოგრაფიული მასალა: ტანსაცმელი, საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაული, კერამიკა, ქსოვილი და სხვა.

ექსპოზიცია გაიხსნა 1931 წელს. მან დაიკავა ახალი კორპუსის III სართულის ორი დარბაზი (400-მდე კვ.მ.). ამგვარი გამოფენა არა მარტო საქართველოში არამედ მთელ საბჭოთა კავშირში სიახლეს წარმოადგენდა და დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებელში. თუმცა იყო სხვა შეხედულებებიც. გ. ჩიტაია იხსენებდა, რომ თბილისში იმხანად სასწავლებლად ჩამოსული ხევსურების ერთი ნაწილი ახირებულა: "ჩიტაიას ხევსურები ველურად ჰყავს წარმოდგენილი. სასანათლო კოშკის თავზე ფალოსის გამოსახულება ყალბია და ამგვარი რამ ხევსურეთში არ არსებობს. საჩიყარი შეიტანეს ცეკაში."[618]

გამოფენის აეტორებსა და მუზეუმის დირექციას დიდი ძალისხმევა დასჭირდათ თავის მართლებისათვის.

ხევსურეთის ექსპოზიციის შემდეგ, მუზეუმი შეუდგა გეოლოგიური გამოფენის მოწყობას, რომელზეც განზრახული იყო რესპუბლიკის სასარგებლო წიაღისეულის ჩვენება.

გარდა ამისა, პოლიტგანათლების ხაზით, მუზეუმმა მოაწყო მოძრავი გამოფენები ზოოლოგიის, რელიგიის ისტორიისა და პირველყოფილი ადამიანის კულტურის ამსახველი და სხვა.

საქართველოს მუზეუმი რეალურად იქცა სამუზეუმო მასალათა თავმოყრისა და დაცვის ცენტრად. მთაერობის გადაწყვეტილებით საქართველოს მუზეუმს შეუერთდა სხვა სამუზეუმო დაწესებულებები. 1928 წლის 17 ივლისს განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი მოახსენებდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს: "საქართველოს მუზეუმის შენობა

---

[618] ჩიტაია გ., ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე, თბ.,1988, გვ.72.

მალე მზად იქნება და ჩვენც შეუდგებით რესპუბლიკის ყველა სამუზეუმო ფონდის ცენტრალიზაცია-რაციონალიზაციას".[619]

1928 წლის 24 აგვისტოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც "წინადადება მიეცა ყველა სახელმწიფო ორგანოს, ვის განკარგულებაშიც იყო რაიმე სამხატვრო კოლექცია ან მხატვრული მნიშვნელობის ცალკე ნივთი, 2 თვის განმავლობაში გადაეცა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისთვის საქართველოს მუზეუმში მოსათავსებლად."[620]

1929 წელს საქართველოს მუზეუმმა მიიღო და სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან გადმოიტანა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციები და ბიბლიოთეკა. ეს უკანასკნელი შეუერთდა მუზეუმის ბიბლიოთეკას, ხოლო გაუქმებული საზოგადოების კოლექციების ბაზაზე, როგორც ზევით აღინიშნა, ჩამოყალიბდა ორი ახალი უჯრედი: ხელნაწერთა განყოფილება და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება. პირველს დაეთმო მუზეუმის ზეძირკველის (ცოკოლის) სართულში ორი საფონდო ოთახი—სეიფი ხელნაწერების შესანახად და სამი სამუშაო ოთახი, ხოლო მეორე--მოთავსდა ახალი კორპუსის მეორე სართულზე და აქვე მოაწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის მეტად საინტერესო ნივთები და ქართული ხელსაქმის ექსპონატები.

1929 წელსვე მუზეუმში გადმოიტანეს პედაგოგიური მუზეუმის კოლექციები, რომელთა დიდი ნაწილი მანამდე სხვადასხვა სასწავლო ტექნიკუმებს გადაეცათ.

ამავე პერიოდში მუზეუმმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო მუზეუმისა და ბორჯომის დენდროლოგიური მუზეუმის ექსპონატები, რითაც გაამდიდრა თავისი ბოტანიკური განყოფილების ფონდები. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექციების, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის ფონდების და უნივერსიტეტის ფოტოთეკის (რომელშიც 40000-მდე ნეგატივი ირიცხებოდა) გადაცემა.

მთელი ამ ზღვა სამუზეუმო მასალის სათანადო ფონდებში დაბინავებაში მონაწილეობა მიიღო მუზეუმის მთელმა კოლექტივმა, რასაც დიდი შრომა დასჭირდა. მუზეუმის

---

[619] სუი არქივი, ფ. 600 ან. I საქ. 1758 ფ. 5.

[620] სუი არქივი, ფ 600, ან. 1, საქმე, 1758, ფ. 7.

ანგარიშებში განსაკუთრებით გამოყოფილია პაელე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბერძენიშვილი და ალექსანდრე ბარამიძე, რომლებმაც "ხელნაწერთა ფონდის გადარჩევა და დალაგება ჩაატარეს დამკერელური ხაზით".[621]

მუზეუმების გაერთიანების პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით საქართველოს მუზეუმს შეუერთდა 1930 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებული პედაგოგიური ინსტიტუტის მუზეუმი, რომელმაც თავის მხრივ გააერთიანა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის დარჩენილი ნაწილი.[622]

სამუზეუმო მასალათა კონცენტრაცია მოგვიანებით, ისეთი მასშტაბებით გაფართოვდა, რომ საპირისპირო შედეგები იყო მოსალოდნელი. საქართველოს მუზეუმს შეურთეს ისეთი მუზეუმები, რომლებსაც როგორც სტრუქტურულად, ისე პროფილით, მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. 1931-32 წლებში საქართველოს მუზეუმს შეუერთდა სათეატრო მუზეუმი, განათლების კომისარიატის პედაგოგიური მუზეუმი. აღძრული იყო საკითხი სააღმშენებლო, ანტირელიგიური, კურორტოლოგიის, ავიაციის და სხვა სამუზეუმო ერთეულების საქართველოს მუზეუმის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. საქართველოს მუზეუმის დირექციას დიდი მეცადინეობა დასჭირდა ამ გადაწყვეტილებების და ექსპერიმენტების აცილებისთვის.

დიდძალი სამუზეუმო მასალების მიღებამ მეტად გაზარდა საქართველოს მუზეუმის ორგანიზმი და მას უფრო მეტად გამოკვეთილი, დიფერენცირებული სახე მისცა. გაიზარდა აგრეთვე მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობა.

(1931 წელს უნივერსიტეტიდან მუზეუმში სამუშაოდ გადმოდის დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი. იგი ჯერ ამ დაწესებულების მეცნიერ-კონსულტანტია, ხოლო 1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობს ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.) ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე აქტიურად ებმება მუზეუმის ცხოვრებაში და როგორც მოსალოდნელი იყო უდიდესს კვალს ტოვებს ამ დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროზე. მუზეუმის

---

[621] საქართველოს მუზეუმის 1928-1930 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ ნოამბე, ტ.VI, ტფ., 1931, გ.466.

[622] მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1988, გვ. 193.

მუშაობის გასაუმჯობესებლად ადგენს პროექტებს, შემოაქვს წინადადებები, გეგმავს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას და სხვა. მუზეუმის მთავარი ამოცანების განსაზღვრისას თანამშრომელთა საერთო კრებაზე 1935 წლის 29 ივნისს იგი აცხადებდა: "საქართველოს მუზეუმი დიდი დაწესებულებაა. 1. მან უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა და ამ მიზნით უნდა დააგროვოს სამუზეუმო ნაშთები და მასალები საქართველოს ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისათვის. 2. მას სოციალური მოვალეობაც აწევს: მან ფართო საზოგადოებასა და მეტადრე ისტორიული ცოდნის გასაღრმავებლად დახარება უნდა გაუწიოს მოსწავლე-ახალგაზრდობას და 3. საქართველოს მუზეუმი, როგორც უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე გეგმის საფუძველზე მოხერხდეს, რაც როგორც ჩანს სამწუხაროდ მთლად ასე არ უნდა იყოს"[623] .. და მოითხოვდა მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას. საქმის მოსაგვარებლად მას მიაჩნდა, რომ "მთავარი მნიშვნელობა თვით მუზეუმის აღწერილობას, სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და მუშაკების საქმიანობას აქვს".

ივანე ჯავახიშვილი საქმისადმი დამოკიდებულებით და თავისი დაუღალავი შრომით, პირად მაგალითს აძლევდა მუზეუმის თანამშრომლებს. ზემოთხსენებულ კრებაზე იგი ხაზგასმით მიუთითებდა: "საქართველოს მუზეუმს საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა აქვს მიღებული, მაგრამ ამ 11 წლის წინად, რომ მთავრობის დავალებით მუზეუმის ქონება შევამოწმე, დავრწმუნდი, რომ 1910 წლიდან აქ მუშაობა შესუსტებული ყოფილა, 1914 წლიდან მთლიანად შეწყვეტილა. მრავალი მასალა აღსარიცხავი იყო. ამ ნაკლის გამოსწორება საქართველოს მუზეუმის მოვალეობა იყო. მთლიანად არის შესრულებული ეს თუ არა, ჩემთვის ნათელი არ არის".[624] ამასთან დაკავშირებით, იგი აყენებდა მუზეუმის საფონდო, სააღრიცხვო-საინვენტარიზაციო საქმიანობის მთელი სისტემის დახვეწის გეგმას.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ი. ჯავახიშვილი მუზეუმის საექსპოზიციო მუშაობასაც, რომელიც მიაჩნდა მუზეუმის უმთავარეს საქმიანობად და ანიჭებდა მას დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-

---

[623] სსმ არქივი, №65, ან.1. ფ. 10.
[624] სსმ არქივი, №65, ან.1. ფ. 10.

აღმზრდელობით მნიშნელობას. ამ მხრივ, სამაგალითო იყო მისი მოღვაწეობა ახალი გამოფენების მოწყობაში. მხედველობაში გვაქვს არქეოლოგიური და შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ექსპოზიციები.

ი. ჯავახიშვილმა კრიტიკულად შეისწავლა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს კომისიის მიერ შედგენილი პროგრამა და მუზეუმის "შემდგომი მუშაობის საპროგრამო დებულება წარმოადგინა. მან განსაკუთრების მიაქცია ყურადღება მუზეუმის სტრუქტურაში ახალი უჯრედის, ისტორიის განყოფილების შექმნას. მიუხედავად მუზეუმის დირექციისა და რამდენიმე წამყვანი თანამშრომლის წინააღმდეგობისა, მან დამაჯერებლად დაასაბუთა ახალი განყოფილების დაარსების აუცილებლობა. მისი აზრით, ახალმა განყოფილებამ "უპირველეს თავის მოვალეობად კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ნივთიერი ნაშთების შეგროვება, შესწავლა და გამოფენა უნდა მიიჩნიოს, ხოლო რაკი ქართველი ერის წარსული მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის არა ერთი დიდი ერის სახელმწიფოებრიობასა და კულტურასთან იყო მრავალჯერ დაკავშირებული ამიტომაც, ცხადია, თანდათანობით მათი ნაშთების შეგროვება-გამოფენის სასურველობაცა და მოვალეობაც უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული."[625] საკითხის გადასაჭრელად შეიქმნა კომისია ი. ჯავახიშვილის (თავმჯდომარე), გ. ნიორაძის, შ. ჩჩეტიას, ლ. მუსხელიშვილის, და ს. მენთეშაშვილის შემადგენლობით. ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული ალღო და ძოსაზრებები "შემდგომ ცხოვრებამ მთლიანად გაამართლა. 1937 წლის 22 მარტს შეიქმნა ისტორიის გამყოფილება, რომლის გამგედ ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა. საქართველოს მუზეუმის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სამუშაოები მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ისიც ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა ამ დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებასა და მისი საქმიანობის სწორად წარმართვაში.

1931 წელს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუზეუმში ჯერ კონსულტანტებად მოიწვიეს, ხოლო შემდეგ, მუზეუმის შტატში ჩარიცხეს გრიგოლ წერეთელი და დიმიტრი არაყიშვილი.

ამავე წელს მუზეუმის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა ახალი უჯრედები: მუზეუმში თაქმოყრილ ეთნოგრაფიულ და ნუმიზმატიკურ მასალათა სიუხვემ აუცილებელი გახადა ცალკე

---

[625] საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის არქივი, ფ. 9080—ხ, ან. 1. ფ. 4.

გამოყოფილიყო ეთნოგრაფიული განყოფილება და ნუმიზმატიკური კაბინეტი.[626] ამავე წელს მუზეუმში ჩაირიცხა თამარ ლომოური, ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე.

მუზეუმისა და უნივერსიტეტის სამუზეუმო მასალათა შერწყმის საფუძველზე 1931 წლის ივნისში შეიქმნა ხელოვნებისა და ისტორიის განყოფილება რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ჩუბინაშვილი. მოგვიანებით, 1932 წელს განსახკომის კოლეგიის დადგენილებით, მუზეუმში დაარსდა ფოლკლორის განყოფილება, რომელიც აერთიანებდა პოეტურ და მუსიკალური ხელოვნების ფოლკლორულ დარგებს. ამ უჯრედის ხელმძღვანელობა დაეკისრა ეახტანგ კოტეტიშვილს. უფროს მეცნიერ მუშაკად კი მუშაობდა დიმიტრი არაყიშვილი. განყოფილების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ზაქარია ფალიაშვილი.

1930 წელს მუზეუმის კონსერვატორის თანამდებობაზე იწყებს მუშაობას მოსე ჯანაშვილი.

განსახკომის კოლეგიის 1930 წლის 31 ოქტომრის დადგენილებით პროფესორი კორნელი კეკელიძე შეყვანილი იქნა საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში "პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო--სასწავლო საქმიანობასთან ახლო კონტაქტის მიზნით. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებასთან კი მოეწყოს სამეცადინეო დარბაზი, რათა მეცნიერ მუშაკებს და მოსამზადებელ კადრებს საშუალება ჰქონდეს მუზეუმის ხელნაწერთა სარგებლობისა." [627]

1032 წელს არქეოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა გიორგი ნიორაძე, ეთნოგრაფიის განოფილებას—გიორგი ჩიტაია, ქართული ხელოვნების განყოფილებას—გიორგი ჩუბინაშვილი, მასვე დაეკისრა მუზეუმის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შესრულება.

მუზეუმის საცავებში დაგროვილი სამუზეუმო მასალის სიუხვის გამო, 1932 წლიდან ლროებით შეწყდა ექსპედიციები და მთელი სამუშაოები წარიმართა საექსპოზიციო და საფონდო მასალათა მოვლა-მოწესრიგებისკენ.

საფონდო სამუშაოების გაძლიერების მიზნით, მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა ფიზიკურ-ქიმიურ სარესტავრაციო ლაბორატორიას, რომელსაც დირექტორი ან. კაკაბაძე უშუალოდ

---

[626] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე ტ.VI,გ.465.

[627] საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, ან,1, საქ. 140, ფ.73.

ხელმძღვანელობდა. მოხერხდა აგრეთვე ფოტოგრაფიული ლაბორატორიის გამართვაც. 1932 წლისათვის მუზეუმში ფუნქციონირებდა ტაქსიდერმიული, სარესტავრაციო და ფოტოგრაფიული ლაბორატორიები. განსაკუთრებით პირველი ორი უჯრედი იყო გამორჩეული არა მარტო რესპუბლიკის, არაპედ საკავშირო მასშტაბითაც. ტაქსიდერმიულ ლაბარატორიაში წარმატებით გრძელდებოდა ჯერ კიდევ კავკასიის მუზეუმის სპეციალისტის კარლ კრელის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები, ხოლო ფიზიკურ- ქიმიურ სარესტავრაციო ლაბარატორიაში ასევე წარმატებით მიმდინარეობდა ლითონისაგან დამზადებული ნივთების აღდგენისა და ძველი პალიმფსესტების გასამაგრებელი სამუშაოები.

1933 წლიდან მუზეუმში მუშაობას იწყებს ბორის კუფტინი, რომელმაც სწორედ ამ დაწესებულებაში მოღვაწეობისას მიაღწია ბრწყინვალე აღმოჩენებს და მოიპოვა საქვეყნოდ ცნობილი არქეოლოგის სახელი.

სხვა მუზეუმებიდან მიღებულმა მასალებმა მალე საფონდო ფართობის ნაკლებობის წინაშე კვლავ დააყენა საქართველოს მუზეუმი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მუზეუმის ახალი შენობა თავიდანვე ნავარაუდევი იყო საფონდო მასალების 30 წლიან გაფართოებაზე და მარტო მშენებლობას დასჭირდა 20 წელი, მაშინ ნათელი გახდება, რომ მუზეუმის შემდგომი გაფართოების საკითხი უკვე 30-იან წლებშივე დადგა.

ამ პერიოდში მუზეუმის ტერიტორიაზე განთავსებული იყო სხვადასხვა დაწესებულებები: ქალთა II სასწავლებელსა და XI პროფტექნიკუმს მუზეუმის ძველ შენობაში ლორის–მელიქოვის ქუჩაზე ეკავათ 21 ოთახი, ხოლო სტამბასა და განათლების მუშაკთა სახლს–მუზეუმის ეზოს მთელი ჩრდილო დასავლეთი ნაწილი.

მუზეუმის დირექციამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა სხვა დაწესებულებებისგან მუზეუმის ტერიტორიის გასათავისუფლებად.

მიუხედავად არაერთი სამთავრობო დადგენილებისა და გადაწყვეტილებისა, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების სხვაგან გადაყვანის თაობაზე, ისინი მაინც კიდევ დიდხანს იმყოფებოდნენ მუზეუმის ტერიტორიაზე.

ფონდებში თავმოყრილმა უმდიდრესმა სამუზეუმო მასალამ საშუალება მისცა ამ დაწესებულებას კიდევ უფრო გაეფართოებინა საექსპოზიციო სამუშაოები. ზემოხსენებულ ზოოლოგიურ და ხევსურეთის ეთნოგრაფიულ გამოფენებს 1929-

1932 წლებში მიემატა ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ მომზადებული ექსპოზიციები თემაზე: "ქართული ტანსაცმელი" და "ქართული ხელსაქმე" (XVIII–XIX სს). ამ უკანასკნელის ავტორი იყო განყოფილების გამგის მოადგილე ირიდიონ სონღულაშვილი. გამოფენისათვის რუსულ და ქართულ ენებზე გამოშვებული იქნა დასურათებული "გზამკვლევი". გამოფენა ღია იყო კვირაში სამჯერ. 1931 წელს იგი დაათვალიერა 3447 კაცმა. ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ გ. ჩიტაიას ავტორობით მოაწყო სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. იგი აგებული იქნა სოციალურ–ეკონომიკური ფორმაციების პრინციპებზე, სტადიალური განვითარების მიხედვით, ძველისა და ახალი სვანეთის შედარებითი ჩვენებით. 1931 წელს გამოფენა ნახა 54658 დამთვალიერებელმა.[628] ამავე პერიოდში ხელნაწერთა განყოფილებასთან ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. "სეიფმა", სადაც გამოფენილი იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის უძველესი ხელნაწერები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავდა VI–XV საუკუნეებს.

1929 წელს ზოოლოგიურმა განყოფილებამ მოაწყო გამოფენა "საქართველოს სარეწაო ცხოველები". იმავე წელს იგი დაათვალიერა 19985 კაცმა.[629] მომდევნო წელს ივ. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპოზიცია--"საქართველოს სოფლის მეურნეობის სასარგებლო და მაავნე ძუძუმწოვრები და ფრინველები". აქ ნაჩვენები იყო მწერების, ფრინველებისა და მღრღნელების მორფოლოგია და ანატომია. დაზიანებულ მცენარეთა ნაყოფები და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებები. ექვს თვეში გამოფენა დაათვალიერა 5149 კაცმა. გაიხსნა აგრეთვე გეოლოგიური განყოფილების მიერ ალ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით მოწყობილი გამოფენა "საქართველოს სასარგებლო მინერალური რესურსები", გამოფენა შედგებოდა ორი ნაწილისგან და წარმოდგენილი იყო: 1.საქართველოში გამოკვლეული რესურსები, მათი ბუნების, ეკონომიკური მახასიათებლებისა და პერსპექტივების ჩვენებით. 2. დედამიწის ზედაპირის შექმნის ისტორია და კავკასიის ნიადაგისა და მთის სახეობათა მიმოხილვა. ამ გამოფენის მოწყობაში მონაწილეობა მიიღო ლენინგრადელმა აკადემიკოსმა ე. კრეიანოვსკიმ. 1930 წელს გამოფენა დაათვალიერა 10409

---

[628] საქართველოს მუზეუმის 1931–32 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე,ტ.VII,გ.344.

[629] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ.VI,გ.473.

მნახველმა.[630] ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოფენა გააფორმა პროფესორმა იოსებ შარლემანმა. ცალკეული სამხატვრო სამუშაოები კი შეასრულა რ.შმერლინგმა.

საქართველოს მუზეუმის ფონდებში ათეული წლების მანძილზე დაგროვილი კოლექციების გეოგრაფიული არეალი დიდად აცილდებოდა საქართველოს ფარგლებს და მთელ კავკასიას მოიცავდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი კვლავაც რჩებოდა კავკასიის ფლორის, ფაუნისა და ეთნოგრაფიის ამსახველ სამუზეუმო მასალათა თავმოყრის ცენტრად. ამას ადასტურებს გ. ნიორაძისა და ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს მოწყობილი ექსპოზიცია–"წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში" და გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით 1937 წელს გამართული გამოფენა–"კავკასიური ხალიჩა".

1929 წლიდან მუზეუმმა საზღვარგარეთაც ფართოდ გაშალა საგამოფენო სამუშაოები. 1930 წლის ივნისს–ოქტომბერში გერმანიის ქალაქებში: ბერლინში, კიოლნში, ნიუნბერგსა და მიუნხენში მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა გამოფენა, რომლის ავტორი იყო გ. ჩუბინაშვილი. გამოიცა კატალოგი გერმანულ ენაზე.[631]. გამოფენას დიდი მოწონება ხვდა წილად. ამ გამოფენებისათვის სპეციალურად დამზადებული ქართული ფრესკის პირები შემდეგში შეემატა ისტორიის განყოფილების ფონდებს.

გერმანიიდან გამოფენამ ავსტრიაში გადაინაცვლა და ორი კვირის განმავლობაში ვენაში წარმატებით ფუნქციონირებდა.

1929 წლიდან განსაკუთრებით გააცხოველა სამუშაოები მუზეუმთან არსებულმა სიძველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მუზეუმის დირექტორი. კომიტეტის ძალისხმევით ბევრჯერ მოეწყო ძეგლებზე გასვლა და ჩატარდა შესწავლა-ფიქსაციის სამუშაოები. 1929-1932 წლებში საქართველოს მუზეუმის ინიციატივით შეკეთდა ბაგრატის, გელათის, ნიკორწმინდის, ჯვრის მონასტრის, ბებრის ციხის და სხვა ძეგლები, რაზედაც დაიხარჯა 6242 მანეთი.[632] გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით მუზეუმში გადმოიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკა.

---

[630] საქართველოს მუზეუმის 1931–32 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე,ტ.VII,გ.342

[631] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე ,ტ.VI,გ.467

[632] სუი არქივი, ფ.300, ან. 3, საქ 140, ფ. 54.

საქართველოს მუზეუმი ყოველწლიურად აფართოებდა საქმიან კავშირებს მსოფლიოს სხვადასხვა ანალოგიურ სამეცნიერო დაწესებულებებთან. იგი იღებდა კორესპონდენციებსა და სამეცნიერო გამოცემებს და თავის მხრივ კი მათ უგზავნიდა მუზეუმის შრომებს.

1926-30 წლებში საზღვარგარეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან მუზეუმის კავშირ-ურთიერთობები ასე გამოიყურება:* (ცხრილი 19):

წლები	1926	1927	1928	1929	1930
სსრ კავშირი	56 (83)	93 (95)	133 (141)	159 (164)	173 (205)
საზღვ. ქვეყნ.	33 (53)	56 (71)	79 (94)	85 (118)	90 (130)
სულ	83 (136)	149(166)	212 (235)	244 (282)	263 (335)

საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის შედეგს წარმოადგენდა რომაულ-ბიზანტიური არქეოლოგიის ცნობილი სპეციალისტის დოქტორ შნაიდერის ჩამოსვლა საქართველოში. იგი ადრე აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს კუნძულ სამოსზე, იუდეაში და სხვაგან. საქართველოში მას დავალებული ჰქონდა ნოქალაქევში (ძველ არქეოპოლისში) საცდელი გათხრების ჩატარება. მან არქეოლოგიური გათხრები აწარმოა 1930-31 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოს მუზეუმის ორი ასპირანტის ლევან მუსხელიშვილის და გიორგი გოზალიშვილის თანამშრომლობით. ამ საცდელი გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა ნივთი შემოვიდა მუზეუმში. მოკლე ანგარიში კი დაიბეჭდა მუზეუმის გამოცემაში.[633]

ყოველწლიურად მდიდრდებოდა საქართველოს მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის საცავები. 1929-30 წლებში მას შეემატა 1203, ხოლო 1931 წელს 2772 ახალი წიგნი. მათ შორის 154 წიგნი ნიკო მარის ინიციატივით ლენინგრადის კულტურის ისტორიის აკადემიამ საჩუქრად გადასცა მუზეუმს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ყოფილი დირექტორის ალ. კაზნაკოვის დატოვებული პირადი, საკმაოდ მნიშვნელოვანი წიგნების ბიბლიოთეკის ფონდში ჩარიცხვა.

1929 წელს მუზეუმის ბიბლიოთეკა მოემსახურა 200-ზე მეტ მკითხველს, რომლებზედაც გაიცა 3510 წიგნი.[634] ამავე წელს

---

[633] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ.VI,გ.468.

* ფრჩხილებში მოცემულია წინების დასახელებათა რაოდენობა.

[634] საქართველოს მუზეუმის 1928-30 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ.VI,გ.471.

დაიწყო პერიოდიკის კატალოგის დამუშავება, რასაც ორი წელი დასჭირდა. სულ დამუშავდა 5000 ტომი.

1931 წელს მუზეუმის წიგნადი ფონდიდან გამოყოფილ იქნა და თბილისის საჯარო და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებს გადაეცათ მუზეუმის პროფილისათვის შეუსაბამო წიგნები. სხვა ბიბლიოთეკებს გადაეცათ აგრეთვე მუზეუმში დაცული ძველი ჟურნალ-გაზეთები და ბელეტრისტული ლიტერატურა.

1932 წლიდან ეკონომიკური კრიზისისა და საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესების გამო შესუსტდა მუზეუმის ბიბლიოთეკის დაკომპლექტება. შეწყდა უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან სამეცნიერო პროდუქციის გაცვლა.

1932 წელს მუზეუმის ბიბლიოთეკაში სულ 300 ათასამდე წიგნი ითვლებოდა. ამ წელს იგი 300-ზე მეტ მკითხველს მოემსახურა. მათზე გაიცა 4775 წიგნი.[635]

1930 წლის ნოემბერში მოსკოვში ჩატარდა მუზეუმების მუშაკთა საკავშირო ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრი გააღრმავა ამ დაწესებულებების მუშაობაში პარტიული იდეოლოგია. მუზეუმებს დაევალა "მთელი მუშაობის გადახალისება" და მისი შეფარდება სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან. ყრილობამ საბჭოთა მუზეუმებს მთავარ ამოცანად თანამედროვეობის, სოციალიტური ცხოვრების წესის ასახვა დაუსახა. ექსპოზიციებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა არა საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებების ჩვენებას, არამედ სოციალური ფენების ურთიერთობებს, კლასთა ბრძოლის და ა.შ. ასახვას. ამით მუზეუმებში სუსტდებდა ნივთის, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა და მთავარი აქცენტი გადადიოდა წარმოსახვითობაზე. ამასთან ერთად, ყრილობის გადაწყვეტილებებმა მწვანე შუქი აუნთო არასწორ, მავნე ქმედებებსაც. მუზეუმებში გზა გაეხსნა სხვადასხვა კომერციულ აუქციონებზე სამუზეუმო ნივთების გაყიდვას. საქართველოს მუზეუმებმაც ვერ აუარეს გვერდი მთელ საბჭოეთში დამკვიდრებულ ამ ნეგატიურ პრაქტიკას. 1930 წელს გაიყიდა ე. წ. "ბაგრატიონების გვირგვინი", რომელიც ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის ბოლო მეფეს გიორგი XII.

---

[635] საქართველოს მუზეუმის 1931–32 წწ. მუშაობის ანგარიში, სსმ მოამბე, ტ. VII, გ. 361.

გვირგვინი დამზადებული იყო პეტერბურგში ბაჯაღლო ოქროსგან და იწონიდა ოთხ ფუნტსა და 49 მისხალს. მასზე იყო 84 ბრილიანტი, 43 ლალი და შეფასებული იყო 30000 მანეთად.[636] გარდა ამისა, 1931 წელს ზემდგომი ორგანოების საიდუმლო წერილით მუზეუმები დაავალდებულეს "ჩაეტარებინათ მობილიზაცია და სახელმწიფოსთვის ჩაებარებინათ" ოქროსა და ვერცხლისგან დამზადებული ნივთები, ზოდები, ნამსხვრევები, მონეტები და ა შ. ამ განკარგულების თანახმად, საქართველოს მუზეუმმა ამ წელს იძულებით ჩააბარა 24,237 კგ. წონის ძვირფასი ლითონისგან შემდგარი ნივთები, მათ შორის მემორიალური წარწერებით, აზარფეშები [637]და სხვა.

1931 წლის მაისში საქართველოს მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ბარონ ბიბინეიშვილი, რომელმაც მხოლოდ ორი წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე. 1933 წლის ოქტომბერში მუზეუმის დირექტორი გახდა გიორგი მიროტაძე, რომლის სიცოცხლეც შეეწირა რეპრესიებს.

საქართველოს მუზეუმი, როგორც იმხანად ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ჩაბმული იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი ლენინგრადის კულტურის ისტორიის აკადემიამ გამოიწვია ამ თაოსნობაში. თავის მხრივ საქართველოს მუზეუმმაც გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრში სომხეთისა და აზერბაიჯანის მუზეუმები.

1932 წლის ბოლოს საქართველოს მუზეუმის სტრუქტურაში იყო 9 განყოფილება: გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებისა და ისტორიის, ხელნაწერთა, ფოლკლორის და ბიბლიოთეკა. არსებობდა აგრეთვე ნუმიზმატიკური კაბინეტი. მუზეუმთან ფუნქციონირებდა სამი ლაბორატორია: ქიმიურ-სარესტავრაციო, საღურგლო და ფოტო-ლაბორატორია. მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობამ 48-ს მიაღწია. მუზეუმის თანამშრომლები წარმატებით ახორციელებდნენ სამუზეუმო სამუშაოებს ოთხივე— საფონდო, საგამოფენო, მოძიებითი და სამეცნიერო მიმართულებით, ამ მრავალპროფილიან დაწესებულებაში ქართული მეცნიერების ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი მუშაობდა, რომლებსაც ხელეწიფებოდა

---

[636] Бичикашвили И., О регалиях последних царей Картли и Кахети, газ"Свободная Грузия",2002,13/VI, №112.

[637] ჭილაშვილი ლ., საუკუნე-ნახევრის გადასახედიდან, სსმ მოამბე, 44-ბ, 2002, გვ. 26.

ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა. ამიტომ 1933 წლის აპრილში გამართულმა მუზეუმების მუშაკთა I კონფერენციამ, რესპუბლიკაში მთელი სამუზეუმო საქმიანობის ხელმძღვანელობა საქართველოს მუსეუმს დააკისრა. და ისიც, როგორც სათავო ორგანიზაცია, მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა სხვა მუზეუმებს. .

1933 წლის მაისში თბილისის საქართველოს მუზეუმის ყველა განყოფილებასთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო სექციები, რომელშიც იმდროინდელი ქართული მეცნიერების მთელი ელიტა მონაწილეობდა. მათ მიერ მომზადებულ მოხსენებებს და ნაშრომებს მთელი სამეციერო სამყარო ეცნობოდა. მუზეუმის მუშაკთა დიდი სამეცნიერო პოტენციალის წყალობით დაწესებულებამ დიდი საერთაშორისო ალიარება მოიპოვა.

30-იანი წლების დასაწყისიდან მუზეუმში თავს იყრის ქართული ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბევრი სახელოვანი წარმომადგენელი. მათი გვარების ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა იმის გასააზრებლად, თუ რა დონის სამეცნიერო პოტენციალი შეიქმნა მუზეუმში: ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, პაველ ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, შალვა ამირანაშვილი, ბორის კუფტინი, ლევან მუსხელიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, თედო სახოკია, მოსე ჯანაშვილი, სერგი მაკალათია, დიმიტრი არაყიშვილი, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თეალჭრელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ბორის შიშკინი, დიმიტრი სოსნოვსკი, ივანე ჩხიკვიშვილი, კალისტრატე გაბუნია, ივანე კაჭარავა და სხვები-- ვინც საქართველოს მუზეუმს უქმნიდნენ უდიდეს ავტორიტეტს საერთაშორისო მასშტაბით.

აქასთან ერთად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოში თითქმის არ მოიძებნებოდა დიდი მეცნიერი თუ ხელოვანი, რომელიც რაიმე სახით აქტიურად არ თანამშრომლობდა საქართველოს მუზეუმთან: სილოვან ხუნდაძე, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, ილია აბულაძე, ვარლამ დონდუა, ვარლამ თოფურია, მალაქია ტორონჯელიძე, ლეონ მელიქსეთბეგი, საქარია ფალიაშვილი, რენე შმერლინგი და სხვები ყოველთვის გვერდში უდგნენ მუზეუმს და ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ მის საქმიანობაში.

თითოეული მათგანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი ქართული მეცნიერების განვითარებასთან, ხოლო ზოგმა სულ

მალე შექმნა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო სკოლები და სათავეში ჩაუდგა მათ.

საქართველოს მუზეუმში დასაქმებულ მეცნიერ მუშაკთა ნაწილმა მოგვიანებით ჩამოყალიბებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ბირთვი შეადგინა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 30-იან წლებში ტოტალური რეჟიმის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო ძნელი ხდებოდა დაწესებულებაში ნორმალური მუშაობა. მუშაობის "ახალი სტილის" შემოღება ნიშნავდა აგრეთვე მუზეუმის თანამშრომლებზე ტოტალურ თვალთვალს, შიშისა და დაძაბულობის დამკვიდრებას. სამსახურში რამდენიმე წუთით დაგვიანებისთვის შემოღებული იყო მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი. როგორც საარქივო მასალიდან ჩანს, ამ უკანასკნელს ვერ ასცდნენ ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ივ. ჩხიკვიშვილი, ვ. ბარდაველიძე და სხვები.

უფრო მეტიც, "ტროცკისტულ-მაენებლური" საქმიანობის იარლიყით ბევრი მაღალკვალიფიკაციური მუზეუმის თანამშრომელი დაითხოვეს სამსახურიდან და ფიზიკურად გაუსწორდნენ. "ხალხის მტრებზე" ნადირობას შეეწირა მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ერიგოლ წერეთელი. პირდაპირ მუზეუმშივე დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს სამსონ ფირცხალავა. ასევე მოსპეს განყოფილების გამგე ეახტანგ კოტეტიშვილი, მუზეუმის დირექტორები: გიორგი მიროტაძე, პარმენ აფხაძე, კორნელი ქაცარავა და დავით დემეტრაძე. გარკვეული პრობლემები შეუქმნეს ისეთ მეცნირებს, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია და სხვ. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობისა, საქართველოს მუზეუმი თანდათანობით იკრებდა ძალებს და პირნათლად იხდიდა ვალს ერისა და მამულის წინაშე.

1937 წლის დასაწყისში შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნებოდა, მუზეუმმა მიიღო მეტად საპასუხისმგებლო დავალება— მოეწყო ამ თარიღისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენა. შეიქმნა კომისია პ. ინგოროყვას თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდნენ: ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ა.შანიძე, ს. ჯანაშია და ა. ბარამიძე. კომისიამ ყველა ორგანიზაციული საკითხი სწრაფად გადაჭრა და ახლად შექმნილი ისტორიის განყოფილების ძალისხმევით იმავე წელს

მოაწყო საქართველოს მუზეუმის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული ექსპოზიცია–"შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის მატერიალური კულტურა". გამოფენა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1937 წლის 29 დეკემბერს. მისი პოპულარობა შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს.

30-იანი წლების II ნახევრიდან საქართველოში ფართო არქეოლოგიური სამუშაოები იშლება. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა მცხეთაში სამთავროსა და არმაზისხევში, ბოლნისში, დმანისის ნაქალაქარზე, გუდარეხში და სხვაგან. ამ სამუშაოებში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი მუზეუმის თანამშრომლები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბორის კუფტინი. მისმა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებმა თრიალეთში მთელი ეპოქა შექმნა არქეოლოგიურ მეცნიერებაში. მან შეიმუშავა არქეოლოგიაში დღემდე დამკვიდრებული პერიოდიზაცია, განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯნა "მტკვარ-არაქსის" და თრიალეთის კულტურები, ახლებურად დაათარიღა ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. მოგვიანებით მას ნაშრომისთვის "არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში" არქეოლოგთა შორის პირველს სტალინური პრემია მიენიჭა.

მცხეთაში არქეოლოგიური სამუშაოების გაფართოებასთან დაკავშირებით 1938 წლის ოქტომბრის მიწურულში განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა საგანგებო კომისია განათლების კომისრის გ. კიკნაძის მეთაურობით. კომისიის წევრები მუზეუმიდან იყვნენ ი. ჯაფახიშვილი, გ. ნიორაძე, და მუზეუმის დირექტორი ლ. ჭანტურია. "ძედგა აგრეთვე საექსპერტო კომისია ი. ჯაფახიშვილის თავმჯდომარეობით. საველე სამუშაოებში მობილიზებულ იქნენ რესპუბლიკის თითქმის ყველა მუზეუმი და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა მეცნიერ მუშაკები. საექსპერტო სამუშაოებს და ექსპედიციებს საერთო ხელმძღვანელობას ეწევდა ი. ჯაფახიშვილი. მთელი მოპოვებული მასალის დამუშავება დაეკალა საქართველოს მუზეუმს. 29 ოქტომბრიდან სამთავროს ჩრდილოეთით ბებრისციხის მახლობლად 14 ჰექტარზე ფართო მასშტაბით დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები. გაითხარა 300-მდე სამარხი, საიდანაც აკრეფილი იქნა 1400-ზე მეტი მნიშვნელოვანი ნივთი[638]

---

[638] ჯაფახიშვილი ი., მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა, გაზ. "კომუნისტი" 1938 წლის 23 დეკემბერი.

იმავე წელს მცხეთიდან 2 კმ-ში არმაზში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვანელი ალ. კალანდაძე), სადაც აღმოჩნდა ორი სრულიად უვნებლად შენახული სამარხი მდიდარი ინვენტარით, რაც თითქმის მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ნივთებისგან შედგებოდა. 1938-39 წლებში მცხეთის მიდამოებში სულ 6067 კვ. მეტრი ფართობი იქნა არქეოლოგიურად შესწავლილი. გაითხარა 1051 სამარხი. ამ აღმოჩენებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ სამეცნიერო საზოგადოებაში. პირველად გახდა შესაძლებელი საზოგადოება გასცნობოდა II-III საუკუნის იბერიის უმაღლესი თანამდებობის პირთა დაკრძალვის ინვენტარს, ხელისუფალთა ნიშნებს და სამკაულს.[639]

ამ პერიოდში მთელ საქართველოში გაშლილ არქეოლოგიურ სამუშაოებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ მუზეუმის სპეციალისტები, შემდგომში ცნობილი მეცნიერები: ლ. მუსხელიშვილი, ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, ვ. ჯაფარიძე, დ. კაპანაძე, ს. მაკალათია და სხვები.

[639] ჯავახიშვილი ი., პიტიახშ ასფაგურის აკლდამა, წიგნ.:ში "ქართველი ერის ისტორია" თბ.,1960, ტ. I, გვ. 461.

* * *

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მუზეუმი თავიდანვე მოიქცა ეროვნული ხელისუფლების ყურადღების ცენტრში. იგი განიხილებოდა როგორც ისტორიული ღირებულების მქონე ნივთთა მოძიების, დაცვისა და მათი პროპაგანდის უმნიშვნელოვანეს კერად. კავკასიის მუზეუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართული დაწესებულება, რომელსაც საქართველოს მუზეუმი ეწოდა.

იწყება ზრუნვა მუზეუმის გაეროვნულობისათვის: განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ფლორის, ფაუნის, მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლას და მათ ამსახველ ნიმუშთა თავმოყრას; მუზეუმში მოვიდნენ ახალი ეროვნული კადრები, დაწესებულების ხელმძღვანელად არჩეული იქნა ქართველი დირექტორი. გამოიყო ასიგნებანი მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობის დასამთავრებლად. მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუზეუმის შენობის ფასადის შეცვლის, მის ქართულ ეროვნულ არქიტექტურასთან მიახლოების შესახებ. მაგრამ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას შეექმნა მუზეუმისათვის მტკიცე მატერიალური ბაზა — უსახსრობის გამო შედეგი არ მოპყოლია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუზეუმი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: საყოველთაო ანარქიისა და არასტაბილურობის გამო საფრთხე შეექმნა მის ფონდებს, მუზეუმში დაცული საუკეთესო ექსპონატები საზღვარგარეთ აღმოჩნდა გატანილი, ქვეყნად რთული ეკონომიკური ვითარების გამო გაძნელდა და შემცირდა ამ დაწესებულების მოძიებითი, საფონდო, სამეცნიერო და სხვა საშუშაოთა დაფინანსება; შეჩერდა მუზეუმის შენობის მშენებლობა, არნახული ინფლაციის პირობებში არასახარბიელოდ გამოიყურებოდა თანამშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, ეკონომიკურ სიროულეებს ემატებოდა ახალი რეჟიმის პოლიტიკური სუსხიც, შეწყდა ყოველგვარი კავშირები საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ა.შ.

მაგრამ ღროთა განმაელობაში, ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილიზაციასთან ერთად, თანდათანობით ლაგდებოდა და უმჯობესდებოდა ვითარება. ხელისუფლება სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა მუზეუმის პრობლემების გადაჭრას. ყოველ წლიურად უმჯობესდებოდა მუზეუმის სამუშაოთა დაფინანსება. მოხერხდა მისი ახალი შენობის

მშენებლობის დამთავრებაც. იგი თბილისის ერთ–ერთ საუკეთესო და საეტაპო მნიშვნელობის ნაგებობად იქნა აღიარებული.

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით შეიცვალა მუზეუმის ორგანიზაცია და სულ ახალი მიმართულება მიეცა მის სამუშაოებს-- უპირატესობა მიენიჭა საგამოფენო სამუშაოთა ფართოდ გაშლას.

მუზეუმის ახალ საგამოფენო დარბაზებში მოწყობილ ზოოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს მოჰყვა გეოლოგიურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ხელთნაწერთა განყოფილებების მიერ მომზადებული გამოფენები. მუზეუმმა საზღვარგარეთაც გაშალა საგამოფენო სამუშაოები. აღნიშნული ექსპოზიციები გამოირჩეოდნენ მაღალი მეცნიერული და მხატვრული ღირსებებით და სიახლით.

საქართველოს მუზეუმის საფონდო ფართის გაფართოებასთან ერთად, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მოხდა სამუზეუმო მასალათა კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. საქართველოს მუზეუმის ფონდებში თავი მოიყარეს სხვა მუზეუმების კოლექციებმა. ამან დიდად გაზარდა მუზეუმის ფონდები, რის შედეგადაც მის სტრუქტურაში შეიქმნა ახალი განყოფილებები და ლაბორატორიები. გაიზარდა თანამშრომელთა რიცხვი. მოხერხდა საზღვარგარეთის ანალოგიურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან კავშირ-ურთიერთობების აღდგენა.

ამ დაწესებულებაში თავმოყრილ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წყალობით იგი რესპუბლიკის სათავო მუზეუმი გახდა. რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს.

ასე რომ, საქართველოს მუზეუმი, რომელსაც კავკასიის მუზეუმიდან მემკვიდრეობით ერგო მაღალი პროფესიონალიზმი, XX საუკუნის 30–იანი წლების დასაწყისში კვლავაც რჩებოდა ქვეყნის მსხვილ კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებად, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი ქართული მეცნიერების განვითარება. ამ დაწესებულების საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ განყოფილებებში დიდი სამუშაოები სრულდებოდა და საფუძველი ეყრებოდა ქართულ სამეცნიერო სკოლებს.

თავისი არსებობის 80 წლის გადასახედიდან მუზეუმი ნამდვილად იქცა ქართულ, ეროვნულ დაწესებულებად თავისი მიზნებით, სამუშაოთა ხასიათით და შინაარსით.

საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის, მისი ბუნების, ფლორისა და ფაუნის ამსახველ მასალათა კელევით, მოძიებითა და მათი ფონდებში დაუნჯებით— შესაძლებელი გახდა დიდი ეროვნული მნიშვნელობის ფონდების ჩამოყალიბება.

საქართველოს მუზეუმი სულ მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა ქვეყნის მსხვილ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად. მისი ექსპოზიციები თავისი თვალსაჩინოებითა და მეცნიერული დონით ერთ-ერთი გამორჩეული იყო მთელს საბჭოთა კავშირში და ყოველწლიურად ათასობით დამთვალიერებელს იღებდა. ასევე განუხრელად იზრდებოდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც.

მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებამდე საქართველოს მუზეუმს თბილისის უნივერსიტეტთან ერთად, წილად ხვდა შეესრულებინა ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებათა ფლაგმანის როლი.



საქართველოს მუზეუმის შენობა 1929წ.

ნოე ჟორდანია

ალექსანდრე ჯანელიძე



ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებთან 1932წ.



შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა 1937წ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852–1932 წწ.)

შინაარსი:

თავი I რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი 1

§ 1. "ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი" 38

თავი II კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა .46

§ 2. კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის დაფუძნება, მათი გაერთიანება და პირველი ექსპოზიციები (1865 – 1870 წწ) 46

§ 3. მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შევსება ახალი ექსპონატებითა და წიგნებით, გამოფენის გახსნა ახალ შენობაში (1871 – 1881 წწ) 82

§ 4. ახალ უწყებაში გადასვლა, საფონდო, სამეცნიერო და საექსპოზიციო სამუშაოების გაშლა (1882 – 1903 წწ) . . 108

§ 5. ახალი დებულების მიღება, მუზეუმის შენობის მშენებლობის ღაწყება, კავკასიის მუზეუმის გაუქმება (1904 – 1919 წწ) 131

თავი III ეროვნული სამუზეუმო დაწესებულებათა ჩამოყალიბება .160

§ 6. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი 160

§ 7. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი 184

§ 8. საეკლესიო მუზეუმი 202

თავი IV საქართველოს მუზეუმი (1919 – 1932 წწ) 225

ილუსტრაციები 291

G. Chkhaidze
Georgian State Museum
(1852-1932)

(Summary)

This book is devoted to the History of Janashia Georgian State Museum of the Academy of Science. Before the Museum evolved into one of the country's leading research and educational centers, it climbed up a along and honorable path from it's origin as the Caucasian Museum of the Geographical Society to become a museum of worldwide significance. The Museum has greatly contributed to the investigation and preservation of the historical heritage of the Georgian people.

As a result of elaborating upon original sources, the key role of the Museum in the creation and development of a professional museum network throughout Georgia has been clearly demonstrated. On the bases of this received heritage of preserving tradition and professionalism, the Georgian State Museum has become a cradle of national culture.

This monograph represents the first attempt at a scientific generalization of the history of the Museum. It can be used by historians, and by all those interested in problems of Georgian culture.

Г. Чхаидзе
Государственный Музей Грузии
(1852-1932 гг)

Книга посвящается истории Государственного Музея Грузии им. С.Джанашия Академии наук Грузии. Прежде чем сформироваться в один из крупнейших научно-просветительских центров страны, им пройден долгий и достойный путь от Кавказского музея при географическом обществе до музейного учреждения мирового значения.

Он внес огромный вклад в дело изучения и сохранения исторического наследия грузинского народа.

На основании обработки первоисточников показана роль Музея в создании и развитии профессиональной музейной сети в Грузии. На основе преемственности традиций и профессионализма Музей Грузии стал очагом национальной культуры.

Монография является первой попыткой научного обобщения истории Музея. Она предназначена для историков и всех, интересующихся вопросами грузинской культуры.